

ს ი ს ს ლ ი ს ს ა მ ა რ თ ლ ი ს პ რ ო ხ ე ს ი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:
http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სისხლის სამართლის საქმეებზე
2017, №10-12

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Criminal Cases
(in Georgian)
2017, №10-12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Strafsachen
(in der georgischen Sprache)
2017, №10-12

Решения Верховного Суда Грузии
по уголовным делам
(на грузинском языке)
2017, №10-12

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **რუსუდან ჭანტურიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 299-04-18; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

1. მტკიცებულება

მსოფლიო ერთი მტკიცებულების არსებობა არ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს

განაჩენი საქართველოს სახელით

№291აპ-17 9 ნომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ თამარ პაპავას, მსჯავრდებულების – დ. კ-ა და ბ. ს-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 27 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად:
 - დ. კ-ს ბრალი დაედო ქურდობაში, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებაში მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით;
 - ბ. ს-ს ბრალი დაედო ქურდობაში ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებაში მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონო შეღწევით;
 - ი. ბ-ს ბრალი დაედო ქურდობაში, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებაში მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით;
- დ. კ-ა და ბ. ს-ს მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგ-

ში: 2012 წლის 12 ივლისს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევა დ. კ-მ ბ. ს-ს, ი. ბ-ა და გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, 2016 წლის 14 იანვარს, ღამის საათებში, უკანონოდ შეაღწია თ-ი, ა-ს ქუჩის №...-ში მდებარე ა. ხ-ს საცხოვრებელ ბინაში, საიდანაც ფარულად დაეუფლნენ მის კუთვნილ ფოტოაპარატს, საათებსა და სამკაულებს, რის შედეგადაც ა. ხ-ს მიაღდა – 1700 (ათას შვიდასი) ლარის ქონებრივი ზიანი.

ი. ბ-ს მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2015 წლის 3 აპრილს საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევა ი. ბ-მ დ. კ-ს, ბ. ს-ა და გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, 2016 წლის 14 იანვარს, ღამის საათებში, უკანონოდ შეაღწია თ-ი, ა-ს ქუჩის №...-ში მდებარე ა. ხ-ს საცხოვრებელ ბინაში, საიდანაც ფარულად დაეუფლნენ მის კუთვნილ ფოტოაპარატს, საათებსა და სამკაულებს, რის შედეგადაც ა. ხ-ს მიაღდა – 1700 (ათას შვიდასი) ლარის ქონებრივი ზიანი.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2016 წლის 21 სექტემბრის განაჩენით ი. ბ-ე ნასამართლევი, – ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა.

დ. კ-ე ნასამართლევი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიესაჯა 7 (შვიდი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 ნოემბრის განაჩენით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი და იმავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ბოლო განაჩენით შეფარდებულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 ნოემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ დ. კ-ს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელად განესაზღვრა 8 (რვა)

წლით თავისუფლების აღკვეთა.

დ. კ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავებიდან – 2016 წლის 18 იანვრიდან.

ბ. ს-ე, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიესაჯა 7 (შვიდი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

ბ. ს-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავებიდან – 2016 წლის 18 იანვრიდან.

3. მითითებული განაჩენით სასამართლომ დადგენილად არ ცნო ი. ბ-ს ბრალდება იმაში, რომ მან, 2015 წლის 3 აპრილს საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევემა, დ. კ-ა და ბ. ს-ნ ერთად, წინასწარი შეთანხმებით, 2016 წლის 14 იანვარს, ლამის საათებში, უკანონოდ შეაღწია თ-ი, ა-ს ქუჩის №...-ში მდებარე ა. ხ-ს საცხოვრებელ ბინაში, საიდანაც ფარულად დაეუფლნენ მის კუთვნილ ფოტოაპარატს, საათებსა და სამკაულებს, რის შედეგადაც ა. ხ-ს მიაღდა – 1700 (ათას შვიდასი) ლარის ქონებრივი ზიანი.

სასამართლომ დადგენილად ცნო:

– დ. კ-ს ბრალდება იმაში, რომ მან 2012 წლის 12 ივლისს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევემა, ბ. ს-ნ ერთად, წინასწარი შეთანხმებით, 2016 წლის 14 იანვარს, ლამის საათებში, უკანონოდ შეაღწია თ-ი, ა-ს ქუჩის №...-ში მდებარე ა. ხ-ს საცხოვრებელ ბინაში, საიდანაც ფარულად დაეუფლნენ მის კუთვნილ ფოტოაპარატს, საათებსა და სამკაულებს, რის შედეგადაც ა. ხ-ს მიაღდა – 1700 (ათას შვიდასი) ლარის ქონებრივი ზიანი.

– ბ. ს-ს ბრალდება იმაში, რომ მან 2016 წლის 14 იანვარს, ლამის საათებში, დ. კ-ნ ერთად, უკანონოდ შეაღწია თ-ი, ა-ს ქუჩის №...-ში მდებარე ა. ხ-ს საცხოვრებელ ბინაში, საიდანაც ფარულად დაეუფლნენ მის კუთვნილ ფოტოაპარატს, საათებსა და სამკაულებს, რის შედეგადაც ა. ხ-ს მიაღდა – 1700 (ათას შვიდასი) ლარის ქონებრივი ზიანი.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2016 წლის 21 სექტემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა თამარ ჰაპავამ, მსჯავრდებულმა დ. კ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ე. ბ-ა, მსჯავრდებულმა

ბ. ს-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ა-მ.

5. ბრალდების მხარემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 სექტემბრის განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ი. ბ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით და მისთვის ადეკვატური და სამართლიანი სასჯელის განსაზღვრა.

მსჯავრდებულმა დ. კ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ე. ბ-ა მოითხოვეს განაჩენში ცვლილების შეტანა მსჯავრდებულისათვის სასჯელის შემსუბუქების კუთხით.

მსჯავრდებულმა ბ. ს-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ა-მ მოითხოვეს განაჩენში ცვლილების შეტანა და მსჯავრდებულისათვის შეფარდებული სასჯელის შემცირება, კერძოდ, 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, მსჯავრდებულმა ბ. ს-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ა-მ შეცვალეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ითხოვეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება ბ. ს-ს მიმართ და გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 სექტემბრის განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 27 მარტის განაჩენით ბ. ს-ს მიმართ შეიცვალა სასჯელის ნაწილი, კერძოდ:

ბ. ს-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიესაჯა 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა

ბ. ს-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავებიდან – 2016 წლის 18 იანვრიდან.

ბ. ს-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა, გაუქმებულია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 სექტემბრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 27 მარტის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა თამარ პაპავამ, მსჯავრდებულებმა – დ. კ-მ და ბ. ს-მ.

ბრალდების მხარე საკასაციო საჩივრით ითხოვეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 სექტემბრის განაჩენში

ცვლილებების შეტანასა და ი. ბ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით და მისთვის ადეკვატური და სამართლიანი სასჯელის განსაზღვრას, შემდეგი საფუძვლებით:

ი. ბ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება სრულად დასტურდება ბრალდების მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით მოპოვებულ და სასამართლოსთვის წარდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მათ შორის – მოწმე ქ. უ-ა და დაზარალებულ ა. ხ-ს ჩვენებებით, რომელთა საფუძველზე დადგენილია, რომ ი. ბ-ე და მისი მეგობრები მიემართებოდნენ სწორედ დაზარალებულ ა. ხ-ს ბინისაკენ, რა დროსაც ი. ბ-ე ქ. უ-ნ სატელეფონო საუბრების მეშვეობით აკონტროლებდა ა. ხ-ს ადგილსამყოფელს, რათა იგი მოულოდნელად თავზე არ დასდგომოდა ბინაში შეჭრილ ქურდებს. გარდა ამისა, დადასტურებულია ის ფაქტობრივი გარემოებებიც, რომ დ. კ-მ ნაქურდალი ფოტოაპარატი მიჰყიდა თავის მეგობარს, ხოლო ბ. ს-ს პირადი გასინჯვისას პოლიციამ ამოიღო ა. ხ-ს კუთვნილი ნივთები.

8. მსჯავრდებული დ. კ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას, კერძოდ, შესაბამისი მუხლის სანქციით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელის განსაზღვრას.

9. მსჯავრდებული ბ. ს-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას წარდგენილ ბრალდებაში შემდეგი საფუძვლებით: საქმეში არ მოიპოვება მისი ბრალდების დამადასტურებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა. დანაშაულის ჩადენის დღეს იგი საერთოდ არ იმყოფებოდა თ-ი, წასული იყო გ-ი, თავის საცხოვრებელ სახლში. რაც შეეხება ქურთუქს, საიდანაც პოლიციამ ამოიღო დაზარალებულის კუთვნილი ნაქურდალი ნივთები, იგი მას არ ეკუთვნის და ქურთუქი იყო დ. კ-ს, შესაბამისად, მას ნაქურდალ ნივთებთან არანაირი კავშირი არა აქვს. გარდა ამისა, სააპელაციო პალატა უკანონოდ დაეყრდნო წინასწარი გამოძიების დროს მის მიერ მიცემულ ჩვენებას, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს მან გამოიყენა დუმილის უფლება და თავი არ ცნო დამნაშავედ. სასამართლომ ასევე უკანონოდ განმარტა დუმილის უფლება მის სანაწილ-მდეგოდ და ამასთან, დაცვის მხარეს დააკისრა მტკიცებულებათა მოპოვების ვალდებულება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამონ-

მა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ თამარ ჰაპავას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, მსჯავრდებულ დ. კ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო მსჯავრდებულ ბ. ს-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. დაზარალებულ ა. ხ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ი. ბ-ს იცნობს დაახლოებით 2 წელია. იგი გაიცნო ქ. უ-ნ. დ. კ-ს იცნობს ზაფხულიდან, სულ ორჯერ ჰყავს ნანახი, ერთხელ მაშინ, როდესაც ლ-ი იყო ჩასული დასასვენებლად და დ. კ-მ ის, თავისი და და მეგობარი წაიყვანა ე.ნ. გასართობ ცენტრ „ც-ი“. ამის შემდეგ ბ-ი შეხვდა ი. ბ-ს, რომელსაც თან ახლდა დ-ც. მეტჯერ არ ჰყავს ნანახი. რაც შეეხება მესამეს, მისი სახელი და გვარიც კი არ იცის. ძველით ახალ წელს ა. ხ-ი და მისი მეგობრები აპირებდნენ წასვლას კლუბ „კ-ი“, რომელიც მ-ს სანაპიროზე მდებარეობს. გასვლამდე იყვნენ სახლში ის და მისი ორი მეგობარი, აქედან ერთი იყო ქ. უ-ე, რომელიც დაიკითხა, ხოლო მეორე ნ. თ-ე. იმ დღეს მისთვის ტელეფონზე არავის დაურეკავს და ზუსტად იცის, რომ არც ნ-ს არ დაურეკავთ. გარკვეულ დრომდე იცოდა, რომ არც ქ-ს არ ჰქონდა არავის დარეკილი. ისინი კლუბიდან დაბრუნდნენ სახლში დაახლოებით 07:30 საათზე. როგორც ავიდა, დაინახა, რომ მეტალოპლასტმასის ფანჯარა იყო ამოღებული და მიყუდებული კედელზე. ოთახი იყო არეული. მიხვდა, რომ სახლი იყო გაქურდული და დარეკა პოლიციაში. ბრალდებულების დაკავების შემდეგ, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა მათი ვინაობა, მას გაუჩნდა ეჭვი ი. ბ-ე, რადგან დ-ი არც გახსნებია და მესამეზეც არანაირი ეჭვი არ ჰქონია, რადგან პირველად ხედავდა ამ პირს. მას საფუძვლიანი ეჭვი აქვს, რომ ეს დანაშაული ი-ს ჩადენილია. ეჭვი ი-ე გაჩნდა მას შემდეგ, რაც ქ-მ უთხრა მასთან სატელეფონო კავშირზე. მანვე დაადასტურა, რომ ამოღებული ნივთები მასთან ერთად დათვალიერდა.

3. მოწმე ქ. უ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ი. ბ-ს იცნობს ბავშვობიდან, არიან თანასოფლელები, მეგობრები და ოჯახებით ახლობლები. სანამ ქურდობა მოხდებოდა, 2016 წლის 13 იანვარს, ტელეფონით ესაუბრა ი. ბ-ე, რომელმაც მისგან გაიგო, რომ მეგობრებთან, მათ შორის დაზარალებულ ა. ხ-ნ ერთად, მიდიოდა კლუბში ახალი წლის შესახვედრად. მეორედ, როდესაც ი. ბ-მ დაურეკა, იმყოფებოდა ა. ხ-ნ. მან დაუსახელა ადგილი, სადაც მიდიოდნენ და უთხრა, რომ ლამის 4 საათამდე იქნებოდნენ კლუბში და მერე თუ მოახერხებდნენ, აუვლიდნენ მას. მეორედ რომ ელაპარაკა, რაღაც „პ-ს მოედანი“ მოესმა და, სა-

ვარაუდოდ, ისეთი ხმა იყო, ახლოს უნდა ყოფილიყო მანქანით. ი. ბ-მ მისგან გაიცნო ა. ხ-ი. იგი დ. კ-ს იცნობდა ი. ბ-ნ. ა. ხ-ც იცნობდა დ. კ-ს. ა. ხ-ს სახლში ი. ბ-ე ნამყოფია, დ. კ-ე ნამყოფია თუ არა, არ იცის. კლუბიდან დაბრუნების შემდეგ მას სახლში დაურეკეს გოგონებმა და უთხრეს, რომ ა-ს სახლი იყო გაქურდული. იქ მისვლისას ნახა, რომ სახლის ფანჯარა იყო ამოღებული, სახლში იყო არეულობა. წაღებული იყო ფოტოაპარატი, ბიჟუტერია, სამკაულები. მეორე დღეს მან დაურეკა ი-ს ა-ნ შეთანხმებით და უთხრა, რომ ა. გ-ს და ფანჯარა ჩაესვა. ი-ი მოვიდა მეგობართან ერთად და ჩასვა ფანჯარა, თან შეეკითხა, თუ რა მოხდა და როგორ. რამდენიმე ხნის შემდეგ მასა და ი. ბ-ს შორის შედგა სატელეფონო საუბარი, ი. ბ-ე სთხოვდა, რომ ის და ა. ხ-ი მასთან გასულიყვნენ სახლში. ა. ხ-ს შეეშინდა სახლის უპატრონოდ დატოვება, რაზეც ი. ბ-მ მას განუცხადა, რომ „რისი გეშინიათ, მანდ აღარ მოვა“. ეს ფრაზა მას ენიშნა ცუდად. როცა ი. ბ-ე დააკავეს, მერე დააკავშირა ეს ყველაფერი და გაუჩნდა მასზე ეჭვი. სხვა პირმა მათი გადაადგილების მარშრუტი არ იცოდა, გარდა იმ სამეგობროსი, ვინც იქ მიდიოდა. მისივე განმარტებით, იგი იმდენად ახლოს იყო ი. ბ-ნ, რომ ფულიც ბევრჯერ მიუცია, ერთად დადიოდნენ, დღეში ორჯერ-სამჯერაც დაურეკავს. გამოძიებას ბ-ს ქცევებზე არ განუცხადა იმიტომ, რომ დაკავებამდე მასზე ეჭვი არავის გასჩენია. აღნიშნულ დანაშაულში ი. ბ-ს მონაწილეობის შესახებ ეჭვი გაუჩნდა მისი დაკავების შემდეგ.

4. მოწმე მ. გ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მასთან კავშირის მქონე პირმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ ა. ხ-ს ბინა გაქურდეს ახალგაზრდა ბიჭებმა: დ. კ-მ, ბ. ს-მ და ი. ბ-მ. ასევე განუცხადეს, რომ მოპარული ნივთი – ფოტოაპარატი მიჰყიდეს გ. კ-ს. მან მიღებული ინფორმაცია პატაკის საფუძველზე აცნობა ხელმძღვანელობას.

5. მოწმე ი. გ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2016 წლის 18 იანვარს ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, რა დროსაც სამმართველოში შესული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მან და პოლიციის სხვა თანამშრომლებმა ადმინისტრაციული წესით დააკავეს დ. კ-ე და ბ. ს-ე, რომელთაც ჩაუტარდათ პირადი გასინჯვა, რის შედეგადაც ბ. ს-ნ ამოიღეს: „სამსუნგის“ ფირმის ტელეფონი, ერთი ე.წ. რკინის სათითე, ვერცხლისფერი ყელსაბამი, რომელსაც აქვს გულის ფორმა გამოსახული, ერთი ცისფერი ერთჯერადი საპარსი, ერთი ლურჯი სანთებელა, ერთი ე.წ. „კუსოჩკა“, ერთი ყავისფერი სამაჯური, რომელზეც ჩაბმულია ვერცხლისფერი ე.წ. ბოქლომი, ერთი ოქროს-

ფერი საყურე წითელი თვლებით და ერთი ვერცხლისფერი ძენკვი სამი თვლით, ხოლო დ. კ-ნ – „ლენოვოს“ ფირმის მობილური ტელეფონი. ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირები გადაიყვანეს ქ-ს საექსპერტო კრიმინალისტიკურ სამსახურში ნარკოლოგიურ შემოწმებაზე, რის შედეგადაც ბ. ს-ა და დ. კ-ს დაუდგინდათ ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ მოხმარების ფაქტი.

6. მოწმე მ. ბ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2016 წლის იანვარში ზ-ს რაიონიდან მიიღეს შეტყობინება, რომ ადმინისტრაციული წესით დაკავებული ჰყავდათ ბ. ს-ე და დ. კ-ე, რომლებსაც 2016 წლის 13 იანვარს ჩადენილი ჰქონდათ დანაშაული, კერძოდ, მ-ს რაიონში მდებარე ერთ-ერთი ბინის ქურდობის შედეგად ისინი ფარულად დაეუფლნენ სხვადასხვა ნივთს. ის თანამშრომლებთან ერთად ჩავიდა ზ-ი, სადაც ბრალდებულის სახით დააკავეს ბ. ს-ე და დ. კ-ე.

7. ზესტაფონის რაიონული სამმართველოს უფროსის – პ. ბ-ს მიერ ძ-ი თ-ს პოლიციის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსის – დ. თ-ს გაგზავნილ წერილში მოცემულია 2016 წლის №125325 ორიენტირების პასუხი და აღნიშნულია, რომ 2016 წლის 18 იანვარს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ზ-ი, თ. მ-ს ქუჩაზე გააჩერეს ა/მანქანა OPEL KORSA სახ: ნომრით, რომლითაც მგზავრობდნენ ბ. ს-ე და დ. კ-ე. ისინი დააკავეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით და ადგილზე ჩაუტარდათ პირადი გასინჯვა, რა დროსაც დ. კ-ნ ამოიღეს „ლენოვოს“ ფირმის მობილური ტელეფონი, ხოლო ბ. ს-ნ – ქ. თ-ს პოლიციის დეპარტამენტის /ძ-ი თ-ს სამმართველო/ სამმართველოს უფროსის – დ. თ-ს 2016 წლის 18 იანვრის №125325 ორიენტირებაში მითითებული ნივთები.

8. ფოტოაპარატის ყუთის დათვალიერების 2016 წლის 14 იანვარის ოქმით დადგენილია, რომ დათვალიერების ობიექტს წარმოადგენს მოწმე ა. ხ-ს მიერ ნებაყოფლობით წარმოდგენილი ფოტოაპარატის ყუთი, რომელზეც მოცემულია აპარატის მონაცემები და საიდენტიფიკაციო ნომრები. ყუთის ზედაპირზე მოცემულია ფოტოაპარატის სურათი, რომლის ქვეშ წერია: D3100 af-S NIKKOR 18-55mm 1:3.5-5.6 G VR, გვერდითა მხარეს მიკრულია ორი სტიკერი, რომლებზეც მოცემულია ნომრები: და ა. ხ-ს განმარტებით, ეს არის აპარატისა და ლინზის ინდივიდუალური ნომრები.

9. მოწმე გ. კ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მან 2016 წლის 17 იანვარს დ. კ-ნ 250 ლარად შეიძინა შავი „ნიკონის“ ფირმის ფოტოაპარატი, რომელსაც წინ დამაგრებული ჰქონდა მოძრავი

შავი ფერის ლინზა, თავზე სახურავით. მისი ჩვენებით ირკვევა, რომ მან არ იცოდა, თუ საიდან ჰქონდა დ. კ-ს აღნიშნული ფოტოაპარატი.

10. დათვალიერების 2016 წლის 18 იანვრის ოქმით დადგენილია, რომ დათვალიერების ობიექტს წარმოადგენს მოწმე გ. კ-ს მიერ ნებაყოფლობით წარმოდგენილი „Nikon-ის“ ფირმის ციფრული ფოტოაპარატი, რომელიც არის შავი ფერის, აქვს შავი ფერის ჩამოსაკიდი ზონარი, წინ უყენია მოძრავი ობიექტივი, ე.წ. ლინზა, რომლის ზედაპირზეც აწერია: Nikon DX, მის ქვეშ კი: af-S NIKKOR 18-55mm 1:3.5-5.6G, მოძრავ ობიექტზე აწერია ციფრები: ქვედა მხარეს ლინზაზე დატანილია წარწერები: Nikon DX SWM VR aspherical 0.28m/0.92 ft52 made in Thailand 52600795.

11. ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების 2016 წლის 18 იანვრის ოქმის თანახმად, დათვალიერებაში მონაწილეობდა ა. ხ-ი. დათვალიერების ობიექტს წარმოადგენდა მოწმე გ. კ-ს მიერ ნებაყოფლობით წარმოდგენილი „Nikon-ის“ ფირმის ციფრული ფოტოაპარატი. დათვალიერების ობიექტს ასევე წარმოადგენდა მოწმე ა. ხ-ს მიერ წარმოდგენილი ფოტოაპარატის ყუთი. აპარატი არის შავი ფერის, აქვს შავი ჩამოსაკიდი ზონარი, წინ უყენია მოძრავი ობიექტივი, ე.წ. ლინზა, რომლის ზედაპირზეც აწერია: Nikon DX, მის ქვეშ კი: af-S NIKKOR 18-55mm 1:3.5-5.6G, მოძრავ ობიექტზე აწერია ციფრები: ქვედა მხარეს ლინზაზე დატანილია წარწერები: Nikon DX SWM VR aspherical 0.28m/0.92 ft52 made in Thailand და ნომერი აღნიშნული ნომერი ანუ, ა. ხ-ს განმარტებით, არის ლინზის ინდივიდუალური ნომერი, რაც ადასტურებს იმას, რომ აღნიშნული ლინზა არის სწორედ მისი კუთვნილი მოპარული ლინზა. აპარატის ზედაპირზე ქარხნულად მიკრულ სტიკერზე დატანილია წარწერა: Nikon digital camera 7.4/9v=2.5A D3100 და ნომერი, აღნიშნული ნომერი ანუ ... ასევე დატანილია აპარატის ყუთის ზედაპირზე, რაც ა. ხ-ს განმარტებით ადასტურებს იმას, რომ წარმოდგენილი აპარატი არის სწორედ მისი კუთვნილი მოპარული ფოტოაპარატი.

12. დათვალიერების 2016 წლის 18 იანვრის ოქმით დადგენილია, რომ მოწმის სახით დაკითხულმა ი. გ-მ ნებაყოფლობით წარმოადგინა მის მიერ ადმინისტრაციულად დაკავებული ბ. ს-ს პირადი გასინჯვისას ამოღებული პირადი ნივთები, კერძოდ: „ჰერმესის“ ფირმის საათი; შავი ფერის ჯაჭვზე ჩამოკიდებული გულის ფორმის ფიგურა; ოქროსფერი საყურე წითელი თვლებით; ვერცხლისფერი ძეწკვი იასამნისფერი სამი თვლით; მოვერცხლისფრო სათითე; „ჯილეტის“ ფირმის ერთჯერადი ბრიტვა;

ფრჩხილების საკვანძო; მოლურჯო ფერის სანთებელა, „სამსუნ-გის“ შავი მობილური ტელეფონი და ბ. ს-ს სახელზე გაცემული საზღვარგარეთის პასპორტი.

13. ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების 2016 წლის 19 იანვრის ოქმის თანახმად, დათვალიერებაში მონაწილეობდა ა. ხ-ი. დათვალიერების ობიექტს წარმოადგენდა მოწმე ი. გ-ს მიერ წარმოდგენილი, მის მიერ ადმინისტრაციული წესით დაკავებული ბ. ს-ს პირადი გასინჯვისას ამოღებული ნივთები, კერძოდ: „ჰერმესის“ ფირმის საათი; შავი ფერის ჯაჭვზე ჩამოკიდებული გულის ფორმის ფიგურა; ოქროსფერი საყურე წითელი თვლებით; ვერცხლისფერი ძენკვი იასამნისფერი სამი თვლით. აღნიშნული ნივთები პარკიდან ამოიღეს ამოცნობის ჩატარების მიზნით, ამოღების შემდეგ თითოეული ნივთი ცალ-ცალკე ეტაპობრივად განთავსდა ორ ანალოგიურ ნივთთან ერთად, რის შემდეგაც ამოცნობის მიზნით მოიწვიეს მოწმე ა. ხ-ი, ხოლო ამოცნობის დასრულების შემდეგ აღნიშნული ნივთები დაილუქა.

14. ნივთის ამოცნობის 2016 წლის 19 იანვრის ოქმებით დასტურდება, რომ ა. ხ-ა ამოიცნო „ჰერმესის“ ფირმის საათი, რომელიც არის ბოქლომის ფორმის, ვერცხლისფერი, ხოლო შიგნით ციფერბლატის დაფა არის ყავისფერი, რომელზეც ლათინური ასოებით აქვს წარწერა „hermes“, ციფრების მაგივრად აქვს პატარა ზომის ქვები. აღნიშნული საათი რკინის რგოლით დამაგრებულია ლაკირებულ ტყავის სამაჯურზე, რომელსაც ზედა ნაწილზე დაკრული აქვს ვერცხლისფერი მეტალის ფირფიტა. ა. ხ-ა ასევე ამოიცნო შავი ფერის ჯაჭვზე ჩამოკიდებული გულის ფორმის ფიგურა, რომელსაც დამაგრებული აქვს ბრჭვი-ალა ფრთები. ა. ხ-ა ამოიცნო საყურეც, რომელიც არის ოქროსფერი წითელი თვლებით. მას აქვს ოქროსფერი პატარა ჯაჭვი, რომელსაც ბოლოში დამაგრებული აქვს პატარა ოქროსფერი ღია რგოლი. ა. ხ-ა ამოიცნო ვერცხლისფერი გულსაბნევი, რომელსაც აქვს პატარა რგოლი, მასზე დამაგრებულია სამი ვერცხლისფერი, დაახლოებით ორი სმ სიგრძის ჯაჭვი და თითოეულზე დამაგრებულია იასამნისფერი თითო თვალი. ა. ხ-ს განმარტებებით, ეს ნივთები ეკუთვნის მას და ისინი მოპარულია მისი საცხოვრებელი ბინიდან.

15. წინასწარ გამოძიებაში მსჯავრდებულებმა – დ. კ-მ და ბ. ს-მ აღიარეს ჩადენილი დანაშაულები, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში მათ გამოიყენეს დუმილის უფლება, არ აღიარეს დანაშაული და მოითხოვეს გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

16. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა ბრალდებულმა ი. ბ-მ განაცხადა, რომ მას არ ჩაუდენია დანაშაული და თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. მისი განმარტებით, იგი მეგობრობდა ქ. უ-ა და ა. ხ-ს, რომლებთანაც არასოდეს ჰქონია კონფლიქტი. იგი მრავალჯერ იყო ნამყოფი ა. ხ-ს სახლში. 2016 წლის 13 იანვარს, სალამოს საათებში, იგი მივიდა სახლში, საიდანაც არსად გასულა და იმყოფებოდა 14 იანვრის დილამდე. იმავე წლის 14 იანვარს დაუკავშირდა ქ. უ-ე, რომელმაც უთხრა, რომ გაიქურდა ა. ხ-ს სახლი და სთხოვა დახმარება. ი. ბ-ე თავის მეგობართან ერთად მივიდა ა. ხ-ს სახლში, სადაც დახვდა ჩარჩოდან ამოღებული ფანჯარა, რომელიც კედელზე იყო მიყუდებული. მან ფანჯარა ჩასვა ჩარჩოში, რის შემდეგაც დატოვა ა. ხ-ს სახლი.

17. საქმის სააპელაციო წესით განხილვისას დ. კ-მ განმარტა, რომ ა. ხ-ს ბინის ქურდობა ჩაიდინა მარტომ და მასში მონაწილეობა არ მიუღიათ ი. ბ-ა და ბ. ს-ს. ბ. ს-ე თ-ი ჩამოვიდა 17 იანვარს. ქურდობის დღეს – 14 იანვარს იგი გ-ი, თავის სახლში იმყოფებოდა. მისივე განმარტებით, 18 იანვარს თ-ნ გ-ი გაემგზავრა ბ. ს-ს ერთად. ვინაიდან ბ. ს-ს ეცვა თხელი ქურთუკი, მას ჩააცვა თავისი ქურთუკი, რომელშიც ეწყო მის მიერ ა. ხ-ს ბინის ქურდობისას მოპარული ნივთები, რასთანაც ბ. ს-ს არანაირი კავშირი არ ჰქონია. ზ-ი ნივთების ამოღებისთანავე განაცხადა, რომ ქურთუკიდან, რომელიც ბ. ს-ს ეცვა, ამოღებული ნივთები მას ეკუთნოდა.

18. სააპელაციო სასამართლოში ანალოგიური განმარტება მისცა ბ. ს-ს და მიუთითა, რომ ის თ-ი ჩამოვიდა 16-17 იანვარს და თ-ნ დ. კ-ს ერთად გ-ი გაემგზავრა 18 იანვარს, რა დროსაც ეცვა მისი ქურთუკი.

19. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და შეფასებას იმ ნაწილში, რომ გამოკვლეული მტკიცებულებებით არ დასტურდება ი. ბ-ს მონაწილეობა დაზარალებულ ა. ხ-ს ბინის ქურდობაში, კერძოდ: ი. ბ-ს ბრალდების ნაწილში ბრალდების მხარის პოზიცია ძირითადად ემყარება მხოლოდ მოწმე ქ. უ-ს ჩვენებას, რომლის თანახმად, 2016 წლის 13 დეკემბერს მას ი. ბ-მ დაურეკა ორჯერ და ჰკითხა, თუ სად იყო, რითაც, პროკურორის აზრით, დასტურდება ის გარემოება, რომ ი. ბ-ე ქ. უ-ს ხშირი დარეკვით აკონტროლებდა გოგონების ადგილსამყოფელს. გარდა ამისა, ბრალდების მხარე იშველებს ასევე დაზარალებულ ა. ხ-ს ჩვენებას, რომ მხოლოდ ი. ბ-მ იცოდა მისი საცხოვრებელი ბინის მისამართი.

20. სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია, რომ მათი

ჩვენებების ობიექტური და კრიტიკული ანალიზი, ასევე აღნიშნული ჩვენებების შეჯერება სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ და უდავოდ ცნობილ მტკიცებულებებთან არ ქმნის საფუძველს ი. ბ-ს დამნაშავედ ცნობისათვის მისთვის ბრალად შერაცხულ ქმედებაში შემდეგ გარემოებათა გამო: როგორც გამართლებული ი. ბ-ე, ასევე მონმე ქ. უ-ე თავიანთ ჩვენებებში აღნიშნავენ, რომ არიან ახლო მეგობრები და ხშირად საუბრობდნენ ტელეფონით, რისი გათვალისწინებითაც ბრალდების მხარის პოზიცია წარმოადგენს მხოლოდ ეჭვის საფუძველს, რომ შესაძლოა, ი. ბ-ე ბინის გაქურდვის დროს ცდილობდა გოგონების ადგილსამყოფლის დადგენას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან არ ამოღებულა სატელეფონო საუბრების ამონაწერები, საეჭვოა ის გარემოება, თუ დროის რა პერიოდში შედგა მათ შორის სატელეფონო კომუნიკაცია და რის თაობაზე საუბრობდნენ ისინი. შესაბამისად, ეს სატელეფონო საუბრები არ წარმოადგენს ი. ბ-ს ბრალდების დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებას, ისევე როგორც დაზარალებულ ა. ხ-ს ჩვენება, რომ მხოლოდ ი. ბ-მ იცოდა მისი სახლის მისამართი და სხვა ბრალდებულებმა არ იცოდნენ, რადგან ა. ხ-ა და ქ. უ-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ ა. ხ-ი ი. ბ-ს იცნობდა დ. კ-ც. ამდენად, არ არის გამორიცხული ვარაუდი, რომ დ. კ-მ შესაძლოა, ი. ბ-ს, ან სხვა გზით გაიგო ა. ხ-ს მისამართი.

21. ამასთან, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს მსჯავრდებულ ბ. ს-ს არგუმენტებს მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით შერაცხულ ბრალდებაში უდანაშაულობის თაობაზე და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაარწმუნებდა საკასაციო პალატას ბ. ს-ს მიერ ქურდობის ჩადენაში, შემდეგ გარემოებათა გამო:

22. გასაჩივრებული განაჩენი ბრალდების ამ ნაწილში ეფუძნება მხოლოდ ერთ მტკიცებულებას, კერძოდ, მსჯავრდებულ ბ. ს-ს ადმინისტრაციული წესით დაკავებისას, პირადი გასინჯვისას, აღმოაჩნდა დაზარალებულ ა. ხ-ს ბინიდან მოპარული სხვადასხვა ნივთი, ხოლო სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ბ. ს-ს ბრალეულობას, საქმეში წარმოდგენილი არ არის.

23. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მსჯელობაზე, რომ მიუხედავად პირდაპირი მტკიცებულებების არარსებობისა, რომლებიც დაადასტურებდნენ დაზარალებულ ა. ხ-ს ბინაში ბ. ს-ს ყოფნის

ფაქტს, იმის გათვალისწინებით, რომ ა. ხ-ს ბინიდან მოპარული ნივთები აღმოჩნდა დ. კ-ა (რომელიც თვითონაც არ უარყოფს ა. ხ-ს ბინის ქურდობის ფაქტს) და ბ. ს-ნ, საქმეში კი არ მოიპოვება სხვა გარემოება, რომელიც მართლზომიერად მიიჩნევა ა. ხ-ს კუთვნილი ნივთების ბ. ს-ს მფლობელობაში გადაცემას, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები წარმოადგენენ ადეკვატურ საპირწონე ფაქტორებს ბ. ს-ა და დ. კ-ს წარდგენილი ბრალდების დასადასტურებლად.

24. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მითითებულ მსჯელობას, ვინაიდან მხოლოდ ერთი მტკიცებულების არსებობა (რომელსაც თვითონ სააპელაციო პალატაც კი არ მიიჩნევს ა. ხ-ს ბინაში ბ. ს-ს ყოფნის დამადასტურებელ პირდაპირ მტკიცებულებად) არ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს, რაც გულისხმობს ერთმანეთთან შეთანხმებულ, დამაჯერებელ და უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას. მხოლოდ ის გარემოება, რომ დაზარალებულ ა. ხ-ს ბინიდან ნაქურდალი ნივთების ნაწილი ამოიღეს ბ. ს-ს პირადი გასინჯვისას, არ ადასტურებს მის მიერ ნივთის ფარულად დაუფლების ფაქტს, ვინაიდან ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არც ერთი სხვა მტკიცებულებით არ დგინდება ბ. ს-ს კავშირი მითითებულ დანაშაულთან, მით უფრო, მსჯავრდებულ დ. კ-ს მიერ სააპელაციო პალატის სხდომაზე მიცემული განმარტების გათვალისწინებით, რომლის თანახმად, ა. ხ-ს ბინის ქურდობა მან ჩაიდინა მარტომ და მასში მონაწილეობა არ მიუღიათ ი. ბ-ა და ბ. ს-ს. ამდენად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი ბ. ს-ს ბრალეულობის დასადგენად და, შესაბამისად, მისი დამნაშავედ ცნობისათვის, ვინაიდან არ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.

25. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული კონსტიტუციური დებულება წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ საფუძველს, განამტკიცებს უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილების მნიშვნელოვან, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს – „in dubio pro reo“, რომლის

თანახმად, დაუშვებელია პირის მსჯავრდება საექვო ხასიათის ბრალდებების საფუძველზე და, ამდენად, სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის. კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე, მტკიცებულებითი სტანდარტი ვალდებულებას აკისრებს სასამართლოს, რომ სათანადოდ შეაფასოს მტკიცებულებები, სამართლიანად გადაჭრას სამხილებს შორის არსებული წინააღმდეგობები და ამ პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი გონივრული ეჭვი გადანყვიტოს ბრალდებულის უდანაშაულობის, მისი თავისუფლების სასარგებლოდ¹.

26. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მტკიცების სტანდარტად განიხილავს „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს“ და განმარტავს, რომ ასეთი მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე გაუქარწყლებელი ვარაუდების ერთობლიობიდან².

27. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა; ბრალდების მტკიცების ტვირთი აკისრია თავად ბრალმდებელს. საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის სახელმძღვანელო მტკიცებულებით სტანდარტს წარმოადგენს ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ადასტურებს პირის ბრალეულობას; ხოლო ამავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

² იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: „ელ-მასრი ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ“, (El-Masri v The Former Yugoslav Republic of Macedonia) [დიდი პალატა], №39630/09, § 151, 13.12.2012, „ჰასანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Hassan v The UK) [დიდი პალატა], №29750/09, §48, 16.09.2014.

დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“.

28. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბ. ს-ე, მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო, უნდა გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

29. რაც შეეხება დ. კ-ს ბრალდებას, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მითითებულ ნაწილში არ დასტურდება, რომ მან დანაშაული ჩაიდინა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ხოლო დანარჩენ ნაწილში მისი ბრალდება დადასტურებულია გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებათა სტანდარტით, კერძოდ: დ. კ-მ სააპელაციო პალატის სხდომაზე აღიარა ჩადენილი დანაშაული და მიუთითა, რომ დაზარალებულ ა. ხ-ს ბინის ქურდობა მან მარტომ ჩაიდინა; გარდა მისი აღიარებითი ჩვენებისა, მის მიერ ჩადენილი დანაშაული დადასტურებულია მოწმე გ. კ-ს ჩვენებით, დათვალიერებისა და ამოცნობის ოქმებით, რომლებითაც დადგენილია, რომ 2016 წლის 17 იანვარს, დ. კ-მ მას 250 ლარად მიჰყიდა ა. ხ-ს კუთვნილი „ნიკონის“ ფირმის ფოტოაპარატი; რაც შეეხება დ. კ-ს მიერ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ მითითებული დანაშაულის ჩადენას, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ვინაიდან საქმეზე არ არის წარმოდგენილი საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დადასტურებდნენ ი. ბ-ა და ბ. ს-ს ბრალეულობას დაზარალებულ ა. ხ-ს საცხოვრებელი ბინის ქურდობის ჩადენაში, შესაბამისად, არ დასტურდება, რომ დ. კ-მ აღნიშნული დანაშაული ჩაიდინა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. ამდენად, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება დ. კ-ს მიერ ქურდობის წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენის შესახებ (საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) და ბრალდების ამ ნაწილში იგი უნდა გამართლდეს.

30. საკასაციო პალატამ ასევე იმსჯელა მსჯავრდებულ დ. კ-ს საკასაციო საჩივრის მოთხოვნაზე სასჯელის შემსუბუქების შესახებ და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო: მოცემულ შემთხვევაში, მართალია, მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი მძიმე დანაშაული პირობითი მსჯავრის პერიოდში, მაგრამ პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ დ. კ-ს შერაცხული მსჯავრიდან უნდა ამოერიცხოს დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანი, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რაც ამცირებს მის მიერ ჩადენილი ქმედების სა-

შიშროების ხარისხსა და ბრალდების მოცულობას, ასევე იმ გარემოებას, რომ საქმის სააპელაციო განხილვისას მან აღიარა ჩადენილი დანაშაული, რისი გათვალისწინებითაც საკასაციო პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მსჯავრდებულს 1 (ერთი) წლით შეუმსუბუქდეს შეფარდებული სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ თამარ პაპავას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს, მსჯავრდებულ დ. კ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო მსჯავრდებულ ბ. ს-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 27 მარტის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

3. ი. ბ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

4. დ. კ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

5. დ. კ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიესაჯოს 6 (ექვსი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

6. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 ნოემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და იმავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ბოლო განაჩენით შეფარდებულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 ნოემბრის განაჩენით შეფარდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა და

საბოლოოდ დ. კ-ს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელად განესაზღვროს 7 (შვიდი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

7. დ. კ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოს დაკავებიდან – 2016 წლის 18 იანვრიდან.

8. დ. კ-ა და ი. ბ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია.

9. ბ. ს-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

10. ბ. ს-ე დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პენიტენციური დაწესებულებიდან.

11. გამართლებულებს – ი. ბ-ა და ბ. ს-ს განემართოს, რომ უფლება აქვთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 27 მარტის განაჩენი ნივთმტკიცებათა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

13. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. საკანსაციო საჩივრის დასაშვებობის გადაწყვეტა

საკანსაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№212აპ-17

4 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 22 თებერვლის განაჩენზე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ მარიამ ნიკოლაშვილის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, მ. ბ-ს – ბრალად დაედო ცრუ დასმენა, რასაც თან ერთვის ბრალდება მძიმე დანაშაულში, ჩადენილი პირადი მოტივით, რაც გამოიხატა შემდეგში:

მ. ბ-ს გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში დაეხარჯა თავისი ოჯახის კუთვნილი 200 ლარი. პირადი მოტივით, რათა ოჯახის წევრების წინაშე ემართლებინა თავი, 2016 წლის 23 ივლისს, ქ. თბილისი, ა. წ-ს გამზირის №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოფნისას, მ. ბ-მ დარეკა საინფორმაციო ცენტრ 112-ში და განაცხადა, რომ მისთვის უცნობმა პირმა ხელიდან გასტაცა 200 ლარი და ხელზე მიაყენა დაზიანება, რის შემდეგაც თავდამსხმელი მიიძალა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 ოქტომბრის განაჩენით მ. ბ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 22 თებერვლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-

მეთა კოლეგიის 2016 წლის 6 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა მარიამ ნიკოლაშვილმა და ითხოვა მ. ბ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 373-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში შემდეგ მოტივებზე მითითებით:

სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია მ. ბ-ს ქმედების სამართლებრივი შეფასების ნაწილში და არასწორად განმარტა საქართველოს სსკ-ის 373-ე მუხლის ობიექტი, კერძოდ: აღნიშნული მუხლით სამართლებრივი დაცვის ძირითადი ობიექტია არა კონკრეტული პირის, არამედ – მართლმსაჯულების ინტერესები, მართლწესრიგის დაცვის პროცესში საგამოძიებო და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების ნორმალური ფუნქციონირება.

5. საკასაციო პალატამ შეისწავლა საკასაციო საჩივარი და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ აკმაყოფილებს საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად, კერძოდ: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილი ამომწურავად იძლევა იმ საფუძველთა ჩამონათვალს, რომელთა არსებობის შემთხვევაში საკასაციო საჩივარი დასაშვებად ჩაითვლება, ასეთებია:

ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;

გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდე-

გება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;

ბ) კასატორი არასრულწლოვანი მსჯავრდებულია.

6. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება არც ერთი ზემოაღნიშნული საფუძველი.

7. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას და მიუთითებს, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა ერთგვაროვნად და ამომწურავად განმარტეს პროკურორის მიერ საჩივარში მითითებული საკითხები, რის გამოც აზრს მოკლებულია საჩივრის განსახილველად დაშვება საქართველოს სსკ-ის 373-ე მუხლის ობიექტთან დაკავშირებული განმარტების გაკეთების მიზნით.

8. გასაჩივრებული განაჩენით სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა მ. ბ-ს ქმედებას, რასაც პალატა სრულად ეთანხმება. განაჩენით სწორადაა დადგენილი, რომ ცრუ დასმენის შემთხვევაში გამოკვეთილი უნდა იყოს პირის მიერ განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდება კონკრეტული პირის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენის შესახებ.

9. პალატა არ იზიარებს ბრალდების მხარის მოსაზრებას, რომ სადავო ნორმის არსებობა სისხლის სამართლის კოდექსის XLII თავში (დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ) მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ ნორმით დაცული ობიექტი არის არა კონკრეტული პირის უფლებები, არამედ – მართლწესრიგის დაცვის პროცესში სასამართლო ხელისუფლების ორგანოების ნორმალური ფუნქციონირება და მიუთითებს, რომ მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ხელს უშლის არა მარტო მართლმსაჯულების ორგანოების სწორ და ეფექტურ საქმიანობას, არამედ მან შეიძლება გამოიწვიოს უდანაშაულო პირის დასჯა, რაც უდავოდ წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების არსებით შელახვას. უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილების ინტერესი კი, პალატის მოსაზრებით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრევალირებს სახელმწიფო რესურსის ფუჭად ხარჯვის თავიდან აცილების ინტერესზე. ამდენად, პალატა ეთანხმება გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას, რომ კონკრეტული პირის კანონიერი უფლებები და ინტერესები საქართველოს სსკ-ის 373-ე მუხლით დაცვის ძირითადი ობიექტია.

10. კონკრეტული პირის მიმართ განხორციელებულ ქმედე-

ბაზე მიუთითებს აღნიშნული მუხლის მაკვალიფიცირებელი გარემოებაც – იგივე ქმედება, თუ მას ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში (სსკ-ის 373-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ნორმის შინაარსი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენისას გამოვლენილი უნდა იყოს კონკრეტული პირის ტყუილად დადანაშაულება (დასმენა, დაბრალება), რომ ამ პირმა ჩაიდინა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ვინაიდან ბრალი/ ბრალდება თავისი არსით კონკრეტული პირისკენაა მიმართული.

11. საგულისხმოა, რომ საკასაციო პალატამ ნორმის სწორი განმარტებისთვის გააანალიზა სხვა ევროპული ქვეყნების კანონმდებლობებიც, კერძოდ: გერმანიის, შვეიცარიის, საფრანგეთის, ბულგარეთის, უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსების თანახმად, ცრუ დასმენა სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებას წარმოადგენს და ნორმის დისპოზიციაში მკაფიოდაა მითითებული, რომ ცრუ დასმენა სხვა პირის ცრუდ დადანაშაულებას გულისხმობს. საგულისხმოა ისიც, რომ ნორმა უმეტეს შემთხვევაში სწორედ მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავშია განთავსებული.

12. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მ. ბ-ს ქმედებაში გამოკვეთილია არა ცრუ დასმენა, არამედ ცრუ შეტყობინება საინფორმაციო ცენტრ 112-ში, რაც არ არის სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედება (მოქმედი კანონმდებლობით მხოლოდ ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება წარმოადგენს დასჯად ქმედებას). საინფორმაციო ცენტრ 112-ის სერვისის არამიზნობრივად გამოყენება (კანონით განსაზღვრულ კონკრეტულ პირობებში) წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ გადაცდომას და მისთვის შესაბამისი სახდელია დანესებული.

13. ამასთან, პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გამოკითხვისას/ დაკითხვისას მიცემული არასწორი/ცრუ ინფორმაციის მიწოდება ცალსახად საჭიროებს სისხლისსამართლებრივ რეაგირებას, ვინაიდან წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლით დასჯად ქმედებას, თუმცა ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო ბრალდება მ. ბ-ს მხოლოდ საინფორმაციო ცენტრ 112-ში განხორციელებულ ცრუ შეტყობინებას ედავება, პალატა კანონისმიერად მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს მ. ბ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შესაძლო ჩადენის თაობაზე, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში სასამართლო არსებითად გაცდება მ. ბ-ს წარდგენილი ბრალდების ფარგლებს, რაც შეუთავსებ-

ლია როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან, ისე – ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან, რომლითაც დაცულია ბრალდებულის უფლება, ინფორმირებული იყოს წარდგენილი ბრალდების არსისა და საფუძვლების შესახებ, რაც მის მიერ დაცვის ჯეროვანი განხორციელების მიზანს ემსახურება.

14. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

15. საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3, მე-3^ბ, მე-3^გ, მე-4 ნაწილების შესაბამისად, საკასაციო პალატამ

და ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ მარიამ ნიკოლაშვილის საკასაციო საჩივარი არ იქნეს დაშვებული განსახილველად.

2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე პ. სილაგაძის განსხვავებული აზრი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 4 ოქტომბრის განჩინებაზე გამართლებულ მ. ბ.-ს მიმართ, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 373-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

1. უწინარესად, ვადასტურებ ჩემს პატივისცემას საკასაციო პალატის აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ, რომელიც პალატის წევრებმა გამოიტანეს ხმათა უმრავლესობით, თუმცა ვრჩები განსხვავებულ აზრზე და ჩემს მოსაზრებას ვაყალიბებ მოცემულ სამართლებრივ საკითხზე.

2. პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი „ცრუ დასმენის“ საკანონმდებლო განმარტებას არ მოიცავს. შესაბამისად, სასამართლომ უნდა განმარტოს და შეაფასოს, თუ რომელი ქმედება მიაჩნია ცრუ დასმენად, რაც შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარ საკანონმდებლო ხარვეზად.

3. ჩემი მოსაზრებით, ცრუ დასმენის შემადგენლობა სახეზეა იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამის ორგანოებს მიენოდება როგორც ზოგადი ინფორმაცია დანაშაულის ფაქტის შესახებ, ასევე

მაშინაც, როდესაც სახელდება დანაშაულის ჩამდენი კონკრეტული პირი, რის შესახებაც ნათლად მეტყველებს ის გარემოება, რომ მითითებული დანაშაული მოთავსებულია მტკიცებულებათა მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. შესაბამისად, ამ დანაშაულის ობიექტია როგორც მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესები, ისე კონკრეტული პირის უფლებები და თავისუფლებები. ამდენად, ვერ გავიზიარებ ჩემი კოლეგა მოსამართლეების მოსაზრებას, რომ კონკრეტული პირის კანონიერი უფლებები და ინტერესები საქართველოს სსკ-ის 373-ე მუხლის დაცვის ძირითადი ობიექტია, რის დასტურადაც ასევე იშველიებენ სხვა ევროპული ქვეყნების კანონმდებლობას (გერმანია, შვეიცარია, საფრანგეთი, ბულგარეთი, უნგრეთი) და უთითებენ, რომ აღნიშნული ქვეყნების კანონმდებლობაში ცრუ დასმენა სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებას წარმოადგენს. ნორმის დისპოზიციაში მკაფიოააა მითითებული, რომ ცრუ დასმენა სხვა პირის ცრუდ დადანაშაულებას გულისხმობს და ეს ნორმა უმეტეს შემთხვევაში სწორედ მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავშია განთავსებული. თუმცა, ამ მოსაზრების საპირისპიროდ, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, განსხვავებით მითითებული ქვეყნების კანონმდებლობისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ განმარტავს „ცრუ დასმენას“. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ეს ნორმა არ უნდა განვმარტოთ მხოლოდ გრამატიკულად, არამედ ლოგიკურ-სისტემური მეთოდით, რომელიც ეფუძნება სამართლის ნორმის ადგილს კანონში.

4. გარდა ამისა, მინდა განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილო განსახილველი საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებით დგინდება, 2016 წლის 23 ივლისს მ. ბ-მ დარეკა საინფორმაციო ცენტრ 112-ში და განაცხადა, რომ მისთვის უცნობაა პირმა ხელიდან გასტაცა 200 ლარი და ხელზე მიაყენა დაზიანება, რის შემდეგაც თავდამსხმელი მიიმალა. აღნიშნულ ფაქტზე 2016 წლის 23 ივლისს დაიწყო გამოძიება და მ. ბ-ე იმავე დღეს დაიკითხა მონის სახით. დაკითხვისას მან დეტალურად აღწერა თავდამსხმელის გარეგნობა, კერძოდ, მიუთითა, რომ მამაკაცი, რომელმაც მას გასტაცა ფული, იყო დაახლოებით – „... 30-35 წლამდე ასაკის, საშუალო სიმაღლის, საშუალო აღნაგობის, რომელსაც ეცვა მუქი ფერის ტანსაცმელი, შარვალი და მოკლემკლავიანი მარჯვენა ხელი, ჰქონდა შავი ფერის, დაახლოებით ერთი კვირის გაუპარსავი წვერი, მოკლედ შეჭრილი შავი ფერის თმა და ეკეთა მუქი ფერის სათვალე...“. საჭიროების შემთხვევაში, მას შეეძ-

ლო მისი ამოცნობა. გარდა ამისა, მ. ბ-მ დაკითხვისას ასევე მიუთითა, რომ თავდამსხმელმა, როგორც კი ფული და ბარათი გასტაცა, გაიქცა დაახლოებით 20 მეტრი და „... ჩაჯდა იქვე გზის სავალ ნაწილზე გაჩერებულ მუქი ფერის მსუბუქ მანქანაში, მარჯვენა მხრიდან წინა სალონში, მანქანას, როგორც მახსოვს, სახელმწიფო ნომერი ჰქონდა 550 და მანქანის უკანა მხარე იყო დაზიანებული, კერძოდ მომძვრალი ჰქონდა ე.წ. „შიტოკი“.

5. ამდენად, როგორც მ. ბ-ს მიერ მოწმის სახით მიცემული ჩვენებიდან ირკვევა, მან გამოძიებას მიაწოდა არა მხოლოდ ზოგადი მონაცემები და ინფორმაცია მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, არამედ ფაქტობრივად მიუთითა დანაშაულის ჩამდენ კონკრეტულ პირზე, როდესაც დეტალურად აღწერა როგორც მისი გარეგნული ნიშნები, ისე ავტომანქანა, რომლითაც იგი მიიმალა. რაც შეეხება დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობის დადგენას, აღნიშნული წარმოდგენდა არა მის, არამედ გამოძიების კომპეტენციას.

6. მოცემულ შემთხვევაში, თუკი გავიზიარებთ ჩემი კოლეგების მოსაზრებას და მითითებულ ნორმას განვმარტავთ იმდაგვარად, რომ ცრუ დასმენის შემთხვევაში გამოკვეთილი უნდა იყოს პირის მიერ განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდება კონკრეტული პირის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენის შესახებ, ამ შემთხვევაშიც კი, ჩემი მოსაზრებით, მ. ბ-ს მიერ მოწმის სახით მიცემული ზემოხსენებული ჩვენება წარმოდგენს ცრუ დასმენას, რადგან, მართალია, მ. ბ-ე თავის ჩვენებაში არ უთითებს კონკრეტულ პირზე (სახელსა და გვარს), მაგრამ დეტალურად გადმოსცემს როგორც მის გარეგნულ, ისე ავტომანქანის ამოსაცნობ ნიშნებს, რაც ამ შემთხვევაშიც ქმნის უდანაშაულო პირის (მ. ბ-ს მიერ აღწერილი თავდამსხმელის შესაბამისი გარეგნობის მქონე პირი) დასჯის რეალურ საფრთხეს, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის კოდექსი არ განმარტავს მითითებულ ნორმას და, შესაბამისად, არ უთითებს, რომ ინფორმაცია აუცილებლად უნდა ეხებოდეს – „კონკრეტულ პირს“.

7. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული მოტივების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ მარიამ ნიკოლაშვილის საკასაციო საჩივარი დაშვებული უნდა ყოფილიყო განსახილველად.

მოსამართლე: პ. სილაგაძე
04.10.2017

საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№250აპ-17

10 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. თოდუა (თავმჯდომარე),

პ. ქათამაძე,

ე. გასიტაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე შეამონმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 7 მარტის განაჩენზე ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნუგზარ ჭიტაძის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 16 მარტის განაჩენით კ. ე., – ნა-სამართლობის მქონე, ცნობილი იქნა:

1.1. დამნაშავედ (დაუსწრებლად) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 19,108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 11 (თერთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

1.2. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული პირობითი მსჯავრი და, სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი 4 (ოთხი) წელი, 3 (სამი) თვე და 2 (ორი) დღე და საბოლოოდ, კ. ე-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 15 (თხუთმეტი) წლით, 9 (ცხრა) თვით და 2 (ორი) დღით თავისუფლების აღკვეთა;

1.3. მსჯავრდებულ კ. ე-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა განესაზღვრა განაჩენის აღსრულების მომენტიდან.

2. კ. ე-ს მსჯავრი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა განზრახ

მკვლევლობის მცდელობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2.1. 2010 წლის 21 ოქტომბერს, დაახლოებით 01:00-დან 02:00 საათამდე დროის მონაკვეთში, კ. ე. იმყოფებოდა ქ. თ-ში – ქუჩა №...-ში, თავის საცოლესთან – ნ. ა-სთან, რა დროსაც ეზოში ყოფნისას იგი შემთხვევით შეხვდა სამსახურიდან სახლში დაბრუნებულ ამავე ეზოში მცხოვრებ ი. გ-ს და მის მეგობარ გ. გ-ეს, რომლებიც ნ. ა-ის ბინაში გარკვეული დროის განმავლობაში სარემონტო და სამღებრო სამუშაოებს ასრულებდნენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კ. ე-მა ისინი სალაპარაკოდ შეიყვანა იმავე ეზოში მცხოვრებ ა. ხ-ის სახლში და აგრესიული ტონით მოსთხოვა სარემონტო სამუშაოების დასრულება, რაზეც ი. გ-მა და გ. გ-ემ მშვიდი ტონით აუხსნეს, რომ სარემონტო სამუშაოებს ვერ განაგრძობდნენ, რადგან გაღესილი კედლები საჭიროებდა კარგად გაშრობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობდა რემონტის დაზიანების საფრთხე. მიუხედავად ამისა, კ. ე. უფრო აგრესიულად განეწყო მათ მიმართ და არაერთხელ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რის შედეგადაც, კ. ე-ს, ი. გ-სა და გ. გ-ეს შორის არსებული საუბარი გადაიზარდა კამათში და შემდგომ ხელჩართულ ჩხუბში. ამ დროს ჩხუბის მონაწილე კ. ე-მა განიზრახა გ. გ-ის მკვლელობა.

2.2. დანაშაულებრივი ქმედების სისრულეში მოსაყვანად ამ უკანასკნელმა იქვე მოიძია დანა, რომელიც მოიმარჯვა მარჯვენა ხელში და განზრახ მოკვლის მიზნით, გ. გ-ეს მუცლის ღრუში მიაყენა ნაკვეთი ჭრილობა, წვრილი ნაწლავისა და ჯორჯლის დაზიანებით, რაც სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისთვის სახიფათო.

2.3. კ. ე-მა დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო, ვინაიდან მას ხელი შეუშალა ი. გ-მა, ხოლო გ. გ. ჯანმრთელობის გაუარესების გამო გადაყვანილ იქნა ქ. თ-ის №... კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც განეული სამედიცინო დახმარების შედეგად მოხერხდა მისი სიცოცხლის შენარჩუნება.

3. მსჯავრდებული კ. ე. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №... დანესებულებაში შესახებულ იქნა 2014 წლის 19 სექტემბერს.

4. მსჯავრდებულმა 2014 წლის 17 ოქტომბერს სააპელაციო წესით გაასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა მოითხოვა, იმ საფუძველით, რომ შემთხვევის დღეს როგორც ი. გ., ისე დაზარალებული გ. გ. იყვნენ ძალიან მთვრალეები, რის გამოც სწორედ

ვერ აღიქვამდნენ მოვლენებს და, ვინაიდან ისინი არიან მეგობრები, ერთად შეიმუშავეს მის წინააღმდეგ საერთო პოზიცია. მას გ. გ-სთვის დანა არ დაურტყამს, ხოლო მისი მოკვლის სურვილი რომ ჰქონოდა, ამაში ხელს არაფერი შეუშლიდა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრდებულ კ. ე-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, იგი უდანამაულოდ იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა.

5.1. სააპელაციო პალატამ კ. ე-ის გამამართლებელ განაჩენს საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ ბრალდების მხარის მიერ საქმის სააპელაციო წესით განხილვისას, ვერ იქნა წარმოდგენილი ერთმანეთთან შეთანხმებული, ეჭვის გამომრიცხველ მტკიცებულებათა ერთობლიობა, კერძოდ, ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებათა გაცვლის ნუსხაში მითითებული იყო მხოლოდ ექსპერტების დაკითხვის შესახებ, ხოლო დაზარალებულისა და მოწმეთა დაკითხვის შესახებ მითითებული არ ყოფილა, შესაბამისად, სააპელაციო ინსტანციაში ისინი არ დაუკითხავთ. ამასთან, პალატის განმარტებით, სააპელაციო ინსტანციაში ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია წერილობითი მტკიცებულებების ავთენტურობის დამადასტურებელი არცერთი მტკიცებულება, რითაც დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 248-ე მუხლის მოთხოვნები.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 10 მაისის განაჩენით, ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორის მანანა მარტაშვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ოქტომბრის გამამართლებელი განაჩენი გაუქმდა და, ვინაიდან, საკასაციო პალატას არ გააჩნდა სააპელაციო პალატის დაშვებული დარღვევების გამოსწორების და მოწმეთა დაკითხვის სამართლებრივი მექანიზმი, საქმე არსებითი განხილვისათვის დაუბრუნდა სააპელაციო პალატას.

6.1. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ უკანონოდ, სსსკ-ის არსებითი დარღვევით უთხრა უარი ბრალდების მხარეს წინასასამართლო სხდომაზე დასაშვებად ცნობილი მტკიცებულებების – დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებების გამოკვლევაზე – დაკითხვაზე იმ მიზეზით, რომ მტკიცებულებათა გაცვლის ნუსხაში არ იყო მითითებული მათი დაკითხვის თაობაზე;

6.2. საკასაციო პალატის განმარტებით, დამატებით მხარეებისათვის იმ მოვალეობის დაკისრება, რომ გამოკითხვის (დაკითხვის) ოქმის მეორე მხარისთვის გადაცემისა და სასამართლოსათვის წარდგენასთან ერთად დაეკისრათ ასევე, ერთმანეთსა და სასამართლოსთვის დასაკითხ პირთა სიის (ნუსხის) წარდგენა, არ გამომდინარეობდა სსსკ-ის 83-ე მუხლის ნორმის მოთხოვნიდან. დაკითხვის ოქმის მხარისთვის გადაცემა და წარდგენა სასამართლოსთვის სხვა არაფერია, თუ არა, მოთხოვნა დაკითხული პირის დაკითხვაზე. ამდენად, ეს საპროცესო მოქმედებები გონივრულია, ჩაითვალოს მოწინააღმდეგე მხარის სრულ ინფორმირებად მოწმის შემდგომი დაკითხვის თაობაზე. ამასთან, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები დასაშვებად იქნა ცნობილი წინასასამართლო სხდომაზე, რითაც მხარეს წარმოეშვა საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, მათი გამოკვლევისა და დაკითხვის უფლება.

7. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, მსჯავრდებულ კ. ე-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულის გამართლება იმ მოტივით, რომ სისხლის სამართლის საქმეზე უხეშად დაირღვა სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული მხარეთა მიერ მტკიცებულებათა გაცვლის 5-დღიანი ვადა, რაც არსებითი ხასიათის დარღვევას წარმოადგენდა და აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითა დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკაზე. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით არ იქნა დაკითხული საქმის მწარმოებელი გამომძიებელი, რომელიც დაადასტურებდა მის მიერ შექმნილი წერილობითი მტკიცებულებების ავთენტურობას.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 7 მარტის განაჩენით, მსჯავრდებულ კ. ე-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 16 მარტის გამამტყუნებელი განაჩენი და მის ნაცვლად დადგა გამამართლებელი განაჩენი; კ. ე. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ სსსკ-ის 19,108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა.

8.1. სააპელაციო პალატამ მოცემული სისხლის სამართლის საქმე განიხილა სსსკ-ის 292-ე-299-ე მუხლების შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვას არ ესწრებოდა თავად მსჯავრდებული კ. ე.. სააპელაციო სასამართლოში არ მომხდარა დაზარალებულისა და

იმ მოწმეთა დაკითხვა, რაზეც საკასაციო პალატამ მიუთითა თავის განაჩენში, ვინაიდან დაზარალებულიც და მოწმეებიც პირველი ინსტანციის სასამართლოში დაიკითხნენ და მათი ხელახალი დაკითხვა, მსჯავრდებულის საქმის განხილვაში მონაწილეობის გარეშე, სამართლებრივად საფუძველს მოკლებული იყო.

8.2. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სისხლის სამართლის საქმის მიხედვით, დასტურდებოდა, რომ ბრალდების მხარემ დაცვის მხარეს ერთჯერადად, 2010 წლის 17 დეკემბერს გაუცვალა მის ხელთ არსებული მტკიცებულებები და იმავე დღეს, სასამართლოს გადაეგზავნა იმ მტკიცებულებათა ჩამონათვალი, რომელთა წარდგენასაც სასამართლოში აპირებდა.

პალატამ მიუთითა, რომ მხარეთა მიერ მოპოვებული მტკიცებულებების ერთმანეთისთვის გაცვლისა და სასამართლოსთვის გადაცემის საკითხს არეგულირებდა სსსკ-ის 83-ე მუხლი, რომლის მე-6 ნაწილი მხარეებს ავალდებულებდა წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს ხუთი დღისა, ერთმანეთისთვის და სასამართლოსთვის მიენოებინათ იმ მომენტისთვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლის სასამართლოში წარდგენასაც აპირებდნენ. მოცემულ შემთხვევაში, 2010 წლის 22 დეკემბერს დაწინაშეული წინასასამართლო სხდომისთვის, არაუგვიანეს 5 დღეს წარმოადგენდა 2010 წლის 16 დეკემბერი, ხოლო ინფორმაციის გაცვლის დღიდან 2010 წლის 17 დეკემბრიდან 5 დღე, იმის გათვალისწინებით, რომ სსსკ-ის 86-ე მუხლიდან გამომდინარე, ათვლა იწყება მეორე დღეს – 2010 წლის 22 დეკემბერი წარმოადგენდა უკვე მე-5 დღეს. მხარეს კი უფლება არ აქვს შეიჭრას იმ 5 დღიან ვადაში, რაც თავის მხრივ, მეორე მხარისთვის და სასამართლოსთვის არის განკუთვნილი.

8.3. პალატამ ყურადღება გაამახვილა ასევე სსსკ-ის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, მოწმის ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამ მოწმის გამოკითხვის ოქმი არ გადაეცა მეორე მხარეს ამ კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი წესით. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არათუ დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებები, არამედ ყველა სხვა მტკიცებულება დაცვის მხარესა და სასამართლოს გადაეცა სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით.

8.4. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ბრალდების მხარის მიერ წარდგენილმა მტკიცებულებებმა წინასასამართლო სხდომაზე

გადალახეს დასაშვებობის შემონმების ეტაპი, სსსკ-ის 83-ე მე-6 ნაწილით დადგენილ მოთხოვნათა არსებითი დარღვევის გამო, რაც, თავის მხრივ, ითვლება კანონის არსებით დარღვევად და საპროცესო ნორმების იმპერატიული მოთხოვნის შეუსრულებლობად, ისინი გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად ვერ დაედებოდა.

8.5. სააპელაციო პალატამ მიუთითა სსსკ-ის 78.1 და ამავე კოდექსის 248.1 მუხლებზე და განმარტა, რომ ტრასოლოგიური და ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად ვერ დაედებოდა.

9. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით პროკურორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 7 მარტის გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და კ. ე-ის დამნაშავედ ცნობას სსსკ-ის 19,108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში და კანონით გათვალისწინებული სასჯელის შეფარდებას.

9.1. კასატორის პოზიციით, სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი დაუსაბუთებელი და უკანონოა, ვინაიდან იგი არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან. კასატორის მითითებით, სააპელაციო განხილვის ეტაპზე კ. ე-ს ინტერესების დამცველი ადვოკატი გასცდა სააპელაციო საჩივარსა და მისი შესაგებლის ფარგლებს, რადგან განმარტა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე დარღვეული იყო სსსკ-ის 83-ე მუხლის მეექვსე ნაწილით დადგენილი მოთხოვნა, არაუგვიანეს 5 დღისა დაცვის მხარისათვის, ბრალდების მხარეს გადაეცა მტკიცებულებები და წარედგინა სასამართლოში, ვინაიდან დაცვის მხარესთან ბრალდების მხარეს მტკიცებულებები გაცვლილი ჰქონდა 2010 წლის 17 დეკემბერს და იმავე დღეს წარდგენილი ჰქონდა სასამართლოში იმ მტკიცებულებათა ჩამონათვალი, რომელთა მტკიცებულებად წარდგენასაც აპირებდა, ხოლო წინასასამართლო სხდომა დანიშნული იყო 2010 წლის 22 დეკემბერს. დაცვის მხარის აღნიშნული განმარტება არასწორად გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რაც საფუძვლად დაუდო გამამართლებელ განაჩენს.

9.2. კასატორის მტკიცებით, გასაჩივრებული განაჩენით, სააპელაციო პალატამ დაარღვია სსსკ-ის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, სააპელაციო განხილვა მომხდარიყო სააპელაციო საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში, რომელიც სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი – მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპიდან გა-

მომდინარეობს.

9.3. კასატორის განმარტებით, გაუგებარია, თუ რატომ დააყენა სააპელაციო სასამართლომ ეჭვქვეშ ტრასოლოგიური ექსპერტიზის № – დასკვნის ავთენტურობა, მიუხედავად ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ავტორის – გ. ლ-ის დაკითხვისა, მხოლოდ იმის გამო, რომ ტრასოლოგიური ექსპერტიზა ჩატარებული იყო შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ნივთებზე და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის შემდგენელი, გამომძიებელი – მ. ჩ., ვისაც უშუალოდ ჰქონდა ექსპერტიზაზე წარდგენილი ნივთები, არ იყო დაკითხული სასამართლოში, რაც საფუძველს მოკლებული იყო.

9.4. კასატორის მითითებით, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასასამართლო სხდომა დანიშნული იყო 2010 წლის 22 დეკემბერს, ხოლო ბრალდების მხარემ 2010 წლის 17 დეკემბერს დაცვის მხარეს და სასამართლოს მიანოდა წინასასამართლო სხდომის გამართვამდე 5 დღით ადრე, იმ მომენტისთვის მის ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებდა. განსახილველ შემთხვევაში, ბრალდების მხარეს რომ მოეხდინა მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მხარისა და სასამართლოსთვის 2010 წლის 18 დეკემბერს მიწოდება, 2010 წლის 22 დეკემბერი ჩაითვლებოდა უკვე მე-5 დღედ, რადგან ვადის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება ის დღე, როდესაც იწყება ვადის დინება, კერძოდ: 2010 წლის 22 დეკემბერი – მე-5 დღე; 2010 წლის 21 დეკემბერი – მე-4 დღე; 2010 წლის 20 დეკემბერი – მე-3 დღე; 2010- წლის 19 დეკემბერი – მე-2 დღე; 2010 წლის 18 დეკემბერი – პირველი დღე. ამდენად, ვინაიდან, სსსკ-ის 86-ე მუხლის პირველის ნაწილის მიხედვით, ვადის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება ის დღე, რომლითაც ვადის დინება იწყება, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ვადის დენა 2010 წლის 18 დეკემბერს იწყებოდა.

9.5. კასატორის მტკიცებით, კ. ე-ის მიერ გ. გ-ის მოკვლის განზრახვა დასტურდებოდა დაზარალებულისათვის მიყენებული დაზიანების ხარისხით, რაც პირდაპირ მიზეზობრივ კავშირში იყო დამდგარ შედეგთან და ემყარებოდა სასამართლო-სამედიცინო და ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებს.

9.6. კასატორის მითითებით, საქმეში „მასლოვა და ნაღბანდოვი რუსეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მტკიცებულებათა შეფასებისას მან გამოიყენა მტკიცებულების „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტი. მტკიცებულება შეიძლება, გამომდინარეობდეს

საკმარისად მკაცრი, ცხადი და შეთანხმებული დასკვნების ერთობლიობიდან ან ფაქტების უტყუარი ვარაუდებიდან.

9.7. კასატორის პოზიციით, გასაჩივრებული განაჩენით გაუგებარია, თუ რატომ არ გაიზიარა და უარყო სასამართლომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. საქმეზე დაკითხული მოწმეების ჩვენებების ერთმანეთთან დაკავშირებისას დგინდება, რომ აღნიშნული ჩვენებები არის ერთმანეთის თანმიმდევრული, ხსენებულ ჩვენებებში ერთნაირი სიზუსტით არის აღწერილი საქმის გარემოებები, სწორედ იმ თანმიმდევრობით, რასაც სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. შესაბამისად, ბრალდებამ სასამართლოს წარუდგინა ფაქტებისა და მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელთა შეფასების შედეგად ობიექტური პირი დარწმუნდებოდა, რომ კ. ე-მა ჩაიდინა ბრალად შერაცხული დანაშაული.

10. საკასაციო პალატამ შეისწავლა საკასაციო საჩივარი და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად, კერძოდ: სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილი ამომწურავად იძლევა იმ საფუძველთა ჩამონათვალს, რომელთა არსებობის შემთხვევაში საკასაციო საჩივარი დასაშვებად ჩაითვლება, ასეთებია:

ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;

გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სა-

მართალს;

ზ) კასატორი არასრულწლოვანი მსჯავრდებულია.

11. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება არცერთი ზემოაღნიშნული საფუძველი.

12. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საჩივარი, სისხლის სამართლის საქმე და მიაჩნია, რომ იგი არ მოიცავს ისეთი სახის სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობდა სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. პალატა აღნიშნავს, რომ მსგავს სამართლებრივ საკითხებზე არსებობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა და, ამასთან, ბრალდების მხარეს არ მიუთითებია გარემოებაზე, რომელიც დადგენილი პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღებას მიზანშეწონილს გახდიდა. პროკურორის მიერ გასაჩივრებულ ნაწილში კ. ე-ის ბრალად წარდგენილი ქმედება წარმოადგენს სსკ-ის 19,108-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს და ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა არარსებობის შემთხვევაში, პირის მსჯავრდების დაუშვებლობასთან მიმართებით, არსებობს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა (შდრ. საქმე № 14აპ-15). აქედან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი მსგავს სამართლებრივ საკითხზე არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისაგან და მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, სავარაუდო არ არის დადგენილი პრაქტიკისგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.

13. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს პროკურორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი დაუსაბუთებელი და უკანონოა, ვინაიდან იგი არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატის განაჩენი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლით დადგენილ ფუძემდებლურ პრინციპს, რომ ყოველი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით (მაშასადამე, უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით), ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. სათანადოდ დასაბუთებულია ის მოტივები, რომელთა საფუძველზეც სააპელაციო პალატამ კ. ე-ს საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით მსჯავრდებისათვის გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტი საპროცესო კანონმდებლობით დადგე-

ნილი მოთხოვნის ფარგლებში დაკმაყოფილებულად არ მიიჩნია. ამ კუთხით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განაჩენი უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა თავისუფალ შეფასებას, დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობს ფაქტობრივი გარემოებებიდან და მხარეების მიერ წარდგენილი მოსაზრებებიდან. მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე გაუქარწყლებელი ვარაუდების ერთობლიობიდან (იხ. *Salman v Turkey*, ECtHR, 27/06/2000, par. 100; *El Masri v the Former Yugoslav Republic of Macedonia*, ECtHR (GC), 13/12/2012; *Hassan v the UK*, ECtHR, (GC), 16/09/2014, par. 48). ამ კონკრეტულ საქმეში, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა და არგუმენტირებულად დაასკვნა, რომ არსებულ ფაქტობრივ გარემოებათა და მტკიცებულებათა ერთობლიობა ვერ აკმაყოფილებდა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს, რომელიც დადგენილია მათ შორის ევროპული სასამართლო პრაქტიკითაც.

14. საკასაციო სასამართლო ეთანხმება ასევე სააპელაციო პალატის იმ მსჯელობას, რომ, მოცემულ შემთხვევაში, 2010 წლის 22 დეკემბერს დანიშნული წინასასამართლო სხდომისთვის, არაუგვიანეს 5 დღეს წარმოადგენდა 2010 წლის 16 დეკემბერი, ხოლო ინფორმაციის გაცვლის დღიდან 2010 წლის 17 დეკემბრიდან 5 დღე, იმის გათვალისწინებით, რომ სსსკ-ის 86-ე მუხლიდან გამომდინარე, იწყება მეორე დღეს, 2010 წლის 22 დეკემბერი წარმოადგენდა უკვე მე-5 დღეს. მხარეს კი უფლება არ აქვს შეიჭრას 5-დღიან ვადაში, რაც თავის მხრივ, მეორე მხარისთვის და სასამართლოსთვის არის განკუთვნილი. პალატა იზიარებს ასევე სსსკ-ის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასაც, რომლის თანახმად, მოწმის ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამ მოწმის გამოკითხვის ოქმი არ გადაეცა მეორე მხარეს ამ კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი წესით. პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებები, ასევე, ყველა სხვა მტკიცებულება დაცვის მხარეს და სასამართლოს გადაეცა სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით.

15. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ტრასოლოგიური და ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებთან დაკავშირებითაც და მიაჩნია, რომ სსსკ-ის 248-ე მუხლის პირველი ნაწილისა (საქმის არსებითი განხილვისას მხოლოდ ის მტკიცებულებაა დასაშვები, რომლის ავთენტიურობაც დასტურდება) და ამავე კოდექსის 78-ე მუხლის (მხარის მოთ-

ხოვნის შემთხვევაში დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და თუ ის ავთენტურია. დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ მხარეს შეუძლია მონმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა, შექმნა იგი და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე) მოთხოვნებიდან გამომდინარე, ისინი საფუძვლად ვერ დაედებოდა გამამტყუნებელ განაჩენს, ვინაიდან, მითითებული ექსპერტიზის დასკვნები ჩატარდა შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ნივთებზე, თუმცა სასამართლოში არ დაკითხულა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის შემდგენელი, გამომძიებელი – მ. ჩ., ვინც უშუალოდ ამოიღო ექსპერტიზაზე წარდგენილი ნივთები. სასამართლოში არ დაკითხულა ასევე, გამომძიებელი – მ. ს., ვინც უშუალოდ მოიპოვა დასახელებული წერილობითი მტკიცებულებები.

16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81); Boldea v. Romania, par. 30).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დეტალურად აღარ იმსჯელებს განსახილველი საკასაციო საჩივრის ყველა პრეტენზიაზე.

17. რაც შეეხება სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს, საქმის მასალათა შესწავლის თანახმად, ზემომითითებული გარემოებები არ არსებობს. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი, ვინაიდან კასატორის მიერ მითითებული საფუძვლები არ შეესაბამება სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ არცერთ წინაპირობას.

18. სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3, მე-3², მე-3³, მე-4 ნაწილების შესაბამისად, საკასაციო პალატამ

და ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნუგზარ ჭიტაძის საკასაციო საჩივარი არ იქნეს დაშვებული განსახილველად.

2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკანსაცმო საჩივრის დაუშვებლად ცნობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№313აპ-17

18 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

ნ. გვენეტაძე,

გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 21 აპრილის განაჩენზე მსჯავრდებულ გ. ო-ა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ს საკანსაცმო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი: მცხეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 17 თებერვლის განაჩენით გ. ო-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 151-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებით, გ. ო-ს მიმართ სსკ-ის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა სსკ-ის 151-ე მუხლით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. გ. ო-ს სასჯელის მოხდა დაენყო 2016 წლის 17 ივნისიდან.

განაჩენით გ. ო-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2016 წლის 5 მაისს, დაახლოებით 20:20 საათზე, მ-ს რაიონის სოფელ მ-ი გ. ო-ა თანასოფლელი თ. მ-ი დანის გამოყენებით აიძულა, გაჰყოლოდა ამავე სოფელში არსებულ, ე-ა (ვ-ა) ო-ს მიტოვებულ სახლში, შემდგომ კი – სოფელ მ-ს განაპირას არსებულ მინდორში, სადაც, თ. მ-ს მხრიდან გამოჩენილი წინააღმდეგობის მიუხედავად, იძულებით დააწვინა ძირს და მისი სურვილის სანინააღმდეგოდ, ეფერებოდა სხეულის სხვადასხვა ადგილას; მასვე ძალით დააღვეინა მცირე ოდენობით ალკოჰოლური სასმელი. ყოველივე ზემოაღნიშნულით თ. მ-ა, საკუთარი ნე-

ბის საწინააღმდეგოდ, გ. ო-ნ განიცადა ფიზიკური და ფსიქიკური იძულება.

2016 წლის 5 მაისს, დაახლოებით 20:20 საათზე, მ-ს რაიონის სოფელ მ-ი გ. ო-ი დანის ყელზე მიდებით დაემუქრა მეზობლად მცხოვრებ თ. მ-ს როგორც მისი, აგრეთვე თ. მ-ს იმჟამად 8 წლის ძმისა და ასევე შეყვარებულის სიცოცხლის მოსპობით, თუ იგი მის მიმართ იმავე დღეს ჩადენილი დანაშაულის შესახებ სხვებს ეტყოდა. მუქარის პროცესში გ. ო-ა დაზარალებულ თ. მ-ს დანით მიაყენა მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად. ვინაიდან თ. მ-ა იცოდა, რომ გ. ო-ი წარსულში სწორედ განზრახი მკვლელობისათვის იყო ნასამართლევ, მუქარა აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2. აპელანტის მოთხოვნა:

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. ო-ა და მისმა ადვოკატმა მ. ნ-ა, რომლებმაც ითხოვეს განაჩენის გაუქმება და გ. ო-ს გამართლება საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 151-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებებში.

3. გასაჩივრებული განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 21 აპრილის განაჩენით მცხეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 17 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. გასაჩივრებული განაჩენის ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

სააპელაციო პალატა დაეთანხმა 1-ლი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება გ. ო-ს მიერ ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა. დაზარალებულმა თ. მ-ა სასამართლოს მისცა გულწრფელი და საკმაოდ დამაჯერებელი ჩვენება, რაც რეალურად წარმოაჩენს შემთხვევის დროს განვითარებულ მოვლენათა სრულ სურათს. ამ რწმენას ამყარებს ის ფაქტი, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის თანახმად, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობისას სრულად დადასტურდა დაზარალებულის ჩვენებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ნახეს და ამოიღეს დაზარალებულის კუთვნილი შინდისფერი ქუდი და „ნოკიას“ ფირმის დაშლილი მობილური ტელეფონი. შესაბამისად, დადასტურდა დაზარალებულის ჩვენება, რომლის მიხედვითაც, გ. ო-ა იგი ხელის კვრით წააქცია, რა დროსაც დაუ-

ვარდა შინდისფერი ქუდი; ასევე, იმ მიზნით, რომ ვინმე მიმ-
ხვდარიყო მის საფრთხეში ყოფნას და მოეძებნათ, ძირს დააგ-
დო „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი დაშლილ მდგომა-
რეობაში.

დაზარალებულის ჩვენება იმ ნაწილში, რომ გ. ო-ს მხრიდან
ძალადობის დროს მას გაეხა პერანგი, გარდა დაზარალებულისა
და მისი დედის – ე. ხ-ს ჩვენებისა, დასტურდება ასევე ტრასო-
ლოგიური ექსპერტიზის დასკვნითაც, სადაც მითითებულია, რომ
თ. მ-ს პერანგის ზედაპირზე არსებული დაზიანება, გახევისა
და ღილის ამოგლეჯის სახით, წარმოქმნილია ფიზიკური ძალის
ზემოქმედების შედეგად; აღნიშნული გარემოება დასტურდე-
ბა ასევე სასამართლო სხდომაზე ნივთმტკიცების სახით წარ-
მოდგენილი იასამინისფერი პერანგის დათვალიერებით, რა დრო-
საც მასზე ნახეს არაქარხნული წესით გაკერვისა და სისხლის-
მაგვარი ლაქების კვალი.

დაზარალებულ თ. მ-ს ჩვენება, რომლის მიხედვითაც, გ. ო-ა
იძულების დროს მას გადაუსერა ხელის თითები, დადასტურდა
სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, რომლის
სისწორეც დაადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერ-
ტმა კ. ც-ა.

დაზარალებულმა ასევე განმარტა, რომ დაშინების მიზნით,
გ. ო-ა მას უამბო მოხუცი ქალის განზრახ მკვლელობასთან და-
კავშირებულ გარემოებებზე, რაც წარსულში ჰქონდა ჩადენი-
ლი. აღნიშნულის მოსმენის შემდეგ მას კიდევ უფრო გაუმძაფ-
რდა შიშის გრძნობა და უფრო რეალურად აღიქვა გ. ო-ნ მომდი-
ნარე მუქარა. სასამართლო სხდომაზე გამოიკვლიეს მცხეთის
რაიონული სასამართლოს 2008 წლის 9 დეკემბრის განაჩენი,
რომლის მიხედვითაც, იმჟამად არასრულწლოვანი გ. ო-ი ცნო-
ბილ იქნა დამნაშავედ დამამძიმებელ გარემოებაში მ. ს-ს გან-
ზრახ მკვლელობისათვის. ამ ნაწილშიც სააპელაციო პალატამ
სრულად გაიზიარა 1-ლი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა,
რომლის მიხედვითაც, სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით გ.
ო-ს მიერ მოხუცი ქალის განზრახ მკვლელობის ჩადენის ფაქტი
კიდევ უფრო აშკარას ხდის მისი პიროვნების საშიშ სახეს და
ობიექტურ დამკვირვებელს კიდევ ერთხელ არწმუნებს მისი
მხრიდან თ. მ-ს მიმართ ჩადენილი მუქარის რეალურობაში.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სასამართლო სხდომა-
ზე დაზარალებულმა თ. მ-ა და მისმა მშობლებმა განმარტეს,
რომ რაიმე სახის სერიოზული კონფლიქტი ო-ს ოჯახთან არას-
დროს ჰქონიათ და არც რაიმე კერძო ინტერესი გააჩნიათ გ. ო-ს
მიმართ. რაც შეეხება 2015 წლის 10 სექტემბრით დათარიღე-

ბულ ინფორმაციას – ხილის დაკრეფაზე ე. ხ-ა და გ. ო-ს პაპას შორის კონფლიქტის შესახებ, იგი დაცვის მხარის არგუმენტაციის გასამყარებლად არ უნდა იქნეს მიჩნეული, ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტით ვერ დგინდება რაიმე სახის კავშირი ერთი წლის წინ არსებულ უთანხმოებასა და მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტს შორის, მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც იმავე ინფორმაციის თანახმად, მოდავე მხარეებმა უთანხმოება გაარკვიეს და ერთმანეთის მიმართ პრეტენზია აღარ გააჩნიათ. რაც შეეხება იმას, რომ სასჯელთან დაკავშირებით დაზარალებულმა მხარემ უკმაყოფილება გამოხატა და ბრალდებულის მკაცრად დასჯა მოითხოვა, ეს გარემოება უპირობოდ არ ადასტურებს დაცვის მხარის არგუმენტაციას გ. ო-ს დანაშაულის დაბრალებასთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მტკიცებულების სანდოობასა და უტყუარობას განსაზღვრავს მოწმის მიერ მიცემული ჩვენებისა და სხვა მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზი. ამასთან, მტკიცებულების მტკიცე და მყარი ხასიათის დეტალური შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირდაპირი წყაროს – თვითმხილველ მოწმესთან დაკავშირებით, მტკიცებულების უტყუარი ხასიათი კი საეჭვო შესაძლოა, თავად ამ მოწმის არაგულწრფელმა ჩვენებამ გახადოს. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს არანაირი საფუძველი, რომ მოწმის სახით დაკითხულ დაზარალებულ თ. მ-ს ჩვენება მიჩნეულ იქნეს არაგულწრფელად და საეჭვო გახადოს მისი რეალობა, მით უმეტეს, რომ საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობა სრულად არის თანხვედნილი დაზარალებულის მიერ მიცემულ ჩვენებასთან.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ გ. ო-ს ბებია – დ. ო-ი გამოკითხა დაცვის მხარემ. მისი ჩვენების სანდოობის შემოწმება მხარეთა თანდასწრებით, სასამართლო სხდომაზე ვერ მოხერხდა მისი გარდაცვალების გამო. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ სამართლიანი სასამართლოს იდეისა და შეჯიბრებითი სასამართლო პროცესიდან გამომდინარე, მეტი წონა სასამართლო პროცესზე მიცემულ ჩვენებას უნდა მიენიჭოს, ვინაიდან სწორედ სასამართლო სხდომა წარმოადგენს ადგილს, სადაც ორივე მხარეს აქვს შესაძლებლობა, მოწმის ჩვენების სისწორე და სანდოობა შეამოწმოს (*Huseynand others v. Azerbaijan; Seton v. The United Kingdom*). მართალია, მოწმე დ. ო-ს გამოკითხვის ოქმი სასამართლო სხდომაზე წაკითხულ იქნა კანონით დადგენილი წესით, მაგრამ მასში მითითებული გარემოებები ეწინააღმდეგება საქმეზე

შეკრებილ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობას, რის გამოც იგი სასამართლომ არ გაიზიარა, რასაც დაეთანხმა სააპელაციო პალატაც.

რაც შეეხება ნ. მ-ს ჩვენებას, სადაც იგი განმარტავს, რომ მისი შვილის – თ. მ-ს მეგობართან წასვლის დროს გ. ო-ი იდგა თავისი სახლის კართან, სააპელაციო პალატამ არ მიიჩნია იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ შემთხვევის მომენტშიც გ. ო-ი იმყოფებოდა სახლში. შესაძლოა, იმ მომენტში, როცა დაზარალებული მეგობართან წავიდა, გ. ო-ი იდგა თავისი სახლის კართან, თუმცა აღნიშნული სულაც არ გამორიცხავს მის შემთხვევის ადგილზე ყოფნას იმ დროს, როდესაც დაზარალებული სახლში ბრუნდებოდა.

სააპელაციო პალატამ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია დაცვის მხარის არგუმენტაცია გამოძიების მიმდინარეობის პროცესში საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევებთან დაკავშირებით. ადვოკატი განმარტავს, რომ დაზარალებულ თ. მ-ს გამოკითხვა დაიწყო მანამ, სანამ მოცემულ საქმეზე გამოძიება დაიწყებოდა, რაც პოლიციის მხრიდან გ. ო-ს მიმართ დაინტერესებაზე მიუთითებს. პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სსკ-ის მე-100 და 101-ე მუხლებიდან გამომდინარე, გამოძიებელი და პროკურორი ვალდებული არიან დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დაიწყონ გამოძიება და მტკიცებულებების შეგროვება. მოცემულ საქმეზე დანაშაულის თაობაზე ინფორმაციის მიღებისთანავე დაიწყო გამოძიება და 2016 წლის 5 მაისს, 23:05 საათზე, გამომძიებელმა დაიწყო დაზარალებულ თ. მ-ს გამოკითხვა. შეტყობინების რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციაში არსებული ჩანაწერის თანახმად, პოლიციის განყოფილების უფროსმა გ. კ-მ 2016 წლის 5 მაისს, 23:20 საათზე, შეტყობინებას დაადო რეზოლუცია – „შესასრულებლად“. ამდენად, შეტყობინებაზე რეზოლუციის რამდენიმე წუთით გვიან დასმა არ შეიძლება შეფასდეს საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა ისეთ უხეშ დარღვევად, რაც საგამოძიებო მოქმედებათა რეალურობასა და კანონიერებას საეჭვოს გახდიდა.

რაც შეეხება საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. ოქმში სრულად აისახა საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს აღწერილი ფაქტობრივი გარემოებანი, აღნიშნულმა მტკიცებულებამ გადალახა წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დასაშვებობის ეტაპი, იგი კანონის მოთხოვნათა დაცვით გამოიკვლიეს საქმის არსებითი

განხილვის დროს და სამართლებრივადაც შესაბამისად შეაფასეს.

სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის მოსაზრება, რომ 1-ლი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ემყარება მხოლოდ ერთი მოწმის (დაზარალებულის) ჩვენებას და არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად მიღებულ სხვა მტკიცებულებებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ საქმის კანონიერი გადაწყვეტა ემყარება საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს, რომელთა გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე დგინდება საქმის ფაქტობრივი გარემოებები. ფაქტობრივი გარემოებების სწორ დადგენაზე დამოკიდებული სასამართლოს მიერ ქმედებისათვის სწორი იურიდიული კვალიფიკაციის მიცემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს მიერ საქმეზე ფაქტების კვალიფიციურ დადგენას, საქმეში დაცული მტკიცებულებების, მოწმეთა ჩვენებების სწორ შეფასებას. სტრასბურგის სასამართლოს განმარტებით, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ სწორად და სამართლიანად შეამოწმოს მტკიცებულებების სანდოობა, საიმედოობა და სიზუსტე (Khan v. the United Kingdom, no 35394/97, 34; Bykov v. Russia, no.4378/02, 95). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და მათი საერთო ანალიზი გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს მსჯავრდებულ გ. ო-ს მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენას.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ 1-ლი ინსტანციის სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, ბრალდებულის პიროვნება და გ. ო-ს დაუნიშნა სამართლიანი სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით.

5. კასატორის მოთხოვნა:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 21 აპრილის განაჩენი გაააჩივრეს მსჯავრდებულმა გ. ო-ა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ნ-ა, რომლებიც საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და გ. ო-ს გამართლებას. კასატორების მოსაზრებით, საქმის განხილვისას არსებითად დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები, ასევე – საქართველოს კონსტიტუცია.

6. საკასაციო პალატამ შეისწავლა საკასაციო საჩივარი და დაასკვნა, რომ იგი არ აკმაყოფილებს საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად, კერძოდ: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილი ამომწურავად იძლევა იმ საფუძველთა ჩამონათვალს, რომელთა არსებობის შემთხვევაში საკასაციო საჩივარი დასაშვებად ჩაითვლება, ასეთებია:

ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;

გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;

ზ) კასატორი არასრულწლოვანი მსჯავრდებულია.

7. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება არც ერთი ზემოაღნიშნული საფუძველი, ვინაიდან წარმოდგენილი საჩივრისა და საქმის შესწავლის შედეგად არ არსებობს გარემოება, რის გამოც მოცემულ საქმეს არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა სამართლის განვითარების ან მსგავს საქმეებზე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორების მოსაზრებას, რომ მსჯავრდებული გ.ო-ი არის უდანაშაულო, მას აბრალდებენ დანაშაულს და უნდა გამართლდეს მისთვის წარდგენილ ბრალდებაში და მიაჩნია, რომ საქმეზე შეკრებილი და გამოკვლეული მტკიცებულებებით გო-

ნივრულ ექვს მიღმა სტანდარტით სრულად დადასტურდა გ. ო-ს ბრალეულობა საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენით ნათლად არის დასაბუთებული ის მოტივები, რომელთა საფუძველზეც სააპელაციო სასამართლომ მცხეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 17 თებერვლის განაჩენი უცვლელად დატოვა. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მოტივებს (რომლებიც სააპელაციო საჩივარშიც იყო მითითებული) სააპელაციო სასამართლომ არგუმენტირებულად და ამომწურავად უპასუხა, რასაც საკასაციო პალატაც ეთანხმება.

8. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, რომლის თანახმადაც, ეროვნულმა სასამართლოებმა ნათლად უნდა განმარტონ გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონე ასპექტების მოტივაცია¹. რაც შეეხება თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას, ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობს მხარეთა შესაძლებლობას, იცნობდნენ საქმეს და ყველა მტკიცებულებასთან მიმართებით ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება². სხვა საქმეში ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ დასახელებული პრინციპი მოიცავს ორივე მხარისათვის მტკიცებულებათა წარდგენის შესაძლებლობის მინიჭებას ისეთ პირობებში, რომ არც ერთ მათგანს არ მიენიჭოს აშკარა უპირატესობა³. ამდენად, გ. ო-ს საქმის განხილვა ორივე ინსტანციის სასამართლოში წარიმართა კანონით დადგენილ ვადაში; ინტენსიურად მიმდინარეობდა ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების

¹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: „გორგიადასი საბერძნეთის წინააღმდეგ“ *Georgiadi v. Greece*, №21522/93, 29/05/1997, §43 და „ჰირო ბალანი ესპანეთის წინააღმდეგ“ *Hiro Balani v. Spain*, №18064/91, 09/12/1994, §28;

² იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ბელზიუკი პოლონეთის წინააღმდეგ“ (*Belziuk v. Poland*), №45/1997/829/1035, 25/03/1998, §37.

³ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „დამბო ბიჰიერი ბ.ვ. ნიდერლანდების წინააღმდეგ“ (*Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*), №14448/88, 27/10/1993, §33.

გამოკვლევა სასამართლოში და აღნიშნული ვადა იყო გონივრული, მტკიცებულებათა და მოწმეთა რაოდენობიდან გამომდინარე; საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ გადანყვეტილების მიღების დროს იხელმძღვანელა მხოლოდ და მხოლოდ საქმეში არსებული ყოველი ფაქტობრივი გარემოებისა და მტკიცებულებების ანალიზით.

9. სასჯელის სამართლიანობასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასჯელის დანიშვნისას, საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის თანახმად, მხედველობაშია მისაღები სასჯელის შემდეგი მიზნები: სამართლიანობის აღდგენა; ახალი დანაშაულის თავიდან აცილება; დამნაშავის რესოციალიზაცია. სისხლის სამართლის კოდექსი არ აკონკრეტებს, ენიჭება თუ არა სასჯელის რომელიმე მიზანს პრიორიტეტი. აქედან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლომ თავად უნდა გადანყვიტოს სასჯელის მიზნის პრიორიტეტულობა; სასამართლო ვალდებულია, დანიშნოს ისეთი სასჯელი, რომელიც ჩადენილი ქმედების სიმძიმის პროპორციული იქნება; ქმედების სიმძიმის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს პირის ბრალეულობა და ის ზიანი, რაც მის ქმედებას მოჰყვა ან უნდა მოჰყოლოდა. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ სრულად შეაფასა სასჯელის დანიშვნის როგორც ზოგადსაავადებულო გარემოებები, ისე – პირის ინდივიდუალური მახასიათებლები (გ. ო-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება არ გააჩნია, დანაშაული ჩაიდინა მთვრალმა და მსჯავრდებულს განუსაზღვრა სამართლიანი სასჯელი).

10. ამდენად, საკასაციო პალატას უსაფუძვლოდ მიაჩნია კასატორების მითითება, რომ მსჯავრდებულ გ. ო-ს მისჯილი აქვს ძალიან მკაცრი სასჯელი, რაც ეწინააღმდეგება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. პალატა აღნიშნავს, რომ მრავალმა სახელმწიფომ სასჯელის შეფარდების ერთ-ერთ ძირითად პრინციპად პროპორციულობის კონცეფცია შეიმუშავა იმ საფუძვლით, რომ სამართლიანი სასჯელის ხანგრძლივობა და ტიპი უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულს და დამნაშავის მახასიათებლებს. პროპორციულობის პრინციპი ირღვევა მხოლოდ ძალიან ხანგრძლივი სასჯელის შემთხვევაში. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სასჯელის ხანგრძლივობის საფუძველზე კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას არ აღგენს, გარდა ძალიან რთული შემთხვევებისა. ევროსასამართლომ არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „უხეში არაპროპორციულობის“ ტესტი მკაცრია და იგი ვლინდება მხოლოდ იმ-

ვიათ და უნიკალურ შემთხვევებში. ევროსასამართლოს თავშეკავება ნაწილობრივ განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მას არ სურს, ჩაერიოს სახელმწიფოს არჩევანში სასჯელებთან მიმართებით. სახელმწიფოები მსგავს საკითხებთან დაკავშირებით სარგებლობენ შეფასების ფართო ზღვარით, რაც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოები უზრუნველყოფილი არიან დისკრეციის გარკვეული ხარისხით. ეს პრინციპი პირველად დადგინდა საქმეზე „ჰ-ი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Handyside v. the United Kingdom), რომელიც ეხებოდა მე-10 მუხლთან დაკავშირებულ დავას. სასამართლომ დაადგინა, რომ: „ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან მუდმივი კონტაქტის გამო, სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოები პრინციპულად უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან საერთაშორისო მოსამართლეებთან შედარებით, რათა გამოხატონ მოსაზრება ... „შეზღუდვისა“, თუ „სასჯელის“ „აუცილებლობასთან“ მიმართებით... ხელისუფლების ეროვნულ ორგანოებს ევალებათ, თავდაპირველად შეაფასონ მწვავე სოციალური საჭიროების რეალობა, რომელსაც მოიცავს „აუცილებლობის“ ცნება ამ კონტექსტში. შესაბამისად, მე-10 (2) მუხლი მაღალ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს უტოვებს შეფასების ზღვარს. ეს ზღვარი ეძლევათ ქვეყნის კანონმდებელს ... და იმ ორგანოებს, მათ შორის – სასამართლო ორგანოებს, რომლებიც მონოდებულნი არიან განმარტონ და გამოიყენონ მოქმედი კანონები“⁴.

11. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 და მე-3¹ ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

12. საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3, მე-3², მე-3³, მე-4 ნაწილების შესაბამისად, საკასაციო პალატამ

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. ო-ა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ს საკასაციო საჩივარი არ იქნეს დაშვებული განსახილველად.

2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Handyside v. the United Kingdom), №5493/72, 7/12/1976.

საკანსაცმო საჩივრის დაუშვებლად ცნობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№289აპ-17

26 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

ნ. გვენეტაძე,

გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე შეამონმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 4 აპრილის განაჩენზე მსჯავრდებულ მ. კ-ს საკანსაცმო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 15 თებერვლის განაჩენით მ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაენყო 2016 წლის 27 სექტემბრიდან. გაუქმდა მ. კ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა.

განაჩენით მ. კ-ს მსჯავრი დაედო სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარაში, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებოდა, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

მ. კ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2016 წლის 19 აგვისტოს მ. კ-ე სატელეფონო საუბარში სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა ა. კ-ს. ასევე, 2016 წლის 22 და 23 აგვისტოს მ. კ-მ ა. კ-ს გაუგზავნა არაერთი მუქარის შემცველი მოკლე ტექსტური შეტყობინება, რომლითაც დაემუქრა მას სიცოცხლის მოსპობითა და ჯანმრთელობის დაზიანებით. მ. კ-ს მიერ განხორციელებული მუქარა ა. კ-მ აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2. აპელანტის მოთხოვნა:

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა მ. კ-მ, რომელმაც ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 15 თებერვლის განაჩენის გაუქმება და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

3. გასაჩივრებული განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 4 აპრილის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 15 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. გასაჩივრებული განაჩენის ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის განაჩენით უტყუარად დადგინდა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები სამართლებრივად სწორად შეფასდა. პალატამ სრულად გაიზიარა გასაჩივრებული განაჩენის მოტივაცია როგორც ფაქტობრივ გარემოებებთან, ისე – სამართლებრივ შეფასებასთან დაკავშირებით, რომ საქმეში გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა მ. კ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მსჯავრდებულ მ. კ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული დასტურდება, ერთი მხრივ, დაზარალებულ ა. კ-ს ჩვენებით, რომელმაც კატეგორიულად მიუთითა მსჯავრდებულ მ. კ-ე და ამხილა მუქარის ჩადენაში, ამასთანავე, წინასწარ გამოძიებაშივე ამოიცნო იგი, აგრეთვე – მუქარის შემცველი მოკლე ტექსტური შეტყობინებებით, რომლებიც გამოკვლეულია სასამართლოში, ხოლო, მეორე მხრივ, მოწმეების – ნ. ფ-ა და თ. ა-ს ჩვენებებით, რომლებმაც უშუალოდ ნახეს მუქარის გამო შეშინებული და აფორიაქებული ა. კ-ე, კონკრეტულ შემთხვევაში მოისმინეს მუქარა და წაიკითხეს მუქარის შემცველი მოკლე ტექსტური შეტყობინებები. ზეპირი (დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებები) და წერილობითი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ უტყუარად დაადგინა მუქარის ფაქტი, რომელიც დაზარალებულმა რეალურად აღიქვა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მსჯავრდებულის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი, უსამართლო და დანაშაულებრივი გზით შედგენილი, ვინაიდან დარღვეულია პროცესუალური ნორმები, კერძოდ: მსჯავრდებულს არ გადაეცა განაჩენი, ზემდგომ ინსტანციაში საჩივარი არ გადაიგზავნა, რომელიც ეხებოდა წინასასამართლო სხდომის მოსამარ-

თლის გადაწყვეტილების გაუქმებას, ასევე – მ. კ-ე დააკავეს პროცესუალური ნორმების არსებითი დარღვევით და მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალების თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის ასლი 2017 წლის 1 მარტს, კანონით დადგენილ ვადაში, გაეგზავნა მსჯავრდებულს, ხოლო საქმეში არსებული ხელწერილის თანახმად, იგი მას ჩაჰბარდა 2017 წლის 2 მარტს. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ საჩივარი არ გადაიგზავნა ზემდგომ ინსტანციაში, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მითითებულ საკითხზე მ. კ-ს გაეგზავნა არაერთი წერილი, რომლითაც განემარტა მის მიერ შეტანილი საჩივრის (მისი არსიდან გამომდინარე) საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად ზემდგომ ინსტანციაში გადაგზავნის შეუძლებლობა. მსჯავრდებულის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ კიდევ ერთ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ იგი დააკავეს პროცესუალური ნორმების არსებითი დარღვევით, პალატამ მიუთითა, რომ მ. კ-ე დააკავეს სასამართლოს განჩინების საფუძველზე.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომელმაც არ გაიზიარა დაცვის მხარის არგუმენტაცია, რომ, თითქოსდა, დაზარალებულმა ა. კ-მ ჩაიდინა თაღლითობა, რაც გამოიხატა მის მიერ მოტყუებით, მ. კ-ს უვარგისი ნივთის, ავტომანქანის მიყიდვაში. პალატამ მიუთითა: გამოკვლეული მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ დაზარალებულმა ა. კ-მ მოატყუა მ. კ-ე და საკუთარი დანაშაულის დაფარვის მიზნით, დაზარალებული ცდილობს, ცრუდ ამხილოს მსჯავრდებული მუქარის ჩადენაში. პირიქით, დაცვის მხარე ცდილობს, წარმოაჩინოს ა. კ-ე როგორც თაღლითი და ამ ხერხით მოახდინოს მისი დისკრედიტაცია; ამასთან, საგულისხმოა თბილისის სამმართველოს მე-2 განყოფილების დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლის – ი. ქ-ს განმარტება, რომლის თანახმად, მ. კ-ე მან დაიბარა სამართალდამცავ ორგანოში ა. კ-ს განცხადების ირგვლივ განმარტების მისაცემად. მ. კ-მ მხოლოდ მასთან გასაუბრების შემდეგ დაწერა განცხადება, რომ ა. კ-მ ჩაიდინა თაღლითობა, რითაც მას მიაყენა – 1375 აშშ დოლარის ზიანი. აღნიშნული განცხადება მართლაც დათარიღებულია 2016 წლის 22 აგვისტოთი, თუმცა მოწმემ განაცხადა, რომ ა. კ-ს ქმედებაში არ არსებობდა დანაშაულის ნიშნები და, აქედან გამომდინარე, მან არ დაიწყო გამოძიება ამ მიმართულებით; გარდა ამისა, განსახილველ შემთხვევაში საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მ. კ-მ, რომელიც თავს მიიჩნევდა დაზარალებულად თითქოსდა ა. კ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმე-

დების შედეგად, ავტომანქანა ა. კ-ნ შეიძინა 2016 წლის 9 აგვისტოს, ხოლო სამართალდამცავებს მიმართა – 2016 წლის 22 აგვისტოს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ა. კ-მ სამართალდამცავ ორგანოში მის წინააღმდეგ შეიტანა განცხადება. შესაბამისად, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია დაცვის მხარის განცხადება, რომ ა. კ-მ ა. კ-ს მამხილებელი ჩვენება მისცა საკუთარი თავისთვის პასუხისმგებლობის არიდების მიზნით. სასამართლომ თუნდაც ვარაუდის დონეზე, რომ დაუშვას ა. კ-ს მიერ მ. კ-ს მიმართ თაღლითობის შესაძლო ჩადენა, ეს არ გამოორიცხავს მის პასუხისმგებლობას ჩადენილი მუქარის გამო.

სააპელაციო პალატა ასევე დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომელმაც არ გაიზიარა დაცვის მხარის არგუმენტაცია იმის თაობაზე, რომ სატელეფონო ნომერი –, რომელზეც შესულია მუქარის ტექსტის შემცველი მოკლე ტექსტური შეტყობინებები, არ ეკუთვნის ა. კ-ს. სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა დაზარალებულმა ა. კ-მ ცალსახად დაადასტურა, რომ ამ ტელეფონის ნომერს ფლობდა და სარგებლობდა 2016 წლის მაისიდან. ამ ფაქტს ასევე ადასტურებს ძველი თბილისის სამმართველოს მე-2 განყოფილების დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი – ი. ქ-ი, რომელმაც განმარტა, რომ გამოძიების პროცესში დაზარალებულ ა. კ-ს უკავშირდებოდა სწორედ მითითებულ ნომერზე.

რაც შეეხება მ. კ-ს განმარტებას, რომ ტელეფონის ნომერი, რომელზეც გაგზავნილია მუქარის შემცველი მოკლე ტექსტური შეტყობინებები, ეკუთვნის არა დაზარალებულს, არამედ – ვინმე ა. კ-ს და იგი არის ა. კ-ს ნათესავი, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ აღნიშნული არ შეესაბამება სიმართლეს, შემდეგ გარემოებათა გამო: შპს „ჯ-ნ“ მიღებულ 2016 წლის 21 ოქტომბრის №195-54 წერილში, რომელიც გაცემულია ა. კ-ს სახელზე, მითითებულია, რომ GSM ნომერი არ ირიცხება ა. კ-ს სახელზე. ხსენებული წერილი გამოძიებაში წარადგინა თავად დაზარალებულმა ა. კ-მ, რის თაობაზეც დაზარალებულმა განმარტა, რომ მან ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიმართა კონკრეტულ შპს-ს და მისი ელექტრონული ფოსტა რეგისტრირებულია ამ სახელით. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხული არც ერთი მოწმე და ასევე წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ადასტურებს, რომ არსებობს ვინმე ა. კ-ე. აღნიშნული, რომ მხოლოდ ბრალდებულის ფანტაზიის ნაყოფია და ემსახურება სასამართლოს მოტყუებას, დასტურდება ასევე იმ ფაქტით, რომ მ. კ-ს დაზარალებულ ა. კ-ს მოწმის სახით დაკითხვისას, თავისი არგუმენტაციის სასამართლოსთვის უფ-

რო მეტი თვალსაჩინოების შესაძენად, არ უცდია გაერკვია, რეალურად არსებობდა თუ არა პირი სახელად – ა. კ-ე, რომელიც თითქოს არის ა. კ-ს ნათესავი.

სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა დაცვის მხარის არგუმენტაცია, რომ ტელეფონის ნომერი –, რომლიდანაც გაგზავნილია მუქარის შემცველი მოკლე ტექსტური შეტყობინებები, არ ეკუთვნის მ. კ-ს, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი წერილობითი მტკიცებულებებით და საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა ოქმებით (2016 წლის 22 აგვისტოს განცხადება, ამავე თარიღის ოქმი ზეპირი გამოკითხვის შესახებ, 2016 წლის 27 სექტემბრით დათარიღებული ბრალდებულის დაკავების ოქმი, ამავე თარიღის ბრალდებულის გამოკითხვის ოქმი) დასტურდება, რომ მ. კ-ს საკონტაქტო ტელეფონის ნომერია და იგი მითითებულია უშუალოდ მ. კ-ს მიერ, როგორც მისი საკონტაქტო ნომერი. ამ ნაწილში მსჯავრდებულის განმარტება, რომ მან განცხადების დანერისას დაუშვა ტექნიკური შეცდომა და ნომერი მიუთითა არასწორად, არის დაუსაბუთებელი და ლოგიკას მოკლებული. გარდა ამისა, აღნიშნული სატელეფონო ნომრის კუთვნილების ფაქტი დასტურდება დაზარალებულ ა. კ-ს მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული განმარტებით, რომ მან ავტომატურად მყიდველის ნომერი მოინიშნა ტელეფონში სახელით მ-ი და სწორედ ამ ნომრიდან ურეკავდა მას მ. კ-ე. ამ ნომერს, რომ მართლაც მ. კ-ე ფლობდა, ადასტურებენ მოწმის სახით დაკითხული სამართალდამცავები – ი. ქ-ი და გ. მ-ე, რომელთა განმარტებით დადგენილია, რომ ისინი სწორედ ამ ნომერზე უკავშირდებოდნენ მ. კ-ს, როდესაც იძახებდნენ პოლიციის განყოფილებაში.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას და არ გაიზიარა მ. კ-ს სააპელაციო საჩივარში მითითებული არგუმენტაცია, რომ 2016 წლის 3 სექტემბერს შედგენილი დათვალეფონის ოქმი დაუშვებელი მტკიცებულებაა, რადგან არ არის სრულყოფილი, მასზე თანდართულ მასალაში არ ჩანს ადრესატი ტელეფონის ნომერი, თუმცაღა საგულისხმოა, რომ საგამოძიებო მოქმედების ოქმში არის აღნიშნული როგორც ადრესატი ნომერი, ასევე ის ნომერი, საიდანაც გაიგზავნა მუქარის შემცველი მოკლე ტექსტური შეტყობინებები. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ოქმი გამოიკვლიეს სასამართლო სხდომაზე, ასევე დაიკითხა საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი და ოქმის შემდგენი პირი, დეტექტივის თანაშემწე-გამოძიებელი – ი. ქ-ი, რომელმაც დაადასტურა მის მიერ ზემოხსენებული საგამოძიებო მოქმედების კანონის მოთ-

ხოვნათა სრული დაცვით ჩატარება და ოქმის სისწორე.

მ. კ-ს უდანაშაულობის დამადასტურებელ არგუმენტად პალატამ ასევე არ მიიჩნია დაცვის მხარის მიერ მითითებული ის გარემოება, რომ სამართალდამცავები იყვნენ დაინტერესებული მისი პასუხისგებაში მიცემით, ვინაიდან აპელანტმა, გარდა სიტყვიერი განმარტებისა, ვერ წარადგინა რაიმე დამადასტურებელი ინფორმაცია და მოტივი, თუ რა დაინტერესება შეიძლება ჰქონოდათ გამოძიების მწარმოებელ პირებს მ. კ-ს მიმართ.

მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივარში გადმოცემულ პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ გამოძიების ეტაპზე მოხდა მონმეების ნაქეზება ცრუ ინფორმაციისა და ცრუ დასმენისათვის, ასევე მონმე თ. ა-ა პროკურატურის აგენტი და პროვოკატორია, რომელმაც სასამართლოს ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები მისცა, სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა, ვინაიდან სასამართლოს შეფასებით, მონმეთა ჩვენებები სრულად არის თანხვედნილი სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან, რაც მიუთითებს მათი ჩვენებების სანდოობაზე. შესაბამისად, სასამართლო არ იზიარებს მსჯავრდებულის არგუმენტაციას ბრალდების მონმეთა ჩვენებების სუბიექტურობაზე და ბუნებრივად და ლოგიკურად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მუქარის შესახებ დაზარალებულმა ა. კ-მ პოლიციაში შეტყობინებამდე თავისი შიშის შესახებ გაანდო ახლობელ ადამიანებს – მეგობრებს და არა უცხო პირებს. სწორედ ამით არის განპირობებული მათი მხრიდან ჩვენებების მიცემა.

სააპელაციო საჩივარში მსჯავრდებულის მიერ მითითებულ კიდევ ერთ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ დაირღვა მონმის დაკითხვის წესი და მონმე ნ. ფ-ა აიძულეს, მის წინააღმდეგ მიეცა ცრუ ჩვენება, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ზენოლის დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება სასამართლოში დაცვის მხარეს არ წარუდგენია და არ მომხდარა საჯარაუდო ზენოლის განმახორციელებელი პირის იდენტიფიცირება. პალატამ განმარტა, რომ როდესაც მხარეს აქვს ეჭვი ზენოლის შესახებ, მტკიცების ტვირთი მას ეკისრება და მან უნდა წარადგინოს დამაჯერებელი ფაქტი მტკიცებულების სახით, რომელიც მის არგუმენტს დასაბუთებულს, ხოლო ეჭვს საფუძვლიანს გახდის. პირველი ინსტანციის სასამართლოში დაცვის მხარის დაუსაბუთებელი არგუმენტის საპირისპიროდ ბრალდების მხარემ წარადგინა ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ სალომე კვირკველიას მიერ შედგენილი სატელეფონო გასაუბ-

რების ოქმი, რომლის თანახმად, მოწმე ნ. ფ-ა დაიბარეს ძველი თბილისის რაიონულ პროკურატურაში, რომ გასაუბრებოდნენ მასზე განხორციელებული შესაძლო ზენოლის ფაქტის ირგვლივ, რა დროსაც ნ. ფ-მ განმარტა, რომ მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა და სასამართლო სხდომაზე დაკითხვამდე მას თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში არავისთან (მამაკაცთან) კომუნიკაცია მის მიერ მისაცემ ჩვენებასთან დაკავშირებით არ ჰქონია. ამასთან, ნ. ფ-მ სრულად გამორიცხა მისი იძულებისა და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი, რომლის სანინაალმდეგო მტკიცებულება დაცვის მხარეს არ წარუდგენია. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს არ ჰქონდა საფუძველი, ეჭვი შეეტანა მითითებული მოწმის ჩვენების სანდოობაში.

5. კასატორის მოთხოვნა:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 4 აპრილის განაჩენი გაასაჩივრა მსჯავრდებულმა მ. კ-მ, რომელიც საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას წარდგენილ ბრალდებაში შემდეგ გარემოებათა გამო: განაჩენი არის განზრახ უკანონო, დაუსაბუთებელი და უსამართლო; მისი დაკავება და დაპატიმრება მოხდა დაკვეთით, რომელსაც საფუძვლად უდევს პოლიტიკური მოტივი და პირადი ინტერესები, რადგან იგი არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია „...“ ერთ-ერთი დამფუძნებელი; მას აბრალებენ არარსებული დანაშაულის ჩადენას, პროკურატურამ დაზარალებული და მოწმეები დაიყოლია მის წინააღმდეგ ცრუ ინფორმაციის გავრცელებასა და ცრუ დასმენაში; იგი არ დამუქრებია დაზარალებულს არც სატელეფონო საუბრისა და არც მოკლე ტექსტური შეტყობინებების მეშვეობით; მისი ბრალდება არის გამომძიებლისა და პროკურორის მიერ შეთხზული, რითაც მათ ჩაიდინეს დანაშაული; გამომძიებელმა არ დაკითხა დაცვის მხარის მოწმეები, ხოლო ბრალდების მხარის მოწმეთა ჩვენებებს შორის არსებობს არსებითი ხასიათის წინააღმდეგობები, რაც რეაგირების გარეშე დატოვა სასამართლომ. აღნიშნული კი წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას („მ.ს. ბულგარეთის წინააღმდეგ“ (M.C. v. Bulgaria) No.39272/98, § 178, 04.12.2003) და განმარტავს, რომ საქმეზე „ო-ი რუსეთის წინააღმდეგ“ (Ochelkov v. Russia, No. 17828/05, 11.07.2013) ევროპული სასამართლოსათვის აუხსნელი დარჩა ის ფაქტი, თუ რატომ არ დაკითხეს გამომძიებლებმა საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე პირები; 2016 წლის

21 სექტემბრისა და იმავე წლის 29 სექტემბრის განჩინებები მისი დაკავებისა და დაპატიმრების შესახებ არის უსაფუძვლო და უკანონო, რომელიც არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებს; მისი დაკავების ოქმი და სხვა საპროცესო დოკუმენტები შედგენილია კანონის არსებითი დარღვევებით; პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა განაჩენი მას გადასცეს კანონით დაწესებული ვადების დარღვევით; საქმეზე რეალური დაზარალებული არის თვითონ, რადგან ა. კ-მ მას მოტყუებით მიჰყიდა დაზიანებული ავტომანქანა.

6. საკასაციო პალატამ შეისწავლა საკასაციო საჩივარი და დაასკვნა, რომ იგი არ აკმაყოფილებს საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად, კერძოდ: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილი ამომწურავად იძლევა იმ საფუძველთა ჩამონათვალს, რომელთა არსებობის შემთხვევაში საკასაციო საჩივარი დასაშვებად ჩაითვლება, ასეთებია:

ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;

გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;

ზ) კასატორი არასრულწლოვანი მსჯავრდებულია.

7. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ სისხლის სა-

მართლის საქმეში არ მოიპოვება არც ერთი ზემოაღნიშნული საფუძველი.

8. საკასაციო საჩივრისა და საქმის შესწავლის შედეგად საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს გარემოება, რომლის გამოც საქმეს ექნებოდა არსებითი მნიშვნელობა სამართლის განვითარების ან მსგავს საქმეებზე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

9. კასატორი ვერ უთითებს ისეთ სამართლებრივ პრობლემაზე, რომელიც საჭიროებს საკასაციო პალატის განმარტებას. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არ ეწინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და არც საკასაციო პალატის მიერაა მოსალოდნელი ამ საქმეზე პრაქტიკისგან განსხვავებული გადანყვეტილების მიღება, ვინაიდან მსჯავრდებულ მ. კ-ს შერაცხული ქმედება წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს და მსგავს საქმეებზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა (მაგალითისთვის იხ. საქმე №590აპ-09), რომელსაც შეესაბამება სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება, ხოლო რაიმე ისეთი გარემოება, რაც შესაძლოა, საკასაციო პალატის პრაქტიკის შეცვლის საფუძველი გამხდარიყო, საქმიდან და საკასაციო საჩივრიდან არ იკვეთება.

10. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას, რომ იგი არის უდანაშაულო და უნდა გამართლდეს წარდგენილ ბრალდებაში და მიაჩნია, რომ საქმეზე შეკრებილი და გამოკვლეული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით სრულად დადასტურდა მ. კ-ს ბრალეულობა საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენით ნათლად არის დასაბუთებული ის მოტივები, რომელთა საფუძველზეც სააპელაციო სასამართლომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 15 თებერვლის განაჩენი უცვლელად დატოვა.

11. გარდა ამისა, საკასაციო პალატა ასევე ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას, რომ მის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, ვინაიდან სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა მოწმეთა წინააღმდეგობრივი ჩვენებები, ხოლო წინასწარი გამოძიების ეტაპზე არ დაიკითხნენ მოწმეები და მიუთითებს: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადანყვეტილებაში განმარტა, რომ მისი ფუნქცია არ არის, გამოთქვას მოსაზრება მტკიცებულების რელევანტურობის თაობაზე, ასევე პირის ბრალეულობისა თუ უდა-

ნაშაულობის შესახებ¹. თუმცა, შესაძლოა, ევროპული სასამართლო არ დაეთანხმოს ეროვნული სასამართლოების მიერ მტკიცებულებების შეფასებას და იმსჯელოს იმაზე, რამდენად დასაბუთებულია ეროვნულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილება კონვენციის მე-6 მუხლის ქრილში². ევროპული სასამართლო მონმეთა ჩვენებებთან დაკავშირებით ყურადღებას მიაპყრობს იმას, თუ ეროვნულმა სასამართლოებმა რამდენად გაითვალისწინეს ყველა ის რელევანტური ფაქტორი, რომლებიც მნიშვნელოვანია მონმის ჩვენების სანდოობისა და სიზუსტის შეფასებისას და ამ ჩვენებისათვის მნიშვნელობის მინიჭებისას³.

12. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ სრულყოფილად შეაფასა დაზარალებულისა და მონმეთა ჩვენებები და მიიჩნია, რომ მათი ჩვენებები სრულად თანხვედნილი იყო სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან და, შესაბამისად, არ გაიზიარა მსჯავრდებულის არგუმენტაცია ბრალდების მონმეთა ჩვენებების სუბიექტურობასა და არასანდოობაზე, რასაც საკასაციო პალატაც ეთანხმება.

13. რაც შეეხება კასატორის მითითებას, რომ წინასწარ გამოძიებაში გამოძიებელმა არ დაკითხა მონმეები (მ. კ.-ს მძლოლი და ავტომანქანის ძრავის ხელოსანი), საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება. ამავე კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, მხარეს უფლება აქვს, სასამართლოში მოითხოვოს მონმის უშუალოდ დაკითხვა და წარადგინოს საკუთარი მტკიც-

¹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „პოპოვი რუსეთის წინააღმდეგ“ (Popov v. Russia) №26853/04, §188, 11.12.2006.

² იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ბოლდეა რუმინეთის წინააღმდეგ“ (Boldea v. Romania) №19997/02, §32-33, 15.05. 2007.

³ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: „გოსა პოლონეთის წინააღმდეგ“ (Gossa v. Poland) განაცხადი №47986/99, §62, 09.04.2007, „ბიელაჯი პოლონეთის წინააღმდეგ“ (Bielaj v. Poland) №43643/04; §61, 22.11.2010.

ცებულება, ხოლო 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენცი-აა. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობს მხარეთა შესაძლებლობას, იცნობდნენ საქმეს და ყველა მტკიცებულებასთან მიმართებით ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება⁴. დასახელებული პრინციპი მოიცავს ორივე მხარისათვის მტკიცებულებათა წარდგენის შესაძლებლობის მინიჭებას ისეთ პირობებში, რომ არც ერთ მათგანს არ მიენიჭოს აშკარა უპირატესობა⁵. განსახილველ საქმეზე როგორც წინასწარი გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის ეტაპზე კასატორს ჰქონდა მტკიცებულებათა წარდგენისა და ასევე, საქმის გარემოებებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების უფლება და შესაძლებლობა, რისი გათვალისწინებითაც საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დაცვის მხარემ სრულად ისარგებლა სამართლიანი სასამართლოს უფლებით.

14. ასევე უსაფუძვლოა კასატორის კიდევ ერთი არგუმენტი მისი უკანონო დაკავებისა და დაპატიმრების შესახებ, რის შედეგადაც დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გარანტირებული თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება შემდეგ გარემოებათა გამო:

15. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, დაკავება (დაპატიმრება) უნდა იყოს კანონიერი და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისი, რაც იმას გულისხმობს, რომ დაკავების (დაპატიმრების) პირობები და პროცედურა ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა იყოს საკმარისად ნათლად ჩამოყალიბებული.

16. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე, რომლის თანახმად, დაპატიმრება გამოყენებულ უნდა იქნეს გამონაკლისი ღონისძიების სახით. ის არ უნდა იყოს სავალდებულო ხასიათის და არ უნდა იქნეს მიმართული დასჯის მიზნებისათვის (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის №(80)11 რეკომენდაცია წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით, 1-ლი პარაგრაფი. Rec-

⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ბელზიუკი პოლონეთის წინააღმდეგ“ (Belziuk v. Poland), №45/1997/829/1035, §37, 25/03/1998.

⁵ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „დამბო ბიპიერი ბ.ვ. ნიდერლანდების წინააღმდეგ“ (Dombo Beheer B.V. v. the Netherlands), №14448/88, §33, 27/10/1993.

ommendation No. R (80)11 of the Committee of Ministers of the Council of Europe - Concerning Custody Pending Trial, para. 1). ამასთან, პატიმრობის საგამონაკლისო ბუნება მითითებულ რეკომენდაციაში წარმოდგენილია უდანაშაულობის პრეზუმფციის კონტექსტში. იმისათვის, რომ წარმოდგენილი რეკომენდაცია პრაქტიკაში მოქმედებდეს, აუცილებელია პროპორციულობის დაცვა, რაც ეროვნული კანონმდებლობით აკისრია როგორც შუამდგომლობის წარმდგენ ორგანოს, ისე სასამართლოს. ამ უკანასკნელთან მიმართებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-4 ნაწილი მიუთითებს სასამართლოს უფლებამოსილებაზე, გამოიყენოს პატიმრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღკვეთის ღონისძიების ზოგადი მიზნების მიღწევა სხვა საშუალებით შეუძლებელია.

17. ნიშანდობლივია აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რომლის თანახმად, ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ საფუძვლები, რომლებიც ამართლებს პირის პატიმრობაში (დაკავებაში) ყოფნას (დანაშაულის ჩადენის დასაბუთებულ ვარაუდთან ერთად), არის პირის მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის, მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის, საზოგადოებრივი არეულობის საფრთხე ანდა ბრალდებულის დაცვის აუცილებლობა. ეს საფუძვლები რელევანტური და საკმარისი გარემოებებით უნდა იყოს დასაბუთებული⁶; ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ საფუძვლიანი ეჭვი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, წარმოადგენს რელევანტურ, მაგრამ არასაკმარის ფაქტორს⁷. შესაძლო სასჯელის სიმძიმე, მიმალვის ან ახალი დანაშაულის საფრთხის მიმანიშნებელი ელემენტია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს ვერ იქნება პირის მიმართ წინასწარი პატიმრობის გამოყენების ერთადერთი გამამართლებელი საფუძველი, რადგან, როგორც წესი, ბრალდების სიმძიმესთან ერთად, უნდა არსებობდეს პატიმრობის გამოყენების სხვა საფუძველიც, შესაბამისი რისკისა თუ საფრთხის სახით⁸.

⁶ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – „ბუზაჯი მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ“ (Buzadji v. Republic of Moldova), no. 23755/07, [დიდი პალატა] §88, 05.07.2016).

⁷ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – „ტომასი საფრანგეთის წინააღმდეგ“, (Tomasi v. France) No. 12850/87), §91, 27.08.1992.)

⁸ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – „დუდეკი პოლონეთის წინააღმდეგ“, (Dudek v. Poland), No. 633/03, §38, 13.09.2006).

18. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირის დაკავების შე-სახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინა-სასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლის 2016 წლის 21 სექტემბრის განჩინებაში დეტალურად არის მსჯელობა იმ გარე-მოვებთან დაკავშირებით, თუ რატომ ჩათვალა სასამართლომ მიზანშეწონილად მ. კ-ს დაკავება, კერძოდ: არსებობდა ფაქტე-ბისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც იძლეოდა საფუძ-ველს ვარაუდისათვის, რომ მ. კ-მ ჩაიდინა დანაშაული; პოლიცი-ის განყოფილებაში ყოფნისას მან გამოძიებელი მოატყუა და და-ტოვა საგამოძიებო ორგანოს შენობა, რის შემდეგაც მისი ადგილ-სამყოფელი დაუდგენელი იყო და თვითონ ნებაყოფლობით არ გამოცხადდა პოლიციაში; არსებობდა ვარაუდი, რომ იგი კვლავ ჩაიდენდა ახალ დანაშაულს, ვინაიდან ნასამართლევი იყო მსგავსი ხასიათის დანაშაულისათვის, რაც მეტყველებდა მის პიროვნე-ბაზე, როგორც ძალადობისაკენ მიდრეკილზე. ყოველივე ამის გა-მო, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია მ. კ-ს დაკავების შე-სახებ განჩინების გაცემა (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამარ-თლის 2016 წლის 21 სექტემბრის განჩინება). ასევე დეტალურად და არგუმენტირებულად არის მსჯელობა აღკვეთის ღონისძიე-ბის სახით დაპატიმრების გამოყენების საფუძვლებზე თბილი-სის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინე-ბაში ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღ-კვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, კერძოდ: ფაქტები-სა და ინფორმაციის ერთობლიობა საკმარისი იყო დასაბუთებუ-ლი ვარაუდისათვის, რომ ბრალად წარდგენილი ქმედება შესაძ-ლოა, ჩადენილი ჰქონოდა მ. კ-ს; მართალია, მ. კ-ს ბრალი ედებო-და ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ დანაშაულის სპეციფიკიდან, მისი გარემოებებიდან და ბრალდებულის პიროვ-ნული მახასიათებლებიდან გამომდინარე, მას შეეძლო, კვლავ გა-ეგრძელებინა დანაშაულებრივი ქმედებები, რადგან მ. კ-ე ნასა-მართლევი იყო მსგავსი ხასიათის დანაშაულის ჩადენისათვის; იგი წარსულში არაერთხელ იყო ნასამართლევი ძალადობრივი ხასია-თის დანაშაულებისათვის და იმავდროულად მის მიმართ მიმდი-ნარეობდა სისხლისსამართლებრივი დევნა მუქარის სხვა საქმეს-თან დაკავშირებით; დაზარალებულს ჰქონდა მუქარის განხორ-ციელების რეალური შიში, რაც იმ ეტაპზე ვერ განეიტრალდებო-და, რადგან გამოკვეთილი იყო ბრალდებულის მხრიდან ჩადენი-ლი არაერთი ძალადობრივი ხასიათის დანაშაული, რაც მეტყვე-ლებდა იმაზე, რომ ბრალდებული ვერ აკონტროლებდა თავს; არ-სებობდა ბრალდებულის მხრიდან გამოძიებისათვის ხელის შემ-

ლის რეალური საფრთხე დაზარალებულსა და მოწმეებზე ზემოქმედების სახით, რათა მათ არ მიეცათ მისი მამხილებელი ჩვენებები (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინება ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ).

19. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლის 2016 წლის 21 სექტემბრის განჩინება პირის დაკავების შესახებ კანონიერი და დასაბუთებულია, რადგან, გარდა დანაშაულის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვისა, არსებობდა დაკავების სხვა სათანადო და საკმარისი საფუძვლები, რომლებიც სრულად გაითვალისწინა და შეაფასა სასამართლომ. ასევე კანონიერი და დასაბუთებულია იმავე სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინება ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რომლის თანახმად, მოსამართლემ გაითვალისწინა მ. კ-ს მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის სპეციფიკა, დანაშაულის გარემოებები, ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები, დანაშაულის შესაძლო გაგრძელების, მიმალვისა და გამოძიებისათვის ხელის შეშლის რისკები და მართებულიად დაასკვნა, რომ ყველა ეს გარემოება ერთობლივად ასაბუთებდა ბრალდებულ მ. კ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით, როგორც უკიდურესი ღონისძიების – პატიმრობის გამოყენების საჭიროებას.

20. ამდენად, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 და მე-3¹ ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

21. საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3, მე-3², მე-3³, მე-4 ნაწილების შესაბამისად, საკასაციო პალატამ

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ მ. კ-ს საკასაციო საჩივარი არ იქნეს დაშვებული განსახილველად.

2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკანსაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№317აპ-17

13 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

ნ. გვენეტაძე,

გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე შეამონმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 18 აპრილის განაჩენზე თბილისის პროკურატურის საგამოძიებელი ნაწილის პროკურორ ლაშა კოტრიკაძის საკანსაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. ბრალდების არსი:

ბრალდების შესახებ დადგენილებების თანახმად, ნ. ს-ს ბრალი დაედო გამოძალგაში, ესე იგი დიდი ოდენობით ქონებრივი სარგებლის მოთხოვნაში, რასაც ერთვის დაზარალებულის მიმართ სახელის გამტეხი ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რომელმაც შეიძლება, არსებითად დააზიანოს მისი უფლებები; საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვაში (2015 წლის 30 ივნისამდე მოქმედი რედაქცია), რაც გამოიხატა შემდეგში:

ნ. ს-ე 2010 წლის 13 იანვრიდან 2012 წლის 16 ივლისამდე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში, ხოლო 2012 წლის 16 ივლისიდან 2012 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით – საქართველოს შს სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე. მისთვის ხელმისაწვდომი გახდა გ. ხ-ა და ი. კ-ს პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერი და მისი გამოყენებით განიზრახა ამ უკანასკნელისთვის თანხის გამოძალგა. ამ მიზნით, 2012 წლის 9 ნოემბერს ნ. ს-მ გამოძიებით დაუდგენელი პირის მეშვეობით, ი. კ-ს გადასცა DVD დისკზე აღბეჭდილი მისი და გ. ხ-ს პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერი და მოსთხოვა 50000 აშშ დოლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაემუქრა ამ ჩანაწერის გავრცე-

ლებით.

ნ. ს-ე თავის საცხოვრებელ ბინაში (მდებარე ქ. თ-ი, ვ-ს გამზირი, მე-... კვარტალი, კორპუსი № .., ბინა №..) მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა 24 ცალ ქარხნული წესით დამზადებულ, 1951 წლის ნიმუშის, 9 მმ კალიბრიან ვაზნას და 1 ცალ ქარხნული წესით დამზადებულ „P.08“ ნიმუშის პარაბელუმის 9 მმ კალიბრიან ვაზნას. 2013 წლის 16 იანვარს, ნ. ს-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ამოიღეს ზემოხსენებული ვაზნები, რომლებიც მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 დეკემბრის განაჩენით:

ნ. ს-ე საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

ნ. ს-ე, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 30 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2016 წლის 15 მარტიდან.

განაჩენით მსჯავრდებულ ნ. ს-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: ნ. ს-ე თავის საცხოვრებელ ბინაში (მდებარე ქ. თ-ი, ვ-ს გამზირი, მე-... კვარტალი, კორპუსი № .., ბინა №..) მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა 24 ცალ ქარხნული წესით დამზადებულ „P.08“ ნიმუშის პარაბელუმის 9 მმ კალიბრიან ვაზნას. 2013 წლის 16 იანვარს, ნ. ს-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ამოიღეს ზემოხსენებული ვაზნები, რომლებიც მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად.

3. აპელანტის მოთხოვნა:

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის პროკურატურის პროკურორმა ლამა კოტრიკაძემ, რომელიც სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის გამოძალვის ნაწილში გაუქმებასა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას.

4. გასაჩივრებული განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 18 აპრილის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლე-

გის 2016 წლის 6 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. გასაჩივრებული განაჩენის ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა გასაჩივრებული განაჩენის მოტივაცია როგორც ფაქტობრივ გარემოებებთან, ისე – სამართლებრივ შეფასებასთან დაკავშირებით, რომ საქმეში გამოკვლეული მტკიცებულებებით არ დასტურდება ნ. ს-ს მიერ გამოძალვის ჩადენა და დასტურდება მის მიერ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 30 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ფაქტი. მართალია, მოწმეებმა – თ. გ-მ, მ. მ-ა და ა. კ-ა დაადასტურეს, რომ გარკვეული თანამდებობის პირები არატრადიციული ორიენტაციის მქონე პირთა პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეოებს ფარულად ნამდვილად იწერდნენ, მაგრამ არც ერთი მათგანის ჩვენება არ წარმოადგენს რაიმე პირდაპირი სახის მტკიცებულებას ნ. ს-ს გამოძალვის ნაწილში დამნაშავედ ცნობისთვის.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ნ. ს-ს ხელმისაწვდომი გახდა გ. ხ-ა და ი. კ-ს პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერი და მისი გამოყენებით განიზრახა ამ უკანასკნელისთვის თანხის გამოძალვა; ამ მიზნით, 2012 წლის 9 ნოემბერს ნ. ს-მ გამოძიებით დაუდგენელი პირის მეშვეობით, ი. კ-ს გადასცა DVD დისკზე აღბეჭდილი მისი და გ. ხ-ს პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერი და მოსთხოვა 50 000 აშშ დოლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაემუქრა ამ ჩანაწერის გავრცელებით, და აღნიშნა, რომ 1-ლი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული არც ერთი მტკიცებულებით არ დადასტურდა ნ. ს-ს მიერ გამოძალვის ჩადენა.

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა 1-ლი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტაციას, რომ საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად ვერ დადგინდა, რომ პირი, რომელმაც 2012 წლის 16 ნოემბერს ი. კ-ს მის კუთვნილ ტელეფონზე ნომრით დაურეკა ნომრიდან და სთხოვდა ჩანაწერების გაუხმაურებლობის სანაცვლოდ 50 000 აშშ დოლარს, იყო ნ. ს-ე. ტელეფონის ნომერი, საიდანაც ბრალდების მხარის მოსაზრებით, ნ. ს-მ დაურეკა ი. კ-ს თანხის მოთხოვნით, შექცნილია ლ. ქ-ნ, რომელიც ეწეოდა ტელეფონის ნომრების რეალიზაციას. ამის დასადასტურებლად წარმოდგენილია მხოლოდ და მხოლოდ ერთი პირის – ლ. ქ-ს ჩვენება, რომელმაც გამოძიების ეტაპზე განაცხადა, რომ აღნიშნული ნომერი მას ჩააბარა დილერმა ი. ქ-მ, ხოლო

თვითონ რაიმე საბუთის გარეშე (პირადობის მონმობის გარეშე) გადასცა ი. ჩ-ს, რომელიც ვაჭრობს მობილური ტელეფონებით. აღნიშნულ ნომერთან დაკავშირებით (.....), გამოძიების ეტაპზე ი. ქ-ა არ დაკითხულა. სასამართლო პროცესზე ი. ქ-მ დაადასტურა, რომ ეს ნომერი გადასცა ლ. ქ-ს, თუმცა ტელეფონის ნომერი მან ზეპირად ვერ გაიხსენა და როცა ნომერი დაუსახელა ბრალდების მხარემ, ამის შემდგომ დაადასტურა.

მონმე ი. ჩ-ე ადასტურებს, რომ მან 2012 წლის ნოემბერში მობილური ტელეფონი გადასცა ნ. ს-ს ლ. ქ-ნ გამორთმეულ ტელეფონის ნომერთან ერთად, თუმცა ვერც გამოძიების ეტაპზე და ვერც სასამართლოში ვერ გაიხსენა ტელეფონის ნომრები.

ის, რომ ტელეფონის ნომერი შპს „მაგთიკომიდან“ გამოიტანა დილერმა ი. ქ-მ, დასტურდება შესაბამისი წერილით. აღნიშნულ ნომერთან დაკავშირებით, ლ. ქ-ნ შემდგომში ამოიღეს შეუვსებელი ხელშეკრულების 2 ეგზემპლარი, სადაც მითითებულია ტელეფონის ნომერი ..., თუმცა დათვალიერების ოქმში არის გარკვეული ხარვეზი და ტელეფონის ნომერი მითითებულია შეცდომით –

ტელეფონის ნომერთან დაკავშირებით, ლ. ქ-ნ ანალოგიური ხელშეკრულება ამოღებული არ ყოფილა. ი. ქ-ს, რომლის განმარტებით, იგი თითქოსდა სარეალიზაციოდ ჩაბარებულ ტელეფონის ნომრებს ინიშნავდა ჟურნალში (საიდანაც აღიდგინა გამოძიების ეტაპზე, რომ ტელეფონის ნომერი ... გადასცა ლ. ქ-ს, ხოლო ტელეფონის ნომერთან დაკავშირებით, ასეთი რამ არ განუცხადებია), აღნიშნული ჟურნალი არ წარუდგენია და მხოლოდ ლ. ქ-ს ჩვენება ვერ იქნება საკმარისი მტკიცებულება ტელეფონის ნომერთან დაკავშირებით.

მართალია, ტელეფონის ნომერი – 2012 წლის 16 ნოემბერს გააქტიურდა ტელეფონში იმეიკოდით, რომელიც გაყიდულია შპს „გ-ს“ მიერ და რომელიც შეიძინა ი. ჩ-მ, მაგრამ არ დასტურდება უტყუარად, რომ აღნიშნული ტელეფონის ნომერი გააქტიურა უშუალოდ ნ. ს-მ. თავად ი. ჩ-ე განმარტავს, რომ მან სხვა პირსაც გადასცა ტელეფონი ლ. ქ-ნ გამორთმეულ ტელეფონის ნომერთან ერთად, თუმცა დაუდგენელია, ვინ არის აღნიშნული პირი, რაც გარკვეულ ეჭვს აჩენს ი. ჩ-ს მიერ ნ. ს-ს ტელეფონის ნომრის გადაცემასთან მიმართებით.

ასევე, უტყუარად ვერ დადასტურდა, რომ სატელეფონო საუბრები, რომლებიც განხორციელდა ტელეფონის ნომრიდან ი. კ-ს კუთვნილ ტელეფონზე ნომრით – 2012 წლის 16 ნოემბერს, ეკუთვნის ნ. ს-ს. საქმეში წარმოდგენილი ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით ვერ დადასტურდა, რომ ი. კ-ს მიერ

გამოძიებისთვის გადაცემულ დისკზე ჩანერილ სატელეფონო საუბრებში, რომლებშიც ე.წ. „გამომძალველი“ ითხოვს მისგან ფულად თანხას, ეკუთვნის ნ. ს-ს.

საქმეში განთავსებული კრებები, რომლებშიც გაშიფრულია 2012 წლის 16 ნოემბრის სატელეფონო საუბრების შინაარსი ტელეფონის ნომრების ... და მფლობელს შორის (ე.წ. „გამომძალველსა“ და დაზარალებულ ი. კ-ს შორის), გამოქვეყნდა სასამართლო სხდომაზე, თუმცა არ დაკითხულა პირი, რომელმაც ეს სატელეფონო საუბრები კრებების სახით გაშიფრა. სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ იქნა დისკი, რომელზეც ჩანერილია ზემოაღნიშნული სატელეფონო საუბრები, თუმცა ფონოგრამებში ისმოდა ერთი მოსაუბრის (და არა – ორი) ხმა. ამდენად, სასამართლოს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით არ შეუძლია დაადგინოს, რომ ხსენებულ სატელეფონო საუბრებში მონაწილე პირი ე.წ. „გამომძალველი“ არის ნ. ს-ე.

რაც შეეხება კომპიუტერული ექსპერტიზის დასკვნით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ფაილი „ცერილი.დოხ“ თვისებებში ფიქსირდება ავტორი „...“, ხოლო ბოლო შენახვის მომხმარებელია (Last Saved by): „ი. ს-ე“, უტყუარად ვერ ადასტურებს აღნიშნულ წერილთან ნ. ს-ს კავშირს. თავად ექსპერტიზის დასკვნაშია მითითებული, რომ კომპიუტერის მყარი დისკების მეხსიერებიდან ამოღებულ და აღდგენილ ფაილებში დისკზე არსებული ფაილების იდენტიური ფაილები წარმოდგენილი კომპიუტერების მეხსიერებაში არ ფიქსირდება, ხოლო შემდგომში კომპიუტერული ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება, რომ კომპიუტერების მყარი მეხსიერების ფაილებში ი. კ-ს „ფეისბუქ“ გვერდის ძებნა განხორციელებული იყო „იუზერ გ-ს“ და არა ნ. ს-ს სახელით.

კომპიუტერული ექსპერტიზის ჩამტარებელ პირს ფაილის „cerili.doc“ უშუალოდ შინაარსობრივი კვლევა არ ჩაუტარებია, ე.ი ექსპერტს უშუალოდ არ უნახავს აღნიშნული წერილის შინაარსი კომპიუტერის მეხსიერებაში.

ნ. ს-ე გაპიროვნებული დიჯიპასით ი. კ-ს გადამონმების ფაქტი, რომ უშუალოდ მის მიერ არის შესრულებული ასევე უტყუარად ვერ დადასტურდა, რადგან საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით ამ დიჯიპასით ნ. ს-ს გარდა სარგებლობდნენ სხვა პირებიც, რაც დადასტურებულია დაცვის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით, რომ ამ უკანასკნელის მივლინებაში ყოფნის პერიოდში ხსენებული დიჯიპასიდან ხდებოდა სხვადასხვა პირის გადამონმება.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოება, რომ ი. კ-ს კუთვნილი ტე-

ლეფონის ნომერი ინდემნარმე ლ. ქ-ნ ი. ჩ-ს მეშვეობით მოხვდა ნ. ს-ნ, ხოლო ამ უკანასკნელმა აღნიშნული ნომრიდან რამდენჯერმე დარეკა 2012 წლის 16 ნოემბერს ი. კ-ს სატელეფონო ნომერზე თანხის გამოძალვის მოთხოვნით, ისევე როგორც ი. კ-ს ე.წ „კურიერის“ მიერ გადაცემულ დისკთან, მასში არსებულ ფაილ „cerili.doc“-თან ნ. ს-ს კავშირი ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არ დადასტურებულა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეში არ არსებობს ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულმა მტკიცებულებებმა არ მისცეს სასამართლოს ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა, რითაც დადასტურდებოდა ნ. ს-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. მის მიმართ წარდგენილი ბრალდება არ ემყარება ეჭვის გამომრიცხავ, შეთანხმებულ, უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მსჯავრდებულის მიერ საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვის ჩადენის ფაქტი, გარდა ნ. ს-ს აღიარებისა, დადასტურებულია საქმეში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ: ნ. ს-ს საცხოვრებელი ბინის 2013 წლის 16 იანვრის ჩხრეკის ოქმით, 2014 წლის 9 ოქტომბრის სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის №.../ზ დასკვნით და სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული ექსპერტის – მ. გ-ს ჩვენებით, საქართველოს შსს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მონაცემთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის სამმართველოს უფროსის მოადგილის, იარალის აღრიცხვის განყოფილების უფროსის – ლ. გ-ს 2014 წლის 26 სექტემბრის წერილით, საქართველოს შსს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის – გ. ს-ს 2014 წლის 8 ოქტომბრის წერილით, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის – ა. ც-ს 2014 წლის 6 ოქტომბრის წერილითა და სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული პოლიციის თანამშრომლების – ო. ც-ს და ი. ლ-ს ჩვენებებით, რომლებმაც დაადასტურეს მათ მიერ ჩატარებული ბინის ჩხრეკის

კანონიერება და ოქმის ავთენტურობა. მათი განმარტებით, ნ. ს-მ ნებაყოფლობით წარმოადგინა ვაზნები და მას სამართალ-დამცავებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია.

6. კასატორის მოთხოვნა:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 18 აპრილის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის პროკურატურის საგამოძიებელი ნაწილის პროკურორმა ლაშა კოტრიკაძემ, რომელიც ითხოვს დამატებითი მტკიცებულებების საქმეზე დართვაზე უარის თქმის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 7 მარტის გადაწყვეტლების გაუქმებასა და საქმეზე სსსკ-ის 239-ე მუხლის შესაბამისად მოპოვებული მასალების დამატებით დართვას, ესენია: 2016 წლის 4 ოქტომბრის მიმართვის წერილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 5 ოქტომბრის წერილი და სხდომის ოქმი, ე. კ-ს განცხადება, სისხლის სამართლის №... საქმეზე ე. კ-ს მონმის სახით გამოკითხვის, დათვალეიერების ოქმები, მიმართვის წერილი შსს საექსპერტო კრიმინალისტიკურ-დეპარტამენტს, დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, ფონოსკოპიური ექსპერტიზის №.../ფ დასკვნა, 2016 წლის 11 ოქტომბრის მიმართვის წერილი შსს საექსპერტო კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს, 2016 წლის 12 ოქტომბრის პასუხი წერილზე და დართული დოკუმენტაცია, მიმართვის წერილი შპს „ი-ს“, პასუხი წერილზე და ქართულ ენაზე ნათარგმნი სერტიფიკატი, დოკუმენტის რეგისტრაციის ბარათი, მიმართვის წერილი ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, ფონოსკოპიური ექსპერტიზის №.... დასკვნა და 2 ცალი დისკი; ასევე, ითხოვს, რომ სასამართლოში ექსპერტები – დ. გ-ი, ა. მ-ა, ე. კ-ი და გამომძიებელი ზ. ს-ე დაიკითხონ; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 18 აპრილის ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენის გამოძალვის ნაწილში გაუქმებასა და გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას.

7. საკასაციო პალატამ შეისწავლა საკასაციო საჩივარი და დაასკვნა, რომ იგი არ აკმაყოფილებს საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად, კერძოდ: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილი ამომწურავად იძლევა იმ საფუძველთა ჩამონათვალს, რომელთა არსებობის შემთხვევაში საკასაციო საჩივარი დასაშვებად ჩაითვლება, ასეთებია:

ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;

გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;

ზ) კასატორი არასრულწლოვანი მსჯავრდებულია.

8. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება არც ერთი ზემოაღნიშნული საფუძველი.

9. საკასაციო საჩივრისა და საქმის შესწავლის შედეგად საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს გარემოება, რომლის გამოც საქმეს ექნებოდა არსებითი მნიშვნელობა სამართლის განვითარების ან მსგავს საქმეებზე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. გარდა აღნიშნულისა, საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები ისეთი კრიტერიუმით, როგორცაა მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს განაჩენით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების განსხვავება კანონმდებლობის შესაბამისად დამკვიდრებული პრაქტიკისგან, ასეთი გარემოების არარსებობის გამო.

10. საკასაციო პალატა არ იზიარებს სახელმწიფო ბრალმძებლის მითითებას, რომ ნ. ს-ს ბრალეულობა საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით და ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017

წლის 18 აპრილის განაჩენის მოტივებს ნ. ს-ს უდანაშაულობასთან დაკავშირებით. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით მის მიმართ წარდგენილი ბრალდება არ ემყარება ეჭვის გამომრიცხავ, შეთანხმებულ, უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და წარმოდგენილი მტკიცებულებები სრულყოფილად, ამომწურავად და ობიექტურად შეაფასა და ამასთან, ნათლად მიუთითა იმ მოტივებზე, რომელთა საფუძველზეც თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 დეკემბრის განაჩენი უცვლელად დატოვა.

11. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული დანაწესის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა; ბრალდების მტკიცების ტვირთი აკისრია თავად ბრალმდებელს. საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის სახელმძღვანელო მტკიცებულებით სტანდარტს წარმოადგენს ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ადასტურებს პირის ბრალეულობას; ხოლო ამავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“ (მაგალითისათვის იხ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №440აპ-14, №480აპ-16, №19აპ-17).

12. ასევე, უსაფუძვლოა პროკურორის მითითება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 7 მარტის განჩინების გაუქმების შესახებ. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ ბრალდების მხარემ ვერ დაასაბუთა, თუ რა საპატიო მიზეზით ვერ წარადგინა საკასაციო საჩივარში აღნიშნული მტკიცებულებები საქმის არსებითი განხილვის ეტაპამდე, მტკიცებულებათა დასაშვებობის სტადიაზე – წინასასამართლო სხდომაზე.

13. რაც შეეხება საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3

ნაწილით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს, საქმის მასალათა შესწავლის შედეგად ზემომითითებული გარემოებები არ გამოკვეთილა. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი, ვინაიდან კასატორის მიერ მითითებული საფუძვლები არ შეესაბამება საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ არც ერთ წინა პირობას.

14. საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3, მე-3^ა, მე-3^ბ, მე-4 ნაწილების შესაბამისად, საკასაციო პალატამ

და ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის პროკურატურის საგამოძიები ნაწილის პროკურორ ლაშა კოტრიკაძის საკასაციო საჩივარი არ იქნეს დაშვებული განსახილველად.

2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ს ხ ლ ი თ

№401აპ-17

27 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

ნ. გვენეტაძე,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე შეამონმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 24 მაისის განაჩენზე მსჯავრდებულ ი. ვ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. შ-ისა და მსჯავრდებულ ჯ. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ხ-ის საკასაციო საჩივრების დასაშვებობის საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 24 აგვისტოს განაჩენით ცნობილ

იქნენ დამნაშავეებად და მიესაჯათ: ჯ. მ-ს, – ნასამართლობის არმქონეს, – საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – 6 წლით, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და ჯ. მ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა; ი. ვ-ს, ნასამართლევს, – საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (ა. ბ-ისა და მ. ნ-ის ეპიზოდები) – 7-7 წლით, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 14 მაისისა და 20 მაისის ეპიზოდები) – 1-1 წლითა და 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (ა. ბ-ის ეპიზოდი) შეფარდებულმა სასჯელმა შთანთქა დანარჩენი სასჯელები და ი. ვ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა; გ. კ-ს, – ნასამართლობის არმქონეს, – საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (ა. ბ-ისა და მ. ნ-ის ეპიზოდები) – 8-8 წლით, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (ა. ბ-ის ეპიზოდი) შეფარდებულმა სასჯელმა შთანთქა დანარჩენი სასჯელები და გ. კ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა; მ. ხ-ს, ნასამართლობის არმქონეს, – საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (ა. ბ-ისა და მ. ნ-ის ეპიზოდები) – 6-6 წლით, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 14 მაისის, 20 მაისისა და 12 ივნისის ეპიზოდები) – 1-1 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (ა. ბ-ის ეპიზოდი) შეფარდებულმა სასჯელმა შთანთქა დანარჩენი სასჯელები და მ. ხ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულებს – ჯ. მ-ს, გ. კ-სა და მ. ხ-ს სასჯელის მოხდა დაეწყოს 2016 წლის 24 აგვისტოდან, ხოლო მსჯავრდებულ ი. ვ-ს – 2015 წლის 10 დეკემბრიდან. გაუქმდა მ. ხ-ის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული გირაო და გირაოს თანხა განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში დაუბრუნდა მის შემტანს. ა. ბ-ის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნუ-

ლების მიწის ნაკვეთზე (მდებარე ...-ში, სოფელ დ-ში, -ის ქ. №-ში, საკადასტრო კოდი –), ასევე ნ. ა-ის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე (მდებარე ...-ში, სოფელ დ-ში, ...-ში, საკადასტრო კოდი –), ც. ჭ-ასა და კ. კ-ას სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე (მდებარე ...-ში, სოფელ დ-ში, ...-ში, საკადასტრო კოდი) დადებული ყადაღა მოიხსნა.

2. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ჯ. მ-მა, ი. ვ-მა და მ. ხ-მა ჩაიდინეს თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დიდი ოდენობით სხვისი ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ასევე – ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით, ხოლო გ. კ-მა – თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დიდი ოდენობით სხვისი ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ასევე – ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება, რაც გამოიხატა შემდეგში:

- გ. კ-მა, ჯ. მ-მა, მ. ხ-მა და ი. ვ-მა განიზრახეს ყალბი მინდობილობის დამზადებისა და გამოყენების საშუალებით ა. ბ-ის კუთვნილ უძრავ ქონებაზე ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით. მ. ხ-ის მიერ ყალბი მინდობილობის დასამზადებლად საჭირო მონაცემების მოპოვების შემდეგ, წინასწარ შეთანხმებული სქემის საფუძველზე, 2015 წლის 14 მაისს მ. ხ-ი და ი. ვ-ი მივიდნენ ...-ში, ...-ის ქ. №-ში მდებარე ქ. ხ-ის სანოტარო ბიუროში, სადაც ნოტარიუსს პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის გამოყენებით დაუკავშირდა ჯ. მ-ი და განუცხადა, რომ ვითომ იყო ბინის რეალური მესაკუთრე ა. ბ-ე და გ. კ-ზე ონლაინ რეჟიმში გასცა მინდობილობა, რომლის თანახმად, თითქოსდა, ა. ბ-ე გ. კ-ს ანდობდა კუთვნილი, ...-ში, სოფელ დ-ში, ...-ის ქ. №-ში მდებარე 1500 კვ/მ უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის უფლებას. მ. ხ-მა და ი. ვ-მა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ნოტარიუსის წინაშე დაადასტურეს, რომ პირი, ვისთანაც პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მოხდა ვიზუალური კონტაქტის დამყარება, ნამდვილად იყო ა. ბ-ე, თუმცა სინამდვილეში იგი იყო ჯ. მ-ი. აღნიშნული დადასტურება კი გახდა ნოტარიუსის მიერ №... მინდობილობის ნოტარიულად დამონმების საფუძველი. ხსენებულ ყალბ მინდობილობას ა. ბ-ის სახელით, როგორც ვითომდა ხელმოწერაზე მისი ნდობით აღჭურვილმა პირმა, ხელი მოაწერა მ. ხ-მა, ასევე მონმის სახით ყალბად დაადასტურა ი. ვ-მა.

- ა. ბ-ის ბინაზე ქონებრივი უფლების მოტყუებით მოპოვე-

ბის შემდეგ გ. კ-მა, დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებთან შეთანხმებით, 2015 წლის 14 მაისის №... ყალბი მინდობილობა 2015 წლის 15 მაისს წარადგინა ...-ში, ...-ის გამზირის №...-ში მდებარე ოფისში, რომლის საფუძველზეც, ვითომდა ა. ბ-ის ნდობით აღჭურვილმა პირმა, სინამდვილეში კი ა. ბ-ისაგან მალულად, მისი კუთვნილი სახლისა და მიწის ნაკვეთის იპოთეკით დატვირთვის სანაცვლოდ, შპს „მ-ისაგან“ სესხის სახით აიღო 21000 აშშ დოლარი.

- ა. ბ-ის კუთვნილი უძრავი ქონების უზრუნველყოფით მეტი თანხის მიღების მიზნით, ვინაიდან სესხის გამცემმა ფირმამ მოითხოვა თანამსესხებელი, გ. კ-ის თხოვნით, 2015 წლის 20 მაისს ნოტარიუსმა ქ. ხ-მა ნოტარიული წესით დაამოწმა პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული რწმუნებულება №..., თუმცა რეალურად ნოტარიუსს პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის გამოყენებით არავინ დაკავშირებია. მინდობილობის თანახმად, თითქოს ა. ბ-ე ამჯერად ვ. მ-ს ანდობდა კუთვნილი, ...-ში, სოფელ დ-ში, ...-ის ქ. №-ში მდებარე 1500 კვ/მ უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის უფლებას. ხსენებული ყალბი მინდობილობის სინამდვილე ხელმოწერით დაადასტურეს კვლავაც მ. ხ-მა და ი. ვ-მა. აღნიშნული ყალბი მინდობილობის საფუძველზე ვ. მ-მა 2015 წლის 27 მაისს თბილისში, ...-ის გამზ. №...-ში, ა. ბ-ის კუთვნილი უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის სანაცვლოდ შპს „მ-ასაგან“ სესხის სახით აიღო 9000 აშშ დოლარი, ხოლო 2015 წლის 27 მაისს – 2500 აშშ დოლარი.

- ა. ბ-ის სახელით ზემოაღნიშნული ყალბი დოკუმენტების – ორი მინდობილობისა და სამი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებისა და გამოყენების თაობაზე თავად ა. ბ-ისათვის ცნობილი გახდა თბილისის სააღსრულებო ბიუროს თანამშრომლებისაგან.

- გ. კ-ის, ი. ვ-ის, მ. ხ-ისა და ჯ. მ-ის დანაშაულებრივი ქმედებით ა. ბ-ეს მიადგა დაახლოებით 480000 ლარის დიდი ოდენობის ქონებრივი ზიანი.

- გარდა აღნიშნულისა, გ. კ-მა, მ. ხ-მა და ი. ვ-მა გამოძიებით დაუდგენელ ვინმე „ნ-ასთან“ ერთად განიზრახეს ყალბი მინდობილობის დამზადებისა და გამოყენების საშუალებით მ. ნ-იძის კუთვნილ უძრავ ქონებაზე ქონებრივი უფლების მიღება მოცულებით. ყალბი მინდობილობის დასამზადებლად საჭირო მონაცემების მოპოვების შემდეგ, წინასწარ შეთანხმებული სქემის საფუძველზე, 2015 წლის 12 ივნისს გ. კ-ი, მ. ხ-ი და ი. ვ-ი მივიდნენ ...-ში, ...-ის ქ. №-ში მდებარე ქ. ხ-ის სანოტარო ბიურო-

ში, სადაც ნოტარიუსს პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის გამოყენებით დაუკავშირდა დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი – ვინმე „ნ-ა“, რომელმაც ნოტარიუსს განუცხადა, რომ ვითომ იყო ბინის რეალური მესაკუთრე მ. ნ-ე და ი. ვ-ზე ონლაინ რეჟიმში გასცა მინდობილობა, რომლის თანახმად, თითქოსდა, მ. ნ-ე ამ უკანასკნელს ანდობდა მისი კუთვნილი, ...-ში, სოფელ ...-ში მდებარე 1700 კვ/მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი – ...) მართვისა და განკარგვის უფლებას. მ. ხ-მა და გ. კ-მა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ნოტარიუსის წინაშე დაადასტურეს, რომ პირი, ვისთანაც პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მოხდა ვიზუალური კონტაქტის დამყარება, ნამდვილად იყო მ. ნ-ე, თუმცა სინამდვილეში იყო ვინმე „ნ-ა“. აღნიშნული კი გახდა ნოტარიუსის მიერ №... მინდობილობის ნოტარიულად დამონშემების საფუძველი. ხსენებულ ყალბ მინდობილობას მ. ნ-ის სახელით, როგორც ვითომდა ხელმონწერაზე მისი ნდობით აღჭურვილმა პირმა, ხელი მოაწერა მ. ხ-მა, ხოლო მონშის სახით ყალბად დაადასტურა გ. კ-მა.

- მ. ნ-ის ბინაზე ქონებრივი უფლებების მოტყუებით მოპოვების შემდეგ ი. ვ-მა, დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებთან შეთანხმებით, 2015 წლის 12 ივლისის №... ყალბი მინდობილობა 2015 წლის 7 ივლისს წარადგინა თ-ში, ლ-ის ქ. №...-ში მდებარე ე. შ-ის სანოტარო ბიუროში, რომლის საფუძველზე, როგორც ვითომდა მ. ნ-ის ნდობით აღჭურვილმა პირმა, მ. ნ-ისაგან მალულად მისი კუთვნილი უძრავი ქონება გაასხვისა ნ. ა-ზე.

- გ. კ-ის, ი. ვ-ისა და მ. ხ-ის დანაშაულებრივი ქმედებით მ. ნ-ეს მიადგა დაახლოებით 408000 ლარის დიდი ოდენობის ქონებრივი ზიანი.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 24 მაისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 24 აგვისტოს განაჩენი შეიცვალა: გ. კ-ს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (ა. ბ-ისა და მ. ნ-ის ეპიზოდები) მიესაჯა 7-7 წლით, ხოლო 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (ა. ბ-ის ეპიზოდი) დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა დანარჩენი სასჯელები და დანაშაულთა ერთობლიობით გ. კ-ს საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართ-

თლის საქმეთა პალატის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების – ი. ვ-ისა და ჯ. მ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – ი. შ-ემ და დ. ხ-მა, კერძოდ:

მსჯავრდებულ ი. ვ-ის ადვოკატმა ი. შ-ემ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 24 მაისის განაჩენში ცვლილების შეტანა და საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ი. ვ-ისათვის განსაზღვრული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლა იმ მოტივით, რომ მან დაკავებისთანავე აღიარა დანაშაული; უდავოდ გახადა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები; დაასახელა თანამონაწილეები; ითანამშრომლა გამოძიებასთან; დაზარალებულ ა. ბ-ეს დაუბრუნდა კუთვნილი ქონება, ხოლო დაზარალებულ მ. ნ-ეს მის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია.

მსჯავრდებულ ჯ. მ-ის ადვოკატი დ. ხ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და ითხოვს ჯ. მ-ის ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 25-ე, 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 25-ე, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მისთვის პირობითი მსჯავრის განსაზღვრას იმ მოტივით, რომ ჯ. მ-ი მხოლოდ დაეხმარა გ. კ-ს ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებასა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან კრედიტის უკანონოდ მიღებაში; შესაბამისად, ჯ. მ-ი მოქმედებდა გ. კ-ის განზრახვის შესაბამისად.

5. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორი ირაკლი მინაშვილი შესაგებლებით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვებას.

6. საკასაციო პალატამ შეისწავლა საკასაციო საჩივრები და დაასკვნა, რომ ისინი არ აკმაყოფილებს საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად, კერძოდ:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილი ამომწურავად იძლევა იმ საფუძველთა ჩამონათვალს, რომელთა არსებობის შემთხვევაში საკასაციო საჩივარი დასაშვებად ჩაითვლება, ასეთებია:

ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;

გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქ-

მეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;

ზ) კასატორი არასრულწლოვანი მსჯავრდებულია.

7. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება არც ერთი ზემოაღნიშნული საფუძველი, ვინაიდან წარმოდგენილი საჩივრებისა და საქმის შესწავლის შედეგად არ არსებობს გარემოება, რის გამოც მოცემულ საქმეს არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა სამართლის განვითარების ან მსგავს საქმეებზე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

8. კასატორები ვერ უთითებენ ისეთ სამართლებრივ პრობლემაზე, რომელიც საჭიროებს საკასაციო პალატის განმარტებას.

9. პალატა მიუთითებს, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას; აღნიშნული უფლება ზედა ინსტანციის სასამართლოებს საშუალებას აძლევს, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (*Hirvisaari v. Finland*, §32). მოკლე მსჯელობა საჩივრის დაუმკვებლად ცნობის შესახებ – ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება, არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (*Gorou* (No. 2), §§38-42).

10. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და წარმოდგენილი მტკიცებულებები სრულყოფილად, ობიექტურად და სამართლებრივად სწორად შეაფასა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თაღლითობის, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ობიექტური შემადგენლობის სავალ-

დებულო ნიშანია მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ქონების დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით. მართლსაწინააღმდეგობა გულისხმობს, რომ პირი არ არის კანონიერი მფლობელი და იგი ქონებას ეუფლება ან ქონებრივ უფლებას იღებს უკანონოდ. აღნიშნული დანაშაული შედეგიანი დელიქტია და დამთავრებულია სხვისი ნივთის დაუფლების ან ქონებრივი უფლების მიღების მომენტიდან. თაღლითობის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება, რა დროსაც დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ თაღლითობით იგი მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება სხვის ქონებას, რითაც ზიანს აყენებს მესაკუთრეს და სურს ამ შედეგის დადგომა. ქმედების განხორციელებისას დამნაშავეს უნდა ამოძრავებდეს ანგარების მოტივი და მიზანი.

11. პალატა არ იზიარებს ადვოკატ დ. ხ-ის მოსაზრებას, რომ ჯ. მ-მა ჩაიდინა არა თაღლითობა, არამედ – კრედიტის უკანონო მიღებაში დახმარება. საქართველოს სსკ-ის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ბანკის ან სხვა კრედიტორისათვის ყალბი ცნობის მიწოდებაში კრედიტის მიღების მიზნით. ასეთ შემთხვევაში კრედიტორისათვის მიწოდებული ინფორმაცია შეგნებულად არის დამახინჯებული და არ ასახავს მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ობიექტურ სურათს. მოცემულ შემთხვევაში ჯ. მ-მა, თანამზრახველებთან ერთად, ნოტარიუსის მოტყუებით ოფიციალური დოკუმენტი გააყალბა და სხვის უძრავ ქონებაზე ქონებრივი უფლება მიიღო მოტყუებით.

12. ამრიგად, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობით უტყუარადაა დადგენილი მსჯავრდებულ ჯ. მ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, ასევე – სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენა.

13. რაც შეეხება სასჯელს, საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს,

ხერხსა და მართლსაინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, ანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

14. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ადვოკატ დ. ხ-ის მოთხოვნას მსჯავრდებულ ჯ. მ-ისათვის პირობითი მსჯავრის განსაზღვრის, ხოლო ადვოკატ ი. შ-ის მოთხოვნას – მსჯავრდებულ ი. ვ-ისათვის საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით სასჯელის შემსუბუქების შესახებ, შემდეგ გარემოებათა გამო: მსჯავრდებულებმა პირდაპირი განზრახვით, ანგარების მოტივით, ხოლო მსჯავრდებულმა ი. ვ-მა – დროის მცირე ინტერვალით ჩაიდინეს ფაქტობრივად ანალოგიური ხასიათის მძიმე და ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულები და მათმა ქმედებებმა გამოიწვიეს დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ი. ვ-სა და ჯ. მ-ს სასჯელის სახით უნდა განესაზღვროთ თავისუფლების აღკვეთა რეალურად მოსახდელად, რაც სრულად უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნის (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეის რესოციალიზაცია) განხორციელებას.

15. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 და მე-3¹ ნაწილებით გათვალისწინებული არც ერთი მოთხოვნა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

16. საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3, მე-3², მე-3³, მე-4 ნაწილების შესაბამისად, საკასაციო პალატამ

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ი. ვ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. შ-ისა და მსჯავრდებულ ჯ. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ხ-ის საკასაციო საჩივრები არ იქნეს დაშვებული განსახილველად.

2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. საკასაციო განაჩენი

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო სასამართლო

№19აპ-17

4 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ ლ. გ-ის ინტერესების დამცველის,
ადვოკატ თ. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო
სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის
25 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-
მეთა კოლეგიის 2016 წლის 16 მაისის განაჩენით ლ. გ., – დაბადე-
ბული – წლის -ს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნა-
შავედ საქართველოს სსკ-ის 238-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა
ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა, რითაც შექმნა პი-
რობა მისი სხვა პირის მიერ გამოყენებისათვის, რამაც გამოიწვია
ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და რაც გამოიხატა შემდეგში:

2. 2012 წლის 28 ივნისს ლ. გ-მა შეიძინა „მაკაროვის“ სისტე-
მის PX 6002 ჟ პისტოლეტი, რომელზეც გაიცა შენახვის ნებარ-
თვა (...). აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის ადგი-
ლად მიეთითა ლ. გ-ის რეგისტრაციის მისამართი – თ., დ. ა-ის
გამზირის №-. ლ. გ-მა შენახვის უფლებით შექმნილი „მაკარო-
ვის“ სისტემის იარაღი მიიტანა თ-ში, მე-... მასივში, ზ. პ-ს მე-...
კორპუსის – ...-ე ბინაში, სადაც ფაქტობრივად ცხოვრობდა მე-
უღლესთან – ნ. ნ-თან ერთად. ლ. გ-მა ვერ უზრუნველყო იარა-
ღის უსაფრთხო შენახვა, დაარღვია მისი შენახვის წესი და ცეც-
ხლსასროლი იარაღი საძინებელ ოთახში არსებული წიგნების კა-
რადის თავზე შეინახა, რითაც შექმნა ნ. ნ-ის მიერ ცეცხლსას-
როლი იარაღის თავისუფლად გამოყენების პირობა. ნ. ნ-ემ იცო-
და იარაღის შენახვის ადგილი, დაეუფლა მას, რის შემდეგაც 2014

წლის 11 დეკემბერს თ-ში, ...-ის ...-ზე მდებარე შპს „...“ ადმინისტრაციულ შენობაში, ლ. გ-ის სახელზე რეგისტრირებული „მაკაროვის“ სისტემის PX 6002 Ф პისტოლეტიდან გასროლით ჩაიდინა ა. გ-ის განზრახ მკვლელობა.

3. აღნიშნული ქმედებისათვის ლ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 238-ე მუხლით განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარი.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა თ. მ.. მან ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 16 მაისის განაჩენის გაუქმება და ლ. გ-ის გამართლება.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 ნოემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველის სააპელაციო საჩივარი და გასაჩივრებული განაჩენი ლ. გ-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

6. კასატორი – ადვოკატი თ. მ. საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ საქმის მასალებით არ არის დადგენილი, თუ სად, ვისთან და რა პირობებში ინახებოდა ლ. გ-ის სახელზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი, ასევე დაუდგენელია, თუ ვინ, სად და რა ვითარებაში დაეუფლა ლ. გ-ის იარაღს. ვიდრე არ დადგინდება, ლ. გ. სად, როგორ ინახავდა და რა ვითარებაში დაეუფლა 6. ნ. იარაღს, იქამდე ლ. გ-ის მიმართ ბრალად შეარაცხული ქმედება გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით არ არის დადასტურებული. შესაბამისად, განაჩენი ეყრდნობა ვარაუდით გამოტანილ დასკვნებს, ყოველგვარი ეჭვი კი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი თ. მ. ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 ნოემბრის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და ლ. გ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

7. სასამართლო სხდომაზე მსჯავრდებულმა ლ. გ-მა და ადვოკატმა თ. მ-მა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და ითხოვეს ლ. გ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

8. პროკურორმა გია შაიშმელაშვილმა მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა ლ. გ-ის მიმართ სისხლის

სამართლის საქმის მასალები, შეამონმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოუსმინა მხარეებს და მიაჩნია, რომ აღნიშნული საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს და ის შეიცვალოს გამამართლებელი განაჩენით შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენში წარმოდგენილ დასკვნას მსჯავრდებულ ლ. გ-ის ბრალეულობის თაობაზე, რადგან ეს დასკვნა სასამართლომ გამოიტანა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილით, იმავე კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილითა და 82-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ მოთხოვნათა დაუცველად.

3. ლ. გ-ის ბრალდების შესახებ პროკურორის დადგენილებითა და გასაჩივრებული განაჩენით სარწმუნოდ მიჩნეული ვერსიის მიხედვით, მსჯავრდებულმა დაარღვია მის სახელზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღის – „MAKAROV-ის“ სისტემის №PX 600 Ф პისტოლეტის შენახვის წესები, რითაც შექმნა მისი მეუღლის – ნ. ნ-ის მიერ აღნიშნული იარაღის თავისუფლად გამოყენების პირობა, რომლითაც მან ჩაიდინა განზრახ მკვლელობა.

4. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ლ. გ-ის მიმართ წარდგენილი ბრალი არ არის დადასტურებული გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის შესაბამისად, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას, სასამართლო გამოძიების დროს გამოკვლეული უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობით, რასაც ითხოვს ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები. მოცემულ შემთხვევაში, ამ ნორმებით გათვალისწინებული ფუნდამენტური მნიშვნელობის პრინციპებით დადგენილ მოთხოვნათა უზრუნველყოფისათვის საჭირო მტკიცებულებები ბრალდების მხარემ ვერ წარადგინა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის არსებობის აღიარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმის დადგენას, დაარღვია თუ არა ბრალეულმა პირმა მასზე რიცხული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და უსაფრთხოების ის წესები და პირობები, რაც დადგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

5. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემ-

დეგი: ლ. გ. მასზე რიცხულ ცეცხლსასროლ იარაღს ინახავდა არა მისი ოფიციალური რეგისტრაციის ადგილზე, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თ., ...-ის გამზირის №... და რომელზედაც ასევე მითითებული იყო ცეცხლსასროლი იარაღის შექმნისა და შენახვის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში, არამედ მის ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილზე: თ-ში, ვ-ის – მასივი, ზ. პ., კორპუსი ..., ბინა №...-ში. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ამ გარემოებას სასამართლოში გამოკვლეული არც ერთი მტკიცებულება არ ადასტურებს, რის გამოც გვრჩება მხოლოდ ვარაუდი – რადგან მსჯავრდებული ფაქტობრივად აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობდა, მაშასადამე, ცეცხლსასროლ იარაღსაც იქ ინახავდა. მოქმედი კანონმდებლობით, პირი, რომელიც სათანადო ნებართვით ფლობს ცეცხლსასროლ იარაღს, მოვალეა, მას ინახავდეს სწორედ იმ მისამართზე, რომელიც ნებართვაშია მითითებული. სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენში უთითებს, რომ ლ. გ-მა მასზე რიცხული ცეცხლსასროლი იარაღი ნებართვაში მითითებული ოფიციალური რეგისტრაციის ადგილიდან ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილზე წაიღო და იქ შეინახა, მაგრამ საქმეში ამ ვერსიის დამადასტურებელი არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება არ არსებობს, რის გამოც არ არის უარყოფილი კანონიერი საფუძვლით დაცვის მხარის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ლ. გ-ი მასზე რიცხულ ცეცხლსასროლ იარაღს სწორედ მისი ოფიციალური რეგისტრაციის ადგილზე ინახავდა, ამასთან, შენახვის წესების სრული დაცვით, და არა – სადმე სხვაგან.

6. უდავოა, მოცემული საქმისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულ ლ. გ-ზე რიცხული ცეცხლსასროლი იარაღი აღმოჩნდა მისი მეუღლის – ნ. ნ-ის ხელში, რომლითაც მან მკვლელობა ჩაიდინა. აღნიშნული ფაქტი ბრალდების მხარემაც და სააპელაციო სასამართლომაც საკმარისად ჩათვალეს იმის დასადასტურებლად, რომ ლ. გ-ს დარღვეული ჰქონდა აღნიშნული იარაღის შენახვის წესები, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ფორმალური ლოგიკის მიხედვით, ეს იარაღი ნ. ნ-ს ვერ უნდა მოეპოვებინა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ საქმეში არსებობს განაჩენი განზრახ მკვლელობასთან (საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლი) ერთად ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ფლობის გამო (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები) ნ. ნ-ის მსჯავრდების შესახებ, რომლითაც დადგენილადაა მიჩნეული, რომ მას ეს იარაღი მართლსაწინააღმდეგოდ ჰქონდა შექმნილი. თუმცა, იმავე განაჩენის მიხედვით, არ არის გარკვეული, ნ. ნ-ემ როდის, სად, რა ვითარებაში და რა გზით შეიძინა ის ცეცხლსასროლი

იარაღი, რომლითაც მან მკვლელობა ჩაიდინა და რომელიც მისი მეუღლის – ლ. გ-ის სახელზე იყო რეგისტრირებული. აღსანიშნავია, რომ ეს გარემოება ლ. გ-ის მსჯავრდების განაჩენითაც არ არის გარკვეული.

7. საკასაციო პალატა იზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სავესებით შესაძლებელია ცეცხლსასროლი იარაღი მის კანონიერ მფლობელს დადგენილი წესების სრული დაცვით ჰქონდეს შენახული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სხვა პირი, მათ შორის – ოჯახის წევრი მაინც დაეუფლოს და გამოიყენოს იგი მართლსაწინააღმდეგოდ. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნორმალური ოჯახური ურთიერთობებისას ერთ-ერთი მეუღლის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის კანონიერი ფლობა ვერ დარჩება დაფარული მეორე მეუღლისათვის და მას ეცოდინება ოჯახში იარაღის არსებობისა და მისი სავარაუდო ადგილსამყოფლის, ანუ შენახვის ადგილის შესახებაც. ეს გარემოება კი ქმნის იმის აუცილებელ შესაძლებლობას, რომ იგი დაეუფლოს და გამოიყენოს აღნიშნული იარაღი მართლსაწინააღმდეგო გზით. მსგავს შემთხვევაში შესაძლებელია, არსებობდეს მხოლოდ იმის გარანტია, რომ ოჯახში არსებული ცეცხლსასროლი იარაღი თვითნებურად არ მოხვდეს ოჯახის არასრულწლოვანი წევრების ან გარეშე პირების ხელში.

8. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის დასკვნით, იმ პირობებში, როდესაც საქმეზე ჩატარებული სასამართლო გამოძიების შედეგებით არ არის გარკვეული და დადგენილი, როდის, როგორ და რა გზით მოიპოვა ნ. ნ-ემ მეუღლის – ლ. გ-ის კანონიერ მფლობელობაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღი, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ეს იარაღი ნ. ნ-ის ხელში აღმოჩნდა, არ არის საკმარისი იმ ვერსიის დადასტურებულად მიჩნევისათვის, რომ მსჯავრდებულმა ლ. გ-მა დაარღვია აღნიშნული იარაღის შენახვის წესები, რითაც მან შექმნა შესაძლებლობა, იგი ხელმისაწვდომი გამხდარიყო ნ. ნ-თვის, რომლითაც მან მკვლელობა ჩაიდინა.

9. ამრიგად, ლ. გ-ის მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის წესების ისეთი დარღვევის შერაცხვისათვის, რამაც შედეგად გამოიწვია ამ იარაღის მისი მეუღლის – ნ. ნ-ის ხელში მოხვედრა და მკვლელობის ჩასადენად გამოყენება, საჭიროა სარწმუნო და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა, რასაც ითხოვს საქართველოს სსსკ-ით განსაზღვრული ფუნდამენტური პრინციპები პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად. განხილულ სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულებათა ასეთი ერთობლიობა, რაც შეიძლებოდა, რომ კანონიე-

რი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველი გამხდარიყო, არ მოიპოვება, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველგვარი დაუდასტურებელი ეჭვი, „in dubio pro reo-ს“ პრინციპის შესაბამისად, უნდა გადანყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

10. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 ნოემბრის განაჩენი ლ. გ-ის მსჯავრდების შესახებ უნდა გაუქმდეს, იგი ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 238-ე მუხლის საფუძველზე შერაცხულ ბრალდებაში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ლ. გ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 ნოემბრის განაჩენი გაუქმდეს.
3. ლ. გ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 238-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში.
4. ლ. გ-ს განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.
5. საქმეზე არსებული ნივთმტკიცება – „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი (ინახება თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს პირველ განყოფილებაში) დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს.
6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და სისხლის
სამართლის საქმის შეწყვეტა**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№33აპ-17

22 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი**

განიხილა მსჯავრდებულ ე. ქ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 მარტის განაჩენით ე. ქ-ა, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (1961 წლის რედაქცია) და მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

2. საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ე. ქ-ა გათავისუფლდა დანიშნული სასჯელის – 6 თვით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან.

3. განაჩენით მსჯავრდებულ ე. ქ-ს მსჯავრი დაედო დაუდევრობაში, ე.ი. სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობაში მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სახელმწიფოსა და ცალკეულ მოქალაქეთა კანონიერ ინტერესებს, კერძოდ:

4. ე. ქ-მ, რომელიც 1997 წლისდან 1999 წლისდე მუშაობდა ქ.თბილისის ... პროკურატურის გამომძიებლის თანამდებობაზე და იყო თანამდებობის პირი, აღნიშნული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და პროკურატურის სხვა ორგანოში გადასვლის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ვალდებული იყო, გადაებარებინა მის წარმოებაში არსებული, ქ. თბილისის ... რაიონულ პროკურატურაზე რიცხული სისხლის სამართლის საქმეები და წინასაგამომძიებო შემონმების მასალები, არ შეასრულა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო და რაიონული პროკურატურის კან-

ცელარიას არ ჩააბარა და დაკარგა მის წარმოებაში არსებული შემოწმების 11 მასალა: 1. მ. შ-ს სიკვდილის ფაქტზე; 2. კ. ბ-ს სიკვდილის ფაქტზე; 3. გ. ხ-ს სიკვდილის ფაქტზე; 4. ჯ. ხ-ს სიკვდილის ფაქტზე; 5. გ. ლ-ს სიკვდილის ფაქტზე; 6. ტ. გ-ს სიკვდილის ფაქტზე; 7. ვ. კ-ს სიკვდილის ფაქტზე; 8. ვ. გ-ს თვითმკვლელობის ფაქტზე; 9. ჩ. ჩ-ს სიკვდილის ფაქტზე; 10. ა. ბ-ს სიკვდილის ფაქტზე; 11. ვ. შ-ს სიკვდილის ფაქტზე და სისხლის სამართლის 2 საქმე: 1. სისხლის სამართლის №... საქმე ზ. ე-ს ძე ბ-ს მიმართ, სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან თავის არიდების ფაქტზე; 2. სისხლის სამართლის №... საქმე 1997 წლის 24 დეკემბერს გამოძიებით დაუდგენელი პირის მიერ გ. გ-სა და ვ. ძ-თან ერთად ვ. მ-ს მკვლელობის ფაქტზე.

5. ე. ქ-ს მიერ აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს კანონიერ ინტერესებს.

6. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

7. მსჯავრდებული ე. ქ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ნოემბრის განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას შემდეგი საფუძვლებით: განაჩენი არის დაუსაბუთებელი და უკანონო, სასამართლომ სწორად არ შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მნიშვნელოვანი ფაქტები უგულვებლყო. ამასთან, დამახინჯებული და არასწორად ინტერპრეტირებულია მისი და მოწმე მ. შ-ს ჩვენებები. ბრალდების მხარემ სასამართლოზე არ წარმოადგინა მთავარი მოწმე ვ. ა-ა. მასალების გადაბარება მან მყისიერად ვერ შეძლო ობიექტური მიზეზების გამო, ... პროკურატურაში არყოფნის გამო, ხოლო სასამართლომ და პროკურატურამ არ დაადგინეს: რა დრო გავიდა მისი სხვა თანამდებობაზე გადასვლის მომენტიდან; რამ განაპირობა მისი სამსახურში არყოფნა; იყო თუ არა ეს გარემოება ობიექტური.

8. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა ე. ქ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას.

9. პროკურორმა ზაზა ქარქუსაშვილმა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ნოემბრის განაჩენის ძალაში დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, მოუსმინა მხარეებს და დააკენა, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს გენერალური პროკურორის – ჯ. ბ-ს 1997 წლის №... ბრძანებით ე. ქ-ა გათავისუფლდა ... რაიონის პროკურატურის გამომძიებლის თანამდებობიდან და დაინიშნა ქ. თბილისის ... რაიონის პროკურატურის გამომძიებლად.

3. საქართველოს გენერალური პროკურორის – ჯ. ბ-ს 1999 წლის №... ბრძანებით ე. ქ-ა გათავისუფლდა ქ.თბილისის ... რაიონის პროკურატურის გამომძიებლის თანამდებობიდან და დაინიშნა საქართველოს გენერალური პროკურატურის სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი სამმართველოს სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი განყოფილების პროკურორად.

4. 2005 წლის 22 ივნისის წერილის თანახმად, ქ.თბილისის ... რაიონულმა პროკურორმა დ. გ-მ საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის უფროსს აცნობა, რომ ჩ. ვ-ს ძე ჩ-ს ცეცხლსასროლი ჭრილობის შედეგად გარდაცვალების ფაქტზე შემონმება ჩაატარა რაიონული პროკურატურის ყოფილმა თანამშრომელმა ე. ქ-მ და მანვე გამოიტანა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო შემონმების მასალები ... რაიონულ პროკურატურაში ვერ მოიძიეს.

5. 2005 წლის 5 ივლისის წერილის თანახმად, ქ.თბილისის ... რაიონულმა პროკურორმა დ. გ-მ საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის უფროსს აცნობა, რომ სისხლის სამართლის №... საქმე ზ. ე-ს ძე ბ-ს მიმართ, სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან თავის არიდების ფაქტსა და სისხლის სამართლის №... საქმე ვ. მ-ს მკვლელობის ფაქტზე რეგისტრირებულია ... პროკურატურის კანცელარიის 1998 წლის ჟურნალში, თუმცა საქმეთა შემდგომი „მოძრაობა“ ჟურნალში არ ფიქსირდება და არც რაიონული პროკურატურის არქივში ინახება. ამასთან, 1999 წლის შემონმების მასალები მ. შ-ს, კ. ბ-ს, გ. ხ-ს, ჯ. ხ-ს, გ. ლ-ს, ტ. გ-ს, ვ. კ-ს, ვ. გ-ს, ა. ბ-სა და ვ. შ-ს გარდაცვალების ფაქტებზე რეგისტრირებულია 1999 წლის მასალების აღრიცხვის ჟურნალში, რომელშიც საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა და არქივში ჩაბარების შესახებ ჩანაწერი არ არსებობს, ხსენებული შემონმების მასალები თბილისის ... რაიონუ-

ლი პროკურატურის არქივში არ ინახება. საკანცელარიო ყურნალების შესაბამისი ჩანაწერების თანახმად, ზემოაღნიშნულ საქმეებზე გამოძიებას, ხოლო გარდაცვალების ფაქტებზე – შემომწმებას ატარებდა ყოფილი თანამშრომელი, ... რაიონის პროკურატურის გამომძიებელი ე. ქ-ა.

6. საქართველოს გენერალური პროკურატურის აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის – რ. გ-ს 2005 წლის 8 ივლისის წერილის თანახმად, სისხლის სამართლის №... და №... საქმეები, აგრეთვე შემომწმების მასალები მ. შ-ს, კ. ბ-ს, გ. ხ-ს, ჯ. ხ-ს, გ. ლ-ს, ტ. გ-ს, ვ. კ-ს, ვ. გ-ს, ა. ბ-ს, ვ. შ-სა და ჩ. ჩ-ს გარდაცვალების ფაქტებზე გენერალური პროკურატურის არქივში არ ინახება.

7. ქ. თბილისის ... რაიონული პროკურორის დ. გ-ს 2005 წლის 20 ივლისის წერილის თანახმად, თბილისის ... რაიონულ პროკურატურაში არ მოიპოვება: მონაცემები (ცნობები, აქტები) 1999 წლიდან 2005 წლის 20 ივლისამდე ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო შემომწმების მასალების (რომლებზეც მიღებულია გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ) თბილისის ან რაიონის არქივში გადაგზავნის შესახებ; ... რაიონის პროკურატურის გამომძიებელ ე. ქ-ს პროკურატურიდან გადასვლის გამო მისი მოხსენებითი ბარათი წარმოებში არსებული მასალებისა და სისხლის სამართლის საქმეების გადაბარების მოთხოვნით; ე. ქ-ს მიერ მის წარმოებაში არსებული სს საქმეებისა და მასალების გადაბარების ამსახველი აქტი ან რაიმე სხვა სახის დოკუმენტი.

8. ... რაიონული პროკურატურის 1998 წელს შეწყვეტილი და დამთავრებული საქმეების სიის თანახმად, სისხლის სამართლის №... საქმეზე ზ. ბ-ს მიმართ, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 81-ე მუხლის პირველი ნაწილით, გამოძიებას აწარმოებდა ე. ქ-ა. გამოძიება შეწყდა 20.12.1998 წელს, საქართველოს სსკ-ის მე-6 მუხლის თანახმად. 1978-1998 წლების ჩათვლით შეწყვეტილ სისხლის სამართლის საქმეებში სიაში, რომლებიც დამუშავდა საარქივო წესით და ინახებოდა ქ.თბილისის ... რაიონულ პროკურატურაში, არ ფიქსირდება ე. ქ-ზე რიცხული სისხლის სამართლის №... საქმე.

9. დოკუმენტის დათვალიერების შესახებ ოქმის თანახმად, 2005 წლის 8 სექტემბერს პროკურორ რ. ქ-ს მიერ დამსწრეების – ს. ჯ-სა და დ. ჩ-ს მონაწილეობით დათვალიერდა ქ.თბილისის ... რაიონულ პროკურატურაში რიცხული 1998 და 1999 წლების სისხლის სამართლის საქმეების აღრიცხვის ყურნალები და 1999-2000 წლების შემომწმების მასალების ყურნალი.

10. დათვალიერების შედეგად დადგინდა შემდეგი:

- ... რაიონის პროკურატურის 1998 წლის სისხლის სამართლის საქმეების აღრიცხვის ჟურნალის №... ჩანაწერის გასწვრივ დაფიქსირებულია სისხლის სამართლის საქმის ნომერი..., რომელიც 22.10.1998 წლიდან წარმოებაში ჰქონდა მ-ს. „ბ-ი ზ. ე-ს ძე თავს არიდებს ჯარში განვევას. ... ქ-ა“; სხვა სარეგისტრაციო ჩანაწერი შესრულებული არ არის.

- რაიონის პროკურატურის 1999 წლის სისხლის სამართლის საქმეების აღრიცხვის ჟურნალის №... ჩანაწერის გასწვრივ დაფიქსირებულია სისხლის სამართლის საქმის ნომერი .., რომელიც 14.01.99 წლიდან წარმოებაში ჰქონდა ე.ქ-ს. „1997 წ. 24 დეკემბერს გამოძიებით დაუდგენელმა პირმა გ.გ.გ-თან და ვ.ვ.ძ-თან ერთად ჩაიდინა მოქ. ვ. ლ-ს ძე მ-ს მკვლელობა. ... ქ-ა. ქ-ს სახელით შესრულებულია ხელმოწერა. საქმე ქ-ს არ ჩაუბარებია. ხელმოწერილია მ. შ-ს სახელით“; სხვა სარეგისტრაციო ჩანაწერი შესრულებული არ არის.

- ... რაიონის პროკურატურის 1999-2000 წლების შემოწმების მასალების აღრიცხვის ჟურნალის მიხედვით:

- ... ჩანაწერის გასწვრივ მიწერილია: „... შსს ... განყ. ... მ. ვ-ს ასული შ-ს გარდაცვალების ფაქტზე; ... ქ-ა. ქ-ს სახელით ხელმოწერილია“. სხვა სარეგისტრაციო ჩანაწერი შესრულებული არ არის;

- ... ჩანაწერის გასწვრივ მიწერილია: „... შსს ... განყ. ... კ. პ-ს ასული ბ-ს სიკვდილის ფაქტზე; ... ქ-ა. ქ-ს სახელით ხელმოწერილია“. სხვა სარეგისტრაციო ჩანაწერი შესრულებული არ არის;

- ... ჩანაწერის გასწვრივ მიწერილია: „... შსს ... ანყ. ... გ. ბ-ს ძე ხ-ს სიკვდილის ფაქტზე; ... ქ-ა. ქ-ს სახელით ხელმოწერილია“. სხვა სარეგისტრაციო ჩანაწერი შესრულებული არ არის;

- ... ჩანაწერის გასწვრივ მიწერილია: „... შსს ... განყ. ჯ. რ-ს ძე ხ-ს გარდაცვალების ფაქტზე; ... ქ-ა. ქ-ს სახელით ხელმოწერილია“. სხვა სარეგისტრაციო ჩანაწერი შესრულებული არ არის;

- ... ჩანაწერის გასწვრივ მიწერილია: „... შსს სამმართველოდან ... გ. ლ-ს სიკვდილის ფაქტზე; ... ქ-ა. ქ-ს სახელით ხელმოწერილია“. სხვა სარეგისტრაციო ჩანაწერი შესრულებული არ არის;

- ... ჩანაწერის გასწვრივ მიწერილია: „... შსს ... განყ. ... გ-ო ტ. ნ-ს ასულის სიკვდილის ფაქტზე; ... ქ-ა. ქ-ს სახელით ხელმოწერილია“. სხვა სარეგისტრაციო ჩანაწერი შესრულებული არ არის;

- ... ჩანაწერის გასწვრივ მიწერილია: „... შსს. ... ვ. ი-ს ძე კ-ს სიკვდილის ფაქტზე; ... ქ-ა. ქ-ს სახელით ხელმოწერილი ა. ქ-ს №... და №... მასალები არ ჩაუბარებია. მ. შ-ს სახელით ხელმოწე-

რილია“. სხვა სარეგისტრაციო ჩანაწერი შესრულებული არ არის;

- ... ჩანაწერის გასწვრივ მინერილია: „... შსს. ... ვ. თ-ს ძე გ-მ თავი მოიკლა ... ქ-ა. ქ-ს სახელით ხელმოწერილია. ქ-ს №... და №... მასალები არ ჩაუბარებია. მ. შ-ს სახელით ხელმოწერილია“.

სხვა სარეგისტრაციო ჩანაწერი შესრულებული არ არის;

- ... ჩანაწერის გასწვრივ მინერილია: „... იყო გ-ი ... ჩ. ვ-ს ძე ჩ-ს თვითმკვლელობის ფაქტზე; ... გ-ი. გ-ს სახელით ხელმოწერილია. ... ქ-ა. ქ-ს სახელით ხელმოწერილია. ქ-ს №... მასალა არ ჩაუბარებია. მ. შ-ს სახელით ხელმოწერილია“.

სხვა სარეგისტრაციო ჩანაწერი შესრულებული არ არის;

- ... ჩანაწერის გასწვრივ მინერილია: „... შსს ...განყ. ... ა. მ-ს ძე ბ-ს სიკვდილის ფაქტზე; ... ქ-ა. ქ-ს სახელით ხელმოწერილია. ქ-ს №... მასალა არ ჩაუბარებია. მ. შ-ს სახელით ხელმოწერილია“.

სხვა სარეგისტრაციო ჩანაწერი შესრულებული არ არის;

- ... ჩანაწერის გასწვრივ მინერილია: „... შსს...განყ. ... ვ. მ-ს ძე შ-ს სიკვდილის ფაქტზე; ... ქ-ა. ქ-ს სახელით ხელმოწერილია. ქ-ს №... მასალა არ ჩაუბარებია. მ. შ-ს სახელით ხელმოწერილია“.

სხვა სარეგისტრაციო ჩანაწერი შესრულებული არ არის.

11. დათვალიერების ოქმი შეესაბამება ოქმზე დართულ სარეგისტრაციო ჩანაწერების ქსეროასლებს. ჟურნალებში არსებული ჩანაწერების მიხედვით, ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმეები და შემომწმების მასალები კანცელარიას არ ჩაჰბარდა და უცნობია მათზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ.

12. ქ. თბილისის პროკურატურის 2005 წლის 12 სექტემბრის წერილის თანახმად, საქმეთა რეგისტრაციის ჟურნალების მიხედვით, 1998 წლიდან დღემდე სისხლის სამართლის №... და №... საქმეები, აგრეთვე შემომწმების მასალები მ. შ-ს, კ. ბ-ს, გ. ხ-ს, ჯ. ხ-ს, გ. ლ-ს, ტ. გ-ს, ვ. კ-ს, ვ. გ-ს, ა. ბ-ს, ვ. შ-სა და ჩ. ჩ-ს გარდაცვალების ფაქტებზე ქ. თბილისის პროკურატურაში არ შემოსულა.

13. 2005 წლის 30 ნოემბრის დადგენილებით შეწყდა წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №... საქმეზე ე. ქ-ს მიერ 1999 წლის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და პროკურატურის სხვა ორგანოში გადასვლის დროს მასზე რიცხული სისხლის სამართლის ორი საქმისა და თერთმეტი წინასაგამოძიებო შემომწმების მასალის დაკარგვის გამო, 1961 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის – დაუდევრობის ჩადენის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი სისხლისსამართლებრივი

პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შედეგად.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2006 წლის 21 ივნისის დადგენილების საფუძველზე დაკმაყოფილდა ე. ქ-ს საჩივარი, გაუქმდა 2005 წლის 30 ნოემბრის დადგენილება და საქმე დაუბრუნდა ... რაიონულ პროკურატურას.

15. 2006 წლის 18 აგვისტოს საქმე, საბრალდებო დასკვნით, განსახილველად წარიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

16. პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე დაკითხვისას მოწმე მ. შ-მ განმარტა, რომ 1977-2004 წლებში მუშაობდა ... რაიონის პროკურატურაში კანცელარიის უფროსად (გამგედ). გარკვეული პერიოდი, 1998-1999 წლამდე, გამომძიებლის თანამდებობაზე მუშაობდა ე. ქ-ს, ხოლო იმ პერიოდში რაიონის პროკურორი იყო ვ. ა-ს. მის კომპეტენციაში შედიოდა ფოსტის, სისხლის სამართლის საქმეებისა და შემონმების მასალების რეგისტრაცია ჟურნალში. 1999 წელს ე. ქ-ს გადავიდა სხვა სამსახურში ისე, რომ კანცელარიას არ ჩააბარა შემონმების 11 მასალა და სისხლის სამართლის 2 საქმე. დადგენილი პროცედურის შესაბამისად, სამსახურიდან წასვლისას თითოეულ საქმეზე ან მასალაზე უნდა დაწერილიყო მოხსენებითი ბარათი რაიონის პროკურორის სახელზე საქმეების სხვა თანამშრომლისათვის გადაცემის თხოვნით. პროკურორი დაადებდა რეზოლუციას, შემდეგ თვითონ გაატარებდა შესაბამის ჟურნალში და გადასცემდა სხვა თანამშრომელს, რასაც დაუდასტურებდნენ ხელმოწერით. მოწმემ კატეგორიულად დაადასტურა, რომ ე. ქ-ს არ შეუდგენია მოხსენებითი ბარათები 11 შემონმების მასალასა და 2 სისხლის სამართლის საქმეზე, შესაბამისად, არც მას ჩაუბარებია. ე. ქ-ს მიერ საქმეებისა და მასალების ჩაუბარებლობის თაობაზე საქმის კურსში ჩააყენა გ. ჯ-ს და ვ. ა-ს. მასალების ჩაბარებას სიტყვიერად მოითხოვდა უშუალოდ ე. ქ-სგანაც, 2-ჯერ მეზობელთან დაურეკა და ერთხელ სახლშიც მიაკითხა. ე. ქ-ს დაჰპირდა მასალების მიტანას. მანვე განმარტა, რომ ერთხელ ჩავიდა შენობის პირველ სართულზე მდებარე ე. ქ-ს ოთახში, რათა ენახა, ხომ არ იყო იქ ე. ქ-ს. ამ დროს ნახა, რომ მისი გვერდითა ოთახის კარი ღია იყო, რომელიც ეკუთვნოდა სამოქალაქო თავდაცვას. იქ ინახებოდა ფხვნილები და ქიმიური ნივთიერებები. ოთახის შუშები იყო დამტვრეული, ხოლო იატაკზე ეყარა ფხვნილები, ნარეცხი ქალაღები და ტაბელები. მანვე მიუთითა: „იატაკზე მე შევნიშნე ერთი მომართვა, ა-ს ხელით ეწერა – „ქ-ს“ და პოლიციის შტამპი. ეს იყო მასალები, რომ რა-

ლაცა დაენერა, მაგრამ რომელი, არ იკითხებოდა, ეს იყო დახეული და ძალიან ბინძურ მდგომარეობაში ... პოლიციის შტამში ვნახე“. შემდეგ იგი ავიდა მეორე სართულზე, სადაც დ. ჯ-საც უთხრა ამის შესახებ და ასევე მოახსენა რაიონის პროკურორ ვ. ა-ს, რაც ასევე გაიგო პროკურორის თანაშემწე თ. ა-მ, როდესაც იგი გამოდიოდა პროკურორის კაბინეტიდან. თ. ა-ე სიცილით ნა-ვიდა ა-სთან ოთახში და უთხრა: „წარმოგიდგენია, რას აკეთებს ქ-ა, მასალებს ხევსო“. თვითონ პროკურორის ოთახში არ შესულა, ერთი წამით შეიხედა და უთხრა, რომ ძირს ეყარა რაღაც მასალები. მოხსენებითი ბარათი წერილობითი ფორმით აღნიშნულთან დაკავშირებით მას არ დაუწერია, ვინაიდან ზეპირი განცხადება მიიჩნია საკმარისად, რადგან რა მასალა იყო, არ იცოდა. იქ იკითხებოდა მხოლოდ შტამში, აგრეთვე სიტყვები – „... რაიონის შინაგან“ და „ქ-ს“. მ. შ-მ დამატებით განმარტა, რომ საქმის ჩაბარების შემთხვევაში, ჩამბარებულ პირთან ერთად, მაშინვე შეჰქონდა ჟურნალში მონაცემები. 2004-2005 წლებში პროკურორმა მოსთხოვა ჩ. ჩ-ს გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებული შემონმების მასალები, რაზეც უპასუხა, რომ ხსენებული მასალები, სხვა მასალების მსგავსად, ეწერა ე. ქ-ს და არ ჰქონდა ჩაბარებული. მისთვის უცნობია, კონკრეტულად ვინ დაინტერესდა ჩ. ჩ-თან დაკავშირებული მასალებით, მაგრამ ვინაიდან ვ. ა-ა მისგან ითხოვდა მასალებს, სავარაუდოდ, მოითხოვეს გენერალურ ან ქალაქის პროკურატურაში. მოწმის ჩვენებით, შეწყვეტილ და შეჩერებულ სისხლის სამართლის საქმეებს ინახავდნენ გამოძიებლები, თუმცა ჟურნალში, შესაბამისი დადგენილების წარდგენის საფუძველზე, მას აკეთებინებდნენ ჩანაწერს ამის თაობაზე.

17. მოწმე ნ. გ-ს ჩვენებით, 1994-2005 წლებში მუშაობდა ... რაიონის პროკურატურაში პროკურორის თანაშემწედ. მისი განმარტებით, ჩ. ჩ-ს გარდაცვალების ფაქტზე დაათვალიერა შემთხვევის ადგილი და დანიშნა სამედიცინო ექსპერტიზა, ხოლო შემდეგ, პროკურორის რეზოლუციით, შემონმების მასალები შესასრულებლად გადაეცა ე. ქ-ს. ხსენებულ მასალასთან დაკავშირებით გამოძიებელს უნდა მიეღო სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან აღძვრაზე უარის თქმის დადგენილება. მისთვის უცნობია, რა სახის გადანყვეტილება მიიღო ე. ქ-მ. მოწმემ უარყო ის გარემოება, რომ თითქოსდა მასალის ე. ქ-თვის გადაცემა ატარებდა ფორმალურ ხასიათს. მოწმის ჩვენებით, ოპერატიულ თათბირებზე, რომლებსაც ესწრებოდა ყველა ოპერატიული თანამშრომელი, პროკურორი ვ. ა-ა კანცელარიის უფროსის – მ. შ-სგან ისმენდა ინფორმაციას გამოძიებელთა მიერ მასა-

ლებისა და საქმეების ჩაბარებისა და ჩაუბარებლობის მიზეზების თაობაზე. მოწმის ჩვენებით, მ. შ-ა ყველა ოპერატიულ თანამშრომელს ჯერ სიტყვიერად აფრთხილებდა, შემდგომ კი ჟურნალის წარდგენით ახსენებდა მასალების ჩაბარებისა და ვადების თაობაზე. მ. შ-ა შესაბამისი დადგენილების წარდგენის გარეშე არ აკეთებდა ჟურნალში სისხლის სამართლის საქმეებისა და შემონმების მასალების თაობაზე ჩანაწერს, თუ პირადად არ იხილავდა შესაბამის დადგენილებას (შეჩერების, შეწყვეტის, არაღძვრის და ა.შ.). მოწმის განმარტებით, შეჩერებული საქმეები ინახებოდა საქმის მწარმოებელ გამომძიებელთან, ხოლო შეწყვეტილი საქმეები ჰბარდებოდა კანცელარიას და შემდეგ გადაეცემოდა არქივს.

18. დ. ჯ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 1999 წელს იგი მუშაობდა ... რაიონულ პროკურატურაში მდივან-მემანქანის თანამდებობაზე. მუშაობის პერიოდში იმავე პროკურატურის კანცელარიის უფროსი – მ. შ-ა სისტემატურად ახსენებდა თანამშრომლებს მათზე რიცხული მასალების ჩაბარების თაობაზე. მ. შ-გან გადმოცემით იცის, რომ გამომძიებელი ე. ქ-ა არ აბარებდა საქმეებსა და მასალებს, რის გამოც კანცელარიის უფროსმა არაერთხელ მიმართა რაიონის პროკურორ ვ. ა-ს. როდესაც ე-ი უკვე დაინშნული იყო სხვა თანამდებობაზე, მ. შ-მ უთხრა, რომ ჩაჰყოლოდა პროკურატურის შენობის პირველ სართულზე, ე-ს სამუშაო ოთახში. ის და მ. ჩავიდნენ. თვითონ ოთახში ბოლომდე არ შესულა, კარიდან შეიხედა და მერე უკან გამობრუნდა. ოთახში იყო სიბინძურე, ეყარა ქაღალდები. ქაღალდები ეყარა როგორც ე-ს სამუშაო ოთახში, ისე მის გვერდითა ოთახშიც. ისინი იყო დახეული. იმ მომენტში, როცა ჩავიდა შენობის პირველ სართულზე, ე-ს ოთახის კარი ღია დახვდა, თუმცა კარი გატეხილი იყო თუ არა, არ იცის. გვერდით ოთახს კარი არ ჰქონდა. ადვოკატის შეკითხვაზე დ. ჯ-ი დაეთანხმა მის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებას, სადაც იგი უთითებდა, რომ ქაღალდების ნაწილი, რომელიც მან დაინახა ე. ქ-ს ყოფილ სამუშაო და ასევე მის გვერდით მდებარე ოთახში, დაბეჭდილი იყო მექანიკურ საბეჭდ მანქანაზე, ნაწილი ხელნაწერი, ნაწილი კი – ბლანკონი, რომლებზეც დაბეჭდილი იყო რაღაც ტექსტები. ვინაიდან იქ ეყარა უამრავი, მტვრიანი და დაბინძურებული ქაღალდი, მას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული საბუთები და მიმონერა იყო განადგურებული. ქაღალდები არ იყო დაკუჭული, უმეტესობა იყო შუაზე გადახეული. მოწმის განმარტებით, მ. შ-საგან იცის, რომ მან ამის შესახებ შეატყობინა ... რაიონის პროკურორს, მაგრამ რა რეაგირება მოჰყვა აღნიშნულს, მის-

თვის უცნობია.

19. მოწმე გ. ჯ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 1999 წელს მუშაობდა ... რაიონის პროკურორის მოადგილედ. პროკურატურის კანცელარიის უფროსი მ. შ-ა მუდმივად გამოთქვამდა უკმაყოფილებას, რომ გამომძიებელი ე. ქ-ა დროულად არ აბარებდა მასალებს, რის თაობაზეც ინფორმაციას აწვდიდა რაიონის პროკურორ ვ. ა-ს. ჩააბარა თუ არა მასალები და რა რეაგირება მოახდინა აღნიშნულზე ვ. ა-მ, მისთვის უცნობია. მას არ ახსოვს, შეატყობინა თუ არა მ. შ-მ პროკურატურის შენობის პირველ სართულზე, ოთახებში აღმოჩენილი არეულობის შესახებ, თუმცა დანამდვილებით იცის, რომ იგი პირველ სართულზე არ ჩასულა და თვითონ არაფერი უნახავს.

20. მოწმე თ. ა-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობდა ... რაიონული პროკურორის თანაშემწედ. მუშაობის პერიოდში კანცელარიის უფროსი მ. შ-ა ყველა ოპერატიულ თანამშრომელს, მათ შორის ე. ქ-ს, სისტემატურად ახსენებდა მათზე რიცხული შემონმების მასალებისა და საქმეების ჩაბარების თაობაზე. მანვე განმარტა, რომ არ ახსოვს დოკუმენტების განადგურების ან დახევის ფაქტი და შეატყობინა თუ არა აღნიშნულის შესახებ მ. შ-მ.

21. მსჯავრდებულ ე. ქ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 1997-1999 წლებში მუშაობდა თბილისის ... რაიონულ პროკურატურაში გამომძიებლის თანამდებობაზე. 1999 წლის იგი დაინიშნა საქართველოს გენერალური პროკურატურის სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი სამმართველოს პროკურორის თანამდებობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, იგი ვალდებული იყო, მის წარმოებაში არსებული შემონმების მასალები და სისხლის სამართლის საქმეები ჩაებარებინა, სხვა გამომძიებლისათვის გადაცემის მიზნით, მაგრამ ეს დროულად ვერ შეძლო ობიექტური მიზეზების გამო, რადგან მისი სხვა სამსახურში გადასვლა მოხდა მყისიერად და ამავდროულად იმ მომენტში ფიზიკურად არ იმყოფებოდა ... პროკურატურაში. როდესაც მ. შ-მ დაურეკა და შეთანხმდნენ, რომ უნდა მისულიყო და საქმეები გადაეხარებინა, მისვლამდე ... რაიონის პროკურორმა ვ. ა-მ დაურეკა და უთხრა, რომ მასთან იმყოფებოდა მ. შ-ა, რომლისგანაც შეიტყო, რომ დაბლა, პირველ სართულზე, მის სამუშაო ოთახსა და ასევე, მის გვერდით მდებარე ოთახში, მთელი მასალები იყო განადგურებული და სთხოვა მისვლა. როგორც შეიტყო, მისი კაბინეტი იყო გატეხილი, მასალები – მიყრილ-მოყრილი, ბევრი მათგანი იყო დამწვარი და დანაკუნებული, ხოლო მისი სამუშაო ოთახის გვერდით ოთახში ცეცხლი ყოფილა დან-

თებულის ამის შემდეგ ე. ქ-ა შეხვდა ვ. ა-ს, რომელმაც უთხრა, რომ კანონიერი ზომები უნდა მიეღო აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. ე. დაეთანხმა და უთხრა, რომ მზად იყო ჩვენების მისაცემად. რაიონის პროკურორი ვალდებული იყო, აღედგრა სისხლის სამართლის საქმე, თუმცა, რატომ არ მიიღო ზომები და არ მოახდინა რეაგირება, მისთვის უცნობია. მოგვიანებით, 2004 წელს, ერთ-ერთმა პირმა დაიბარა გენერალურ პროკურატურაში რალაც მასალასთან დაკავშირებით. იმავე წელს დაიბარა ვ. ა-მ და უთხრა, რომ ერთ მასალასთან დაკავშირებით არსებობდა პრობლემა, რომელსაც თვითონ მიხედავდა. ე-მ უსაყვედურა, თუ რატომ არ მიიღო თავის დროზე შესაბამისი ზომები მასალების განადგურების ფაქტთან დაკავშირებით, რაზეც ვ. ა-მ კვლავ გაუმეორა, რომ არ ენერვიულა, მოქცეულიყო ისე, როგორც ეტყოდა და იგი მიხედავდა ყველაფერს. ე. დაეთანხმა, ოღონდ იმ პირობით, რომ ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო კანონის ფარგლებში. ვ. ა-სავე რჩევით, წინასწარ გამოძიებაში ე-მ მისცა ჩვენება, რომ მან ეს 11 მასალა და 2 სისხლის სამართლის საქმე ჩააბარა კანცელარიის უფროსს.

22. ე. ქ-ს განმარტებით, მას მასალების განადგურების, დაკარგვისა და მათი ჩაუბარებლობის არანაირი ინტერესი არ ჰქონდა და არც საქმის მასალებიდან იკვეთება მსგავსი რამ. მისი კაბინეტი იყო გატეხილი, მასალები – მიმოფანტული და განადგურებული, რაც დასტურდება თავად ბრალდების მხარის მონმეთა ჩვენებებით. სამუშაო ოთახის გასაღები ჰქონდა მხოლოდ მას, ოთახი არ იყო სათანადოდ დაცული, არ ჰქონდა რკინის კარი და სეიფი. როგორც მასალები, ისე სისხლის სამართლის საქმეები ინახებოდა მის ოთახში, მაგიდაზე თუ უჯრაში – არ ახსოვს. რომ არა მისი ოთახის გატეხვისა და მასალების განადგურების ფაქტი, იგი სრულად ჩააბარებდა ყველა მასალას და სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ მოახერხა მათი ჩაბარება. ამასთან, იგი არ იყო უფლებამოსილი, მიეღო რაიმე ზომები მითითებულ ფაქტთან დაკავშირებით. რაიონის პროკურორს ესაუბრა, რომელსაც უნდა აღედგრა სისხლის სამართლის საქმე, რაც მან არ გააკეთა, მისთვის გაურკვეველი მიზეზის გამო. შესაბამისად, გამოძიება არ იყო ობიექტური, რადგან არ დადგენილა პირი, რომელმაც განადგურა მასალები. მან სრულად გადააბარა ის მასალები, რაც გადაურჩა განადგურებას.

23. გარდა ამისა, ე. ქ-მ განმარტა, რომ მასალების დაკარგვას არ გამოუწვევია არანაირი ზიანი, ვინაიდან შემონახვის 11 მასალაზე ხანდაზმულობის ვადები გასული იყო. რაც შეეხება ორ სისხლის სამართლის საქმეს, ერთი მათგანი შეწყვეტილი იყო,

ხოლო მეორე წარმოადგენდა სხვა საქმიდან გამოყოფილი საქმის ასლებს და მასზე გამოძიება იყო შეჩერებული. შესაბამისად, მითითებული მასალებისა და სისხლის სამართლის საქმეების დაკარგვის შედეგად არ არსებობს რაიმე სახის ზიანი. ამასთან, გამოყოფილი სისხლის სამართლის საქმის აღდგენა პრობლემას არ წარმოადგენდა და მიუხედავად აღნიშნულისა, ეს არ მოხდა, ხოლო 11 მასალაზე მიღებული იყო სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის გადაწყვეტილებები.

24. საქმის მასალებით დადგენილია და სადავო არ არის, რომ ე. ქ-ა 1997 წლისდან 1999 წლისმდე მუშაობდა ქ. თბილისის... რაიონის პროკურატურაში გამომძიებლის თანამდებობაზე და ვალდებული იყო, სპეციალური მითითების გარეშე შეესრულებინა მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა. 1999 წლისდან იგი დაინიშნა საქართველოს გენერალური პროკურატურის სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი სამმართველოს სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი განყოფილების პროკურორის თანამდებობაზე. ე. ქ-ს ამ თანამდებობაზე გადასვლის დროს კანცელარიისთვის არ ჩაუბარებია მასზე რიცხული შემონიშნების 11 მასალა, კერძოდ: 1. მ. შ-ს სიკვდილის ფაქტზე; 2. კ. ბ-ს სიკვდილის ფაქტზე; 3. გ. ხ-ს სიკვდილის ფაქტზე; 4. ჯ. ხ-ს სიკვდილის ფაქტზე; 5. გ. ლ-ს სიკვდილის ფაქტზე; 6. ტ. გ-ს სიკვდილის ფაქტზე; 7. ვ. კ-ს სიკვდილის ფაქტზე; 8. ვ. გ-ს თვითმკვლელობის ფაქტზე; 9. ჩ. ჩ-ს სიკვდილის ფაქტზე; 10. ა. ბ-ს სიკვდილის ფაქტზე; 11. ვ. შ-ს სიკვდილის ფაქტზე და 2 სისხლის სამართლის საქმე, კერძოდ: 1. სისხლის სამართლის №... საქმე ზ. ე-ს ძე ბ-ს მიმართ, სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან თავის არიდების ფაქტზე; 2. სისხლის სამართლის №... საქმე 1997 წლის 24 დეკემბერს გამოძიებით დაუდგენელი პირის მიერ გ. გ-სა და ვ. ძ-თან ერთად ვ. მ-ს მკვლელობის ფაქტზე. სადავო არ არის ასევე ის გარემოება, რომ მასალებისა და სისხლის სამართლის საქმეების ჩაუბარებლობით სახელმწიფოსა და ცალკეულ მოქალაქეთა კანონიერ ინტერესებს მიაღდა მნიშვნელოვანი ზიანი.

ამდენად, საკასაციო პალატამ უნდა შეაფასოს: ე. ქ-მ რა მიზეზით ვერ შეძლო მასალებისა და საქმეების ჩაბარება, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი დაუდევარი დამოკიდებულების, თუ – მათი გადაბარების შეუძლებლობის გამო.

25. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო პალატის მსჯელობაზე, რომ ბრალდების მხარე არ ედავება ე. ქ-ს მასალების განადგურებას, და ასეც რომ იყოს, ეს ფაქ-

ტი არ ათავისუფლებს მას მანამდე შეუსრულებელი ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. სააპელაციო პალატა ასევე უთითებს, რომ განადგურდა თუ არა ე. ქ-ს წარმოებაში არსებული მასალები და ორი სისხლის სამართლის საქმე, არ არის დადასტურებული, რადგან მ. შ-მ მიუთითა, რომ მან ნახა მხოლოდ ფურცლის ერთი ნაგლეჯი, რომელზეც იყო პროკურორის რეზოლუცია – „ქ-ს“ და პოლიციის შტამპი.

26. საკასაციო პალატა არ იზიარებს მითითებულ მსჯელობას და აღნიშნავს: სადავო არ არის, რომ ე. ქ-ს ბრალდების მხარე არ ედავება მასალებისა და საქმეების განადგურებას, არამედ პირიქით, თვითონ მსჯავრდებული უთითებს, რომ ვინაიდან მისი სამუშაო ოთახი გატეხეს და მასალები გაანადგურეს, სწორედ ამ მიზეზით ვეღარ შეძლო მათი დადგენილი წესით ჩაბარება. სამუშაო ოთახის გასაღები ჰქონდა მხოლოდ მას, მასალები და სისხლის სამართლის საქმეები ინახებოდა ამ ოთახში და ისინი არ დაიკარგებოდა, რომ არა მისი ოთახის გატეხვისა და მასალების განადგურების ფაქტი; ანალოგიურად, სადავო არაა, რომ სწორედ ის მასალები განადგურდა თუ არა, რომლის დაკარგვასაც ე. ქ-ს ბრალდების მხარე ედავება, დადასტურებული არ არის, მაგრამ არც უარყოფილი და გამორიცხულია. ამასთან, მონმე მ. შ-ა ჩვენებაში არ უთითებს, რომ მან აღმოაჩინა ქალაქის მხოლოდ ერთი „ნაგლეჯი“, მის ჩვენებაში საუბარია დაბინძურებულ, განადგურებულ მასალებზე, რომელთაგან მან შეძლო მხოლოდ პროკურორ ა-ს რეზოლუციის, წარწერით – „ქ-ს“ და პოლიციის შტამპის ამოკითხვა. იგი უთითებს, რომ ეს იყო მასალები, რომ ე. ქ-ს რაღაცა დაენერა, მაგრამ, სახელდობრ, რა დაენერა არ იკითხებოდა; გარდა ამისა, სააპელაციო პალატა საერთოდ გვერდს უვლის მონმე დ. ჯ-ს ჩვენებას, რომელიც ასევე დეტალურად აღწერს როგორც ე. ქ-ს სამუშაო, ისე – მის გვერდით ოთახში ნანახ მდგომარეობას და უთითებს შემდეგს: ქალაქები ეყარა როგორც ე-ს სამუშაო ოთახში, ისე მის გვერდით მდებარე ოთახშიც. ისინი იყო დახეული. ე-ს ოთახის კარი ღია დახვდა, თუმცა იგი გატეხილი იყო თუ არა, არ იცის. ქალაქების ნაწილი, რომელიც მან დაინახა ე. ქ-ს ყოფილ სამუშაო და ასევე, მის გვერდით მდებარე ოთახში, დაბეჭდილი იყო მექანიკურ საბეჭდ მანქანაზე, ნაწილი ხელნაწერი, ნაწილი კი – ბლანკიანი, რომლებზეც იყო რაღაც ტექსტები. ვინაიდან იქ ეყარა უამრავი, მტვრიანი და დაბინძურებული ქალაქი, მას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული საბუთები და მიმონერა იყო განადგურებული. ქალაქები არ იყო დაჭმუჭნილი, უმეტესობა იყო შუაზე გადახეული.

27. გარდა ამისა, სააპელაციო პალატა განაჩენში თავადვე უთითებს, რომ გაურკვეველი დოკუმენტაციის სავარაუდო განადგურების ფაქტზე გამოძიების არ ჩატარება შესაძლოა, იყოს სხვა პირთა პასუხისმგებლობის დაყენების საფუძველი, მაგრამ აღნიშნავს, რომ ეს არ გამორიცხავს ე. ქ-ს პასუხისმგებლობას, რასაც საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:

28. საკასაციო პალატისათვის გაუგებარია, თუ რატომ არ მიიღო კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები ... რაიონული პროკურატურის კანცელარიის უფროსმა (გამგემ) მ. შ-მ მას შემდეგ, რაც მან აღმოაჩინა დახეული და განადგურებული ქაღალდები. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მან ამის შესახებ მხოლოდ სიტყვიერად აცნობა რაიონის პროკურორს, ხოლო რაიმე ოფიციალური სახის წერილობითი დოკუმენტი მას არ შეუდგენია.

29. ანალოგიურად, აღნიშნული ფაქტი ოფიციალური რეაგირების გარეშე დატოვა ... რაიონულმა პროკურორმა ვ. ა-მ. იგი არ დაინტერესდა არც დოკუმენტების სავარაუდო განადგურების და არც მათი დაკარგვის ფაქტით, არ მიიღო არანაირი ზომები, არ ჩაატარა შიდა მოკვლევა, რომ აღარაფერი ვთქვათ გამოძიების დაწყებაზე. მასალების სავარაუდო განადგურებას სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია – არც მათი დაკარგვის პერიოდში და არც განსახილველ საქმეზე გამოძიება ამით არ დაინტერესებულა.

30. სწორედ ის გარემოებები, რომ პასუხისმგებელმა პირებმა არანაირი ზომები არ მიიღეს, არ დაინტერესდნენ და არ დაადგინეს კონკრეტულად რომელი მასალები, რა ვითარებაში, ან ვის მიერ განადგურდა, იყო თუ არა ისინი ე. ქ-ს წარმოებაში არსებული მასალები, საეჭვოს ხდის სასამართლოს დასკვნებს მსჯავრდებულის ბრალეულობისა და პასუხისმგებლობის თაობაზე, ხოლო ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

31. ამდენად, სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ ე. ქ-ს მანინც ეკისრება პასუხისმგებლობა, მიუხედავად იმისა, რომ არ ჩატარდა გამოძიება და არ დადგინდა მოცემული საქმისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე გარემოებები, არის ცალმხრივი ხასიათის და არ გამომდინარეობს საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნებიდან, რომლის თანახმად, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო ვალდებული არიან, უტყუარად დაადგინონ, მოხდა თუ არა დანაშაული, ვინ ჩაიდინა იგი და გაარკვიონ მტკიცების საგნის ყველა

სხვა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული. ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი გარემოებები.

32. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად. მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს და ნებისმიერი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ¹.

33. საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. იმავე კოდექსის 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე, ხოლო სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ.

34. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ე. ქ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და შეწყდეს საქმე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ე. ქ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

¹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – „ბარბერა, მესაგე და ხაბარდო ესპანეთის წინააღმდეგ“ (Barbera, Messegue a. Jabardo v ESP, No. 10590/83, § 77).

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ნოემბრის განაჩენი.

3. ე. ქ-ს მიმართ შეწყდეს საქმე.

4. ე. ქ-ს განემარტოს, რომ საქართველოს სსკ-ის 219-ე-228-ე მუხლებით დადგენილი წესით უფლება აქვს, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე გ. შავლიაშვილის განსხვავებული აზრი

ე. ქ-ს სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით (1961 წლის რედაქცია).

1. ე. ქ-ს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, არ ვეთანხმები ჩემი კოლეგა მოსამართლეების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რის გამოც თავს ვალდებულად მივიჩნევ, დავერჩე განსხვავებულ აზრზე და წერილობით ჩამოვყალიბო ჩემი სამართლებრივი პოზიცია, კერძოდ:

2. გასაჩივრებული განაჩენით უტყუარადაა დადგენილი (რასაც ჩემი კოლეგებიც არ ხდიან სადავოდ), რომ ე. ქ-ა 1997 წლისდან 1999 წლისმდე მუშაობდა ქ. თბილისის ... რაიონის პროკურატურაში გამომძიებლის თანამდებობაზე და ვალდებული იყო, სპეციალური მითითების გარეშე შეესრულებინა მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა. 1999 წლისდან იგი დაინიშნა საქართველოს გენერალური პროკურატურის სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი სამმართველოს სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი განყოფილების პროკურორის თანამდებობაზე. ე. ქ-ს ამ თანამდებობაზე გადასვლის დროს კანცელარიისთვის არ ჩაუბარებია მასზე რიცხული შემონიშნების 11 მასალა, კერძოდ: 1. მ. შ-ს სიკვდილის ფაქტზე; 2. კ. ბ-ს სიკვდილის ფაქტზე; 3. გ. ხ-ს სიკვდილის ფაქტზე; 4. ჯ. ხ-ს სიკვდილის ფაქტზე; 5. გ. ლ-ს სიკვდილის ფაქტზე; 6. ტ. გ-ს სიკვდილის ფაქტზე; 7. ვ. კ-ს სიკვდილის ფაქტზე; 8. ვ. გ-ს თვითმკვლელობის ფაქტზე; 9. ჩ. ჩ-ს სიკვდილის ფაქტზე; 10. ა. ბ-ს სიკვდილის ფაქტზე; 11. ვ. შ-ს სიკვდილის ფაქტზე და 2 სისხლის სამართლის საქმე, კერძოდ: 1. სისხლის სამართლის №... საქმე ზ. ე-ს ძე ბ-ს მიმართ, სამხედ-

რო-სავალდებულო სამსახურიდან თავის არიდების ფაქტზე; 2. სისხლის სამართლის №... საქმე 1997 წლის 24 დეკემბერს გამოცხადებით დაუდგენელი პირის მიერ გ. გ-სა და ვ. ძ-თან ერთად ვ. მ-ს მკვლელობის ფაქტზე. სადავო არ არის ასევე ის გარემოება, რომ მასალებისა და სისხლის სამართლის საქმეების ჩაუბარებლობით სახელმწიფოსა და ცალკეულ მოქალაქეთა კანონიერ ინტერესებს მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი.

3. ამასთან, ჩემმა კოლეგებმა მიიჩნიეს, რომ მასალებისა და საქმეების ჩაუბარებლობა განაპირობა არა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი დაუდევარმა დამოკიდებულებამ, არამედ მათი გადაბარების შეუძლებლობამ. ჩემი კოლეგები ე. ქ-ს სასარგებლოდ ასევე მიუთითებენ იმ გარემოებაზე, თუ რატომ არ მიიღო კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები ... რაიონული პროკურატურის კანცელარიის უფროსმა (გამგემ) მ. შ-მ მას შემდეგ, რაც მან აღმოაჩინა დახეული და განადგურებული ქაღალდები ე. ქ-ს ოთახში და ასევე, რატომ დატოვა ეს ფაქტი ოფიციალური რეაგირების გარეშე ... რაიონულმა პროკურორმა ვ. ა-მ, რატომ არ ჩატარდა შიდა მოკვლევა და არ დაინყო გამოძიება.

4. ვადასტურებ პატივისცემას ჩემი კოლეგა მოსამართლეების მოსაზრებებისადმი, თუმცა არ ვიზიარებ აღნიშნულ მსჯელობას შემდეგ გარემოებათა გამო:

5. საქართველოს სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის (საქართველოს სსკ-ის 1961 წლის რედაქცია) თანახმად, დასჯად ქმედებას წარმოადგენს დაუდევრობა ანუ მოხელის ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც მისი სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარეობს და დაკავებული თანამდებობის საფუძველზე მის უფლება-მოვალეობათა განხორციელებასთან არის დაკავშირებული. მოხელის ქმედება ან უმოქმედობა შეიძლება გამოიხატოს სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობაში მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო.

6. მოცემულ შემთხვევაში ე. ქ-ს დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობაში მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, კერძოდ: ე. ქ-ს, როგორც პროკურატურის გამომძიებელს, ევალებოდა კეთილსინდისიერად შეესრულებინა მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა – სხვა სამსახურში გადასვლამდე მის წარმოებაში არსებული სს საქმეები და შემონმების მასალები, დადგენილი წესის შესაბამისად, მოხსენებითი ბარათების საფუძველზე გადაეცა კანცელარიისათვის, რათა რაიონის პროკურორის რეზოლუციით ისინი გადაეწერათ სხვა თანამშრომლისათვის,

რაც მან დაუდევარი დამოკიდებულების გამო, არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, არ შეასრულა არათუ გენერალურ პროკურატურაში გადასვლამდე, არც მის შემდგომ პერიოდში.

7. აღსანიშნავია, რომ ის ფაქტობრივი გარემოება, რომ საბრალდებო დასკვნაში მითითებული სისხლის სამართლის 2 საქმე და შემონმების 11 მასალა, რომლებიც წარმოებაში ჰქონდა პროკურატურის გამომძიებელ ე. ქ-ს და რაიონის პროკურატურიდან სამუშაოდ გენერალურ პროკურატურაში გადასვლის შემდგომ სხვა გამომძიებლისათვის გადაცემის მიზნით კანცელარიისათვის არ ჩაუბარებია, სადავოდ არ გაუხდია თავად განსასჯელ ე. ქ-ს, რომელმაც სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას დაადასტურა, რომ სადავო სისხლის სამართლის საქმეები და შემონმების მასალები ნამდვილად არ ჩაუბარებია.

8. უდავოდ დადასტურებულია ის გარემოებაც, რომ ე. ქ-ს ევალუბოდა, რომ სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით, მის წარმოებაში არსებული შემონმების მასალები და სისხლის სამართლის საქმეები ჩაებარებინა სხვა გამომძიებლისათვის გადაცემის მიზნით, რაც ასევე დაადასტურა განსასჯელმა სასამართლო სხდომაზე.

9. არ ვიზიარებ ე. ქ-ს განმარტებას ზემოაღნიშნული მოვალეობის შეუსრულებლობის შესახებ დოკუმენტების განადგურების გამო (რამაც, განსასჯელის მტკიცებით, ობიექტურად შეუძლებელი გახდა მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვნად შესრულება), ვინაიდან მონმე მ. შ-მ სასამართლო სხდომაზე აჩვენა, რომ ე. ქ-ს კაბინეტის გვერდით მდებარე ოთახში იატაკზე შენიშნა 1 მომართვა შტამპით და ვ. ა-ს რეზოლუციით ე-ს სახელზე. ამავსე ადასტურებს მონმე დ. ჯ-ი. ამასთან, ორივე მათგანი აცხადებს, რომ ეს ფაქტი მოხდა ე. ქ-ს გენერალურ პროკურატურაში გადასვლის შემდეგ. მ. შ-მ განმარტა, რომ გადასვლის შემდეგ, როდესაც ე. ქ-ს არ აბარებდა მას მასალებს, დაახლოებით ორჯერ დაურეკა მეზობლის ტელეფონზე შესახსენებლად, ერთხელ კი მიაკითხა სახლში. ე. ქ-ს დაჰპირდა, რომ მიაწვდიდა მასალებს, თუმცა არ ჩაუბარებია თავად განსასჯელიც ადასტურებს, რომ სხვა სამსახურში გადასვლის შემდგომ პერიოდში დაურეკა მ. შ-მ და შეთანხმდნენ მასალების გადაბარებაზე. ამის შემდეგ (ზუსტი დრო არ ახსოვს) მ. შ-საგან შეიტყო, რომ მისი ოთახის გვერდით გარკვეული დოკუმენტები იყო განადგურებული, რის თაობაზეც ასევე ცნობილი გახდა რაიონის პროკურორ ვ. ა-თვის.

10. ამდენად, უტყუარად დადასტურებულია, რომ დოკუმენტების შესაძლო განადგურება, მოხდა ე. ქ-ს სხვა სამსახურში

გადასვლის შემდეგ, ანუ ე. ქ-ა ისე გადავიდა ახალ სამსახურში, რომ მოუწესრიგებელი დატოვა საქმეები, რაც სწორედ მის დაუდევარ დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

11. რაც შეეხება ქ-ს განმარტებას მისი ოთახის დაუცველობის შესახებ, აღსანიშნავია, რომ სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეები არ მიუთითებენ განსასჯელის სამუშაო კაბინეტის განსაკუთრებულ დაუცველობაზე. მათი განმარტებით, ოთახს ჰქონდა კარი, რომელიც იკეტებოდა გასაღებით, რკინის გისოსები და ასევე სეიფი. ამასთან, მიმაჩნია, რომ ქ-ს აღნიშნული განმარტების გაზიარების შემთხვევაშიც დასტურდება მისი დაუდევარი დამოკიდებულება სამსახურებრივი საქმიანობისადმი, ვინაიდან სამუშაო ოთახის ასეთი „დაუცველობის“ პირობებში, იგი ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა მასალების დაკარგვისა და დაზიანების საფრთხე, რაც მას ევალებოდა და შეეძლო კიდევც.

12. მასალების შესაძლო განადგურებასთან დაკავშირებით, ჯერ ერთი აღსანიშნავია, რომ უტყუარად არ არის დადგენილი მ. შ-ს მიერ ნანახი, განადგურებული დოკუმენტი იყო თუ არა ე. ქ-ს წარმოებაში არსებული შემონმების მასალების ან სისხლის სამართლის საქმეების შემადგენელი ნაწილი (რომლის ჩაუბარებლობასაც ედავება ბრალდების მხარე). თუმცა, ასეც რომ იყოს და მასალის მართლაც რომ განადგურებულიყო, აღნიშნული არავითარ გავლენას არ ახდენს ე. ქ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდების კვალიფიკაციაზე, ვინაიდან ე. ქ-ს მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა გამოიხატა მასალების სხვა სამსახურში გადასვლამდე დადგენილი წესის შესაბამისად ჩაუბარებლობაში და ბრალდება მას არ ედავება მასალების განადგურებაში.

13. რაც შეეხება იმ ფაქტს, თუ რატომ არ მოჰყვა ოფიციალური რეაგირება გაურკვეველი დოკუმენტაციის განადგურებას და რატომ არ დაინყო გამოძიება, მიმაჩნია, რომ აღნიშნული შესაძლოა იყოს სხვა უფლებამოსილი პირების პასუხისმგებლობის საფუძველი და ეს ფაქტი არც ამსუბუქებს და, მით უმეტეს, არც გამორიცხავს ე. ქ-ს პასუხისმგებლობას, რომელიც სხვა სამსახურში გადასვლის შემდეგ, დაუდევრად მოექცა ყოფილ სამსახურში მოვალეობის შესრულებას.

14. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დადასტურებულად მიმაჩნია, რომ ე. ქ-მ ჩაიდინა დაუდევრობა, ე.ი. სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს კანონიერ ინტერესებს, რაც საქართვე-

ლოს სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით (1961 წლის რე-
დაქცია) დასჯად ქმედებას წარმოადგენს, რის გამოც მსჯავ-
რდებულ ე. ქ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს
და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ნოემბრის განაჩენი უნდა დარ-
ჩეს უცვლელად.

მოსამართლე: გ. შავლიაშვილი
22.06.2017წ.

გამამტყუნებელი განაჩენის უცვლელად დატოვება

განაჩენი საქართველოს სახელით

№363აპ-17

18 დეკემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
პ. ქათამაძე**

განიხილა მსჯავრდებულ ე. ე-ის საკასაციო საჩივარი თბი-
ლისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-
თა პალატის 2017 წლის 11 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 22 სექტემ-
ბრის განაჩენით ე. ე-ი, – დაბადებული 19.. წლის .. ივნისს, ნასა-
მართლევი, – ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სა-
ქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე
მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში; იგი ცნობილ
იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნა-
წილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის
„ა“ ქვეპუნქტით, ასევე სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“
ქვეპუნქტით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2013 წლის 10 დეკემბერს, სხვისი ნივთის მართლსაწინააღ-
მდეგოდ დაუფლებისათვის ნასამართლევმა, ავტომატური ცეც-

ხლსასროლი იარაღით შეიარაღებულმა ე. ე-მ, არაერთგზის, გ. კ-სა და ა. ზ-თან ერთად უკანონოდ შეაღწია რაიონის სოფელ მდებარე ც. ჯ-ის კუთვნილი ბენზინგასამართი სადგურის სა-ოპერატორო ოთახში და ყაჩაღურად თავს დაესხა ოპერატორ ა. ო-ს, რომელსაც სიცოცხლისათვის სახიფათო ძალადობითა და ძალადობის მუქარით გასტაცა 240 ლარად ღირებული მობილური ტელეფონები და ც. ჯ-ის კუთვნილი თანხა – 287 ლარი.

2013 წლის 25 დეკემბერს ე. ე-ი გ. კ-სა და ა. ზ-თან ერთად, „...“ მარკის ავტომობილით, სახელმწიფო ნორმით ..., რომელსაც მართავდა ვ. გ., რაიონის სოფელ ქალაქ მართლსაწინააღმდეგოდ გადაზიდავდა „...“ მოდელის ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას – ამავე იარაღიდან გასროლისათვის განკუთვნილ 29 ვაზნას.

გამოძიებით დაუდგინელ დროსა და ვითარებაში ე. ე-მა მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა „...“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა – ამავე იარაღიდან გასროლისათვის განკუთვნილი 29 ვაზნა, რომლებიც მართლსაწინააღმდეგოდ შეინახა თავის საცხოვრებელ სახლში, ... რაიონის სოფელში.

2013 წლის 10 დეკემბერს, ე. ე. რაიონის სოფელის მიმდებარე ტერიტორიაზე, მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა თავის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილ „...“ მოდელის ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას – ამავე იარაღიდან გასროლისათვის განკუთვნილ 29 ვაზნას.

ე. ე-ს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიესაჯა -თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა – 9 წლით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ე. ე-ს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა – 10 წლით.

ე. ე-ის მიმართ შეფარებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო და სასჯელის მოხდის ათვლა დაენციო – 2013 წლის 25 დეკემბრიდან.

გ. კ. – დაბადებული 19.. წლის .. აგვისტოს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც გამოიხატა შემ-

დეგში:

2013 წლის 10 დეკემბერს, გ. კ-მ, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულ ე. ე-სა და ა. ზ-თან ერთად, უკანონოდ შეაღწია რაიონის სოფელ მდებარე ც. ჯ-ის კუთვნილი ბენზინგასამართი სადგურის საოპერატორო ოთახში და ყაჩაღურად თავს დაესხა ოპერატორ ა. ო-ეს, რომელსაც სიცოცხლისათვის სახიფათო ძალადობითა და ძალადობის მუქარით გასტაცა 240 ლარად ღირებული მობილური ტელეფონები და ც. ჯ-ის კუთვნილი თანხა – 287 ლარი.

2013 წლის 25 დეკემბერს, გ. კ. ე. ე-სა და ა. ზ-თან ერთად, „...“ მარკის ავტომობილით, სახელმწიფო ნორმით ..., რომელსაც მართავდა ვ. გ-ი, რაიონის სოფელ ქალაქ მართლსაწინააღმდეგოდ გადაზიდავდა „...“ მოდელის ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას – ამავე იარაღიდან გასროლისათვის განკუთვნილ 29 ვაზნას.

გ. კ-ს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა – 7 წლით, ხოლო სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა – 8 წლით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთახიტი ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, გ. კ-ს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა – 8 წლით.

გ. კ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა. გ. კ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო და სასჯელის მოხდის ათვლა დაენიშნა – 2013 წლის 25 დეკემბრიდან.

ა. ზ-ი, – დაბადებული 19.. წლის .. სექტემბერს, ნასამართლეთი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2013 წლის 10 დეკემბერს, ა. ზ-მა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულ ე. ე-სა და გ. კ-თან ერთად უკანონოდ შეაღწია რაიონის სოფელ მდებარე ც. ჯ-ის კუთვნილი ბენზინგასამართი სადგურის საოპერატორო ოთახში და ყაჩაღურად თავს დაესხა ოპერატორ ა. ო-ეს, რომელსაც სიცოცხლისათვის სახიფათო ძალადობითა და ძალადობის მუქარით გასტაცა 240 ლარად ღირებული მობილური ტელეფონები და ც. ჯ-ის კუთვნილი თანხა – 287 ლარი.

2013 წლის 25 დეკემბერს, ა. ზ-მა ე. ე-სა და გ. კ-თან ერთად, „...“ მარკის ავტომობილით, სახელმწიფო ნორმით ..., რომელსაც

მართავდა ვ. გ-ი, რაიონის სოფელ ქალაქ მართლსაწინააღმდეგოდ გადაზიდავდა „.....“ მოდელის ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას – ამავე იარაღიდან გასროლისათვის განკუთვნილ 29 ვაზნას.

ა. ზ-ს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა – 8 წლით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა – 9 წლით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ა. ზ-ს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა – 9 წლით.

ა. ზ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა. ა. ზ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო და სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო – 2013 წლის 25 დეკემბრიდან.

ვ. კ. – დაბადებული 19.. წლის .. ივნისს, ნასამართლევი, – ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლითა და სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით (2013 წლის 10 დეკემბრის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებებში; ვ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გამოიხატა შემდეგში:

გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ვ. კ-მ მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი – გადაჭრილი სანადირო თოფი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ შეინახა ... რაიონის სოფელ ... მდებარე თავის საცხოვრებელ სახლში, თავის საძინებელ ოთახში არსებული სანოლის ლეიბის ქვეშ.

2013 წლის 10 დეკემბერს ვ. კ-მ წინასწარ შეუპირებლად დაფარა ე. ე-ის, გ. კ-ისა და ა. ზ-ის მიერ ჩადენილი მძიმე კატეგორიის დანაშაული, რაიონის სოფელ მდებარე ბენზინგასამართი სადგურის საოპერატორო ოთახში ოპერატორ ა. ო-ე ყაჩაღურად თავდასხმის ფაქტი და რაიონის სოფელ თავის საცხოვრებელ სახლსა და დამხმარე სათავსებში დამალა დანაშაულის ჩადენის იარაღი – „.....“ მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა – ამავე იარაღიდან გასროლისათვის განკუთვნილი 29 ვაზნა.

2013 წლის 10 დეკემბერს ვ. კ-მ რაიონის სოფელ თავის საცხოვრებელ სახლსა და დამხმარე სათავსებში მართლსაწინააღმდეგოდ შეინახა ე. ე-ის მიერ მიბარებული „.....“ მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა – ამავე იარაღიდან გასროლისათვის განკუთვნილი 29 ვაზნა.

ვ. კ-ს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა – 2 წლით.

ვ. კ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა. ვ. კ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო და სასჯელის მოხდის ათვლა დაენყო – 2013 წლის 25 დეკემბრიდან.

2. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა გია შაიშმელაშვილმა და ითხოვა სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 22 სექტემბრის განაჩენში ე. ე-ისა და ვ. კ-ის მიმართ ცვლილების შეტანა, კერძოდ, ე. ე-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილითა (2015 წლის 14 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2015 წლის 14 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), ხოლო ვ. კ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილითა (2015 წლის 14 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) და სსკ-ის 375-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის და კანონიერი და სამართლიანი სასჯელების განსაზღვრა. მსჯავრდებულებმა – ე. ე-მა და ვ. კ-მ ითხოვეს სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 22 სექტემბრის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 22 სექტემბრის განაჩენი სააპელაციო წესით ასევე გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა – ა. ზ-მა და გ. კ-მ.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივნისის განაჩენით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე და დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მსჯავრდებულ გ. კ-ს შორის.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 24 სექტემბრის განაჩენით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე და დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მსჯავრდებულ გ. კ-ს შორის.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 11 მაისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა პროკურორ გია შაიშმელაშვილისა და მსჯავრდებულების – ვ. კ-ისა და ე. ე-ის სააპელაციო საჩივრები. გასაჩივ-

რებული განაჩენი მსჯავრდებულების – ვ. კ-ისა და ე. ე-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

6. კასატორი – მსჯავრდებული ე. ე-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 11 მაისის განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2013 წლის 27 დეკემბრის საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში არის უკანონოდ მოპოვებული, მასში ადვოკატის მონაწილეობის აღნიშვნა არ შეესაბამება რეალობას. ამასთან, აფთიაქის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალი კამერის არსებობის მიუხედავად, არც ერთი მათგანის ჩანაწერი საგამოძიებო ორგანოს არ გამოუთხოვია. კასატორის მითითებით, სატელეფონო ამონაწერის თანახმად, მსჯავრდებული შემთხვევის ადგილიდან 70-80 კმ-ის დაშორებით იმყოფებოდა. ამასთან, საპროცესო შეთანხმებები, გაფორმებული სხვა მსჯავრდებულთა მიმართ არსებითი განხილვის გარეშე, კანონის დარღვევით დაიდო, კერძოდ, მათ არ უღიარებიათ ბრალი. კასატორი აღნიშნავს, რომ დაზარალებულის გამოძიებაში მიცემული ჩვენება ეწინააღმდეგება არსებით სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებას.

7. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა ე. ე-მა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. გ-მ მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და ითხოვეს მისი დაკმაყოფილება, ხოლო პროკურორმა შმაგი გობეჯიშვილმა მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ მსჯავრდებულ ე. ე-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილია ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს ე. ე-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ასევე სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას, კერძოდ:

2. ე. ე-ის პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, რაიონის სოფელ მდებარე ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, 2013 წლის 25 დეკემბერს ჩატარდა ე. ე-ის პირადი ჩხრეკა. მისი შავი ტყავის ქურთუკის მარჯვენა ჯიბიდან ამოიღეს „.....“ ფირმის შა-

ვი მობილური ტელეფონი იმეიკოდით – სიმბარათის გარეშე, აგრეთვე „...“ ფირმის შავი მობილური ტელეფონი იმეიკოდით – სიმ ბარათის გარეშე, ხოლო ქურთუკის მარცხენა ჯიბიდან – ვარდისფერი „...“ სიმბარათი. პირადი ჩხრეკის ოქმში რაიმე სახის შენიშვნა ან/და განცხადება გამოთქმული არ არის. ე. ე-ის მიმართ ჩატარებული აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობა და შედეგები დაადასტურეს მონმის სახით დაკითხულმა საქართველოს შსს საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა – შ. მ-მ და თ. რ-მა.

3. საგნის ამოცნობის ოქმების თანახმად, დაზარალებულმა ა. ო-მ ამოიცნო „...“ ფირმის №... მოდელის შავი მობილური ტელეფონი და „...“ ფირმის მობილური ტელეფონი, რომლებიც მისგან გაიტაცეს ყაჩაღური თავდასხმის დროს. ა. ო-ის ამოცნობილი მობილური ტელეფონებიდან „...“ ფირმის №... მოდელის შავი მობილური ტელეფონი ამოიღეს ა. ზ-ის, ხოლო „...“ ფირმის მობილური ტელეფონი – ე. ე-ის პირადი ჩხრეკის დროს.

4. დაზარალებულმა ა. ო-მ მონმედ დაკითხვის დროს დაადასტურა მისი კუთვნილი მობილური ტელეფონების ამოცნობის ფაქტი. ამასთან, აღნიშნა, რომ 2013 წლის 10 დეკემბერს, როდესაც იგი მორიგ ცვლაში იმყოფებოდა სამსახურში, ... რაიონის სოფელ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ც. ჯ-ის კუთვნილ ბენზინგასამართ სადგურში, ღამის საათებში, დაახლოებით 23:00 საათიდან 24:00 საათამდე დროის შუალედში, სამი პირი, რომელთაგან ერთი იყო შეიარაღებული ავტომატით და ხელეზზე ეკეთა სამედიცინო ხელთათმანები, მას ყაჩაღურად დაესხა თავს. სამივე მათგანს სახე დაფარული ჰქონდა ნაჭრით. დაზარალებულმა განმარტა, რომ მოკვლის მუქარით შეშინებულმა თავდამსხმელებს გადასცა 200 ლარი, ლითონის ფული, დაახლოებით 87 ლარი და მისი კუთვნილი „...“ და „...“ ფირმის მობილური ტელეფონები, რომლებიც იქვე მაგიდაზე ეწყო და რომელთა საერთო ღირებულება დაახლოებით 240 ლარს შეადგენდა. მანვე აღნიშნა, რომ თავდამსხმელთაგან ერთ-ერთი შემოვიდა ჯიხურში, დაეჯაჯგურა და ხელი ჰკრა მას, რის გამოც წაიქცა. ამ დროს თავდამსხმელს სახიდან ტილო ჩამოუვარდა. ის მოკვლით დაემუქრა დაზარალებულს, თუ მომხდარის თაობაზე სამართალდამცველებისათვის შეტყობინებას გაბედავდა. მოგვიანებით ეს პირი დაზარალებულმა ამოიცნო, როგორც ა. ზ-ი.

5. დაზარალებულ ც. ჯ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ მის საკუთრებას წარმოადგენს ... რაიონის სოფელ ... მიმდებარე ტერიტორიაზე, ცენტრალურ საავტომობილო გზაზე მდებარე ბენ-

ზინგასამართი სადგური. ყაჩაღური თავდასხმის დროს, 2013 წლის 10 დეკემბერს, ბენზინგასამართ სადგურზე მორიგ ცვლა-ში იმყოფებოდა ოპერატორი ა. ო-ე. იმ დღეს ყაჩაღებმა მას ბენ-ზინგასამართ სადგურზე სანჯავის გაყიდვის შედეგად შესული თანხა – 287 ლარი წაართვეს. შესაბამისად, მისი ზარალი ამ ოდე-ნობისაა.

6. პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულმა ე. ე-მა არ უარყო მისი პირადი ჩხრეკისას „...“ ფირმის მობილური ტე-ლეფონის ამოღების ფაქტი, მაგრამ განმარტა, რომ იგი ტაქსით მგზავრობის დროს ჩანთიდან ამოიღო და მას გადასცა ა. ზ-მა. ჩანთაში ასევე იდო ავტომატი.

7. 2013 წლის 27 დეკემბრის საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის თანახმად (რომელსაც ხელს აწერს აგრეთვე ადვოკატი ნ. ლ-ი), გ. კ-ის მითითებით, დადგენილი და დადასტურებულია, რომ 2013 წლის 10 დეკემბერს გ. კ-ე და ა. ზ-ი ჩავიდნენ რაი-ონის სოფელ ე. ე-...თან. იქიდან სამივემ ერთად წამოიღო ავ-ტომატური ცეცხლსასროლი იარაღი. გადაადგილდებოდნენ „...“ მარკის ავტომობილით. გზად გაჩერდნენ „...“, ... ქუჩის №...-ში მდებარე „...“ აფთიაქში, სადაც ა. ზ-მა შეიძინა ორი წყვილი რეზინის ხელთათმანი. ამის შემდეგ სამივემ გზა განაგრძო თბილისის მი-მართულებით და ... რაიონის სოფელ „...“, ცენტრალური საავტო-მობილო გზის სამხრეთით არსებულ ბენზინგასამართ სადგურ-ზე, სამივემ განახორციელა ყაჩაღური თავდასხმა. გ. კ-მ აგრეთ-ვე მიუთითა ადგილზე, სადაც ბენზინგასამართ სადგურზე ყა-ჩაღური თავდასხმის დროს გაჩერებული ჰყავდათ „...“ მარკის ავტომობილი. თავდასხმის შემდეგ ისინი წავიდნენ ... რაიონის სოფელ „...“, სადაც ე. ე-მა გ. კ-ს შესანახად დაუტოვა ავტომატუ-რი ცეცხლსასროლი იარაღი და ბენზინგასამართ სადგურზე ოპერატორისათვის წართმეული ... მობილური ტელეფონი. აღ-ნიშნული ავტომატი სამივემ ერთად წამოიღო 2013 წლის 25 დე-კემბერს, რა დროსაც სამივე მათგანი დააკავეს სოფელ ...-ში. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ფაქტი, მიმდინარეო-ბა და შედეგები დადასტურეს მოწმის სახით დაკითხულმა, სა-ქართველოს შსს სამინისტროს ... რაიონული სამმართველოს თა-ნამშრომლებმა – გ. ა-მა, ლ. მ-მა და გ. ლ-მა.

8. მოწმე ვ. გ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2013 წლის 25 დეკემბერს, იგი, როგორც „...“ მარკის ავტომობილის (სახელმწი-ფო ნომრით ...) ტაქსის მძღოლი, დაიქირავა ორმა პირმა (გ. კ-მ და ა. ზ-მა), რომლებიც ...დან რაიონის სოფელ ... უნდა წაეყვა-ნა და უკან, ...ში ჩაეყვანა. ამ ორ პირს ხელბარგი არ ჰქონია და არც გზად წამოუღიათ რაიმე ნივთი. სოფელ ...ში კითხვა-კით-

ხვით ერთ (გ. კ-ის) ოჯახში მივიდნენ, სადაც ჯერ ის ორი პირი (გ. კ-ე და ა. ზ-ი) შევიდნენ, შემდეგ მონმეც შეიპატიჟეს. შესვლამდე მანქანის კარი ჩაკეტა. ცოტა ხანს „ნაიქეიფეს“. ოჯახიდან პირველი მონმე გამოვიდა, მოგვიანებით კი – მისი მგზავრები. უკანა გზაზე მათ მესამე პირიც (ე. ე-ი) დაემგზავრა, რომელიც ამავე ოჯახში იმყოფებოდა. ავტომობილში მგზავრებმა რამე ჩადეს თუ არა, არ დაუნახავს, ვინაიდან უკვე ბნელოდა და გვიანი იყო. სოფელ ს-ში, ერთ-ერთი მგზავრის თხოვნით, სიგარეტის საყიდლად მაღაზიასთან შეჩერდნენ. მოულოდნელად ხალხი აირია, პოლიციელები მივიდნენ და ყველა მანქანიდან გადმოიყვანეს. მონმეც გაჩხრიკეს. მანქანასთან მიყვანისას ნახა ჩანთა, რომელზეც იდო ავტომატი. საიდან აღმოჩნდა ავტომატი მის ავტომობილში, ვ. გ-ის უცნობია.

9. 2013 წლის 25 დეკემბრის ა. ზ-ის პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, სოფელში ჩატარდა ა. ზ-ის პირადი ჩხრეკა, რომელიც იჯდა ა/მანქანა „.....“, სახელმწიფო ნომრით ..., უკანა სავარძლის მარცხენა მხარეს. მისი ჩხრეკა დაიწყო ავტომანქანაშივე, რა დროსაც ორივე ხელში ეკავა შავი სპორტული ხელჩანთა, რომელშიც მოთავსებული იყო „.....“ სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ნომრით –, ერთი მჭიდი და 29 ვაზნა. ამავე ჩანთაში მოთავსებული იყო პოლიეთილენის პარკი 456 ხუთთეთრიანი და ერთი ათთეთრიანი მონეტით.

10. ბალისტიკური ექსპერტიზის №.... დასკვნით და ექსპერტ კ. რ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ა. ზ-ის პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული იარაღი არის ქარხნული წესით დამზადებული, ... წლის ნიმუშის – „...“ მოდელის ... კალიბრიანი „...“ კონსტრუქციის ავტომატი ..., რომელიც მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის როგორც ერთჯერადად, ასევე ავტომატურ რეჟიმში. გამოკვლევაზე წარმოდგენილი 29 ცალი, ქარხნული წესით დამზადებული, ... წლის ნიმუშის ... მმ კალიბრიანი ვაზნა განკუთვნილია ... კალიბრიანი „კალაშნიკოვის“ „...“, „...“, „...“, „...“, „...“ ავტომატებისათვის, „...“ კარაბინისათვის, „...“ და „...“ ხელის ტყვიამფრქვევისათვის და სხვა. ვაზნები ვარგისია დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად და მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას.

11. საქმის სააპელაციო წესით განხილვისას, სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ წარდგენილი წერილობითი შუამდგომლობების საფუძველზე, 2015 წლის 22 ივნისს გ. კ-ის მიმართ, ხოლო 2015 წლის 24 სექტემბერს ა. ზ-ის მიმართ, საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოტანილ იქნა განაჩენები, რომელთა მიხედვითაც, 2013 წლის 10 დეკემბერს ავტომატური ცეცხლსას-

როლი იარაღით შეიარაღებულმა გ. კ-მ, ა. ზ-მა და ე. ე-მა უკანონოდ შეაღწიეს რაიონის სოფელ მდებარე ც. ჯ-ის კუთვნილი ბენზინგასამართი სადგურის საოპერატორო ოთახში და ყაჩაღურად თავს დაესხნენ ოპერატორ ა. ო-ს, რომელსაც სიცოცხლისათვის სახიფათო ძალადობითა და ძალადობის მუქარით გასტაცეს 240 ლარად ღირებული მობილური ტელეფონები და ც. ჯ-ის კუთვნილი თანხა – 287 ლარი. აგრეთვე 2013 წლის 25 დეკემბერს ე. ე-ი, გ. კ-ე და ა. ზ-ი ერთად, „...“ მარკის ავტომობილით, სახელმწიფო ნომრით ..., რომელსაც მართავდა ვ. გ-ი, რაიონის სოფელ – ქალაქში მართლსაწინააღმდეგოდ გადაზიდვადნენ „.....“ მოდელის ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას – ამავე იარაღიდან გასროლისათვის განკუთვნილ 29 ვაზნას.

12. საკასაციო სასამართლო ე. ე-ის ბრალეულობის, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეუბნების – არაერთგზისობის დამადასტურებლად მიიჩნევს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 29 მაისის განაჩენს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 6 დეკემბრის განაჩენს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 ივლისის განჩინებასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 14 თებერვლის განჩინებას. ფორმა „ბ“, ცნობის ასლი №.....-ის თანახმად, ე. ე-მა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, სასჯელის ვადის გასვლის საფუძველზე, 2013 წლის 14 თებერვალს დატოვა.

13. საკასაციო პალატა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ვერ დაეთანხმება დაცვის მხარის საკასაციო საჩივარსა და სასამართლო სხდომაზე მითითებულ არგუმენტებს, ვინაიდან ისინი არ გამომდინარეობს წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან, კერძოდ:

14. მსჯავრდებულ ე. ე-ის პოზიციით, დაზარალებულ ა. ო-ის გამოძიებაში მიცემული დაკითხვის ოქმის შინაარსი არსებით სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენების საწინააღმდეგოა. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაში, ისეთი სახის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, როგორებიც არის: თავდასხმის ფაქტი, მოკვლის მუქარა, ერთ-ერთი თავდამსხმელის მიერ სახეზე აფარებული ტილოს ჩამოვარდნა, მისი ამოცნობის შესაძლებლობა თუ თავდამსხმელთა ოდენობა შეესაბამება არსებით სასამართლო სხდომაზე ა. ო-ის მიერ მიცემულ ჩვენებას. ამდენად, დაზარალებულის მიერ როგორც გამოძიების, ისე არსებითი განხილვის სხდომაზე გაცხადებული, საქმისათვის ყველა მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება

ურთიერთშესაბამისია.

15. კასატორმა თავდაპირველად მიუთითა, რომ ადვოკატი ნ. ლ-ი საგამოძიებო ექსპერიმენტში არ მონაწილეობდა. შემდეგ აღნიშნა, რომ მონაწილეობდა, მაგრამ – არასრულყოფილად. არსებით სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა მონაწილემ – გ. ა-მა, ლ. მ-მა და გ. ლ-მა დაადასტურეს ნ. ლ-ის საგამოძიებო ექსპერიმენტში სრულად მონაწილეობა. თავად ნ. ლ-ს მიეცა შესაძლებლობა, დაეკითხა ზემოაღნიშნული მონაწილეები, რა დროსაც არ უარუყვია საგამოძიებო ექსპერიმენტში მისი მონაწილეობა, მეტიც, მან ერთ-ერთი მონაწილის დაკითხვის დროს განაცხადა, რომ „ნაბიჯ-ნაბიჯ“ აკვირდებოდა საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობას. ამდენად, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორის მითითებას, ვინაიდან წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, ნ. ლ-ი სრულად მონაწილეობდა 2013 წლის 27 დეკემბერს ჩატარებულ საგამოძიებო ექსპერიმენტში, რაც დაადასტურა საკუთარი ხელმოწერით. ოქმის თანახმად, მას არ გამოუთქვამს რაიმე სახის შენიშვნა ან/და განცხადება. აღნიშნული გარემოება აგრეთვე დაადასტურეს საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილე მონაწილემაც. ამდენად, საკასაციო პალატას აღნიშნულის საპირისპირო პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებანი არ გააჩნია.

16. რაც შეეხება საპროცესო შეთანხმების გაფორმებას ბრალის აღიარების გარეშე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი საქმის მასალების თანახმად, როგორც 2015 წლის 22 ივნისს გ. კ-ს, ისე 2015 წლის 24 სექტემბერს ა. ზ-ს სასამართლო სხდომაზე წაუკითხეს შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, რომლის ფარგლებშიც კვლავ განემარტათ ბრალდება. აღნიშნულის შემდეგ მსჯავრდებულები დაეთანხმნენ შუამდგომლობას და განმარტეს, რომ რაიმე სახის იძულება მათ მიმართ არ განხორციელებულა; ამავდროულად, მათ გამოხატეს თანხმობა ყველა იმ პირობაზე, რასაც პროკურორსა და მათ შორის დადებული საპროცესო შეთანხმება ითვალისწინებდა. ამდენად, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება მსჯავრდებულის პოზიციას კანონით დადგენილი წესის დაუცველად საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანასთან მიმართებით.

17. საკასაციო სასამართლო აგრეთვე ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას საქართველოს სსკ-ის 83-ე მუხლის დარღვევასთან მიმართებით, კერძოდ, განაჩენში ასახული ყველა მტკიცებულება, რომელმაც ე. ე-ის მსჯავრდება გამოიწვია – შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გავლის შე-

სახებ ოქმების თანახმად, გადაეცა ე. ე-ს. ამასთან, 2013 წლის 28 დეკემბრის გაცვლის ოქმის 44-ე პუნქტის თანახმად, ე. ე-ს ყველა სხვა შესაძლო მტკიცებულებასთან ერთად გადაეცა მონარტვა და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა.

18. რაც შეეხება კასატორის მითითებას პირველი ინსტანციის სასამართლოში დაცვის მხარის დაკითხულ მოწმეებზე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ერთმანეთთან შეთანხმებული, ამკარა, უტყუარია და არ ბადებს ეჭვებს, რის გამოც დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ვერ ბათილდება ე. ე-ის ოჯახის წევრებისა და ახლობლების (თ. ო-ის, ი. ო-ის, მ. მ-ის, შ. მ-ისა და ს. მ-ის) ჩვენებებით.

19. ე. ე-ის მიმართ შეფარდებული სასჯელის სახესა და ზომასთან მიმართებით, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლისა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლის შინაარსს და ინდივიდუალურად აფასებს ე. ე-ის პიროვნებას. განსახილველ შემთხვევაში, გამოვლენილია დანაშაულთა ერთობლიობა. ამასთან, ე. ე-ი წარსულში ნასამართლევია განზრახი დანაშაულის (ყაჩაღობის) ჩადენისათვის და მან კვლავ ანალოგიური ხასიათის, განზრახი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა. ამდენად, იკვეთება დანაშაულის რეციდივიც; საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს ჩადენილი დანაშაულის ძალადობრივ ხასიათსა და საზოგადოებრივ საშიშროებას და მიაჩნია, რომ ე. ე-ის მიმართ შეფარდებული სასჯელის სახე და ზომა არის სამართლიანი.

20. ამდენად, ის პოზიციები, რომლებიც დაცვის მხარემ თავის საჩივარსა და საკასაციო პალატის სხდომაზე დაასახელა, არ დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, რის გამოც საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 11 მაისის განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ე. ე-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 11 მაისის განაჩენი დარჩეს უცვლელად;

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

გამამართლებელი განაჩენის უცვლელად დატოვება

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო სასამართლო

№262აპ-17

13 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
პ. სილაგაძე**

განიხილა პროკურორ გელა თებუაძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 16 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, კ. კ-ეს, ბრალი დაედო ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შექმნა-შენახვასა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

კ. კ. უკანონოდ ინახავდა თავის მიერ უკანონოდ შექმნილ 1.9009 გრამ კანაბინომიმეტურად მოქმედ ქიმიურ ნაერთთა კლასის ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერება „AB-CHMINACA“-ს, რაც 2016 წლის 2 თებერვალს ქ. ბ-ში, თ-ის დასახლებაში, დ-სა და ტ-ის ქუჩების გადაკვეთის ადგილას, დაკავებისას ჩატარებული მისი პირადი ჩხრეკისას ამოიღეს.

კ. კ. უკანონოდ ინახავდა თავის მიერ უკანონოდ შექმნილ დიდი ოდენობით – 0,03335 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინს“, რაც 2016 წლის 2 თებერვალს ქ. ბ-ში, თ-ის დასახლებაში, დ-სა და ტ-ის ქუჩების გადაკვეთის ადგილას დაკავებისას ჩატარებული მისი პირადი ჩხრეკისას ამოიღეს.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 11 აგვის-

ტოს განაჩენით კ. კ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 16 თებერვლის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 11 აგვისტოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. კასატორი – აჭარის ა/რ-ის პროკურატურის პროკურორი გელა თებიძე საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 16 თებერვლის გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას შემდეგი მოტივებით:

გასაჩივრებული განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ადასტურებენ კ. კ-ის ბრალეულობას. სასამართლომ განაჩენში არასწორი ინტერპრეტაციით გადმოსცა ექსპერტების – თ. გ-სა და ნ. კ-ის ჩვენებები, მათ კატეგორიულად არ განუცხადებიათ, რომ თუ კ. კ. საქესპერტო კვლევის ობიექტს შეეხებოდა, მასზე აუცილებლად დარჩებოდა მისი გენეტიკური პროფილი. სასამართლოს ბრალდების მხარის ყველა მტკიცებულება უნდა შეეფასებინა ერთობლივად და კ. კ-ის მიმართ უპირობოდ უნდა გამოეტანა გამამტყუნებელი განაჩენი.

5. სასამართლო სხდომაზე პროკურორმა გელა თებიძემ ითხოვა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება და კ. კ-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა.

6. ადვოკატი რ. პ. არ დაეთანხმა წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს და ითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 16 თებერვლის განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით არ დასტურდება კ. კ-ის მიერ ახალი ფსიქოპაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვისა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტი, რადგან აღნიშნული ბრალდება ძირითადად ეფუძნება პოლიციის მუშაკების – ა. ს-

ის, დ. ც-სა და ნ. მ-ის ჩვენებებს, რომლებიც უტყუარად ვერ ადასტურებენ მის ბრალეულობას, შესაბამისად, არ გვაქვს გამამტყუნებელი განაჩენისთვის საკმარისი, გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, კერძოდ:

2. სასამართლო სხდომაზე ა. ს-ემ განმარტა, რომ მისი, მ-სა და ც-ის გარდა, შემთხვევის ადგილზე სხვა პოლიციელები არ იმყოფებოდნენ, მაშინ როდესაც დ. ც-ემ დაბეჯითებით განაცხადა, რომ მათგან 3-6 მეტრის მოშორებით იდგა პოლიციის ეკიპაჟი, რომელიც, მისი აზრით, იცავდა პერიმეტრს. წინააღმდეგობრივია ასევე პოლიციელების განმარტებები კ. კ-ის დაკავებასთან დაკავშირებით, კერძოდ: ნ. მ-ემ განმარტა, რომ ავტომანქანით მივიდნენ თ-ის დასახლებაში, მე-... სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, იმოძრავეს დაახლოებით 10-15 წუთს, შემდეგ წამოვიდნენ ქვემოთ, ქალაქის მიმართულებით, რა დროსაც შენიშნეს და დააკავეს კ.. დ. ც-ის განმარტებით კი პოლიციელებმა გადაკვეთეს რკინიგზის გადასასვლელი და ქალაქიდან თ-ის დასახლების მიმართულებით გაემგზავრნენ, შენიშნეს კ. და მაშინვე დააკავეს.

3. საკასაციო სასამართლოსთვის გაუგებარია და ვერც ბრალდების მხარემ ახსნა კ. კ-ის მყისიერი დაკავების აუცილებლობა მაშინ, როდესაც სამართალდამცავების მიერ მიღებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, კ-ეს ხელთ არსებული ნარკოტიკული საშუალება უნდა გაესაღებინა მესამე პირზე.

4. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულებებს შორის არსებული წინააღმდეგობები უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ, მითუმეტეს, რომ ამას ემატება ბრალდებულის ჩვენებაც, რომელიც სრულიად განსხვავებულად აღწერს თავისი დაკავების ფაქტს, რასაც ადასტურებს ბრალდებულის მეუღლე ე. კ-იც. ყოველივე ეს ობიექტურ დამკვირვებელში აჩენს ეჭვს, რომელიც არ არის გაქარწყლებული, შესაბამისად, გამამართლებელი განაჩენი კ. კ-ის მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

5. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საკასაციო პალატისთვის გაუგებარია პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების განაჩენების დასაბუთება – ნარკოტიკული საშუალების შენაფუთზე კ. კ-ის გენეტიკური პროფილის აღმოუჩენლობის მოტივაციით კ-ის უდანაშაულობის შესახებ მაშინ, როდესაც საკასაციო პალატამ გ. ვ-ის საქმეზე ერთხელ უკვე გააუქმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი, რომლითაც ვ. სწორედ ანალოგიური საფუძვლით იყო გამარ-

თლებული (იხ.საქმე № 96აპ-17, 10 მაისი, 2017 წელი). აღნიშნულ საქმეში საკასაციო პალატამ ერთმნიშვნელოვნად განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, როცა მოწმე პოლიციელების ჩვენებების სანდოობაში არავითარი ეჭვის საფუძველი არ არსებობს (პოლიციელთა ჩვენებები იყო თანმიმდევრული, სარწმუნო და როგორც ერთმანეთთან, ისე საქმის სხვა მტკიცებულებებთან სრულად თანხვედნილი. მათი ჩვენებები გამყარებული იყო პირადი ჩხრეკის ოქმითა და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით. ასევე, საქმის მასალების შესწავლის შედეგად ბრალდების მხარისგან საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას რაიმე სახის კანონდარღვევა არ გამოვლენილა), მხოლოდ ის ფაქტი, რომ ამოღებული ნივთიერების შენაფუთზე არ გამოვლინდა პირის გენეტიკური პროფილი – არ წარმოადგენს მისი გამართლების საფუძველს, ვინაიდან ექსპერტთა განმარტებით, შესაძლოა, პირი შეეხოს საგანს და მასზე არ დარჩეს მისი გენეტიკური პროფილი.

6. ჩვენ მიერ განსახილველ საქმეზეც დაიკითხნენ გენეტიკური ექსპერტიზის ჩამტარებელი ექსპერტები – თ. გ. და ნ. კ., რომლებმაც დაადასტურეს ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნის სისწორე და მიუთითეს, რომ გამოსაკვლევე ობიექტზე აღმოჩნდა ერთზე მეტი პირის შერეული პროფილი, თუმცა კ. კ-ის გენეტიკური პროფილი მასზე არ აღმოჩნდა. პროკურორის კითხვაზე, ნივთზე ხელის მოკიდების შემთხვევაში შესაძლებელია თუ არა, რომ არ აღმოჩნდეს დნმ-ის მინიმალური კონცენტრაცია, ექსპერტებმა განმარტეს, რომ ეს დამოკიდებულია ინდივიდუალურ სიტუაციაზე და მოცემულ საკითხზე კატეგორიული პასუხის გაცემა არ შეუძლიათ. შეუძლებელია იმის განსაზღვრა, შეეხო პირი ნივთს თუ არა, შეიძლება შეეხოს და არ დარჩეს მასალა, ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული.

7. ამდენად, სასამართლოთა მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ბრალდებულის გენეტიკური პროფილის აღმოუჩენლობა ნივთზე ადასტურებს მის უდანაშაულობას, დაუსაბუთებელია და საკასაციო პალატა მას კვლავაც არ იზიარებს. მეტიც, თუკი სასამართლოები მსგავს პოზიციას განამტკიცებენ, ამით შესაძლოა, ნახალისდეს კრიმინალი იმ თვალსაზრისით, რომ ისეთი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა, როგორცაა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა-შენახვა და ა. შ. ისეთი საშუალებით (მაგ. ხელთათმანებით), რომლის გამოყენების შემთხვევაშიც ნივთზე არ დარჩება პირის გენეტიკური პროფილი, უპირობოდ იქნება გა-

მამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი, რაც, ბუნებრივია, საკასაციო სასამართლოსთვის, როგორც მართლმსაჯულების განხორციელებაზე ზედამხედველი უმაღლესი ორგანოსათვის, მიუღებელია.

8. სააპელაციო სასამართლო გამამართლებელ განაჩენში მიუთითებს პოლიციელების ჩვენებების ნაკლებ მტკიცებულებით ღირებულებაზე, რის დასასაბუთებლადაც იმველიებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე – „ოჩელკოვი რუსეთის წინააღმდეგ“ (ECtHR, 11/07/2013, *Ochelkov v. Russia*, №17828/05) რასთან დაკავშირებითაც საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ, კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ სადავო არ იყო ბატონი ოჩელკოვის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტი (რასაც თავად ოჩელკოვი სამართალდამცავებს მიაწერდა), მიუთითა იმ პოლიციელების ჩვენებების ნაკლებ მტკიცებულებით ღირებულებაზე, რომლებსაც ბრალს სდებდა ოჩელკოვი, თანაც იმ ფონზე, რომ პოლიციელების ჩვენებები არ იყო განმტკიცებული არანაირი მტკიცებულებით და ასევე, იყო წინააღმდეგობრივი როგორც ერთმანეთთან, ისე საქმის სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ცალსახად თქმა იმისა, რომ ყველა სისხლის სამართლის საქმეზე პოლიციელთა ჩვენებებს იმთავითვე მცირე (ან მეტი) მნიშვნელობა აქვს, არ არის მართებული და არ გამომდინარეობს ევროსასამართლოს მითითებული გადაწყვეტილებიდან. პოლიციელთა ჩვენებების სანდოობა და უტყუარობა უნდა შეფასდეს კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე და მისთვის წინასწარ მტკიცებულებითი წონის მინიჭება გაუმართლებელია.

9. რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე „ვრონჩენკო ესტონეთის წინააღმდეგ“ (ECtHR, 18/10/2013, *Vronchenko v. Estonia*, №59632/09), რომელიც ასევე მოხმობილია გასაჩივრებულ განაჩენში, როგორც პრეცედენტული გადაწყვეტილება დნმ-ის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებულ საქმეში, რომელიც ეხებოდა სქესობრივი დანაშაულის ჩადენის ფაქტს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა სხვა მტკიცებულებები, მათ შორის – დაზარალებულისგან ამოღებულ ნივთმტკიცებაზე ბრალდებულის დნმ-იც არ აღმოჩნდა, პირის მსჯავრდება მხოლოდ დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე, რომლისთვის კითხვების დასმის შესაძლებ-

ლობა ბრალდებულს არც პირადად, არც ადვოკატის და არც რაიმე სხვა საშუალებით არ მისცემია, არღვევს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას. ანუ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლოს არ მიუთითებია დნმ-ის აღმოუჩენლობის შემთხვევაში სხვა მტკიცებულებების უმნიშვნელობის თაობაზე.

10. ამდენად, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ იმ პირობებში, როდესაც არსებობს მოწმე პოლიციელების თანმიმდევრული, თანხვედნილი ჩვენებები, რომელთა ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში ეჭვის საფუძველი არ არსებობს, ასევე საქმეშია ბრალდებულის პირადი ჩხრეკის ოქმი, რომელიც შედგენილია საპროცესო ნორმების სრული დაცვით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო საპროცესო მოქმედებები ჩატარებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და პოლიციელთა მხრიდან ბრალდებულის მიმართ რაიმე ინტერესი არ იკვეთება, მხოლოდ ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნა, რომ ნივთზე არ აღმოჩნდა ბრალდებულის გენეტიკური პროფილი, თანაც, როდესაც ექსპერტები განმარტავენ, რომ შესაძლოა, ნივთზე შეხების შემთხვევაშიც კი არ დარჩეს გენეტიკური პროფილის კვლევისთვის საჭირო მინიმალური კონცენტრაცია, არ წარმოადგენს უპირობოდ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. პროკურორ გელა თებიძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 16 თებერვლის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენი ცვლილების შეტანა

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№4აპ-17

30 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. ხ-ის ინ-
ტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ს-სა და ბათუმის რაიონუ-
ლი პროკურატურის პროკურორ ადილარ წირღვაგას საკასაციო
საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-
თლის საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერითი ნაწილი:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 1 აგვისტოს
განაჩენით ი. კ., – დაბადებული ... წლის ...-ს, ნასამართლევი, –
ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა: საქართველოს
სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით,
ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და საქართველოს
სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით წარდგენილ ბრალ-
დებებში. ი. კ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება
– პატიმრობა გაუქმდა და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა
სასამართლო სხდომის დარბაზიდან. ი. კ-ს ბრალი ედებოდა შემ-
დეგ დანაშაულებში:

ქურდობისათვის ნასამართლევი ი. კ. ნასამართლობის გაქარ-
წყლებამდე ყაჩაღური თავდასხმისათვის წინასწარ შეუთანხმდა
ზ. ხ-სა და სხვა პირებს. ამ მიზნით, მან დაუდგენელ დროსა და
ვითარებაში უკანონოდ შეიძინა ბალისტიკური ექსპერტიზის თა-
ნახმად ვარგისი ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც 2015 წლის
18 დეკემბერს, სალამოს საათებში, ყაჩაღურ თავდასხმაში გა-
მოყენების მიზნით, გადასცა ზ. ხ-ს. ოთხივე პირი 2015 წლის 18
დეკემბერს, დაახლოებით 22:30 საათზე, მივიდა ქ-ში მდებარე
გაზგასამართ სადგურ „...“ შენობასთან. შეთანხმებისამებრ, გა-
მოდებისათვის დაუდგენელი პირი დააყენეს გარეთ მეთვალ-
ყურედ, ზ. ხ-ემ კი გადაჭრილი თოფით ჩაამტვრია შენობის მინა
და მოკვლის მუქარით აიძულა გაზგასამართი სადგურის ოპე-

რატორი მ. ჯ., რომ კარი გაეხსნა, რის შემდეგაც ზ. ხ-ემ, ი. კ-ემ და სხვა პირმა უკანონოდ შეაღწიეს ქ-ში მდებარე გაზგასამართ სადგურ „...“ შენობაში და გადაჭრილი თოფის გამოყენებით, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით მ. ჯ-ს გასტაცეს შპს „...“ კუთვნილი „ლენოვოს“ ფირმის ნოუთბუქი, თანხა – 270 ლარი და გაზგასამართ სადგურ „...“ პლასტიკური ბარათები, რის შემდეგაც მიიმალნენ.

ი. კ-ემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და შეინახა ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად გამოსაყენებლად ვარგისი ცეცხლსასროლი იარაღი – გადაჭრილი იარაღი, საბჭოთა წარმოების ორლულიანი, 16 მმ კალიბრანი „BM“ მოდელის, ჩარჩოზე ნომრით – „...“, ლულაზე ნომრით – „...“, ტიბრიჭზე ნომრით – „...“ კუსტარულად გადაჭრილი თოფი, რომელსაც ატარებდა და ყაჩაღობაში გამოსაყენებლად და შესანახად გადასცა თავის მეგობარს – ზ. ხ-ეს.

ზ. ხ. – დაბადებული – წლის – მაისს, ნასამართლობის არმქონე – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

ზ. ხ. ყაჩაღობისათვის წინასწარ შეუთანხმდა გამოძიებისათვის ჯერჯერობით დაუდგენელ პირებს. ისინი 2015 წლის 18 დეკემბერს, დაახლოებით 22:50 საათზე, მივიდნენ ქ-ში მდებარე გაზგასამართ სადგურ „...“ შენობასთან. შეთანხმებისამებრ, ერთი პირი დააყენეს გარეთ მეთვალყურედ, ზ. ხ-ემ კი გადაჭრილი თოფით ჩაამტვრია შენობის მინა და მოკვლის მუქარით აიძულა გაზგასამართი სადგურის ოპერატორი მ. ჯ., რომ კარი გაეხსნა, რის შემდეგაც ზ. ხ-ემ და სხვებმა უკანონოდ შეაღწიეს ქ-ში მდებარე გაზგასამართ სადგურ „...“ შენობაში და გადაჭრილი თოფის გამოყენებით, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით მ. ჯ-ეს გასტაცეს შპს „...“ კუთვნილი „ლენოვოს“ ფირმის ნოუთბუქი, თანხა – 270 ლარი და გაზგასამართ სადგურ „...“ პლასტიკური ბარათები, რის შემდეგაც მიიმალნენ.

ზ. ხ. უკანონოდ ატარებდა ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად გამოსაყენებლად ვარგისი ცეცხლსასროლი იარაღს – გადაჭრილი იარაღს, საბჭოთა წარმოების ორლულიანი, 16 მმ კალიბრანი, „BM“ მოდელის, ჩარჩოზე ნომრით – „...“, ლულაზე ნომრით ... – ტიბრიჭზე ნომრით – „...“ კუსტარულად გადაჭრილი თოფს, რომელიც უკანონოდ შეინახა საკუთარ საცხოვრებელ სახლში და 2015 წლის 20 დეკემბერს ჩატარებული ჩხრეკის

დროს ამოიღეს.

2. ზ. ხ-ეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მიესაჯა – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით; საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, ერთმა ძირითადმა სასჯელმა შთანთქმა მეორე ძირითადი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ზ. ხ-ეს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით. მსჯავრდებულ ზ. ხ-ის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა და დანიშნული სასჯელის მოხდის ათვლა დაენყო დაკავების დღიდან – 2015 წლის 20 დეკემბრიდან.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ზ. ხ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ს-ემ და ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ადილარ წირღვა-ვამ.

5. ადვოკატმა დ. ს-ემ ითხოვა ზ. ხ-ის გამართლება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში, ხოლო საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახით 1 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება და საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე მისი პირობით ჩათვლა, იმავე გამოსაცდელი ვადით. პროკურორმა ადილარ წირღვა-ვამ ითხოვა ი. კ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებებში.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ნოემბრის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 1 აგვისტოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

7. კასატორი – მსჯავრდებულ ზ. ხ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ს. საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება: ზ. ხ. ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში; ხო-

ლო საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა.

8. დაცვის მხარის მითითებით, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის მტკიცებულებები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებით სტანდარტს. დაკითხულმა მონმეებმა ვერც პირდაპირი და ვერც ირიბი სახით ვერ მიუთითეს მსჯავრდებულზე, როგორც დანაშაულის ჩამდენ პირზე. ვიდეოჩანანერზე აღბეჭდილი ოთხი პირის იდენტიფიცირება შეუძლებელია. ამასთან, საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, მართალია, გადაჭრილი თოფი, ნოუთბუქი, ინტერნეტმოდემი და პლასტიკური ბარათები ამოიღეს, მაგრამ ჩხრეკა ჩატარებულია შემთხვევიდან მესამე დღეს, რაც ადასტურებს ამ ნივთთა შენახვისა და არა – დაუფლების ფაქტს. საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში ასახულია საქმეზე გამოძიების დროს ზ. ხ-ის მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაცია, რომელიც სასამართლო სხდომაზე ბრალდებულმა უარყო. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ამოღებული და ნივთმტკიცებად ცნობილი დაუდგენელი „ნამწვი“ სასამართლოზე ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია.

9. კასატორის მითითებით, ფ. ხ-ემ დაადასტურა მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა, ხოლო იარაღის ტარება და ყალაჩობის ჩადენა არ დაუდასტურებია. გამომძიებელმა გ. გ-ემ სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ მან დანიშნა კომპლექსური ექსპერტიზა (მიკრონაწილაკებზე, ბიოლოგიური, დაქტილოსკოპიური, ოდოროლოგიური და ბალისტიკური), მაგრამ სხდომაზე ბრალდების მხარემ მხოლოდ ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგინა. ამასთან, სასამართლო სხდომაზე არ გამოკვლეულა ზ. ხ-ის მიერ გადაჭრილი თოფის ტარების არც ერთი მტკიცებულება. კასატორის მითითებით, ზ. ხ-ეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით ცალკე სასჯელი არ დანიშვნია და სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები) ერთიანი სასჯელი შეეფარდა.

10. კასატორი – ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორი ადილარ წირღვავა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება: ი. კ. დამნაშავედ უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, რისთვისაც უნდა შეეფარდოს შესაბამისი სასჯელი.

11. ბრალდების მხარის მითითებით, ი. კ-ის სახლის ჩხრეკი-სას ამოღებული ნივთები ადასტურებს დანაშაულებრივი ქმედების ი. კ-ის მიერ ჩადენას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ზ. ხ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ს-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ადილარ წირღვავას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს იმ ნაწილში, რომ მსჯავრდებულმა ზ. ხ-ემ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რასაც არც მხარეები ხდიაან სადავოდ. ამდენად, საქმეში წარმოდგენილია ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს ზ. ხ-ის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვის ფაქტს.

3. რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის ზომას, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლისა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლის შინაარსს და ინდივიდუალურად აფასებს ზ. ხ-ის პიროვნებას. აღსანიშნავია, რომ განსახილველ შემთხვევაში მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი კატეგორიის, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, ს. ხ-ის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმის თანახმად, ზ. ხ. თავისი საძინებელი ოთახის საწოლში, ლეიბის ქვეშ ინახავდა გააღჭრილ იარაღს. ამდენად, მოვალეობათა დარღვევის ხასიათის, ზომის, მსჯავრდებულის პიროვნებისა და იმის გათვალისწინებით, რომ იგი ნასამართლევი არ არის, მას სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

4. საკასაციო პალატა იზიარებს დაცვის მხარის არგუმენტებს მსჯავრდებულ ზ. ხ-ის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარ-

დგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე და მი-
აჩნია, რომ განსახილველ ნაწილში ბრალდების მხარის მიერ წარ-
მოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს
მიღმა ვერ დასტურდება ზ. ხ-ის მიერ დამამძიმებელ გარემოე-
ბებში ყაჩაღობის ჩადენა.

5. გასაჩივრებული განაჩენი ბრალდების ზემომითითებულ
დანაშაულთან მიმართებით ძირითადად ეფუძნება: დაზარალე-
ბულ მ. ჯ-ის ჩვენებას, ს. ხ-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის
ოქმსა და ამოღებულ საგნებს (მათ შორის – გაზგასამართ სად-
გურ „...“ პლასტიკურ ბარათებსა და „Lenovo-ს“ ფირმის ნოუთ-
ბუქს), საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ჩამატარებელი პირების –
მ. გ-ის, ჯ. კ-სა და გ. ბ-ის ჩვენებებს, ბალისტიკური ექსპერტი-
ზის დასკვნასა და საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს, რომლე-
ბიც ერთობლივად უტყუარად ვერ ადასტურებენ ზ. ხ-ის ბრა-
ლულობას, კერძოდ:

6. დაზარალებულ მ. ჯ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ ყაჩა-
ღობის დღეს, დაახლოებით ღამის 11:00 საათზე, სამსახურში
მარტო იმყოფებოდა და სამსახურის კუთვნილი ნოუთბუქით მუ-
შაობდა, როდესაც მტვრევის ხმა გაიგო. უცებ, ოთახის ფანჯა-
რაში ნიღბიანმა პირმა თოფის ლულა შეყო, მისკენ მიმართა, უბ-
რძანა არ განძრეულიყო და ხელები მაღლა აენია. მოწმემ ყაჩა-
ღის მითითება შეასრულა. იმავდროულად, ოთახში კარიდან ორი
ნიღბიანი პირი შევიდა, რომელთაგანაც ერთ-ერთმა გაარტყა,
ჩხრეკა დაუწყო და იზოლაციური ლენტით ხელები შეუკრა. ყა-
ჩაღებმა დაზარალებულს ფული მოსთხოვეს. მ. ჯ-ეს ძალიან შე-
ეშინდა, რადგან იარაღი ყაჩაღს მისკენ მეტრ-ნახევრის მანძილ-
ზე ჰქონდა მიშვერილი. მას ჯიბეში ქალაღდის ფული ჰქონდა,
ხოლო მაგიდის უჯრაში კი ხურდა ფული ინახებოდა. ყაჩაღებმა
ფული აიღეს და სწრაფად დატოვეს ოთახი. ნასვლისას მათ ასე-
ვე სამსახურის კუთვნილი, ხსენებული კომპიუტერი და 30 პლას-
ტიკური ბარათი წაიღეს. დაზარალებულს სახეზე არც ერთი მათ-
განი არ დაუნახავს. ყაჩაღობის დროს ეგონა, რომ სამნი იყვნენ,
მაგრამ მოგვიანებით, როდესაც ნახა ვიდეოჩანანერი, მასში ასა-
ხული იყო არა სამი, არამედ – ოთხი პირი.

7. ს. ხ-ის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმის თანახმად, ზ.
ხ-ის საძინებელ ოთახში, სანოლის ლეიბის ქვეშ, ჩხრეკისას ნა-
პოვნი და ამოღებულია ერთი ორლულიანი თოფისმაგვარი საგა-
ნი. ლოგინის ზედაპირზე აგრეთვე ნაპოვნი იქნა შავი ფერის
„LENOVO-ს“ ფირმის ნოუთბუქი თავისი სამუხტით. ჩხრეკის შე-
დეგად ასევე ამოღებულია: ზენარი, სამი ლურჯი პლასტიკური
ბარათი წარწერით – „პრომეთე ქარდი“ და თეთრი მოდემი წარ-

წერით – „მაგთი“.

8. მოწმეებმა – მ. გ-ემ, ჯ. კ-ემ და გ. ბ-ემ სასამართლოში მოწმედ დაკითხვის დროს მიუთითეს, რომ ისინი მონაწილეობდნენ ს. ხ-ის ბინის ჩხრეკაში. მათ სრულად დაადასტურეს ს. ხ-ის ბინის ჩხრეკის მიმდინარეობა, შედეგები და განაცხადეს, რომ ს. ხ-ემ მიუთითა შვილის, ზ. ხ-ის საძინებელ ოთახზე, საიდანაც გადაჭრილი თოფი, ნოუთბუქი, მაგთის ინტერნეტმოდემი, სამი პლასტიკური ბარათი და ზენარი ამოიღეს.

9. დადგენილია, რომ „...“ გაზგასამართ სადგურზე ყაჩაღური თავდასხმისას ჩატარებული პრომეთეგაზის პლასტიკური ბარათების ნომრებია: 1) -, 2) -, 3) -, 4) -, 5) -, 6) -, 7) -, 8) -, 9) -, რაც ემთხვევა ზ. ხ-ის საცხოვრებელი სახლიდან ამოღებული პლასტიკური ბარათების ნომრებს – -, -, -. დადასტურებულია აგრეთვე, რომ ზ. ხ-ის საძინებელი ოთახიდან ამოღებული „გენოვო-ს“ ფირმის ლეპტოპი ნამდვილად „...“ ყაჩაღური გზით გატაცებული ლეპტოპია.

10. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მითითებულ სხვა მტკიცებულებას – საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში იგი აგრეთვე ვერ მიიჩნევა პირდაპირი სახის მტკიცებულებად.

11. ამდენად, ზემომითითებული მტკიცებულებები პირდაპირ ვერ მიუთითებს ზ. ხ-ის მიერ ყაჩაღობის ჩადენის ფაქტს, კერძოდ, დაზარალებულის ჩვენებით არ დგინდება, რომ მან შემთხვევის ადგილას ზ. ხ. დაინახა, ხოლო ჩხრეკის ოქმის შედეგად ამოღებული ნივთები და ჩხრეკის მონაწილე პირები ვერ ადასტურებენ უშუალოდ ზ. ხ-ის მიერ ნივთების ყაჩაღობით დაუფლების ფაქტს. ამდენად, ის გარემოება, რომ ნივთები ინახებოდა ზ. ხ-ის სახლში, ცალკე აღებული, არ გულისხმობს, რომ ზ. ხ-ემ დაზარალებულ მ. ჯ-ზე თავდასხმის შედეგად მიისაკუთრა ისინი.

12. ანალოგიურად, ი. კ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის დამადასტურებელ მტკიცებულებას წარმოადგენს მხოლოდ ი. კ-ის ბინის ჩხრეკის ოქმი და ამოღებული სამი, ლურჯი „...“ პლასტიკური ბარათი. აღნიშნულ ვითარებაში ყაჩაღობასთან მიმართებით ზ. ხ-სა და ი. კ-ის სამართლებრივი მდგომარეობა იდენტურია. ამდენად, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარში მითითებულ პოზიციას, რომ ი. კ-ის ბრალის დამადასტურებელ მტკიცებულე-

ბას წარმოადგენს სახლის ჩხრეკისას ამოღებული ნაყაჩაღარი ნივთები, ვინაიდან ისინი პირდაპირ ვერ უთითებენ, რომ დანაშაულებრივი ქმედება სწორედ ი. კ-ემ ჩაიდინა.

13. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ როგორც ზ. ხ-თან, ისე ი. კ-თან მიმართებით ყაჩაღობის ჩადენის დამადასტურებელ მტკიცებულებას წარმოადგენს მხოლოდ ერთი, საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმი, რომელიც ვერ ქმნის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებით სტანდარტს. ამდენად, ი. კ-სა და ზ. ხ-ის მიერ მითითებული ქმედების ჩადენა წარმოადგენს ბრალდების მხარის ეჭვს, რომელიც უნდა გადაწყდეს მსჯავრდებულების (ბრალდებულების) სასარგებლოდ.

14. რაც შეეხება ბრალდების მხარის მიერ ი. კ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულში, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ბრალმდებლის საკასაციო საჩივარი არ შეიცავს არანაირ მოტივაციას, თუ რატომ მიიჩნევს იგი აღნიშნულ ნაწილში განაჩენს უკანონოდ. ამასთანავე, საქმეში წარმოდგენილი არც ერთი პირდაპირი მტკიცებულებით არ დასტურდება ი. კ-ის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა, შესახვისა და ტარების ფაქტი. შესაბამისად, საკასაციო პალატას ზემომითითებულ ბრალდების ნაწილთან მიმართებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ნოემბრის განაჩენში ცვლილების შეტანა ყოვლად უსაფუძვლოდ მიაჩნია.

15. ზ. ხ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენასთან მიმართებით კი საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ტარება გულისხმობს კანონით დადგენილი წესის დაცვის გარეშე იარაღთან ერთად გარკვეულ ადგილზე (ადგილებში) გადაადგილებას. ამდენად, ვინაიდან წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალებით ზ. ხ-ს ბენზინგასამართ სადგურ „...“ შენობაში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ყაჩაღობის ჩადენა არ დასტურდება და ამასთანავე, დაუდგენელია ზ. ხ-ის მიერ აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღით სხვაგან გადაადგილების ფაქტიც, შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილთან მიმართებით გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტი არ იკვეთება.

16. ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები უტყუარად ვერ ადასტურებს:

ზ. ხ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას;

ი. კ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას.

17. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაუშვებელია, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ტოვებდეს კითხვებს და ბადებდეს ეჭვს ისეთი სახის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს პირის ბრალეულობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემომითითებულ ნაწილებში, მსჯავრდებულები შესაბამისი მტკიცებულებითი სტანდარტის არარსებობის გამო, წარდგენილ ბრალდებებში უნდა გამართლდნენ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ზ. ხ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ადილარ წირღვავას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

4. ზ. ხ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში.

5. ზ. ხ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

6. ზ. ხ-ეს სასჯელის მოხდის ათვლა დაენყოს დაკავების დღიდან – 2015 წლის 20 დეკემბრიდან.

7. ზ. ხ-ეს განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ნოემბრის განაჩენი სხვა, მათ შორის ი. კ-ის გამართლების ნაწილში დარჩეს უცვლელად.

9. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენში ცვლილების შეტანა

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო სასამართლოს

№51აბ.-17

14 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

ნ. გვენეტაძე,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. შ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ზ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 1 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 8 ივლისის განაჩენით ვ. შ-ა, – დაბადებული 1980 წლის 20 იანვარს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ასევე – პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა, მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობით; ასევე – ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება.

2. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- 2015 წლის 3 ნოემბერს ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის №4 განყოფილებაში შესული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის №725 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით დადგენილი წესით, ნარკოლოგიურ სამსახურში გადაყვანისა და ნარკოლოგიური შემონმების ჩატარების მიზნით, პოლიციის მუშაკებს ვ. შ-ა არ დაემორჩილა, არ მისცა მათ საშუალება, შეედგინათ ადმინისტრაციული დაკავების ოქმი და მათი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ძალადობითა და ძალადობის მუქარით გაუწია წინააღმდეგობა, რა დროსაც პოლიციის თანამშრომელ დ. ბ-ს მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა და დაუზიანა პოლიციის მუშაკის ქურთუკი.

- 2015 წლის 30 ნოემბერს, ღამის საათებში, საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლით ნასამართლევა ვ. შ-მ უკანონოდ შეაღწია ბათუმში, ბაგრატიონის ქ. №..-ში მდებარე ც. ს-ს კუთვნილ საცხოვრებელ ბინაში, საიდანაც მოიპარა მისი კუთვნილი 70 ლარი და 350 ლარად ღირებული ბეჭედი, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

- ვ. შ-მ მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა ქარხნული წესით დამზადებულ, 9 მმ ნომინალური კალიბრის „VOLTRAN-MAJOR MOD 88“ მოდელის №... პისტოლეტს ერთი მჭიდითა და 5 საბრძოლო ვაზნით, რაც ამოიღეს 2015 წლის 30 ნოემბერს მისი პირადი ჩხრეკის შედეგად.

- ვ. შ-ა 2015 წლის 30 ნოემბერს ბათუმში მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა ქარხნული წესით დამზადებულ, 9 მმ ნომინალური კალიბრის „VOLTRAN-MAJOR MOD 88“ მოდელის №.. პისტოლეტს ერთი მჭიდითა და 5 საბრძოლო ვაზნით.

3. აღნიშნული ქმედებისათვის ვ. შ-ს საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 3 წლით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეუბნქტებით – 4 წლით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 2 წლით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და ვ. შ-ს, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2015 წლის 30 ნოემბრიდან; მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალა დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 3 ნოემბრიდან იმავე წლის 5 ნოემბრამდე.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულების ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. რ-მ. მან მოითხო-

ვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და ვ. შ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 1 დეკემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. კასატორი – მსჯავრდებულ ვ. შ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ზ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 1 დეკემბრის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და ვ. შ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ვ. შ-ს მიმართ, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს შესაბამისი ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა არ ეთანხმება დაცვის მხარის პოზიციას მსჯავრდებულ ვ. შ-ს უდანაშაულობის თაობაზე, რადგან ასეთი დასკვნისათვის არ მოიპოვება ჯეროვანი და დასაბუთებული საფუძველი მისი ბრალდების საქმეში. გასაჩივრებული განაჩენით მას ბრალად შეერაცხა სამი დანაშაულის ჩადენა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი არაერთგზის და ბინაში უკანონო შეღწევით), აგრეთვე აღნიშნული კოდექსის 236-ე მუხლის მე-2–მე-3 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა და ტარება) და 353-ე მუხლის პირველი ნაწილით (პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა, მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობით).

3. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნის, შენახვისა და ტარების თაობაზე შერაცხული ბრალის ნაწილში დაცვის მხარე თავის საკასაციო საჩივარში აპელირებს სასამართლო სხდომაზე ბრალდებულ ვ. შ-ს მიერ გაცხადებული არგუმენტით, რომლის მიხედვით, ცეცხლსასროლი იარაღი მას არ ჰქონია, არამედ ის მისი დაკავების ადგილზე თან ჰქონდათ პოლიციელებს, რომლებმაც შემდეგ მისი დაკავებისა და პირადი

ჩხრეკის ოქმში გააფორმეს როგორც მისგან ამოღებული იარაღი, ანუ მოხდა მტკიცებულების ფალსიფიკაცია, ხოლო შემდგომში კი ასეთ ყალბ საფუძველზე მას წარუდგინეს ცრუ ბრალდება.

4. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის ამგვარ მტკიცებას და მას ვერ განიხილავს როგორც დასაბუთებულ საფუძველს მსჯავრდების მოცემულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებისათვის, რადგან საამისოდ საქმის მასალებში არ მოიპოვება მსგავსი საფუძველი, ასევე, კასატორის ზემოაღნიშნული მტკიცებაც, თავის მხრივ, არ ემყარება რაიმე რეალურად არსებულ გარემოებას ანდა ისეთ მტკიცებულებას, რაც საფუძვლიან ეჭვს გააჩენდა ვ. შ-ს ბრალულობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მსჯავრდებული საქმის წინასწარი გამოძიების სტადიაზევე უზრუნველყოფილი იყო დამცველით, რომლის მეშვეობით მას ჰქონდა შესაძლებლობა, მიემართა განცხადებით პროკურატურისათვის მისი უკანონოდ დაკავებისა და მტკიცებულების ფალსიფიკაციის თაობაზე, თუკი ნამდვილად იყო ჩადენილი მის მიმართ ასეთი დანაშაულებრივი ქმედებები, აგრეთვე ჩაეტარებინა დამოუკიდებელი გამოძიება, მაგრამ დაცვის მხარეს მსგავსი რამ არ გაუკეთებია.

5. ამასთან ერთად, საკასაციო პალატა მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ, როგორც პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოები, ასევე საკასაციო სასამართლო, პროცესულური თვალსაზრისით, მოკლებულია შესაძლებლობას საქმის არსებითი განხილვისას თვითონ ჩაატაროს გამოძიება და დაადგინოს, გაყალბდა თუ არა მტკიცებულება პირის დაკავებისას, თუკი, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პირობებში, ბრალდებისა და დაცვის მხარეების მიერ ჩატარებული სასამართლო გამოძიებით არ გამოვლინდა ისეთი რეალური ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც საფუძვლიან ეჭვს წარმოშობენ ბრალდების მტკიცებულებების სანდოობისა და კანონიერების მიმართ.

6. ამიტომ საკასაციო სასამართლო ხელახლა ვერ იმსჯელებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არსებობისა თუ არარსებობის თაობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმის საკასაციო წესით განხილვისას გამოვლინდება, რომ საქმის წარმოების დროს უხეშად დაირღვა საქართველოს კონსტიტუციითა და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ისეთი ფუნდამენტური პრინციპები, რამაც არსებითი გავლენა იქონია საქმის შედეგზე. მოცემულ შემთხვევაში კი ვ. შ-ს მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინა-

აღმდეგო შექმნის, შენახვისა და ტარების შესახებ შერაცხული ბრალდების ნაწილში მსგავსი საპროცესო დარღვევები არ იკვეთება, რის გამოც საკასაციო პალატას არ გააჩნია საფუძველი, ეჭვი შეიტანოს ცეცხლსასროლი იარაღის სახით მისგან ამოღებული ნივთმტკიცების კანონიერებაში ან ბრალდების მოწმე პოლიციის მუშაკთა ჩვენებების სისწორესა და საფუძვლიანობაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენი ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვისა და ტარებისათვის მსჯავრდების ნაწილში ვ. შ-ს მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

7. შეიძლება იგივე აღინიშნოს ვ. შ-ს მიმართ პოლიციის მუშაკთათვის წინააღმდეგობის განევის გამო შერაცხული ბრალის შესახებ. საქმეში არსებობს მომხდარი დანაშაულის შემთხვევის მონაწილე პოლიციის მუშაკების ჩვენებები მსჯავრდებულის მიერ მათთვის ძალის გამოყენებით წინააღმდეგობის განევის თაობაზე, რომლებიც თანხვედნილია ნივთიერ მტკიცებულებასთან – მსჯავრდებულის ძალისმიერი მოქმედებით პოლიციელის ფორმაზე დატოვებულ დაზიანების კვალთან. საქმეში არ ვლინდება რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს გააჩენდა იმის თაობაზე, რომ ბრალდების მოწმე პოლიციელები არიან დაინტერესებული პირები და ისინი შეგნებულად იძლევიან ცრუ ჩვენებებს ვ. შ-ს წინააღმდეგ. განხილული მტკიცებულებები საკასაციო პალატას მიაჩნია სარწმუნოდ და საკმარისად გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაცვით ვ. შ-ს მსჯავრდებისათვის საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი ამ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

8. ამავე დროს, საკასაციო პალატა სავსებით ეთანხმება დაცვის მხარის მოთხოვნას ქურდობის ბრალდების ნაწილში მსჯავრდებულ ვ. შ-ს უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე, ვინაიდან განხილულ საქმეში არ მოიპოვება ჯეროვანი საფუძველი მისი ბრალეულად მიჩნევისათვის, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში ერთადერთ მტკიცებულებას, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს ვ. შ-ს სავარაუდო კავშირზე დაზარალებულ ც. ს-ს ბინაში მომხდარ ქურდობასთან, წარმოადგენს ვ. შ-ს მიერ წინასწარი დაკავების საკანში მისი სხეულის დათვალიერებისას წარდგენილი ბეჭედი, რომელიც ხსენებული დაზარალებულის საკუთრება იყო და მის ბინაში ჩადენილი ქურდობისას დაიკარგა. რაიმე სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ დაზარალებულის ბინაში მომხდარი ქურდობის დროს

ნამდვილად ვ. შ-ა იმყოფებოდა და სწორედ მან მოიპარა დაზარალებულის ბეჭედი, არ არსებობს. მსგავს შემთხვევებთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს: მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირთან აღმოჩნდა დაზარალებულის მფლობელობიდან ფარულად გატაცებული ნივთი (ქონება) ან თანხა, ვერ განიხილება უტყუარ და საკმარის საფუძვლად ქურდობაში ამ პირის ბრალეულად ცნობისათვის, თუკი ასეთი ფაქტის დანაშაულებრიობა დადასტურებული არ არის კიდევ სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც მას უშუალოდ ამხელს დანაშაულის ჩადენაში. ამასთან, აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება არა მხოლოდ ქურდობის, არამედ ნებისმიერი სხვა დანაშაულის ჩადენაში პირის ბრალდების შემთხვევებზედაც.

9. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება გასაჩივრებულ განაჩენში მოცემულ დასკვნას, რომლის მიხედვით: განსახილველ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით უტყუარადაა დადგენილი ქურდობის შემადგენლობისათვის საჭირო ყველა ელემენტის არსებობა, კერძოდ, ვ. შ-ა არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა სხვის მოძრავ ნივთს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. საკასაციო პალატის აზრით, არ არსებობს კანონიერი და დასაბუთებული საფუძველი ვ. შ-ს მსჯავრდებისათვის მისთვის ბრალად შერაცხულ ქურდობაში, რის გამოც პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 1 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ, აღნიშნული განაჩენი ვ. შ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით მსჯავრდების ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში იგი ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ, ხოლო სხვა ნაწილში განაჩენი ვ. შ-ს მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ვ. შ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ

მ. ზ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საემეტა პალატის 2016 წლის 1 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მსჯავრდებული ვ. შ-ა ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში;

4. ვ. შ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი სასჯელები და ვ. შ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვროს 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

6. მსჯავრდებულ ვ. შ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაენწყოს 2015 წლის 30 ნოემბრიდან; მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩათვალოს დაკავებისა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 3 ნოემბრიდან იმავე წლის 5 ნოემბრამდე.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 1 დეკემბრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენში ცვლილების შეტანა

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო სასამართლო

№62აპ.-17

14 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. კ.-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 18 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 ივლისის განაჩენით დ. კ.-ი, – ნასამართლევი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2 ეპიზოდი) იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ.

2. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- 2016 წლის 9 მარტს, დაახლოებით 23.05 საათზე, დ. კ.-ი ფოთში, ფარნავაზ მეფის ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის წინ გაჩერებული, ნ. ჩ.-ს კუთვნილი „ნისანის“ მარკის ავტომანქანიდან, სახ. №..., მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა 60 ლარად ღირებულ, მარცხენა, გვერდითა უკანა ხედვის სარკეს.

- 2016 წლის 9 მარტს, ღამის საათებში, დ. კ.-ი ფოთში, ფარნავაზ მეფის ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის წინ გაჩერებული, ა. გ.-ს კუთვნილი „ოპელ ასტრას“ მარკის ავტომანქანიდან, სახ. №..., მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა 35 ლარად ღირებულ, მარცხენა, გვერდითა უკანა ხედვის სარკეს და 15 ლარად ღირებულ ავტომანქანის კანტს.

3. აღნიშნული ქმედებისათვის დ. კ.-ს თითოეული ეპიზოდი-

სათვის მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. თანაბარი სასჯელებიდან ერთმა სასჯელმა შთანთქა მეორე და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2016 წლის 25 ივლისიდან; მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2016 წლის 9 მარტიდან იმავე წლის 15 მარტის ჩათვლით. გაუქმდა დ. კ-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და გირაოს უზრუნველსაყოფად ლ. კ-ის საკუთრებაში არსებული ქონების (მდებარე ფოთში, 9 აპრილის ხეივანში, სახლი №., ბინა №., საკადასტრო კოდი – ...) 7000 ლარის ღირებულების წილს მოეხსნა ყადაღა.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. კ-მა და მოითხოვა გამართლება.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 18 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. კასატორი – მსჯავრდებული დ. კ-ი საკასაციო საჩივრებით ითხოვს გამართლებას.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 დეკემბრის განჩინებით მსჯავრდებულ დ. კ-ს აღუდგა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 18 ოქტომბრის განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების ვადა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ დ. კ-ის მიმართ, შეამოწმა მისი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს შესაბამისი ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატამ გამოარკვია, რომ დ. კ-ს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენით მსჯავრი დაედო სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ქურდობის ჩადენაში (ორი ეპიზოდი), დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით. მსჯავრდებული საკასაციო საჩივრებით ითხოვს ორივე ეპიზოდში უდანაშაულოდ ცნობასა და გამართლებას. საქმის მასალების შესწავლისა და მტკიცებულებების ობიექტური შეფასების სა-

ფუძველზე, საკასაციო პალატა კასატორის მოთხოვნას ეთანხმება მხოლოდ ნაწილობრივ. იმ ეპიზოდში, რომელიც შეეხება დ. კ-ის მიერ დაზარალებულ ნ. ჩ-ს კუთვნილი, „ნისანის“ მარკის, სახ. №..., ავტომანქანის სარკის ქურდობას, პალატა იზიარებს გასაჩივრებულ განაჩენში წარმოდგენილ დასკვნებს მისი ბრალეულობის თაობაზე. რაც შეეხება ბრალდების მეორე ეპიზოდს, რომელიც შეეხება დაზარალებულ ა. გ-ს კუთვნილი, „ოპელ ასტრას“ მარკის, სახ. №..., ავტომანქანის სარკისა და კანტის ქურდობას, ამ ნაწილში საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განაჩენს, რადგან მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მისი ბრალი არ არის დადასტურებული საამისოდ აუცილებელი იმ სტანდარტების დაცვით, რასაც ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია და მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა.

3. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ დ. კ-ის ბრალეულობა დაზარალებულ ნ. ჩ-ს კუთვნილი, „ნისანის“ მარკის, სახელმწიფო №..., ავტომანქანის სარკის 2016 წლის 9 მარტს ჩადენილ ქურდობაში დადასტურებულია საქმეში არსებული უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობით. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია საქმეში არსებული, დანაშაულის ჩადენის ადგილზე მისი ფაქტობრივი დაკავებისას ჩატარებული პირადი ჩხრეკის ოქმი, რომლის მიხედვით, დაკავებულ დ. კ-ს აღმოაჩნდა დაზარალებულ ნ. ჩ-ს კუთვნილი ავტომანქანიდან მოხსნილი მარცხენა მხარის უკანა ხედვის სარკე, ღირებული 60 ლარად. გარდა ამისა, საქმეშია დანაშაულის ფაქტის შემსწრე მოწმეების, პოლიციის თანამშრომლების, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფოთის საქალაქო სამმართველოს უზნის ინსპექტორ-გამომძიებლების – გ. ლ-სა და ა. ლ-ს სასამართლოში დაკითხვისას მიცემული ჩვენებები, რომლებშიც ისინი თანმიმდევრულად აღწერენ მომხდარი შემთხვევის დროს, ღამით, როგორ შეამჩნიეს დაზარალებულ ნ. ჩ-ს კუთვნილი, „ნისანის“ მარკის ავტომანქანასთან მყოფი დ. კ-ი, რომელმაც ავტომანქანას მოხსნა მარცხენა მხარის უკანა ხედვის სარკე და შეეცადა იქაურობას გასცლოდა. მათ მაშინვე იცნეს იგი და დაუძახეს შესაჩერებლად; ის გაიქცა, მაგრამ იქვე, ახლოს, დააკავეს ნაქურდალი ნივთით ხელში, რომელიც მას ჩამოერთვა ადგილზე ჩატარებული პირადი ჩხრეკის დროს.

4. მაშასადამე, დ. კ-ის ბრალდების საქმეში არსებობს სამი პირდაპირი მტკიცებულება, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით, ამასთან, მათი უტყუარობა დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, როგორცაა:

პირადი ჩხრეკის დროს დ. კ.-საგან ამოღებული ნივთმტკიცება – ავტომანქანის უკანა ხედვის სარკე; დაზარალებულ ნ. ჩ-ს მიერ აღნიშნული ნივთმტკიცების ამოცნობის ოქმი; დაზარალებულ ნ. ჩ-ს კუთვნილი, „ნისანის“ მარკის, სახ. № ... მქონე, ავტომანქანის დათვალეფრების ოქმი, რომლითაც დგინდება, რომ აღნიშნულ ავტომანქანას მძღოლის მხარეს აღარ ჰქონდა უკანა ხედვის სარკე, რომლის დასამაგრებელი ღერძის ბუდე ცარიელი იყო; საქმეზე ჩატარებული სასამართლო-ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის №... დასკვნა, რომლითაც დგინდება, რომ დაზარალებულ ნ. ჩ-ს კუთვნილი, „ნისანის“ მარკის ავტომანქანაზე მოხსნილ, უკანა ხედვის სარკეზე აღმოჩენილი ბიომასალის გენეტიკური პროფილი დ. კ.-ის გენეტიკური პროფილის იდენტურია, რაც ადასტურებს მის ფიზიკურ შემხებლობას ხსენებულ ნივთთან.

5. ამრიგად, განხილული დანაშაულის ეპიზოდში დ. კ.-ის მიერ მაკვალიფიცირებელ გარემოებაში, კერძოდ, ავტომანქანის წინააღმდეგ ქურდობის ჩადენა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, დადასტურებულია უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დონეზე, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი დ. კ.-ის მსჯავრდების ამ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

6. რაც შეეხება მსჯავრდებულ დ. კ.-ის მიმართ ბრალად შე-რაცხულ მეორე ეპიზოდს, დანაშაული, გათვალისწინებული ასევე საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, რომელიც შეეხება ქურდობის ჩადენას დაზარალებულ ა. გ-ს კუთვნილი, „ოპელ ასტრას“ მარკის, სახ. ნომრის ... მქონე ავტომანქანის წინააღმდეგ, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში დ. კ.-ის ბრალის დასადასტურებლად ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული და სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება არის არაპირდაპირი, რომლებიც, მათი სიმრავლის მიუხედავად, ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტით, საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილით, იმავე კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილითა და 82-ე მუხლის მე-3 ნაწილით გამამტყუნებელი განაჩენისათვის განსაზღვრულ იმ სავალდებულო მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დადასტურებისათვის გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დონეზე.

7. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატის აზრით, ბრალდების მტკიცებულებების ერთობლიობა, თუნდაც მალა-

ლი ალბათობით, მაგრამ მაინც მხოლოდ ვარაუდის დონეზე წყვეტს დ. კ-ის ბრალეულობის საკითხს, რაც საკმარისად ვერ იქნება მიჩნეული მისი კანონიერი მსჯავრდებისათვის, რადგან, საქართველოს სსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი. ამასთან, ზემოაღნიშნული საპროცესო ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ, ამკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც გამოორიცხავს პირის ბრალეულობაში გონივრული ეჭვის შეტანის ყოველგვარ შესაძლებლობას, ამგვარი კი შეიძლება იყოს მხოლოდ უტყუარი და საკმარისი პირდაპირი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც მსჯავრდებულ დ. კ-ის მიმართ განხილულ ეპიზოდთან დაკავშირებით მისი ბრალეულობის დასადასტურებლად ვერ იქნა მოპოვებული. ნებისმიერ მსგავს შემთხვევაში კი ბრალდების მტკიცებულებების თაობაზე წარმომოხილვი ეჭვი უნდა გადაწყდეს იმ პირის სასარგებლოდ, ვისაც ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში.

8. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 18 ოქტომბრის განაჩენი დაზარალებულ ა. გ-ს კუთვნილი, „ოპელ ასტრას“ მარკის, სახ. №..., ავტომანქანის სარკისა და კანტის ქურდობის ეპიზოდთან დაკავშირებით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, დ. კ-ის მსჯავრდების ნაწილში უნდა გაუქმდეს, ამ ნაწილში იგი ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს, ხოლო იგივე განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ დ. კ-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 18 ოქტომბრის განაჩენში შევი-

დეს ცვლილება:

3. მსჯავრდებული დ. კ-ის ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ა. გ-ს ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში;

4. მსჯავრდებულ დ. კ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ნ. ჩ-ს ეპიზოდი) განესაზღვროს 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 18 ოქტომბრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სააპელაციო სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვება

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№65აგ-17

17 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
ბესარიონ ალავეიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. ო-ს ად-
ვოკატ ო. მ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემო-
ებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სა-
მართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 5 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მაისის
განაჩენით ბ. ო-ი დაუსწრებლად იქნა ცნობილი დამნაშავედ სა-
ქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მე-
5 ნაწილით და მიესაჯა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამა-
ვე კოდექსის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ბ. ო-ს
სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და საბოლოოდ განესაზღვრა 13
წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა უნდა
დაეწეოს განაჩენის აღსრულების მომენტიდან.

2. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემ-
ბრის კანონის საფუძველზე ბოლნისის რაიონული სასამართლოს
2013 წლის 25 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ ბ. ო-ს გა-
უნახვერდა ამავე სასამართლოს 2010 წლის 31 მაისის განაჩე-
ნით დადგენილი სასჯელი – 13 წლითა და 6 თვით თავისუფლე-
ბის აღკვეთა და განესაზღვრა 6 წლითა და 9 თვით თავისუფლე-
ბის აღკვეთა.

3. 2017 წლის 2 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვლენილ გა-
რემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულ ბ.

ო-ს ადვოკატმა ო. მ-ა, რომელმაც მოითხოვა მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვა და სასჯელისგან მისი გათავისუფლება 2015 წლის 12 ივნისს მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საფუძველზე.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 5 ივნისის განაჩენით მსჯავრდებულ ბ. ო-ს ადვოკატ ო. მ-ს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მაისის განაჩენი და ამავე სასამართლოს 2013 წლის 25 თებერვლის განჩინება დარჩა უცვლელად.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 5 ივნისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ბ. ო-ს ადვოკატმა ო. მ-ა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულის სასჯელისგან გათავისუფლება 2015 წლის 12 ივნისს მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საფუძველზე; ასევე მიუთითა, რომ ექსპერტიზის 2006 წლის 2 ოქტომბრის დასკვნით დგინდება მსჯავრდებულ ბ. ო-ს უდანაშაულობა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში მითითებულია ის საფუძვლები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, კერძოდ – განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა,

ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ე¹) არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის გადანყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო;

ზ¹) წარდგენილია პროკურორის დადგენილება მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს ცნობილი არ იყო და თავისთავად ან/და სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო;

თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომ-

ლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

3. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, ამავე კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იხილავს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ საჩივარს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენსა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

4. საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (2009 წლის 9 ოქტომბრის კანონი) მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება ის საპროცესო ნორმა, რომელიც მოქმედებს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს. ანალოგიური დათქმა ძველ – საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც, კერძოდ: ამ კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, რომელიც მოქმედებს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს. ამასთან, ამაჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებულ სისხლის-სამართლებრივი დევნის საქმეებზე სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, გარდა ამავე კოდექსის 168¹-ე და 168²-ე მუხლებით გათვალისწინებული განრიდების გამოყენების შემთხვევებისა.

5. საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 519-ე მუხლის შესაბამისად, თუ აპელანტის აზრით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენი და სხვა გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი ან უკანონოა, მას შეუძლია, გაასაჩივროს სააპელაციო წესით, რომელსაც ამავე კოდექსის 46-ე მუხლის მე-4 და 521-ე მუხლის პირველი ნაწილების თანახმად, სააპელაციო წესით განიხილავს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა. ამავე კოდექსის 523-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მხარეს სააპელაციო საჩივრის შეტანა შეუძლია განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში იმავე სასამართლოში, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულს, რომლის

მიმართაც სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა მის დაუსწრებლად, უფლება აქვს, განაჩენი გაასაჩივროს 1 თვის ვადაში – დაპატიმრებიდან ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან, ან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან, თუ მსჯავრდებული ითხოვს სააპელაციო საჩივრის განხილვას მისი მონაწილეობის გარეშე.

6. ზემოაღნიშნული ნორმების მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თუ საქმეზე მსჯავრდებულის დაუსწრებლად არის გამოტანილი განაჩენი, რომელიც არ გასაჩივრებულა სააპელაციო ან საკასაციო წესით და არ ამოწურულა ასეთი წესით გასაჩივრების კანონით განსაზღვრული შესაძლებლობა, საქმეზე სამართალწარმოება დასრულებული არ არის და ასეთი განაჩენი არ წარმოადგენს შემაჯამებელ გადაწყვეტილებას; შესაბამისად, დაუშვებელია ისეთი განაჩენის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვა, რომელიც არ არის შემაჯამებელი (საბოლოო) და შესაძლებელია მისი გასაჩივრება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, კერძოდ, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 სექტემბრის №91აგ-16 განჩინება; 2017 წლის 22 ივნისის №21აგ-17 განჩინება; 2017 წლის 29 სექტემბრის №52აგ-17 განჩინება). ამასთან, პალატა აღნიშნავს, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხზე სასამართლომ უნდა იმსჯელოს მოქმედი – 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმების მიხედვით, ხოლო დასაშვებობის ეტაპის გადალახვის შემთხვევაში, საქმის არსებითი განხილვა უნდა წარიმართოს იმ საპროცესო კოდექსით, რომლითაც კონკრეტული მსჯავრდებულის საქმეზე მიმდინარეობდა წარმოება და მიღებულ იქნა გასაჩივრებული განაჩენი (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, კერძოდ, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 18 მაისის №222აგ-16 განჩინება; 2017 წლის 4 ივლისის №27აგ-17 განჩინება).

7. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულ ბ. ო-ს მიმართ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება და სასამართლო განხილვა წარმართულია ძველი – საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საქმეზე უნდა გავრცელდეს ამ კოდექსის ნორმები.

8. ამასთან, პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ ბ. ო-ს ად-

ვოკატ ო. მ-ს მიერ მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ განაჩენის გადასინჯვის ახლად გამოვლენილ გარემოებასა და შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის საფუძველს, რადგან, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ 2010 წლის 31 მაისის განაჩენი ბ. ო-ს მიმართ გამოიტანა მის დაუსწრებლად, რომელიც სააპელაციო წესით არ გასაჩივრებულა და, შესაბამისად, ამ ეტაპზე საქმეზე სამართალწარმოება დასრულებული არ არის; ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ საქმეზე დასაშვებობის ეტაპი უკვე გადალახულია, კერძოდ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2017 წლის 2 ივნისის განჩინებით დასაშვებად ცნო შუამდგომლობა (რომლის გასაჩივრების პროცედურას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს), 2017 წლის 5 ივნისს კი განიხილა და გამოიტანა განაჩენი, საკასაციო სასამართლო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე, ვალდებულია, წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი განიხილოს დასაშვებობის შემონმების გარეშე.

9. ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯავრდებულ ბ. ო-ს მიმართ საქმე შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის შემდეგ უნდა განეხილა და განაჩენი გამოეტანა საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2017 წლის 5 ივნისის განაჩენი გამოიტანა ამაჟამად მოქმედი – 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ეს გარემოება, საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 563-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, წარმოადგენს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების საფუძველს.

10. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 563-ე, 570-ე მუხლების პირველი ნაწილების შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 5 ივნისის განაჩენი მსჯავრდებულ ბ. ო-ს ადვოკატ ო. მ-ს შუამდგომლობის

დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ უნდა გააუქმოს და სისხლის სამართლის საქმე დაუბრუნოს იმავე სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

11. გარდა ამისა, საკასაციო პალატა, ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, არ არის უფლებამოსილი, შეაფასოს საქმეში არსებული მტკიცებულებები და იმჯელოს საკასაციო საჩივარში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, მაგრამ მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებებისა, საკასაციო პალატა საქმეს იხილავს ამჟამად მოქმედი – 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე და მსჯავრდებულ ბ. ო-ს ადვოკატ ო. მ-ს მოთხოვნებიდან გამომდინარე აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას მსჯავრდებულისთვის სასიკეთო შედეგი არ მოჰყვება, არამედ ეს იქნება სასამართლო რესურსების უსაფუძვლო ხარჯვა, ვინაიდან მსჯავრდებულ ბ. ო-ს ადვოკატ ო. მ-ს მოთხოვნას არა აქვს დაკმაყოფილების პერსპექტივა შემდეგი გარემოებების გამო:

12. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს 2015 წლის 12 ივნისს მიღებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე, რომლის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის დებულებებს, გარდა ამ კოდექსის საპროცესო ნორმებისა, აქვს უკუძალა, თუ ამით უმჯობესდება არასრულწლოვნის მდგომარეობა. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილების მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში გამოიყენება საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების დებულებებიც, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსს ან/და არასრულწლოვნისთვის შეღავათს ითვალისწინებს, ხოლო ამ კოდექსში ხარვეზის არსებობისას დასაშვებია კანონის ანალოგიის გამოყენება, თუ ამით არ იზღუდება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით უზრუნველყოფილი ადამიანის უფლებები და თავისუფლებები და თუ ეს არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის არასრულწლოვანად ითვლება პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.

13. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით ირკვევა, რომ 1990 წლის 10 მაისს დაბადებულმა ბ. ო-ა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მაისის განაჩენით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა 2006 წლის პირველ ოქტომბერს – არასრულწლოვანმა, 16 წლის ასაკში. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ ბ. ო-ს ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ხოლო საკასაციო სასამართლოს მიერ ზემოთ მითითებული გარემოებები და პროცედურები არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსის ნორმებს და არ ზღუდავს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. ასევე, არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს მსჯავრდებულ ბ. ო-ს დაუსწრებლად მისივე საქმის განხილვა, კერძოდ: ამ კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „დაუშვებელია არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვა მის დაუსწრებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას და სხდომის გადადება საქმის გონივრულ ვადაში განხილვას შეუძლებელს გახდის“.

14. ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას არასრულწლოვნის მიერ სასჯელის მოხდისგან თავის არიდების შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენების დაუშვებლობის შესახებ და განმარტავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არ შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყოველი ქცევის მომწესრიგებელ ნორმებს, რის გამოც გამორიცხული არ არის კოდექსის ნორმათა სხვა ნორმატიულ აქტებთან მიმართებით სისტემური ნაკითხვის შესაძლებლობა. კერძოდ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში გამოიყენება საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების დებულებებიც (განსახილველ შემთხვევაში – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილი: ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ მსჯავრდებულმა თავი აარიდა სასჯელის მოხდას. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება მსჯავრდებულის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან), თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსს ან/და არასრულწლოვნისთვის შეღავათს ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ განსახილველი შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებები შეესაბამება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-2 მუხ-

ლის მე-3 ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერება არ წარმოადგენს კოდექსის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო დებულებას, ვინაიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 36-ე მუხლით დადგენილია მხოლოდ სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების სპეციფიკური ვადები, ხოლო, ვინაიდან ვადის დინების განსხვავებული წესი ან ვადის დინების შეჩერების აკრძალვა ამავე კოდექსით მოწესრიგებული არ არის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსი არათუ ეწინააღმდეგება, არამედ ავსებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 36-ე მუხლს (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, კერძოდ, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის №558აპ-16 განჩინება).

15. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მაისის გამამტყუნებელი განაჩენით დადგენილი სასჯელი ბ. ო-ს არ მოუხდია, მან თავი აარიდა სასჯელის მოხდას, რის გამოც, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მის მიმართ ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდა. ამდენად, არსებული მდგომარეობით, ბ. ო-ს მიმართ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 36-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის დინება შეჩერებულია და როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მას უფლება აქვს ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მაისის განაჩენი გაასაჩივროს კანონით დადგენილი წესით, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2017 წლის 5 ივნისის განაჩენით საქმის გარემოებები, მსჯავრდებულ ბ. ო-ს ადვოკატ ო. მ-ს მოთხოვნის ნაწილში, საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სამართლებრივად სწორად შეაფასა და მართებულად თქვა უარი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

16. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ბ. ო-ს ადვოკატ ო. მ-ს მოთხოვნები იმავე საფუძველით არ დააკმაყოფილა, რაზეც უთითებს საკასაციო სასამართლო, პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების რეალური საფუძველი და ეს იქნება მხოლოდ ფორმალური ხასიათის პროცედურა.

17. რაც შეეხება მსჯავრდებულ ბ. ო-ს ადვოკატ ო. მ-ს მიერ

საკასაციო საჩივარში მითითებულ სხვა მოთხოვნებს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამ შინაარსის შუამდგომლობით მას არ მიუმართავს განსჯადი – სააპელაციო სასამართლოსათვის და, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია ამ საკითხზე, რის გამოც საკასაციო პალატა მოკლებულია შეადღებლობას, განიხილოს ეს მოთხოვნა.

18. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა არ ემყარება რაიმე სამართლებრივ საფუძველს და არც სადავო განაჩენის გაუქმების ან შეცვლის კანონით გათვალისწინებული რომელიმე პირობა არსებობს, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე, 307-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ბ. ო-ს ადვოკატ ო. მ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 5 ივნისის განაჩენი დარჩეს უცვლელად;
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო
სააპელაციო სასამართლოს განაჩენის უცვლელად
დატოვება**

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№61აგ-17

29 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
გ. შავლიაშვილი,
პ. ქათამაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. ნ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 23 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 აგვისტოს განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და ლ. ნ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. ლ. ნ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (დიდი ოდენობით – 167,06 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ნედლი მარისუანის“ ჯგუფურად უკანონო შექმნა (დაკრეფა), შენახვისათვის) და ამავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2014 წლის 19 ივნისიდან იმავე წლის 27 ივნისის ჩათვლით. ლ. ნ-ს ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები.

2. ამავე განაჩენით მსჯავრდებულია ვ. ჩ-ი.

3. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 13 ივლისის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და ლ. ნ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. ლ. ნ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით (ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალება

„ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ უკანონო მოხმარებისთვის) და დაეკისრა ჯარიმა – 1500 ლარი. ამავე კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა წინა – რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 აგვისტოს განაჩენით მისთვის განსაზღვრული პირობითი მსჯავრი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სრულად დაემატა ბოლო განაჩენით დადგენილ სასჯელს და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ლ. ნ-ს განესაზღვრა ჯარიმა – 1500 ლარი და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2014 წლის 19 ივნისიდან იმავე წლის 27 ივნისის ჩათვლით. ლ. ნ-ს ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები.

4. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 ივლისის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და ლ. ნ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. ლ. ნ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით (ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ („მარიხუანის“) უკანონო მოხმარებისთვის) და განესაზღვრა 150 საათით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. ამავე კოდექსის 67-ე მუხლის საფუძველზე გაუქმდა წინა – რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 13 ივლისის განაჩენით მისთვის განსაზღვრული პირობითი მსჯავრი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოუხდელი ნაწილი, სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სრულად დაემატა ბოლო განაჩენით დადგენილ სასჯელს და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ლ. ნ-ს განესაზღვრა 150 საათით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები.

5. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 სექტემბრის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და ლ. ნ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. ლ. ნ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სის-

ხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით (90,28 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ნედლი მარიხუანის“ უკანონო შექმნა (დაკრეფა), შენახვისათვის) და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამავე კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით. მასვე სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი სასჯელი სახით განესაზღვრა 200 საათით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. ამავე კოდექსის 67-ე მუხლის საფუძველზე გაუქმდა წინა – რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 ივლისის განაჩენით მისთვის განსაზღვრული პირობითი მსჯავრი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოუხდელი ნაწილი, სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სრულად შთანთქაბოლო განაჩენით დადგენილმა სასჯელმა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ლ. ნ-ს განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი სასჯელი სახით განესაზღვრა 200 საათით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. ლ. ნ-ს ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები.

6. 2017 წლის 20 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა ლ. ნ-ა, რომელმაც მოითხოვა მის მიმართ გამოტანილი – რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 სექტემბრის განაჩენის გადასინჯვა და ამ განაჩენით მისთვის სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით – 90,28 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ნედლი მარიხუანის“ უკანონო შექმნა (დაკრეფა), შენახვისათვის თავისუფლების აღკვეთის სახით დადგენილი ძირითადი სასჯელისგან გათავისუფლება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის განჩინების საფუძველზე, რომლითაც ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსი-

ქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული (100 გრამამდე) ნარკოტიკული საშუალება – „ნედლი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნით შექენისა და შენახვისათვის.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 23 მაისის განაჩენით მსჯავრდებულ ლ. ნ-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 სექტემბრის განაჩენი შეიცვალა, კერძოდ: ლ. ნ-ი გათავისუფლდა ამ განაჩენით სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით – 90,28 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ნედლი მარიხუანის“ უკანონო შექენა (დაკრეფა), შენახვისათვის დადგენილი ძირითადი სასჯელისგან – 5 წლით თავისუფლების აღკვეთისგან, რაც ამავე კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩათვლილი ჰქონდა პირობით. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 სექტემბრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 23 მაისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ლ. ნ-ა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის შეცვლა და პირობითი მსჯავრისგან გათავისუფლება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯება, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 15 თებერვლის განმწესრიგებელი სხდომის განჩინებით (ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე), ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მი-

მართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული (100 გრამამდე) ნარკოტიკული საშუალება – „ნედლი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნით შეძენისა და შენახვისათვის.

4. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული განჩინების შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით – 100 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება – „ნედლი მარიხუანის“ უკანონო შეძენისა და შენახვისათვის მსჯავრდებისას, პირის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთა.

5. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 23 მაისის განაჩენით ლ. ნ-ი გათავისუფლებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით – 90,28 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ნედლი მარიხუანის“ უკანონო შეძენა, შენახვისათვის თავისუფლების აღკვეთის სახით განსაზღვრული სასჯელისგან – 5 წლით თავისუფლების აღკვეთისგან (რომელიც ჩათვლილი ჰქონდა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით), რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 15 თებერვლის განჩინებასთან თანხვედნილია, – არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებისა და მსჯავრდებულ ლ. ნ-ს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

6. ამავე დროს, საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ ლ. ნ-ი მართებულად ცნო დამნაშავედ სასჯელის დაუნიშნავად სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით – 90,28 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ნედლი მარიხუანის“ უკანონო შეძენა, შენახვისათვის, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ მომხდარა მის მიერ ჩადენილი ქმედების დეკრიმინალიზაცია. ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სასჯელს უნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნა-

წილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული ვერ იქნება სასჯელის სხვა რომელიმე სახე, რაც გათვალისწინებულია ამავე კოდექსის მე-40 მუხლით, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის სანქცია სასჯელის სახედ და ზომად ადგენს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას და არც ერთ სხვა ალტერნატიულ სასჯელს არ ითვალისწინებს.

7. საკასაციო სასამართლო კასატორის მიერ საჩივარში მითითებულ სხვა მოსაზრებებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 23 მაისის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 სექტემბრის განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისთვის მსჯავრდებულ ლ. ნ-ს დამნაშავედ ცნობა სასჯელის დაუნიშნავად და, შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთის სახით განსაზღვრული სასჯელისგან გათავისუფლება არ ნიშნავს ამ განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულის გამართლებას აღნიშნული დანაშაულის ქმედების ჩადენაში. ამ შემთხვევაში გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 სექტემბრის განაჩენით განსაზღვრული მხოლოდ ძირითადი სასჯელი (5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ჩათვლილი ჰქონდა პირობით), რამაც გამოიწვია წინა – რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 ივლისის განაჩენით მსჯავრდებულ ლ. ნ-ს დადგენილი სასჯელის განახლება.

8. ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის კანონის შესაბამისად, კოდექსის 260-ე მუხლის (გარდა შენიშვნის პირველი და მე-2 ნაწილებისა) მოქმედება არ ვრცელდება „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის №2 დანართის ცხრილით გათვალისწინებული ჩამონათვალის – „ნარკოტიკული საშუალებების“ 73-ე და 92-ე გრაფებით განსაზღვრულ ნარკოტიკულ საშუალებებზე – მცენარე კანაფსა და მარიხუანაზე, რასაც, ნორმატიული თვალსაზრისით, ანესრიგებს ამავე ცვლილებით, ამავე კოდექსში დამატებული 273¹-ე მუხლი და იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის სააპე-

ლაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2017 წლის 26 სექტემბრის განჩინებით მსჯავრდებულ ლ. ნ-ს მიმართ გაავრცელა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის კანონით დადგენილი შეღავათი და მის მიმართ განსაზღვრული სანქციები და სასჯელები შესაბამისობაში მოიყვანა ახალ კანონთან, პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ამ მიმართებით მსჯავრდებულ ლ. ნ-ს სასჯელზე მსჯელობის საფუძველი.

9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა არ ემყარება რაიმე სამართლებრივ საფუძველს და არც სადავო განაჩენის გაუქმების ან შეცვლის კანონით გათვალისწინებული რომელიმე პირობა არსებობს, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე, 307-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ლ. ნ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 23 მაისის განაჩენი დარჩეს უცვლელად;
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო
სააპელაციო სასამართლოს განაჩენის უცვლელად
დატოვება**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№69აგ-17

28 დეკემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
ბ. ალავეძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ტ. ხ-ა და მისი ადვოკატის – ვ. ხ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 9 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის განაჩენით ტ. ხ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით – 6 წლით, 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 8 წლით, 223-ე მუხლის პირველი ნაწილით – 6 წლით, 223-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით, 332-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 5 წლით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 6 წლით, 161-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით, 163-ე მუხლით – 3 წლით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით – 2 წლით, 162-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით – 2 წლით, 187-ე მუხლის პირველი ნაწილით – 2 წლით, 226-ე მუხლით – 2 წლით, ხოლო 153-ე მუხლით (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების საფუძველზე სასჯელები შეიკრიბა ნაწილობრივ და საბოლოოდ ტ. ხ-ს განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2004 წლის 8 მაისიდან. მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალა დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო.

2. ამავე განაჩენით მსჯავრდებულები არიან: რ. მ-ე და ა. ც-ე.

3. ამავე განაჩენით დაკმაყოფილდა შპს „ქ-ს“ სამოქალაქო სარჩელი, რომლის სასარგებლოდ მსჯავრდებულებს – ტ. ხ-ა და რ. მ-ს სოლიდარულად დაეკისრათ 11669,05 ლარის გადახდა.

4. ამავე განაჩენით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ქ. ბ-ს მერიის სამოქალაქო სარჩელი, რომლის სასარგებლოდ მსჯავრდებულებს – ტ. ხ-ა და ა. ც-ს სოლიდარულად დაეკისრათ 69952 ლარის გადახდა, ხოლო მსჯავრდებულ ტ. ხ-ს ცალკე დაეკისრა 19606 ლარის გადახდა.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 7 დეკემბრის განაჩენით ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის განაჩენი მსჯავრდებულ ტ. ხ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი მსჯავრდებულ ტ. ხ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 7 დეკემბრის განაჩენზე.

7. ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის განაჩენით ტ. ხ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 341-ე მუხლით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და მას განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დადგენილ სასჯელს დაემატა წინა – ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის განაჩენით დადგენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 9 წლითა და 17 დღით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ტ. ხ-ს განესაზღვრა 19 წლითა და 17 დღით თავისუფლების აღკვეთა. მას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 607-ე მუხლის საფუძველზე გადაუვადდა განაჩენის აღსრულება გამოჯანმრთელებამდე.

8. ამავე განაჩენით დაკმაყოფილდა სამოქალაქო სარჩელი და მსჯავრდებულ ტ. ხ-ს ქ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის სასარგებლოდ დაეკისრა 11540 ლარის გადახდა.

9. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 იანვრის განჩინებით მსჯავრდებული ტ. ხ-ი გათავისუფლდა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის განაჩენით

ნით განაჩენთა ერთობლიობით დადგენილი სასჯელისგან.

10. 2017 წლის 28 მარტს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართეს მსჯავრდებულმა ტ. ხ-ა და მისმა ადვოკატმა ვ. ხ-ა, რომლებმაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332¹-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვეს მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენების გადასინჯვა, მათი გაუქმება და ობიექტური გადანყვეტილების მიღება „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76-IX დადგენილების საფუძველზე, ვინაიდან ამ დადგენილების თანახმად, მსჯავრდებული ტ. ხ-ი მიჩნეულია პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირად.

11. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 9 ივნისის განაჩენით მსჯავრდებულ ტ. ხ-ა და მისი ადვოკატის – ვ. ხ-ს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

12. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 9 ივნისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ტ. ხ-ა და მისმა ადვოკატმა ვ. ხ-ა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება, საქმის დაბრუნება და არსებითად განსახილველად გადაცემა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხვა შემადგენლობისთვის.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332¹-ე მუხლში მითითებულია ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის დამატებითი საფუძვლები, კერძოდ, ამ კოდექსის 310-ე მუხლში ჩამოთვლილ საფუძვლებთან ერთად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადასინჯება: „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76-IX დადგენილებით პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად ან პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირად მიჩნეული მსჯავრდებულის მიმართ, თუ ეს

განაჩენი გამოტანილია აღნიშნული დადგენილების მიღებამდე და შესაბამისი შუამდგომლობა სასამართლოს 2018 წლის პირველ ივლისამდე წარედგინება.

3. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 3 ოქტომბრის №1900 რეზოლუციის (რომელიც წარმოადგენს სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტს) მე-5 მუხლზე, რომლითაც ასამბლეა მოუწოდებს ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების შესაბამის სახელისუფლებო ორგანოებს, გადააფასონ ყველა სავარაუდო პოლიტიკური პატიმრის საქმე რეზოლუციით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით და გაათავისუფლონ ისინი ან ხელახლა განიხილონ მათი საქმეები.

4. საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2012 წლის პირველი ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №3) შექმნილი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე წარდგენილი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა სიების შესაბამისად, იხელმძღვანელა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 3 ოქტომბრის №1900 რეზოლუციის მე-3 პუნქტის ა, ც, დ და ე ქვეპუნქტებით და 2012 წლის 5 დეკემბერს მიიღო „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ №76-Is დადგენილება, რომლის მე-2 მუხლის თანახმად, პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირებად მიჩნეულ იქნენ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2012 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №8) დამტკიცებულ, პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა სიაში დასახელებული პირები (დანართი №2), მათ შორის სიის მე-20 ნომერი – ტ. ხ-ი, ხოლო ამავე დადგენილების მე-3 მუხლის მიხედვით, საქართველოს პარლამენტს დაევალა ამ დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ პირთათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების ან/და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის სამართლებრივი მექანიზმების უმოკლეს ვადაში შექმნა, რაც განხორციელდა კიდევ, კერძოდ:

• „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლდა პი-

რი, რომელსაც აღნიშნული დადგენილებით მინიჭებული აქვს პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ან პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილის სტატუსი;

• ხოლო სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის სამართლებრივი მექანიზმი გაინერა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის 25-ე მუხლში, რომლის თანახმად, ყველა პირს, რომელზეც გავრცელდება ამ კანონის მოქმედება, უფლება აქვს, ისარგებლოს თავისი სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი სასამართლოს მიერ განხილვის უფლებით.

5. ამასთან, აღნიშნულ პირთა დარღვეული უფლების აღსადგენად ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული განაჩენების გადასინჯვის საფუძვლების გაფართოებისა და ამ გზით პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა სამართლებრივი რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით („საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 22 ივნისის კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი), საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის 22 ივნისს მიიღო კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. ამ კანონით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332¹-ე მუხლს დაემატა მე-2 ნაწილი, რომელშიც გათვალისწინებულია ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის კიდევ ერთი, დამატებითი საფუძველი, კერძოდ – „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76-IX დადგენილებით განსაზღვრულ პირებს მიეცათ მათ მიმართ გამოტანილი განაჩენების ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის (საქმის ხელახლა განხილვის) შესაძლებლობა.

6. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, მსჯავრდებულ ტ. ხ-ა და მის ადვოკატს – ვ. ხ-ს სააპელაციო სასამართლოში ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობა წარდგენილი აქვთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ: განაჩენები მსჯავრდებულ ტ. ხ-ს მიმართ გამოტანილია 2006 წლის 7 დეკემბერსა და 2009 წლის 10 ივლისს – აღნიშნული დადგენილების მიღებამდე, ხოლო შუამდგომლობა სააპელაციო სასამართლოს წარედგინა 2017 წლის 28 მარტს – 332¹-ე მუხლში მითითებულ ვადაში – 2017 წლის პირველ ივლისამდე (შუამდგომლობის წარდგენის დროს მოქ-

მედი რედაქცია), რის საფუძველზეც სააპელაციო სასამართლომ დასაშვებად ცნო შუამდგომლობა და განიხილა კიდევ, მაგრამ საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული აქტები არ წარმოადგენს შუამდგომლობის უპირობოდ დაკმაყოფილებისა და მსჯავრდებულის გამართლების საფუძველს.

7. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში არსებობს საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება მსჯავრდებულ ტ. ხ-ს მიერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 7 დეკემბრისა და ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის განაჩენებით დადგენილი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა, ხოლო საკასაციო საჩივარში მსჯავრდებულ ტ. ხ-ს სასარგებლოდ მითითებული გარემოებები არ დასტურდება არც საქმეში არსებული მასალებით და არც თავად მსჯავრდებულსა და მის ადვოკატს წარმოუდგენიათ ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. ასევე არ არის წარმოდგენილი არავითარი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ განაჩენები დაფუძნებულია მონმეთა ყალბ ჩვენებებზე (მათ შორის ამ საქმეში ერთ-ერთი მსჯავრდებულის – რ. მ-ს ჩვენებაზე, რომელიც, კასატორების აზრით, მან ტ. ხ-ს წინააღმდეგ მისცა თავის სასიკეთოდ და პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმების მიღწევის მიზნით).

8. რაც შეეხება კასატორების მოსაზრებას, რომ მსჯავრდებულ ტ. ხ-ს გამამტყუნებელი განაჩენები გამოტანილია ირიბი ჩვენებების საფუძველზე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით: ა) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას; ბ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას. ამასთან, აღნიშნული გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი მხოლოდ მოქმედი სისხლის სამარ-

თლის საპროცესო კოდექსის (2009 წლის 9 ოქტომბრის კანონი) ზემოაღნიშნული ნორმები, ხოლო 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმა სასამართლოს არ უცვნია არაკონსტიტუციურად და იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ საქმეში მსჯავრდებულ ტ. ხ-ს მიმართ საქმე წარმართულია 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება ამ საქმესთან მიმართებით არ წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ განაჩენის გადასინჯვის ახლად გამოვლენილ გარემოებასა და სადავო საკითხს.

9. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის გარემოებები საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სამართლებრივად სწორად შეაფასა და მართებულად თქვა უარი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, შესაბამისად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მოთხოვნას მსჯავრდებულის უდანაშაულოდ ცნობის შესახებ და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ საქმეში მოიპოვება საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დასტურდება მსჯავრდებულ ტ. ხ-ს მიმართ შერაცხული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა.

10. გარდა ამისა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს პარლამენტმა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა ინტერესების გათვალისწინებითა და მათთვის სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფის მიზნით, მიიღო ზემოაღნიშნული აქტები, რომელთა საფუძველზეც გადასინჯა სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ტ. ხ-ს მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები და მიიჩნია, რომ არ არსებობს განაჩენების გაუქმებისა და მისი გამართლების საფუძველი, რასაც, როგორც უკვე აღინიშნა, საკასაციო სასამართლოც ეთანხმება, ხოლო „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება არ ნიშნავს უდანაშაულოდ ცნობასა და გამართლებას მათ მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენაში.

11. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირი, პოლიტიკური აქტიურობის მიუხედავად, ვერ მიიჩნევა უდანაშაულოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში, თუნდაც

ასეთი ქმედება პოლიტიკური აქტივობის – მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულ ტ. ხ-ს მიერ სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობაზე ყოფნის დროს ან პოლიტიკური ვითარების გამო იყოს ჩადენილი. ამასთან, სამართლიანი სასამართლოს უფლება და საქმის ხელახლა გადასინჯვა არ გულისხმობს მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის ავტომატურ გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის მიღებას.

12. ამასთან, მსჯავრდებულ ტ. ხ-ა და მისი ადვოკატის – ვ. ხ-ს მითითებაზე, მსჯავრდებულის მიმართ ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე საქმის განსჯადობით გადაცემის პროცედურისა და საპატიმრო ვადის სავარაუდო დარღვევის შესახებ, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე იხილავს მსჯავრდებულ ტ. ხ-ს მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენების კანონიერების საკითხს, ხოლო აღნიშნული სავარაუდო დარღვევების დამადასტურებელი ისეთი მტკიცებულება, რაც შეიძლება გახდეს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველი, კასატორებს არ წარმოუდგენიათ და, შესაბამისად, ამ გარემოებების შემონმების უფლებამოსილება სასამართლოს დღევანდელი მოცემულობით არ გააჩნია. მით უმეტეს, რომ ასეთი დარღვევები (დადასტურების შემთხვევაში) ამ განაჩენზე გავლენას ვერ მოახდენს, ვინაიდან, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქმის მასალებით დადასტურებულია მსჯავრდებულ ტ. ხ-ს მიმართ შერაცხული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა.

13. რაც შეეხება კასატორების მოთხოვნას, სადავო – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 9 ივნისის განაჩენის გამოტანილი ორი მოსამართლის აცილების შესახებ იმ საფუძველით, რომ ისინი მოცემული საქმის არსებით განხილვაში მონაწილეობდნენ, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით (1998 წლის 20 თებერვლის კანონი) გათვალისწინებულ მოსამართლის აცილების საფუძველს, რის გამოც იგი ვერ იქნება გაზიარებული.

14. საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კასატორების მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე და 314-ე მუხლების საფუძველზე საქმე უნდა განეხილა ზეპირი მოსმენით მხარეთა დასწრებით და მიუთითებს, რომ 314-ე მუხლის პირველი ნაწილის

თანახმად, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. ამასთან, მართალია, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 16 ივნისის კანონით (რომელიც ამოქმედდა 2017 წლის 28 ივნისიდან) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332¹-ე მუხლს დაემატა მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო საქმეს იხილავს ზეპირი მოსმენით, მაგრამ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სადავო განაჩენი გამოიტანა 2017 წლის 9 ივნისს – აღნიშნული ცვლილების მიღებამდე. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის ვალდებულება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა.

15. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა არ ემყარება რაიმე სამართლებრივ საფუძველს და არც სადავო განაჩენის გაუქმების ან მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეცვლის კანონით გათვალისწინებული რომელიმე პირობა არსებობს, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე, 329-ე მუხლებით (ამჟამად მოქმედი რედაქცია), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით (1998 წლის 20 თებერვლის კანონი) და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ტ. ხ-ა და მისი ადვოკატის – ვ. ხ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 9 ივნისის განაჩენი დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის
გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის
დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების
გაუქმება და საქმის სასამართლოსთვის დაბრუნება
შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის
გადასაწყვეტად**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№88აგ-16

31 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შაველიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. ე-ს ადვოკატ ო. გ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 თებერვლის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და ლ. ე-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. ლ. ე-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით (ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ („მარიხუანის“) უკანონო მოხმარებისათვის) და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამავე კოდექსის 63-ე-64-ე და 67-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 2000 ლარი, ხოლო 44-ე მუხლის თანახმად – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 100 საათით. ლ. ე-ს გამოსაცდელი ვადის ათვლა დაეწყო 2015 წლის 26 თებერვლიდან. მასვე ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები.

2. 2016 წლის 4 მარტს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართეს მსჯავრდებულმა ლ. ე-მ და მისმა ადვოკატმა ო. გ-მ, რომლებმაც მოითხოვეს მსჯავრდებულ ლ. ე-ს მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის განჩინებით მსჯავრდებულ ლ. ე-ა და მისი ადვოკატ ო. გ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე ცნობილ იქნა დაუშვებლად.

4. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ლ. ე-ს ადვოკატმა ო. გ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, შუამდგომლობის დასაშვებად ცნობა და მსჯავრდებულ ლ. ე-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელისაგან გათავისუფლება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2016 წლის 13 ივლისის განჩინებით კონსტიტუციური წარდგინებით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის იმ ნორმატიული შინაარსის, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ („მარიხუანის“) მოხმარებისთვის, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე და შეაჩერა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული საქმისწარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარდგინებაში აღნიშნული საკითხის გადანყვეტამდე.

6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 17 ოქტომბრის განმწესრიგებელი სხდომის განჩინებით შეწყდა საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე იმ საფუძველით, რომ წარდგინებაში სადავოდ გამხდარი მუხლის ნორმატიული შინაარსი ძალადაკარგულია „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 26

ივლისის კანონის შესაბამისად.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით განახლდა საქმისწარმოება მსჯავრდებულ ლ. ე-ს ადვოკატ ო. გ-ს საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით, ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 17 ოქტომბრის განმნესრიგებელი სხდომის განჩინებით შეწყდა საქმე უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე მსჯავრდებულ ლ. ე-ს საქმესთან მიმართებით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საჩივარს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, ისე, რომ არ ამოწმებს მის დასაშვებობას. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, ძალაში დატოვოს სააპელაციო სასამართლოს განჩინება ან გააუქმოს იგი და მიუთითოს სააპელაციო სასამართლოს, რომ მან დაუშვას შუამდგომლობა.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯება, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.

4. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 17 ოქტომბრის განმნესრიგებელი სხდომის განჩინებით შეწყდა საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე მსჯავრდებულ ლ. ე-ს საქმესთან დაკავშირებით იმ საფუძვლით, რომ წარდგინებაში სადავოდ გამხდარი მუხლის ნორმატიული შინაარსი ძალადაკარგულია „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის კანონის შესაბამისად და ასევე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015

წლის 26 თებერვლის განაჩენით ლ. ე-ე მსჯავრდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით (ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ („მარიხუანის“) უკანონო მოხმარებისათვის), პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის ინტერესის გათვალისწინებით, მის მიმართ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის კანონით დადგენილი შეღავათის გავრცელების მიზნით, საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ლ. ე-ს ადვოკატ ო. გ-ს საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის განჩინება მსჯავრდებულ ლ. ე-ს და მისი ადვოკატ ო. გ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, შუამდგომლობის დასაშვებად ცნობისა და განაჩენის გადასინჯვისათვის მსჯავრდებულ ლ. ე-ს სასჯელის კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ლ. ე-ს ადვოკატ ო. გ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის განჩინება მსჯავრდებულ ლ. ე-ს და მისი ადვოკატ ო. გ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის
გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის
დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების
გაუქმება და საქმის სასამართლოსთვის დაბრუნება
შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის
გადასაწყვეტად**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№82აგ-17

22 დეკემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ლ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ივლისის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის განაჩენით ი. ლ-ს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმი“) მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დამატება გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 7 დეკემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 6 თვე და განაჩენთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 6 თვის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 1 წელი – ჩათვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 150 საათით და 3 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთვლილი უფლებები. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2013 წლის 26 მარტიდან.

2. გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 13 ივნისის განაჩენით ი. ლ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით (ნარკოტიკული საშუალება „დეზო-

მორფინი“) განესაზღვრა 8 წლით, ხოლო 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალება „კოდეინი“) – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა; შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, დანაშაულთა ერთობლიობით ი. ლ-ს მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რამაც შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენყო 2014 წლის 14 თებერვლიდან; მასვე 5 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთვლილი უფლებები.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის განაჩენით უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 13 ივნისის განაჩენი.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 9 სექტემბრის განაჩენით მსჯავრდებულის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალა: მსჯავრდებულ ი. ლ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებიდან (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 2015 წლის 31 ივლისიდან მოქმედი რედაქციის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებზე. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის განაჩენით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 9 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. 2017 წლის 19 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა ი. ლ-მა, რომელმაც ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილების შესაბამისად, ითხოვა გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 13 ივნისის განაჩენის გადასინჯვა.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 24 ივლისის განჩინებით შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

8. კასატორი – მსჯავრდებული ი. ლ. ითხოვს შუამდგომლობის დაკმაყოფილებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს სსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესა-

ბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილების შესაბამისად, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 33-ე პორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული, მოსარჩელის მიერ სარჩელით სადავოდ გამხდარი ოდენობით (0,00009 გრამი) ნარკოტიკული საშუალება – „დეზომორფინის“ დამზადების, შექმნისა და შენახვისთვის საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

3. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ შუამდგომლობა დაუმკვიდრა ცნო იმ მოტივით, რომ მას მსჯავრი დაედო ასევე ნარკოტიკული საშუალება „კოდეინის“ უკანონოდ შექმნა-შენახვისათვისაც.

4. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 13 ივნისის განაჩენით ი. ლ-ს მსჯავრი დაედო მცირე ოდენობით – 0,00431 გრამი – ნარკოტიკული საშუალება „კოდეინის“ უკანონოდ შექმნა-შენახვისთვის და მას ამ ქმედებისთვის მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (და არა 260-ე მუხლით). ამდენად, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით ი. ლ. მსჯავრდებულია მხოლოდ დიდი ოდენობით – 0,000052 გრამი – ნარკოტიკული საშუალება „დეზომორფინის“ უკანონოდ შექმნა-შენახვისთვის იმის მიერ, ვისაც ჩადენილი აქვს სსკ-ის XXXIII თავით (ნარკოტიკული დანაშაული) გათვალისწინებული დანაშაული.

5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 24 ივლისის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე დაბრუნდეს სააპელაციო სასამართლოში საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად ზემომითითებული მოცემულობის გათ-

ვალისწინებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ი. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 24 ივლისის განჩინება და საქმე დაბრუნდეს სააპელაციო სასამართლოში საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებულ ი. ლ-ის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად.
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. ექსტრადიცია

განჩინება საქართველოს სახელით

27¹-17

26 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
პ. სილაგაძე

განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – მ. ს-ოს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ა-ის საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, მ. ს-ოს მიერ რუსეთის ფედერაციაში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გა-მოიხატა შემდეგში:

კრასნოდარის ოლქის ქ. ნოვოროსიისკის ტერიტორიაზე დი-დი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ გასა-ლების მიზნით, მ. ს-ო ჩაერთო გ. გ-ის, ა. კ-ისა და ა. ლ-ოს მონა-წილეობით, წინასწარი შეთანხმებით შექმნილი დანაშაულებრი-ვი ჯგუფის საქმიანობაში. დანაშაულებრივ ჯგუფში მ. ს-ოს ევა-ლებოდა ნარკოტიკული საშუალებების შემდგომი გასალების მიზნით, მათი გ. გ-ისგან მიღება, სათანადო შეფუთვაში დაფა-სოება, მათი სამალავში განთავსება და საკომუნიკაციო ქსელ „Viber-ის“ გამოყენებით გამოძიებით დაუდგენელი თანამონაწი-ლის ინფორმირება ნარკოტიკული საშუალების ადგილმდებარე-ობის შესახებ, რომელიც, თავის მხრივ, საკომუნიკაციო ქსელ „Skype-ის“ გამოყენებით კლიენტებზე უშუალოდ ასალებდა ნარ-კოტიკულ საშუალებას. გარდა ამისა, მ. ს-ო საკომუნიკაციო ქსელ „Viber“-ის გამოყენებით, ნარკოტიკული საშუალებების ნა-წილს გადასცემდა ა. კ-სა და ა. ლ-ოს, რომლებიც, თავის მხრივ, უკანონო გასალების მიზნით, ნარკოტიკულ საშუალებებს სამა-ლავში ათავსებდნენ.

ზემოხსენებული პირების მიერ შემუშავებული დანაშაულებ-რივი გეგმის მიხედვით, 2013 წლის 24 ივნისიდან 2013 წლის 4 ნოემბრამდე დროის მონაკვეთში მ. ს-ომ ფულადი თანხის (სა-

ერთო ჯამში – 10 000 რუბლის) სანაცვლოდ, გ. გ-თან, ა. კ-სა და ა. ლ-სთან წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, ნარკოტიკული საშუალებების ქ. ნოვოროსიისკში მდებარე სხვადასხვა მისამართზე არსებულ სამალავებში განთავსების გზით, განახორციელა ს. კ-ზე მათი გასაღების მცდელობა. ს. კ-ი „მყიდველის“ როლში დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს ეკონტაქტებოდა კრასნოდარის ოლქის ნარკოტიკების ბრუნვის კონტროლის სამმართველოს საგამოძიებო სამსახურის მიერ დაგეგმილი ოპერატიული ღონისძიებების ფარგლებში. ხსენებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად საკონტროლო შესყიდვების ფარგლებში, საერთო ჯამში უკანონო ბრუნვიდან ამოიღეს: (1) 1,36 გრ. N-(ადამანტანი-1-ილ)-1-პენტილ-1H-ინდოლ-3-კარბოქსამიდი; (2) 0,795 გრ. (ჰინოლინ-8-ილ)-1-პენტილ-1H-ინდოლ-3-კარბოქსამიდი და (3) 13,375 გრ. N-(1-კარბამოილ-2-მეთილპროპილ)-1-(ფენილმეტილ)-1H ინდაზოლი-3-კარბოქსამიდი, რომლებიც რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით წარმოადგენს დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებებს. ნარკოტიკული საშუალებების გასაღების დანაშაული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა ბოლომდე ვერ მიიყვანეს, რამდენადაც ეს ნარკოტიკული საშუალებები უკანონო ბრუნვიდან ამოიღეს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების ფარგლებში.

2. 2014 წლის 4 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის ოლქის ქ. ნოვოროსიისკის ნარკოტიკების ბრუნვის კონტროლის ფედერალური სამსახურის საგამოძიებო სამსახურმა გამოიტანა დადგენილება მ. ს-ს ძებნის შესახებ.

3. 2015 წლის 1 აპრილს რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის ოლქის ქ. ნოვოროსიისკის ნარკოტიკების ბრუნვის კონტროლის ფედერალური სამსახურის საგამოძიებო სამსახურმა გამოიტანა დადგენილება მ. ს-ოს მიმართ საერთაშორისო ძებნის გამოცხადების შესახებ.

4. 2015 წლის 17 აპრილს რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის ოლქის ქ. ნოვოროსიისკის ნარკოტიკების ბრუნვის კონტროლის ფედერალური სამსახურის რეგიონალურმა სამმართველომ გამოიტანა დადგენილება მ. ს-ოს ბრალდების შესახებ, რომლის თანახმად, მ. ს-ოს ბრალი დაედო რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 228.1 მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გასაღების მცდელობა, ჩადენილი საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ქსელის – ინტერნეტის გამოყენებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მი-

ერ) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 10-დან 20 წლამდე ვადით.

5. 2015 წლის 21 აპრილს რუსეთის ფედერაციის ქ. ნოვოროსიისკის პრიმორსკის რაიონული სასამართლოს განჩინებით მ. ს-ოს მიმართ 2014 წლის 4 სექტემბერს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული ხელწერილი გაუსვლელია და სათანადო ქცევის შესახებ შეიცვალა პატიმრობით.

6. 2016 წლის 23 თებერვალს მ. ს-ოს მიმართ გამოცხადდა ძებნა ინტერპოლის წითელი ცირკულარით.

7. 2017 წლის 20 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი მ. ს-ო.

8. 2017 წლის 21 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განჩინებით მ. ს-ოს შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვით.

9. 2017 წლის 30 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი მ. ს-ოს ინტერესების დამცველი ადვოკატის საჩივარი 2017 წლის 28 მარტის განჩინების შეცვლის თაობაზე.

10. 2017 წლის 24 აპრილს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიიღო მ. ს-ოს ექსტრადიციის თაობაზე რუსეთის ფედერაციის კომპეტენტური ორგანოების შუამდგომლობა და შესაბამისი დანართი მასალა.

11. 2017 წლის 16 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განჩინებით მ. ს-ოს საექსტრადიციო პატიმრობის ვადა გაგრძელდა დამატებით 3 თვით, 6 თვემდე – 2017 წლის 20 სექტემბრამდე.

12. 2017 წლის 28 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი მ. ს-ოს ინტერესების დამცველი ადვოკატის საჩივარი 2017 წლის 16 ივნისის განჩინების შეცვლის თაობაზე.

13. 2017 წლის 19 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განჩინებით მ. ს-ოს საექსტრადიციო პატიმრობის ვადა გაგრძელდა დამატებით 3 თვით, 9 თვემდე – 2017 წლის 20 დეკემბრამდე.

14. 2017 წლის 6 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პრო-

კურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორმა დემეტრე ჯინჯოლიამ და ითხოვა, სასამართლოს დასაშვებად ეცნო მ. ს-ოს ექსტრადიცია რუსეთის ფედერაციაში მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, 2015 წლის 17 აპრილის ბრალდების შესახებ დადგენილებაში გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელიც დასჯადია რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 228.1 მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გასაღების მცდელობა, ჩადენილი საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ქსელის – ინტერნეტის გამოყენებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ).

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი მ. ს-ოს რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიცია მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, 2015 წლის 17 აპრილის ბრალდების შესახებ დადგენილებაში გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელიც დასჯადია რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 228.1 მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გასაღების მცდელობა, ჩადენილი საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ქსელის – ინტერნეტის გამოყენებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ).

16. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – მ. ს-ოს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. ა-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის განჩინების გაუქმებას იმ მოტივით, რომ საქართველოს კანონმდებლობით დასჯადად არ ითვლება ის ქმედება, რაც ბრალად ედება მ. ს-ოს, ანუ სავარაუდო ქმედების ჩადენის დროს საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ამგვარი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა, შენახვა, გასაღება დასჯადია 2014 წლის 1-ლი მაისიდან). დაცვის მხარის მოსაზრებით, მართალია, ექსტრადიციის დასაშვებობის საკითხის განხილვისას მ. ს-ოს მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ქმედება დასჯადია საქართველოს კანონმდებლობითაც, მაგრამ სასამართლომ არ უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული გარემოება, რადგან მ. ს-ო საქართველოს კანონმდებლობით ვერ დაისჯება, ვინაიდან დაუშვებელია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი კანონის უკუძალით გამოყენება. შესა-

ბამისად, მისი ქმედების დასჯადად შეფასება დაარღვევს საქართველოს კონსტიტუციით, სისხლის სამართლის კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით განმტკიცებულ პრინციპს, რომ არავინ შეიძლება მიიჩნიონ ბრალეულად რაიმე დანაშაულის ჩადენაში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც ჩადენის დროს არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად. ამდენად, მ. ს-ოს მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ქმედება არ არის საქართველოს კანონმდებლობით დასჯადი ქმედება, რაც „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის კონვენციისა და „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ექსტრადიციის დამატარებელ გარემოებას წარმოადგენს.

17. სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა ნ. ა-მა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და ითხოვა მისი დაკმაყოფილება.

18. პროკურორი დემეტრე ჯინჯოლია არ დაეთანხმა დაცვის მხარის მოთხოვნას და ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის განჩინების უცვლელად დეტოვება იმ მოტივით, რომ დაცვის მხარის არგუმენტები არარელევანტური ექსტრადიციის დასაშვებობის საკითხის განხილვისას და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება ექსტრადიციასთან მიმართებით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეთა არგუმენტები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას და დამატებით აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამატარებელი გარემოებები, კერძოდ: დაცულია ორმაგი დანაშაულებრიობის, პარალელური წარმოების აკრძალვის, ორმაგი დასჯის აკრძალვისა და ხანდაზმულობის პრინციპები, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

3. რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავი ორგანოების მი-

ერ ძეხნილი მ. ს-ო საქართველოს სამართალდამცავმა ორგანო-ებმა დააკავეს 2017 წლის 20 მარტს. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, დაკავებისას და საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მის მიმართ არ დარღვეულა არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და არც საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

4. საქმეში წარმოდგენილი მასალების თანახმად, არ დგინდება ის გარემოებები, რომ მ. ს-ოს მიმართ არ იქნება დაცული საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი ადამიანის უფლებების მინიმალური სტანდარტები. ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა და მისმა ადვოკატმა ვერ მიაწოდეს სასამართლოს რაიმე მტკიცებულებები, რაც მის მიმართ რუსეთის ფედერაციაში რაიმე ნიშნით დევნის ეჭვს წარმოშობდა.

5. დაცვის მხარე საკასაციო საჩივარში ძირითადად აპელირებს იმ საკითხზე, რომ არ არის დაცული ორმაგი დასჯადობის პრინციპი, რასაც საკასაციო პალატა არ ეთანხმება და სრულად იზიარებს ბრალდების მხარის არგუმენტებს დაცვის მხარის მოთხოვნის უსაფუძვლობასთან დაკავშირებით შემდეგ გარემოებათა გამო:

5.1. ქმედება, რომლის ჩადენისთვისაც მ. ს-ოს ბრალი დაედო, ისჯება რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 228.1 მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გასაღების მცდელობა, ჩადენილი საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ქსელის – ინტერნეტის გამოყენებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ), რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 10-დან 20 წლამდე ვადით.

5.2. მ. ს-ოსთვის ბრალად წარდგენილი ქმედება დასჯადია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-ე-260-ე მუხლის მე-4 ნაწილითა და მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ახალი ფსიქოპატიური ნივთიერების გასაღების მცდელობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ). ამასთან, 260-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს 6-დან 11 წლამდე, ხოლო ამავე მუხლის მე-5 ნაწილი – 7-დან 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას.

5.3. ამრიგად, ქმედება, რომლის სავარაუდო ჩადენასაც ედავეებიან მ. ს-ოს, დანაშაულად ითვლება და დასჯადია როგორც საქართველოს, ისე რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის მიხედვით და ორივე შემთხვევაში სასჯელის სახით გათვალისწინ-

ნებუღია 1 ნელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა. შესაბამისად, დაცულია „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის კონვენციის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტისა და „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ორმაგი დასჯადობის წესი.

6. უსაფუძვლოა ასევე კასატორის მოსაზრება, რომ ვინაიდან მ. ს-ოსთვის ბრალად წარდგენილი ქმედება არ იყო დასჯადი საქართველოს კანონმდებლობით ბრალდებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის დროს, ს-ოს ქმედების დასჯადად მიჩნევა დაარღვევს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტისა (არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს) და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტით (არავინ შეიძლება მიიჩნიონ ბრალეულად რაიმე დანაშაულის ჩადენაში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც ჩადენის დროს არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად) გარანტირებულ უფლებას, ვინაიდან დასახელებული ნორმები არარელევანტურია პირის ექსტრადიციის საკითხის განხილვისას, კერძოდ:

6.1. საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ე. ს-ი და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზ. მ-ა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (2009 წლის 13 მარტის №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპი, კონსტიტუციის ამ პუნქტის (42-ე მუხლის მე-5 პუნქტი) შინაარსიდან გამომდინარე, გულისხმობს იურიდიული პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი კანონისათვის უკუძალის აკრძალვას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონი მაშინ არის კონსტიტუციის შეუსაბამო, თუ მას მინიჭებული აქვს უკუქცევითი ძალა და ამავე დროს ის ანებს ან ამკაცრებს პირის პასუხისმგებლობას.

6.2. საქმეზე „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (2015 წლის 4 მარტის №1/2/552 გადაწყვეტილება) საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსაზრებას, რომლის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადება შეიცავს ნებისმიერი სახის საკანონმდებლო ნორმის უკუძალით გამოყენების ზოგად და აბსო-

ლუტურ აკრძალვას.

6.3. საქმეზე X v. Netherlands (იქსი ნიდერლანდების წინააღმდეგ, №7512/76) ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ განმარტა, რომ ექსტრადიციის პროცესის მიზანი არ არის პირის დამნაშავედ ცნობა და ამდენად, სისხლის სამართლის კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპი მასზე არ ვრცელდება.

6.4. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ევროპული კონვენციების ფუნქციონირების საკითხებში ევროპის საბჭოს ექსპერტთა კომიტეტის (PC-OC) განმარტებას, კერძოდ: აღნიშნული კომიტეტი ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის გამოყენების პრაქტიკის შესწავლის შედეგად შეთანხმდა, რომ კონვენციის ერთგვაროვანი გამოყენებისათვის მონაწილე სახელმწიფოებმა ექსტრადიციის განმხილველი სახელმწიფოს სამართლით ქმედების დასჯადობის განსაზღვრისას გამოიყენონ სისხლის სამართლის ის კანონი, რომელიც მოქმედებს და ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას იყო ძალაში და არა ის კანონები, რომლებიც ქმედების ჩადენის დროს ან ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის მიღების მომენტში იყო ძალაში (განმარტება ორმაგი დასჯადობის შესახებ იხ. <https://rm.coe.int/1680075084>).

6.5. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტითა და, შესაბამისად, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტით ქმედების დასჯადობის განსაზღვრისას გამოყენებულ უნდა იქნეს ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას არსებული კანონმდებლობა, რაც არ არღვევს პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი კანონის უკუძალით გამოყენების აკრძალვის პრინციპს, ვინაიდან ექსტრადიციის დასაშვებობის საკითხის განხილვის მიზანი არ არის პირის დამნაშავედ ცნობა და მისთვის სასჯელის შეფარდება.

7. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღიარებს რა საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო – სამართლებრივი აქტებით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას, მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც დასაშვებად იქნა ცნობილი მ. ს-ოს რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზ-

ნით, 2015 წლის 17 აპრილის ბრალდების შესახებ დადგენილებაში გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელიც დასჯადია რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 228.1 მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გასაღების მცდელობა, ჩადენილი საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ქსელის – ინტერნეტის გამოყენებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ), კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – მ. ს-ოს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიცია

განჩინება საქართველოს სასჯელით

29/-17

16 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი**

განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ო. პ.-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ქ.-ს საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 31 ოქტომბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ო. პ.-ს მ-ს რესპუბლიკაში ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობისა და წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალების თანახმად, მ-ს რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის ადამიანებით ვაჭრობის პრევენციისა და მასთან ბრძოლის განყოფილების მიერ 2009 წლის 12 მაისს გამოტანილი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების თანახმად, ო. პ.-ს ბრალად ედება მ-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ტრეფინგი, ე.ი. პირის გადაბირება, მისი თანხმობით, კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის განევის მიზნით, ჩადენილი მოტყუებითა და პირის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ), ამავე კოდექსის 42-ე მუხლის მე-2 და მე-3 (ამსრულებლისა და ორგანიზატორის პასუხისმგებლობა) ნაწილებთან ერთობლივად, გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რისთვისაც სასჯელის სახედ და ზომად გათვალისწინებულია – 10-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

2. მ-ს რესპუბლიკის კ-ს მუნიციპალიტეტის ჩ-ს სასამართლოს 2009 წლის 13 მაისს გადაწყვეტილებით ო. პ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა და იმავე დღეს გამოიცა მისი დაკავების ბრძანება.

3. 2009 წლის 25 მაისს მ-ს რესპუბლიკის სამართალდამცავმა ორგანოებმა გამოაცხადეს ო. პ.-ს ძებნა და იგი მ-ს რესპუბ-

ლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ იძებნება ინტერ-პოლის არხებით.

4. მ-ს რესპუბლიკიდან მონოდებული მასალების მიხედვით, ო. პ-ს მიერ მ-ს რესპუბლიკაში სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის თ-ი ო. პ-ა ა. პ-ნ, უ-ს მოქალაქე რ. ტ-ა და გამოძიებით დაუდგენელ სხვა პირებთან ერთად შექმნა ორგანიზებული ჯგუფი, რომლის მიზანი იყო ადამიანებით ვაჭრობა და მათი სექსუალური ექსპლუატაცია უკანონო შემოსავლის მიღების მიზნით.

2009 წლის თებერვლის დასაწყისში ო. პ-ა, დანაშაულებრივი ჯგუფის გეგმის შესაბამისად, დაარწმუნა უ-ს მოქალაქე ტ. კ-ი, რომ თ-ს რესპუბლიკის ქ. ა-ი მაღაზიის გამყიდველად დაასაქმებდა და ექნებოდა მაღალი ანაზღაურება. ტ. კ-ი იყო სოციალურად დაუცველი და დასთანხმდა ო. პ-ს შეთავაზებას. დანაშაულებრივი ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა ტ. კ-ს თ-ს რესპუბლიკაში სექსუალური ექსპლუატაცია.

2009 წლის 2 მარტს, თავისი დანაშაულებრივი განზრახვის განსახორციელებლად, ა. პ-ა, რომელიც რ. ტ-ა და სხვა დაუდგენელ პირებთან ერთად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის შემადგენლობაში მოქმედებდა, ო. პ-ს მიერ მისთვის მინიჭებული ფუნქციის შესაბამისად, ტ. კ-ს შეიძინა ავიაბილეთი ო-ა-ს-ს მიმართულებით. იმავე დღეს, დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფის ქმედების შედეგად, ტ-ა კ-ი ო. პ-ს კონტროლქვეშ ქ. ს-ი გადაფრინდა. თუმცა, ვინაიდან არ გააჩნდა თ-ს რესპუბლიკაში ყოფნისათვის საკმარისი თანხა, მას უარი ეთქვა თ-ს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შესვლაზე. მითითებული მიზეზის გამო, ტ. კ-ი დაბრუნდა ქ. ო-ი და დაბრუნების მიზეზის თაობაზე შეატყობინა ორგანიზებული ჯგუფის ერთ-ერთ წევრს.

შემდგომ, 2009 წლის 5-6 მარტის პერიოდში, თავისი დანაშაულებრივი განზრახვის განსახორციელებლად ა. პ-ა, რომელიც რ. ტ-ა და სხვა დაუდგენელ პირებთან ერთად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის შემადგენლობაში მოქმედებდა, მისთვის ო. პ-ს მიერ მინიჭებული ფუნქციის შესაბამისად, ტ. კ-ი უ-ნ მ-ს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადაიყვანა, საიდანაც უნდა მომხდარიყო მისი თ-ს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამგზავრება. ამასთან, 2009 წლის 6 მარტს ა. პ-ა ტ. კ-ს შეიძინა ავიაბილეთი კ-ი-ს-ს მიმართულებით და მას გადასაცა თანხა – 1000 ამერიკული დოლარი თ-ს რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლებისათვის წარსადგენად. თ-ს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ აღნიშნული თანხა ტ. კ-ს

უნდა გადაეცა ო. პ-ს.

კ-ს საერთაშორისო აეროპორტში ყოფნისას ტ. კ-ა ა. პ-ს შე-
იციყო, რომ იგი თ-ს რესპუბლიკაში, ქ. ა-ი, ფასიანი სექსუალური
მომსახურების გასაწევად გადაჰყავდათ, რის გამოც მან უარი
თქვა ამ ქვეყანაში გამგზავრებაზე. ამის მიუხედავად, ა. პ-ა, ო.
პ-ს მიერ მისთვის მინიჭებული ფუნქციის შესაბამისად, ბორო-
ტად გამოიყენა ტ. კ-ს უმწეო მდგომარეობა, რაც გამოიხატა მი-
სი უცხო ქვეყანაში მატერიალური სახსრების გარეშე ყოფნით
და არაგონივრულ ფარგლებში დადგენილი ვალის დაფარვის
მიზნით, აიძულა იგი, გამგზავრებულიყო თ-ს რესპუბლიკაში,
მისი შემდგომი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით.

2009 წლის 6 მარტს ტ. კ-ი მ-ს რესპუბლიკის სასაზღვრო სამ-
სახურის თანამშრომლებმა შეაჩერეს ქ. კ-ს აეროპორტში.

5. 2017 წლის 16 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამი-
ნისტროს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დაა-
კავეს მ-ს რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ
ძებნილი ო. პ-ი.

6. 2017 წლის 18 მარტს ხელვაჩაურის რაიონული სასამარ-
თლოს მოსამართლის განჩინებით ო. პ-ს შეეფარდა საქესტრა-
დიციო პატიმრობა 3 თვით.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლე-
გიის მოსამართლის 2017 წლის 31 მარტის განჩინებით დაუშ-
ვებლად იქნა ცნობილი ო. პ-ა და მისი ინტერესების დამცველი
ადვოკატის საჩივარი ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს
2017 წლის 18 მარტის განჩინების გაუქმების თაობაზე.

8. 2017 წლის 21 აპრილს საქართველოს მთავარმა პროკურა-
ტურამ მიიღო ო. პ-ს ექსტრადიციის თაობაზე მ-ს რესპუბლიკის
შუამდგომლობისა და შესაბამისი დანართის ასლები, ხოლო მა-
თი დედნები – 2017 წლის 27 აპრილს.

9. 2017 წლის 13 ივნისს საქართველოს მთავარმა პროკურა-
ტურამ გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია ო. პ-ს მ-ს რეს-
პუბლიკაში ექსტრადიციასთან დაკავშირებით, რომელიც მიი-
ღო 2017 წლის 23 ივნისს.

10. 2017 წლის 15 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს
საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამარ-
თლის განჩინებით ო. პ-ს მიმართ შეფარდებული საქესტრადი-
ციო პატიმრობა გაგრძელდა 3 თვით, 6 თვემდე – 2017 წლის 16
სექტემბრამდე.

11. 2017 წლის 15 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასა-
მართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსა-

მართლის განჩინებით ო. პ-ს მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობა გაგრძელდა 3 თვით, 9 თვემდე – 2017 წლის 16 დეკემბრამდე.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის 2017 წლის 22 სექტემბრის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი ო. პ-ა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 15 სექტემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე.

13. 2017 წლის 26 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორმა ნანიკო ზაზუნაშვილმა და ითხოვა ო. პ-ს მ-ს რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებად ცნობა, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, იმ დანაშაულებრივი ქმედებებისათვის, რომლებიც აღწერილია ო. პ-ს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ მ-ს რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის 2009 წლის 12 მაისის დადგენილებაში და დასჯადია მ-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ტრეფიკინგი, ე.ი. პირის გადაბირება, მისი თანხმობით, კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის განევის მიზნით, ჩადენილი მოტყუებითა და პირის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ), ამავე კოდექსის 42-ე მუხლის მე-2 და მე-3 (ამსრულებლისა და ორგანიზატორის პასუხისმგებლობა) ნაწილებთან ერთობლივად.

14. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორ ნანიკო ზაზუნაშვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა: დასაშვებად იქნა ცნობილი ო. პ-ს მ-ს რესპუბლიკაში ექსტრადიციის, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, იმ დანაშაულებრივი ქმედებებისათვის, რომლებიც აღწერილია ო. პ-ს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის თაობაზე მ-ს რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის 2009 წლის 12 მაისის დადგენილებაში და დასჯადია მ-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ტრეფიკინგი, ე.ი. პირის გადაბირება, მისი თანხმობით, კომერ-

ციული სექსუალური ექსპლუატაციის განევის მიზნით, ჩადენილი მოტყუებითა და პირის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ), ამავე კოდექსის 42-ე მუხლის მე-2 და მე-3 (ამსრულებლისა და ორგანიზატორის პასუხისმგებლობა) ნაწილებთან ერთობლივად.

15. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ო. პ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ქ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 31 ოქტომბრის განჩინება უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

16. დაცვის მხარეს სასამართლო სხდომაზე არ მიეცა ორი შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობა; საექსტრადიციო მასალებში არ მოიპოვება და, შესაბამისად, მ-ს რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოებს არ წარმოუდგენიათ ო. პ-ს ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რის გამოც იგი იმყოფება უკანონო პატიმრობაში; ო. პ-ი ცხოვრობდა მ-ს რესპუბლიკის სეპარატისტულ რეგიონში – დ-ი, რომელიც გამოყოფილია მ-ნ და მათ შორის მიმდინარე საომარ კონფლიქტში მონაწილეობდნენ ო. პ-ს ძმები (მ-ს წინააღმდეგ); ო. პ-ს თავშესაფრის თხოვნით მიმართული აქვს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის და აღნიშნული სამართლებრივი პროცედურები ჯერ დასრულებული არ არის, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეთა არგუმენტები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. მ-ს რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ქებნილი ო. პ-ი საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს 2017 წლის 16 მარტს. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, დაკავებისას და საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში, მის მიმართ არ დარღვეულა არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და არც საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

3. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას და მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერ-

თაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ: დაცულია ორმაგი დანაშაულებრიობის, ხანდაზმულობის, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები, ორმაგი დასჯის აკრძალვისა (non bis in idem) და პარალელური წარმოების აკრძალვის პრინციპები, ასევე – საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები. ამასთან, ექსტრადიციის განხორციელების შემთხვევაში, წარმოდგენილი მასალების მიხედვით, არ იკვეთება ო. პ-ს მიმართ ადამიანის უფრდამენტური უფლებების დარღვევის რისკი.

4. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მას არ მისცა შუამდგომლობების წარდგენის შესაძლებლობა და მიუთითებს, რომ დაცვის მხარეს მიეცა უფლება და სრული შესაძლებლობა, თავის სიტყვაში ესაუბრა ყველა არგუმენტზე, მათ შორის იმ ორ შუამდგომლობაზეც, რომელზეც მითითებული აქვს საკასაციო საჩივარში, კერძოდ: ო. პ-ს მიმართული ჰქონდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის თავშესაფრის მოთხოვნით. ასევე, დაცვის მხარისათვის უცნობი იყო, თუ რომელი მტკიცებულებების საფუძველზე დაედო ბრალი ო. პ-ს. როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომის ოქმიდან დგინდება, მოსამართლეს არ გაურკვევია, ჰქონდა თუ არა დაცვის მხარეს რაიმე სახის შუამდგომლობა, მაგრამ, თავის მხრივ, არც თავად დაცვის მხარეს წარუდგენია მოთხოვნები ცალკე შუამდგომლობების სახით. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული არ შეიძლება შეფასდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებით დარღვევად, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ თავისი პოზიცია და არგუმენტები დაცვის მხარემ ჩამოაყალიბა პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე თავის სიტყვაში. გარდა ამისა, ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ კასატორმა საკასაციო პალატის სხდომაზე წარმოადგინა შუამდგომლობა, რომლითაც მოითხოვა მ-ს რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოებიდან ო. პ-ს ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებების გამოთხოვა, რის შესახებაც საკასაციო პალატამ იმსჯელა და მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

5. რაც შეეხება კასატორის პოზიციას, რომ ო. პ-ი იმყოფება უკანონო პატიმრობაში, ვინაიდან საექსტრადიციო მასალებში არ მოიპოვება და მ-ს რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოებს

არ წარმოუდგენიათ ო. პ-ს ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რაც „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონის 34-ე მუხლის მე-9 ნაწილის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ იხილავს ო. პ-ს ბრალეულობის საკითხს და სასამართლო მსჯელობს მხოლოდ იმის შესახებ, დასაშვებია თუ არა მისი ექსტრადიცია მ-ს რესპუბლიკაში, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონის 34-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, ექსტრადიციისადმი დაქვემდებარებული პირი სარგებლობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ბრალდებულისათვის მინიჭებული ყველა უფლებით, ექსტრადიციის პროცედურების თავისებურებათა გათვალისწინებით. არც ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია და არც მითითებული კანონი ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ მხარეს არ აკისრებს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოადგენის ვალდებულებას, რის შესაბამისადაც, სასამართლო მსჯელობს ექსტრადიციის დასაშვებობის და არა – ექსტრადიციის დაქვემდებარებული პირის ბრალეულობის შესახებ.

6. კასატორის მითითებასთან დაკავშირებით, რომ ო. პ-ს თავშესაფრის მინიჭების მოთხოვნით მიმართული აქვს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის, რასთან დაკავშირებითაც ჯერ გადანყვეტილება არ არის მიღებული და, ამდენად, დაუშვებელია მისი ექსტრადიცია, პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული გარემოება არ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევასა და ო. პ-ს ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებას, ვინაიდან არსებული საერთაშორისო პრაქტიკისა და ნორმების თანახმად, ის ფაქტი, რომ პირი არის თავშესაფრის მაძიებელი, კრძალავს მხოლოდ მის ფაქტობრივ გადაცემას და არ გამოიციხავს პარალელურ რეჟიმში პირის ექსტრადიციის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების შესრულებას.

7. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით: ექსტრადიცია დაუშვებელია, თუ არსებობს „არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის“, რომ

პირი ექსტრადიციის შემთხვევაში დაექვემდებარება წამებას ან/და არაადამიანურ მოპყრობას, ან არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის „რეალური საფრთხე“¹. ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ეკისრება ტვირთი, წარადგინოს მტკიცებულებები, რაც დაადასტურებს არსებითი საფუძვლების არსებობას ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში, იგი დაექვემდებარება არასათანადო მოპყრობასა და დევნას. ხოლო სახელმწიფო, მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი ბრალდების მხარის სახით, ვალდებულია, გაფანტოს ყველა ეჭვი, რაც დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით შეიქმნება². უკანონო მოპყრობის შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებით³. ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაექვემდებარება დევნასა და არასათანადო მოპყრობას⁴.

8 შესაბამისად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, რომ მ-ს რესპუბლიკაში ო. პ-ს ექსტრადიციის შემთხვევაში დაირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული უფლებები, რადგან მის სიცოცხლეს დაემუქრება საფრთხე, დაექვემდებარება წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას, ვინაიდან

¹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: „სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Soering v. the United Kingdom), no 14038/88, § 88-91, 07.07.1989; „ვილვარაჯა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Vilvarajah and others v. United Kingdom), no 13163/87 & 13164/87 & 13165/87 & 13447/87 & 13448/87, 30.10.1991).

² იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: „ჯ.კ. და სხვები შვედეთის წინააღმდეგ“ (J.K. and others v. Sweden) № 59166/12; § 91,96, 23.08.2016., „საადი იტალიის წინააღმდეგ“ (Saadi v. Italy) № 37201/06, § 129, 28.02.2008.

³ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“ (Mamatkulov and Askarov v. Turkey) № 46827/99 and № 46951/99, § 70, 04.02.2005.

⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“ (Mamatkulov and Askarov v. Turkey) № 46827/99 and № 46951/99, § 73, 04.02.2005.

იგი ცხოვრობდა მ-ს რესპუბლიკის სეპარატისტულ რეგიონში – დ-ი, რადგან საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ვერ მოიძია, ხოლო კასატორმა ვერ წარმოადგინა რაიმე რეალური ინფორმაცია, რაც ო. პ-ს მიმართ მ-ს რესპუბლიკაში რაიმე ნიშნით დევნის ეჭვს წარმოშობდა. ამდენად, მხოლოდ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირისა და მისი ადვოკატის ზოგადი განცხადებები ვერ ჩაითვლება ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებად.

9. საკასაციო პალატა ასევე ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მ-ს რესპუბლიკაში არ მიმდინარეობს საომარი კონფლიქტი და, შესაბამისად, არ არის საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებები შეიზღუდება რაიმე ფორმით. გარდა ამისა, ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ მ-ს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ წარმოადგინა გარანტია, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ო. პ-ს მიმართ სრულად იქნება დაცული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლებები.

10. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღიარებს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო – სამართლებრივი აქტებით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას და მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 31 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც დასაშვებად იქნა ცნობილი ო. პ-ს მ-ს რესპუბლიკაში ექსტრადიცია, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით იმ დანაშაულებრივი ქმედებებისათვის, რომლებიც აღწერილია ო. პ-ს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის თაობაზე მ-ს რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის 2009 წლის 12 მაისის დადგენილებაში და დასჯადია მ-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ტრეფიკინგი, ე.ი. პირის გადაბირება, მისი თანხმობით, კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის განევის მიზნით, ჩადენილი მოტყუებითა და პირის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ), ამავე კოდექსის 42-ე მუხლის მე-2 და მე-3 (ამსრულებლისა და ორგანიზატორის პასუხისმგებლობა) ნაწილებთან ერთობლივად, კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ო. პ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ქ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 31 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიცია

განჩინება საქართველოს სასხელისო

30-17

21 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
პ. სილაგაძე**

განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – მ. ა-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ხ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 30 ოქტომბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. წარმოდგენილი საქსტრადიციო მასალების მიხედვით,

2017 წლის 11 აპრილს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს მ-ას რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი მ. ა..

2. 2017 წლის 13 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის განჩინებით მ. ა-ს შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვით.

3. 2017 წლის 27 აპრილს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი მ. ა-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 13 აპრილის განჩინების გაუქმების თაობაზე.

4. 2017 წლის 19 მაისს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიიღო მ. ა-ს ექსტრადიციის თაობაზე მ-ს რესპუბლიკის შუამდგომლობა და შესაბამისი თანდართული დოკუმენტები.

5. 2017 წლის 3 ივლისს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია მ. ა-ს მ-ას რესპუბლიკაში ექსტრადიციასთან დაკავშირებით.

6. 2017 წლის 7 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის განჩინებით მ. ა-ს მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობის ვადა გაგრძელდა 3 თვით, 6 თვემდე – 2017 წლის 11 ოქტომბრამდე.

7. 2017 წლის 21 ივლისს მ-ას რესპუბლიკის გენერალური პროკურატურიდან საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიიღო დამატებითი ინფორმაცია მ. ა-ს მ-ს რესპუბლიკაში ექსტრადიციასთან დაკავშირებით, ხოლო აღნიშნული დოკუმენტების დედანი – 2017 წლის 27 ივლისს.

8. 2017 წლის 10 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის განჩინებით მ. ა-ს მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობა გაგრძელდა 3 თვით, 9 თვემდე – 2018 წლის 11 იანვრამდე.

9. მ. ა-ს მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი პროცედურები მ-ას რესპუბლიკაში:

მ-ას რესპუბლიკის კ-ს მუნიციპალიტეტის პროკურატურის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის თაობაზე 2017 წლის 20 მარტის დადგენილების თანახმად, მ. ა-ს ბრალად ედება მ-ას რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „ბ1“ ქვეპუნქტებით (არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ, ორი

ან მეტი პირის მიერ, არასრულწლოვნის სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით, მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით) და 165-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ტრეფიკინგი, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიერ, დაზარალებულის სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით, მისი მდგომარეობის მოწყვლადობის გამოყენებით) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.

10. 2017 წლის 20 მარტს მ-ს რესპუბლიკის კ-ის მუნიციპალიტეტის პროკურატურამ გამოაცხადა მ. ა-ს ძებნა.

11. მ-ას რესპუბლიკის კ-ის სასამართლოს 2017 წლის 23 მარტს გადაწყვეტილებით, მ. ა-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა. იმავე დღეს გამოიცა მ. ა-ს დაკავების ბრძანება.

12. მ-ას რესპუბლიკის კ-ის მუნიციპალიტეტის პროკურატურის ტექნიკური შეცდომის გამოსწორების შესახებ 2017 წლის 15 მაისის დადგენილების თანახმად, ცვლილება შევიდა 2017 წლის 20 მარტის დადგენილებაში მ. ა-ს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის თაობაზე, კერძოდ, აღნიშნული დადგენილებით განხორციელებული ცვლილების შედეგად მ. ა-ს ბრალად ედება მ-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „ბ1“ ქვეპუნქტებით (არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ, ორი ან მეტი პირის მიერ, არასრულწლოვნის სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით, მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, ნაცვლად იმავე კოდექსის 206-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „ბ1“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისა.

13. მ. ა. მ-ას რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ იძებნება ინტერპოლის არხებით.

14. მ-ას რესპუბლიკიდან მოწოდებული მასალების მიხედვით, მ. ა-ს მიერ მ-ას რესპუბლიკაში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2016 წლის იანვრიდან იმავე წლის ივლისის ჩათვლით მ. ა. ეწეოდა არასრულწლოვანი და სრულწლოვანი პირების სექსუალურ ექსპლუატაციას, რითაც იგი ფინანსურ სარგებელს იღებდა. მ. ა-მ ფ. მ. ს-თან წინასწარი შეთანხმებით დაიყოლია და ექსპლუატაციის განვეის მიზნით, საკუთარ უკანონო კონტროლქვეშ მოაქცია 1998 წელს დაბადებული ტ.ბ., 2001 წელს დაბადებული ო.პ. და მდგერობითი სქესის კიდეე ერთი მოქალაქე, სახელად – „ა“, რომლის ვინაობაც დადგენილი არ არის. მ. ა-ს კონტროლქვეშ დაზარალებულები ტ-ის ქუჩაზე, კ-ის მუნიციპალიტეტში დაქირავებულ ბინაში, 1000 ლევის სანაცვლოდ იძუ-

ლებით სექსუალურ მომსახურებას უწევდნენ არაბი ეროვნების პირებს. ამასთან, 2016 წლის მარტში მ. ა-მ, ვ. გ-ის მეშვეობით, გაიცნო 1995 წელს დაბადებული კ.ბ., რომელიც ფულის სანაცვლოდ სექსუალური მომსახურების განევის მიზნით გადაიბირა და მოაქცია კანონსაწინააღმდეგო კონტროლქვეშ. კ.ბ. აღნიშნულ მომსახურებას ეწეოდა 2016 წლის აპრილის თვემდე მ. ა-ს მიერ დაქირავებულ ორ სხვადასხვა ბინაში, რომლებიც მდებარეობდა მ-ას რესპუბლიკაში, კ-ის მუნიციპალიტეტში. ფინანსურ სახსრებს, რომლებსაც კლიენტებისგან იღებდნენ დაზარალებულები, დღის განმავლობაში აგროვებდნენ ბრალდებულები – ფ. მ. ხ. და მ. ა.. შეგროვებული თანხის ნაწილს ისინი უხდიდნენ ტ. ბ-ს, ო. პ-ს, კ. ბ-ს და ზემოაღნიშნულ მდებარეობით სქესის მოქალაქეს, რომლის ვინაობაც დადგენილი არ არის. ამასთან, მითითებული სრულწლოვანი და არასრულწლოვანი დაზარალებულები მ. ა-მ და მისმა თანამზრახველმა გადაიბირეს მათი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, რაც გამოიხატებოდა მძიმე ეკონომიკურ პირობებში, კერძოდ, ყველა დაზარალებული წარმომავლობით იყო მოსახლეობის სოციალურად მონყვლადი ჯგუფებიდან, ისინი იზრდებოდნენ მშობლების გარეშე ბავშვთა სახლებში და არ ჰქონდათ საარსებო მატერიალური სახსრები.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი მ. ა-ს მ-ას რესპუბლიკაში ექსტრადიცია, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომლებიც აღწერილია მ-ას რესპუბლიკის კ-ის მუნიციპალიტეტის პროკურატურის 2017 წლის 20 მარტის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებაში და დასჯადია მ-ას რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ, ორი ან მეტი პირის მიერ, არასრულწლოვნის სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით, მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით) და 165-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ტრეფიკინგი, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიერ, დაზარალებულის სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით, მისი მდგომარეობის მონყვლადობის გამოყენებით).

16. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. ხ. საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო, წინასასამართლო

სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 30 ოქტომბრის განჩინების გაუქმებას იმ მოტივით, რომ პროკურატურის მიერ მოწოდებული მასალებიდან აშკარად საბუთდება მ. ა-ს ბრალდების უსაფუძვლობა. პროკურატურას არ უცდია, მ. ა-თვის შეეცდომებინა ძებნისა და ბრალის წაყენების თაობაზე. დაზარალებულთა არანაირი მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი საქმეში არ მოიპოვება, მათ შორის არ არსებობს დადგენილება დაზარალებულად ცნობის თაობაზე. როგორც მისმა კოლეგამ რ. პ-მ განუცხადა ადვოკატს, დაუშვებელია ბრალის კვალიფიკაციის შეცვლა ტექნიკური შეცდომების შესწორების შესახებ ოქმის საფუძველზე.

16. დაცვის მხარე უთითებს, რომ სამივე სასამართლო სხდომაზე ისე მოხდა ბრალდებულის მიმართ საქესტრადიციო პატიმრობის გამოყენება, რომ არ უმსჯელიათ იმაზე, თუ რატომ არ იქნებოდა საკმარისი მოცემულ შემთხვევაში პატიმრობაზე ნაკლებად შემზღვეველი ღონისძიების გამოყენება. ა. მ. წარმოადგენს მესამე ქვეყნის (ისრაელის) მოქალაქეს და მომთხოვნი ქვეყანა მას ბრალს სდებს დანაშაულის ჩადენაში, რისი ხასიათიდან გამომდინარეც, არსებობს „არსებითი საფუძველები ვარაუდისათვის“, რომ მ-ს რესპუბლიკაში დაემუქრება წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საფრთხე.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეთა არგუმენტები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. მ-ას რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი მ. ა. საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს 2017 წლის 11 აპრილს. წარმოდგენილი საქმის მასალების თანახმად, როგორც დაკავებისას, ისე საქესტრადიციო პატიმრობაში ყოფნისას მ. ა-ს მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები არ დარღვეულა.

3. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას და მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი არც ერთი გარემოება, კერძოდ: დაცულია სისხლისსამართლებრივი

დეცნის ხანდაზმულობის ვადა, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები, ორმაგი დანაშაულებრიობის, ორმაგი დასჯის აკრძალვისა (non bis in idem) და პარალელური წარმოების აკრძალვის პრინციპები, სამართლიანი სასამართლოს, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებები, ასევე – საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

4. საკასაციო საჩივარში დაცვის მხარე მ. ა-ს წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისადი დაქვემდებარების არგუმენტებს უთითებს ზოგადად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორმა უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ არსებობს მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის უფლებების შელახვის რისკი. სხვა სიტყვებით, წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე, უნდა დასტურდებოდეს, თუ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ინდივიდუალური საქმე კონკრეტულად რა მიზეზით წარმოშობს ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საშიშროებას. ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების თანახმად, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ განზოგადებული ხასიათის ცნობები, სხვა სპეციფიკური სამხილის გარეშე, არ წარმოადგენს საკმარის გარემოებას¹. უკანონო მოპყრობის შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებით². ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, კასატორის ზოგადი ხასიათის მითითებები არ წარმოადგენს საკმარის გარემოებას ექსტრადიციის განხორციელებაზე უარის თქმასთან მიმართებით.

5. საკასაციო პალატა მ. ა-ს მიმართ წაყენებული ბრალის უსაფუძვლობა და შეფარებული აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ განიხილება ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ბრალეულობის ან/და შეფარებული აღკვეთის ღონისძიების მართებულობის საკითხი. ამ შემთხვევაში სასამართლო მსჯელობს მხოლოდ იმის თაობაზე, დასაშვებია თუ არა მისი ექსტრადიცია მ-ს რესპუბლიკაში, მ. ა-ს მიმართ სისხლის სამართლის პროცესის წარმოების მიზნით.

¹ იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „შამაიევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“ (Shamayev and Others v. Georgia and Russia), №36378/02, 12/04/2005, §352.

² იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“ (Mamatkulov and Askarov v. Turkey) №46827/99, №46951/99, №04/02/2005, §70.

6. რაც შეეხება ბრალის ტექნიკურ შესწორებას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ეს არ წარმოადგენს მ. ა-ს მ-ას რესპუბლიკაში ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებას, მით უმეტეს, რომ წარმოდგენილი საქმის მასალებიდან გამომდინარე, მ-ას რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მუხლის მე-2 ნაწილს „ბ“ ქვეპუნქტი საერთოდ არ გააჩნია და ამასთანავე, ტექნიკური შესწორების შემდეგ ბრალის დეფინიცია არ შესწორებულა.

8. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღიარებს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისოსამართლებრივი აქტებით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას და მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 30 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც დასაშვებად იქნა ცნობილი მ. ა-ს მ-ს რესპუბლიკაში ექსტრადიცია, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომლებიც აღწერილია მ-ას რესპუბლიკის კ-ს მუნიციპალიტეტის პროკურატურის 2017 წლის 20 მარტის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებაში და დასჯადია მ-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ, ორი ან მეტი პირის მიერ, არასრულწლოვნის სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით, მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით) და 165-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ტრეფიკინგი, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიერ, დაზარალებულის სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით, მისი მდგომარეობის მონყვლადობის გამოყენებით), კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – მ. ა-ს ინტე-

რესების დამცველის, ადვოკატ ლ. ხ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 30 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიცია

განჩინება საქართველოს სასახლით

32/-17

5 დეკემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ბ. ალავიძე,
ნ. გვენეტაძე**

განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – მ. ი-ის საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 21 ნოემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, მ. ი-ის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2011 წლის 27 აპრილიდან 2014 წლის 13 ნოემბრამდე პერიოდში მ. ი. წარმოდგენდა დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრს, რომელსაც ი-ის ...-დან ევროპის ქვეყნების გავლით უკანონოდ გადაჰყავდა ადამიანები ...-ში.

მ. ი. ბ-ის -ზე ცხოვრების პერიოდში მთავარ როლს ასრულებდა ადამიანების უკანონო გადაყვანის ორგანიზებაში და მას ...-ის მოქალაქეები უკანონოდ შეჰყავდა ევროკავშირის/შენგენის ზონაში. ამასთან, საბოლოო დანიშნულების ადგილს წარმოდგენდა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო. მ. ი. ახდენდა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების კოორდინირებას, იძენდა გაყალბებულ დოკუმენტებს და იღებდა გადაწყვეტილებებს

დაზარალებულების განთავსების თაობაზე.

გ. და ბ. წარმოადგენდა შუალედური დანიშნულების პუნქტებს და შემდგომი გადაყვანის საორგანიზაციო ცენტრებს. დაზარალებულებს, ი. არალეგალ უცხოელებს, სამგზავროდ, დაბინავებისა და ყალბი პირადობის მოწმობებისა და პასპორტების სანაცვლოდ, უწევდათ მნიშვნელოვანი თანხის გადახდა. ხსენებული ყალბი პირადობის მოწმობები და პასპორტები, როგორც წესი, მზადდებოდა ბ-ში ამ მიზნით მოპარული დოკუმენტების გამოყენებით.

ი. დაზარალებულები წარმოშობის ქვეყანას ტოვებდნენ და ცდილობდნენ დ. ბ-ში შეღწევას მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გამო, მაღალანაზღაურებადი სამსახურის მოპოვების მიზნით. ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი დაჯგუფებების წევრები ბოროტად სარგებლობდნენ დაზარალებულების მდგომარეობით და მათი ევროპის ქვეყნების გავლით დ. ბ-ში გადაყვანის მიზნით, მათ სულ უფრო მეტი ოდენობით თანხებს სძალავდნენ. აგრეთვე, ევროპის ქვეყნებში ყოფნის პერიოდში, ისინი დაზარალებულებს არაადამიანურ, მძიმე პირობებში ამყოფებდნენ.

2. 2015 წლის 20 აპრილს ბრიუსელის სასამართლოს მიერ გამოცემული საერთაშორისო დაკავების ბრძანების თანახმად, მ. ი. ეჭვმიტანილია ბ-ის ს-ოს 1980 წლის საიმიგრაციო აქტის 77 bis, 77 quater და 77 quinquis (დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიერ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ტრეფიკინგი) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც სასჯელის სახედ და ზომად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 20 წლამდე ვადით. იმავე დღეს ბრიუსელის სასამართლომ გამოსცა მ. ი-ის ევროპული დაპატიმრების ორდერი.

3. მ. ი. ბ-ის სამართალდამცავი ორგანოების მიერ იძებნება ინტერპოლის არხებით.

4. 2017 წლის 22 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს ბელგიის სამეფოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი მ. ი..

5. 2017 წლის 25 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით მ. ი-ს შეეფარდა საქესტრადიციო პატიმრობა 3 თვის ვადით.

6. 2017 წლის 6 აპრილს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი მ. ი-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017

წლის 25 მარტის განჩინების გაუქმების თაობაზე.

7. 2017 წლის 28 აპრილს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიიღო მ. ი-ის ექსტრადიციის თაობაზე ბელგიის სამეფოს შუამდგომლობა და შესაბამისი თანდართული დოკუმენტები.

8. 2017 წლის 15 ივნისს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია მ. ი-ის ბ-ის ს-ში ექსტრადიციასთან დაკავშირებით.

9. 2017 წლის 21 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განჩინებით მ. ი-ის მიმართ შეფარდებული საქესტრადიციო პატიმრობა გაგრძელდა 3 თვით, 6 თვემდე – 2017 წლის 22 სექტემბრამდე.

10. 2017 წლის 14 ივლისს ბელგიის სამეფოდან საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიიღო დამატებითი ინფორმაცია მ. ი-ის ბ-ის ს-ში ექსტრადიციასთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტების დედანი მიღებულ იქნა 2017 წლის 21 ივლისს.

11. 2017 წლის 21 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის განჩინებით მ. ი-ის მიმართ შეფარდებული საქესტრადიციო პატიმრობა გაგრძელდა 3 თვით, 9 თვემდე – 2017 წლის 22 დეკემბრამდე.

12. 2017 წლის 15 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორმა ნანიკო ზაზუნაშვილმა და ითხოვა სასამართლოს დასაშვებად ეცნო მ. ი-ის ექსტრადიცია ბ-ის ს-ში, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, იმ დანაშაულებრივი ქმედებებისათვის, რომლებიც აღწერილია ბრიუსელის სასამართლოს 2015 წლის 20 აპრილის მ. ი-ის საერთაშორისო დაკავების ბრძანებაში და დასჯადია ბ-ის ს-ოს 1980 წლის საიმვირაციო აქტის 77 bis მუხლით, 77 quater მუხლის მე-2, მე-6 და მე-7 ნაწილებითა და 77 quinquis მუხლის მე-2 ნაწილით (დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიერ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ტრეფიკინგი).

13. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 21 ნოემბრის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი მ. ი-ის ექსტრადიცია ბ-ის ს-ში, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, იმ დანაშაულებრივი ქმედებებისათვის, რომლებიც აღწერილია ბრიუსელის სასამართლოს 2015 წლის

20 აპრილის მ. ი-ის საერთაშორისო დაკავების ბრძანებაში და დასჯადია ბ-ის ს-ოს 1980 წლის საიმეგრაციო აქტის 77 bis მუხლით, 77 quater მუხლის მე-2, მე-6 და მე-7 ნაწილებითა და 77 quinquis მუხლის მე-2 ნაწილით (დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიერ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ტრეფიკინგი).

14. კასატორი – ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი – მ. ი. საკასაციო საჩივრით ითხოვს ექსტრადიციის პროცედურების შეჩერებას, ვინაიდან მ. ი-ის საერთაშორისო დაცვის (ლტოლვილის სტატუსი) შესახებ დავა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

15. საკასაციო პალატის სხდომაზე ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – მ. ი-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მხარი დაუჭირა ადვოკატმა გ. ნ-მა და დამატებით მიუთითა, რომ არ არის წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მ. ი-იმ ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები; მხოლოდ ჩადენილ დანაშაულზე მითითება არ არის საკმარისი, უნდა იყოს მონაცემები დანაშაულის ჩადენის დროისა და ადგილის შესახებ, დაზარალებულის ვინაობა, როდის მოხდა დანაშაულებრივი ქმედება, სად მოხდა, ზუსტად უნდა იყოს მითითებული ისიც, თუ რომელ მუხლს შეესაბამება დანაშაული; პროკურატურა დაინტერესებული უნდა იყოს, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია გამოითხოვოს ბელგიიდან დანაშაულებრივ ქმედებაზე; მ. ი-ის მიმართ ადგილი აქვს დიკსრიმინაციას, როგორც ბ-ის ს-ს, ისე საქართველოს პროკურატურის მხრიდან.

16. პროკურორი ნანიკო ზაზუნაშვილი არ დაეთანხმა დაცვის მხარის მოთხოვნას და ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 21 ნოემბრის განჩინების უცვლელად დეტოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეთა არგუმენტები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. ბ-ის ს-ოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი მ. ი. საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს 2017 წლის 22 მარტს. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, დაკავებისას და საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მის მიმართ არ დარღვეულა არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და არც საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკის-

რი ვალდებულებები.

3. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას და მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ: დაცულია ორმაგი დანაშაულებრიობის, ხანდაზმულობის, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები, ორმაგი დასჯის აკრძალვისა (ნონ ბის ინ იდემ) და პარალელური წარმოების აკრძალვის პრინციპები, ასევე საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები. ამასთან, ექსტრადიციის განხორციელების შემთხვევაში, წარმოდგენილი მასალების მიხედვით, არ იკვეთება მ. ი-ის მიმართ ადამიანის უფლებების დარღვევის რისკი.

4. დაცვის მხარის მითითებასთან დაკავშირებით, რომ არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდებოდა მ. ი-ის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა, პალატა მიუთითებს, რომ არც „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენცია და არც „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონი არ ითვალისწინებს პირის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებას. მოცემულ შემთხვევაში არ იხილება მ. ი-ის ბრალეულობის საკითხი. სასამართლო მსჯელობს მხოლოდ იმაზე, ხომ არ არსებობს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები.

5. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალების თანახმად, არ დგინდება ის გარემოებები, რომ მ. ი-ის მიმართ არ იქნება დაცული საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი ადამიანის უფლებების მინიმალური სტანდარტები. ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა და მისმა ადვოკატმა ვერ მიაწოდეს სასამართლოს რაიმე მტკიცებულებები, რაც მის მიმართ ბ-ის ს-ში რაიმე ნიშნით დევნის ეჭვს წარმოშობდა.

6. საკასაციო პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებას, რომ ზუსტად არ არის დადგენილი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად რომელ ქმედებას შეესაბამება მ. ი-ისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები და მიუთითებს, რომ ექსტრადიციის სფეროში სახელმწიფოთა შორის ურთიერთობე-

ბის არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, პირის ექსტრადიციის შესახებ გადანყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება დანაშაულებრივი ქმედების ძირითადი ელემენტები. ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპი დაცულად მიიჩნევა, თუკი საექსტრადიციო მასალებში აღწერილი ქმედების ძირითადი ელემენტები დასჯადია თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით, მიუხედავად იმისა, ემთხვევა თუ არა აღნიშნული კვალიფიკაცია მომთხოვნი სახელმწიფოს მიერ გამოყენებულ კვალიფიკაციას. პალატის მოსაზრებით, მ. ი-თვის შერაცხული ქმედებები „in abstracto“ შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 344¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებებს, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 8-დან 15 წლამდე ვადით. ამდენად, მ. ი-ის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებები დანაშაულად ითვლება და დასჯადია როგორც საქართველოს, ისე ბელგიის სამეფოს კანონმდებლობის მიხედვით და ორივე შემთხვევაში სასჯელის სახით გათვალისწინებულია 1 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა.

7. რაც შეეხება კასატორის პოზიციას, რომ უნდა შეჩერდეს ექსტრადიციის პროცედურა მანამ, სანამ მ. ი-ის საერთაშორისო დაცვის (ლტოლვილის სტატუსი) შესახებ დავა არ დასრულდება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, პალატა მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ კანონის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თავშესაფრისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ექსტრადიცია დასაშვებია, როდესაც მის ექსტრადიციას მესამე, უსაფრთხო სახელმწიფო მოითხოვს.

8. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ მ. ი. არის ი-ის -ის მოქალაქე, ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფო არ არის ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის წარმოშობის ქვეყანა, ხოლო ბ-ის ს-ო, იქ არსებული ადამიანის უფლებების ზოგადი მდგომარეობის გათვალისწინებით, ითვლება უსაფრთხო სახელმწიფოდ და არც კონკრეტულად მ. ი-ის მიმართ არ გამოკვეთილა ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკი, საქართველოში მიმდინარე საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის პროცესი არ წარმოადგენს მ. ი-ის ბელგიის სამეფოში ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებას.

9. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღიარებს რა საქართველოს კანონმდებლობითა და სა-

ერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას, მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 21 ნოემბრის განჩინება, რომლითაც დასაშვებად იქნა ცნობილი მ. ი-ის ექსტრადიცია ბ-ის ს-ში, მის მიმართ სისხლის-სამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით იმ დანაშაულებრივი ქმედებებისათვის, რომლებიც აღწერილია ბრიუსელის სასამართლოს 2015 წლის 20 აპრილის მ. ი-ის საერთაშორისო დაკავების ბრძანებაში და დასჯადია ბ-ის ს-ოს 1980 წლის საიმპერაციო აქტის 77 bis მუხლით, 77 quater მუხლის მე-2, მე-6 და მე-7 ნაწილებითა და 77 quinquis მუხლის მე-2 ნაწილით (დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიერ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ტრეფიკინგი), კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – მ. ი-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 21 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიცია

განჩინება საქართველოს სახელის

35/17

19 დეკემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – რ. ა-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. გ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 6 დეკემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. რ. ა-ს ს-ს რესპუბლიკაში ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობისა და წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალების თანახმად, 2017 წლის 24 მარტს ს-ს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სამსახურის საგამოძიებო სამმართველომ გამოსცა დადგენილება რ. ა-ს ბრალდებულის სახით პასუხისმგებამი მიცემის თაობაზე. აღნიშნული დადგენილების მიხედვით, რ. ა-ს ბრალად ედება ს-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 235-ე მუხლის მე-2 ნაწილით (საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ) და 235.1 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი ქვეპუნქტით (სახელმწიფო საზღვარზე საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო გადატანა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა. ქ. ე-ს ადმინისტრაციული რაიონების – ცენტრისა და ნ-ს საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2017 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით რ. ა-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა. იმავე დღეს ს-ს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სამსახურის საგამოძიებო სამმართველომ გამოაცხადა რ. ა-ს ძებნა.

2. ს-ს რესპუბლიკიდან მოწოდებული მასალების მიხედვით, რ. ა-ს მიერ ს-ს რესპუბლიკაში სავარაუდოდ ჩადენილი დანაშა-

ულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ს. ბ-ა მოძრავი საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „ი-ს“ შექმნის მიზნით, თავის ძველ ნაცნობს – გ. ს-ს შესთავაზა – 50 000 აშშ დოლარი, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი ვ-ს მხარის მაცხოვრებლებთან – გ. მ-ნ, ა. პ-ნ, რ. ა-ა და სხვა დაუდგენელ პირებთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად შეუდგა საბრძოლო მასალის შექმნას. 2017 წლის მარტში, ჯგუფის წევრებმა – 4 000 აშშ დოლარის წინასწარი გადახდით, ს-ი შეიძინეს საზენიტო – სარაკეტო კომპლექს „ი-ს“ შემადგენელი ნაწილები – „9M39“ ტიპის გამშვები მილი და 03277 ნომრის მქონე რაკეტა, რომელიც წარმოადგენს საბრძოლო მასალას, შემდგომ კი იგი კონტრაბანდული გზით შეიტანეს და დამალეს ს-ი, ა-ს მხარის ქ. ვ-ი, ტ-ს ქ. დ24-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში. აღნიშნულის შემდეგ, ს. ბ-ს მოთხოვნით, გ. მ-ა ხსენებულ საბრძოლო იარაღს საკუთარი ტაბლეტით გადაუღო ფოტო და ტაბლეტი გადასცა ა. პ-ს, რომელმაც ს. გ-ს მეშვეობით ფოტო წარუდგინა ს. ბ-ს. ფოტოს ნახვის შემდეგ ს. ბ-ა, საბრძოლო იარაღის ვარგისიანობის შენარჩუნების და დაზიანებისგან დაცვის მიზნით, გასცა დავალება, რათა დასახელებული საბრძოლო მასალა შეენახათ ყუთში და გადაემალათ მათთვის მითითებულ ადგილზე, რის სანაცვლოდაც რამდენიმე დღეში გადაიხდიდა შეთანხმებულ თანხას. ამასთან, ზემოაღნიშნული სარაკეტო კომპლექს „ი-ს“ შემადგენელი ნაწილები – „9M39“ ტიპის გამშვები მილი და 03277 ნომრის მქონე რაკეტა შეიძინა და ს-ს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადაიტანა უშუალოდ რ. ა-ა და შემდეგ, მათი შემდგომი გადაძალვის მიზნით, ს-ს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადასცა თანამონაწილეებს. 2017 წლის მარტში „9M39“ ტიპის გამშვები მილი და 03277 ნომრის მქონე რაკეტა აღმოაჩინა ეროვნული უსაფრთხოების სამსახურმა.

3. 2017 წლის 27 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ს-ს ტერიტორიაზე დააკავეს ს-ს რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი რ. ა-ი.

4. 2017 წლის 28 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლის განჩინებით რ. ა-ს შეეფარდა საქესტრადიციო პატიმრობა 3 თვით.

5. 2017 წლის 29 მარტს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიიღო რ. ა-ს ექსტრადიციის თაობაზე ს-ს რესპუბლიკის შუამდგომლობისა და შესაბამისი დანართის ასლები, ხოლო მ-

თი დედნები – 2017 წლის 7 აპრილს.

6. 2017 წლის 14 ივნისს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ რ. ა-ს ს-ს რესპუბლიკაში ექსტრადიციასთან დაკავშირებით გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მიიღო 2017 წლის 5 ივლისს.

7. 2017 წლის 23 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლის განჩინებით რ. ა-ს მიმართ შეფარდებული საქესტრადიციო პატიმრობა გაგრძელდა 3 თვით, 6 თვემდე – 2017 წლის 27 სექტემბრამდე.

8. 2017 წლის 26 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის განჩინებით რ. ა-ს მიმართ შეფარდებული საქესტრადიციო პატიმრობა გაგრძელდა 3 თვით, 9 თვემდე – 2017 წლის 27 დეკემბრამდე.

9. 2017 წლის 3 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორმა ნანიკო ზაზუნაშვილმა და ითხოვა რ. ა-ს ს-ს რესპუბლიკაში ექსტრადიცია, მის მიმართ სისხლის-სამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით იმ დანაშაულებრივი ქმედებებისათვის, რომლებიც აღწერილია რ. ა-ს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ ს-ს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სამსახურის საგამოძიებო სამმართველოს 2017 წლის 24 მარტის დადგენილებაში და დასჯადია ს-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 235-ე მუხლის მე-2 ნაწილითა (საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ) და 235.1 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი პუნქტით (სახელმწიფო საზღვარზე საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო გადატანა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ).

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 6 დეკემბრის განჩინებით საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორ ნანიკო ზაზუნაშვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა: დასაშვებად იქნა ცნობილი რ. ა-ს

ს-ს რესპუბლიკაში ექსტრადიცია, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით იმ დანაშაულებრივი ქმედებებისათვის, რომლებიც დასჯადია ს-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 235-ე მუხლის მე-2 ნაწილითა (საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ) და 235.1 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი პუნქტით (სახელმწიფო საზღვარზე საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო გადატანა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ).

11. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – რ. ა-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. გ-ა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 31 ოქტომბრის განჩინება უკანონო, დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

12. რ. ა-ი დაპირისპირებულია ს-ს რესპუბლიკის მოქმედ სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობის პირებთან, მისი მამა იყო ოპოზიციური პარტიის წევრი და ს-ს რესპუბლიკის ერთ-ერთი ქალაქის მერი, რის გამოც ექსტრადიციის შემთხვევაში, პოლიტიკური შეხედულებების გამო, მას დაემუქრება წამების, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის საფრთხე, რაც შეუსაბამოა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან; გარდა ამისა, არსებობს მისი სიცოცხლის ხელყოფის საფრთხე; ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებობს არაერთი უფლებადამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიში („Freedom House“, „Human Rights Watch“), რომლებშიც საუბარია პატიმრობაში მყოფი პირების მიმართ არასათანადო მოპყრობაზე, უკანონო დაპატიმრებებზე, რაც დაკავშირებულია ადამიანების პოლიტიკურ შეხედულებებსა და ამ ნიშნით მათი უფლებების უხეშ დარღვევასთან.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეთა არგუმენტები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. ს-ს რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი რ. ა-ი საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს 2017 წლის 17 მარტს. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, დაკავებისას და საექსტრადიციო პატიმ-

რობაში ყოფნის პერიოდში მის მიმართ არ დარღვეულა არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და არც საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

3. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას და მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ: დაცულია ორმაგი დანაშაულებრიობის, ხანდაზმულობის, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები, ორმაგი დასჯის აკრძალვისა (non bis in idem) და პარალელური წარმოების აკრძალვის პრინციპები, ასევე – საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები. ამასთან, ექსტრადიციის განხორციელების შემთხვევაში, წარმოდგენილი მასალების მიხედვით, არ იკვეთება რ. ა-ს მიმართ ადამიანის უფლებამცემტური უფლებების დარღვევის რისკი.

4. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას, რომ ს-ს რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში რ. ა-ს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას პოლიტიკური ნიშნით დაემუქრება საფრთხე, დაექვემდებარება დევნასა და დაირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, შემდეგ გარემოებათა გამო:

5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ექსტრადიცია დაუშვებელია, თუ არსებობს „არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის“, რომ პირი ექსტრადიციის შემთხვევაში დაექვემდებარება წამებას ან/და არაადამიანურ მოპყრობას, ან არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის „რეალური საფრთხე“¹. ექსტრადიციას დაექვემდებარებულ პირს ეკისრება ტვირთი, წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს არსებითი საფუძვლების არსებობას ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი დაექვემდებარება არასათანადო მოპყრობასა და დევნას. ხოლო სახელმწიფო, მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი ბრალ-

¹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: „სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Soering v. the United Kingdom), no 14038/88, § 88-91, 07.07.1989; „ვილვარაჯა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Vilvarajah and others v. United Kingdom), no 13163/87 & 13164/87 & 13165/87 & 13447/87 & 13448/87, 30.10.1991).

დების მხარის სახით, ვალდებულია, გაფანტოს ყველა ეჭვი, რაც დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით შეიქმნება.² უკანონო მოპყრობის შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებით.³ ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაექვემდებარება დევნასა და არასათანადო მოპყრობას.⁴

6. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში პროკურატურამ ვერ მოიძია, ხოლო კასატორს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა რ. ა-ს მიმართ პოლიტიკური ან სხვა რაიმე ნიშნით დევნის რეალური საფრთხის არსებობას, მხოლოდ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირისა და მისი ადვოკატის ზოგადი განცხადებები ვერ ჩაითვლება ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებად. რაც შეეხება დაცვის მხარის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულ საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებს ს-ს რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, მათ არანაირი შეხება არ აქვთ რ. ა-ს და, შესაბამისად, აღნიშნულით არ დასტურდება, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი შეიძლება, აღმოჩნდეს არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ს-ს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ ს-ს წარმოუდგინა გარანტია, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში, რ. ა-ს მიმართ სრულად იქნება დაცული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლებები და რომ შესაბამისი საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, იგი ისარგებლებს დაცვის განხორ-

² იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: „ჯ.კ. და სხვები შვედეთის წინააღმდეგ“ (J.K. and others v. Sweden) № 59166/12; § 91,96, 23.08.2016., „საადი იტალიის წინააღმდეგ“ (Saadi v. Italy) №37201/06, § 129, 28.02.2008.

³ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“ (Mamatkulov and Askarov v. Turkey) №46827/99 and №46951/99, § 70, 04.02.2005.

⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“ (Mamatkulov and Askarov v. Turkey) №46827/99 and №46951/99, § 73, 04.02.2005.

ციელების ყველა შესაძლებლობით.

7. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღიარებს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო – სამართლებრივი აქტებით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას და მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 6 დეკემბრის განჩინება, რომლითაც დასაშვებად იქნა ცნობილი რ. ა-ს ს-ს რესპუბლიკაში ექსტრადიცია, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით იმ დანაშაულებრივი ქმედებებისათვის, რომლებიც დასჯადია ს-ს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 235-ე მუხლის მე-2 ნაწილითა (საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ) და 235.1 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი პუნქტით (სახელმწიფო საზღვარზე საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო გადატანა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ), კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – რ. ა-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. გ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 6 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკიეპელი

1. მტკიცებულება

მხოლოდ ერთი მტკიცებულების არსებობა არ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს 3

2. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის გადაწყვეტა

საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა 20; 27; 38; 48; 62; 71;

3. საკასაციო განაჩენი

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა 80
გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა 86
გამამტყუნებელი განაჩენის უცვლელად დატოვება 105
გამამართლებელი განაჩენის უცვლელად დატოვება 117
განაჩენში ცვლილების შეტანა 123; 132; 139

3. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სააპელაციო სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვება 145; 155; 162
ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების გაუქმება და საქმის სასამართლოსთვის დაბრუნება შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად 171; 175

5. ექსტრადიცია 179; 188; 197; 204; 211